# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 7 იანვარი 2011 №1(131)

1516
2011



# „ინტელექტი“ გთავაზობთ

























მისამართი: ილია ჭავჭავაძის 17ბ ტელეფონი: 25 05 22, 91 22 83, 899 55 66 54

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | ხვთისო მამისიმედაშვილი საკრალური ისტორიები („ანდრეზები“) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | დალილა ბედიანიძე „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ |
| გამოხმაურება | 6 | პაატა ჩხეიძე თემისა და ვარიაციების გამო |
| პროზა | 8 | ქარდა ქარდუხი ძაფზე მოფარფატე სული |
| პოეზია | 23 | დავით წერედიანი თრიმლები და სხვა ლექსები |
| | 24 | თამუნა არდიშვილი სოფელი და სხვა ლექსები |
| | 28 | რეზო ესაძე არა იყო. არც რა იყო |
| ეპისტოლე | 29 | სოფიო მაჭავარიანი ქარი — სხვა თვალით (შოთა ბოსტანაშვილის „ქარიანი სურათები“) |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 30 | ნერიუს მილერიუსი ქალაქი, როგორც კატასტროფის მოდელი: „რეალურსა„ და „წარმოსახვითს“ შორის |
| ესეისტიკა | 34 | კლოდ სიმონი „აკაცია“ |
| | 35 | ჟულიენ გრენი „სამხრეთის ვარსკვლავები“ |
| კრიტიკა | 36 | მარიამ წიკლაური მარადი ნეფის მოლოდინში (ნინო სადლობელაშვილის „ორსული“) |
| აღმოსავლეთის გზებზე | 38 | ნინო დეკანოიძე სიმბოლური ხიდი |
| სილუეტი | 38 | როსტომ ჩხეიძე სიჭაბუკის არსი და ხატი (თამაზ ჩხენკელი) |
| ფიქრი და განსჯა | 40 | გივი ალხაზიშვილი შთაბეჭდილებათა ნაკვალევი |
| რეპორტაჟი | 43 | ეკა ბუჯიაშვილი ქართული ცივილიზაციის მოდელი (პავლე ინგოროყვას სულის მოსახსენიებლად) |
| | 44 | ელენე ამაღლობელი კვალზე (ოთარ ჩხეიძის მემორიალის გახსნა) |
| დღიურის ფურცლებიდან | 46 | რიტა ბაინდურაშვილი დუდუკო, ჩემო ტკბილო თილისმა... |
| ძიება | 47 | ლია კარიჭაშვილი სამი საღვთისმეტყველო სათნოება და „ვეფხისტყაოსანი“ |
| ახალგაზრდებო, ან კი თქვენ | 50 | ქრისტინე ბებია HAPPY BIRTHDAY TO YOU! |
| | 52 | თამარ სუბელიანი მეთევზე |
| ჩანახატი | 54 | ნატო კორსანტია ჟამში ჩაძირული დრო |
| ლიტერატურული ცხოვრება | 55 | ვახტანგ ბახტაძე „მთაწმინდა“ — თავისი სახელის ერთგული |
| | 56 | „ხუთშაბათობა“ — შიო არაგვისპირელის ხსოვნად |
| უცხოური ნოველა | 57 | ჯოან აიკენი საშობაო საჩუქრები |
| ნაკვესები | 61 | მახვილსიტყვაობის ნიმუშები |
| მოზაიკა | 63 | ხნიერი დემეტრეს ვნებანი |


29


ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გავრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაიბეჭდა სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანოიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური — ლევან კიკნაძე


გარეკანზე: მწვერვალი შანი (ხდის ხეობა), ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი
მურმან ჯინორია, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 იანვარს

ხვთისო მამისიმედიშვილი

# საკრალური ისტორიები

ქართულ ფოლკლორში არის მთელი რიგი ტექსტებისა, რომლებიც მოგვითხრობენ დასაბამიერ მოვლენებზე, მითიურ წინაპრებზე, საიდუმლო ინიციაციებზე, ზებუნებრივ არსებათა საგმირო თავგადასავლებსა და ზოგადად იმის შესახებ, რაც კოსმოგონიიდან მოყოლებული სოციოკულტურული ინსტიტუტების დაარსებამდე მოხდა. ამ ტიპის ტექსტები ძირითადად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც დღემდე შემორჩა ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფის ფრაგმენტები. როგორც ცნობილია, ტრადიციული საზოგადოების ყოფა მთლიანად მითიური მოვლენების ხსოვნაზეა დაფუძნებული. ამიტომაც არქაული საზოგადოება მითიურ ამბებსა და დასაბამიერი მოვლენების ხსოვნას მრავალფეროვანი შინაარსის ზეპირი ტექსტებით სათუთად ინახავს. მათი მსოფლაღქმის მიხედვით, ყოველ კოსმიურ საგანს, მოვლენასა თუ წეს-ჩვეულებას თავისი ისტორია აქვს. ხევსურულ დიალექტზე მითებს, ზეპირ საკრალურ ისტორიებს, რომლებიც წინაპართა სამყაროს ცნობიერებასა და დასაბამიერ მოვლენებზე მოგვითხრობენ, ანდრეზი ჰქვია.

ანდრეზული ტექსტები, მასში გაცხადებული ამბების ერთობლიობით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეში ქმნის ერთიან სისტემას, რაც ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიური გადმოცემები ერთი ტიპისაა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ (ნაწილობრივ ახლაც) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ადამიანები ცხოვრობდნენ ცალკეულ ტრადიციულ საზოგადოებებად, ე. წ. „საყმოებად“. თითოეულ საზოგადოებას ჰყავდა თავისი მფარველი ჯვარ-ხატი, ღვთისშვილი, ხოლო ყოველ ჯვარხატს – თავისი „საყმო“-საზოგადოება. ყოველ საზოგადოებაში სხვადასხვა მისტიკურ რიტუალებზე იხსენებდნენ და ჯვრის მომავალ მსახურთ გადასცემდნენ ამბებს საწყისი მოვლენებისა და მითიური წინაპრების შესახებ.

ამ ტექსტებში გაცხადებული ამბების ერთობლიობა წარმოადგენს ტრადიციული საზოგადოების ისტორიას. უფრო მეტიც; რადგან ანდრეზებში გადმოცემულ ამბავს საზოგადოების თითოეული წევრისათვის აქვს რელიგიური ღირებულება, ამიტომ ის საკრალური ისტორიაა. ანდრეზთა მიხედვით, მორიგე ღმერთი და მფარველი ჯვარ-ხატები წარმართავენ ტრადიციული საზოგადოების ცხოვრებას; ყველაფერი, რაც მათ ირგვლივ ხდება, მორიგე ღმერთისა და ღვთისშვილთა საყმოს ცხოვრებაში ჩარევის შედეგია. ანდრეზი, მირჩა ელიადეს სიტყვით რომ ვთქვათ, პირველ რიგში აცხადებს ღვთიური გეგმის არსებობას, ხალხის ცხოვრებაში უზენაესი ღმერთისა და ზებუნებრივ არსებათა მონაწილეობას. მას არ აინტერესებს ქრონოლოგია, არც მოვლენათა სიზუსტე და ისტორიულ პიროვნებათა ნამდვილობა. ჩვეულებრივი ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, რომელიც ისტორიულ დროში მომხდარ მოვლენებს იკვლევს, ანდრეზი ისტორიული დროის მიღმა, „მას ჟამსა“ ჩადენილ ხდომილებებს ასახავს. ანდრეზებში გაცხადებული ამბების ერთობლიობა ქმნის საკრალურ ისტორიას.

საბჭოთა პერიოდში ფოლკლორისტები ანდრეზებს სპეციალურად თითქმის არ იკვლევდნენ (თუ არ ჩავთვლით თინათინ ოჩიაურის ნაშრომს „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, „მეცნიერება“, 1967).

XX საუკუნის 10-იან წლებში, როდესაც აკაკი შანიძე მთის დიალექტებს სწავლობდა და სახალხო მთქმელთაგან ხევსურულ ბალადებს იწერდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მჭიდროდ იყო დასახლებული და ზოგიერთ სოფელში რამდენიმე ათეული კომლიც კი ცხოვრობდა. ამდენად, ტრადიციული ყოფის მცოდნესა და მთხრობელს მაშინ იქ ბევრს ნახავდა მკვლევარი. ნახევარი საუკუნის წინათაც უფრო მეტი საშუალება იყო ანდრეზულ ტექსტთა მოსაპოვებლად, ვიდრე დღეს. XX საუკუნის 50-იან წლებამდე, კერძოდ ხევსურების აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სოფლებში იძულებით ჩამოსახლებამდე, ფშავ-ხევსურეთის საყმოებში ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემორჩენილი ტრადიციული საზოგადოებრივი ცხოვრების ფრაგმენტები და მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საკრალური სიტყვებით მდიდარ მთის ლამაზ დიალექტზე ზეცნობიერი შიშით გადმოსცემდნენ მისტიკურ ამბებს. ისინი ახლა უკვე დაუსჯელად ყვებოდნენ იმ ანდრეზებს, რომლებიც ოდესღაც აუცილებლად საიდუმლოდ უნდა შენახულიყო.

ანდრეზთა კვლევა იმ მასშტაბით, როგორსაც ეს ტექსტები იმსახურებენ, ამ სამი ათეული წლის წინათ დაიწყო პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ და მრავალი ნაშრომი შექმნა, რომელთა შორის აღსანიშნავია წიგნი „ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო“, 1996.

იმ დროისთვის (XX საუკუნის 80-იანი წლები), როდესაც ზურაბ კიკნაძე ანდრეზების შეკრებასა და მეცნიერულ კვლევას შეუდგა, თუშ-ფშავ-ხევსურეთის საყმოები მოსახლეობისგან თითქმის უკვე დაცლილი და გაუკაცრიელებული იყო. თითო-ოროლა კომლიან სოფლებში მხოლოდ აქაიქ, კანტი-კუნტად თუ მოიძებნებოდნენ ანდრეზების, ტრადიციული საზოგადოების ყოფისათვის ფუძემდებლური შინაარსის მქონე გადმოცემათა მცოდნენი და მახსოვარნი. ისინი მითოსურ დრო-ჟამს იმ ნახევრადსაკრალურ სივრცეში მეტ-ნაკლებად ჯვარ-ხატთა დღესასწაულზე აღადგენდნენ, როდესაც მამაპაპური სამკვიდროდან აყრილი და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაფანტული, მაგრამ საერთო წარსულის ხსოვნით შეკავშირებული საყმო მფარველი ღვთისშვილის ყუდრო კარზე იყრიდა თავს.

ხალხური ტექსტების ჩაწერა-შეგროვება ფოლკლორისტის უპირველესი მოვალეობაა. ზურაბ კიკნაძემ მრავალი ფოლკლორული ექსპედიცია მოაწყო და რამდენჯერმე ფეხით შემოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სალ კლდეებზე მიკრული და ვიწრო ხეობებში მიყუჟული პატარა სოფლები, სადაც გარე სამყაროსგან მოწყვეტილი ადამიანები თავიანთ პატრიარქალურ მამულებში ჯერ კიდევ მითოსის დაუწერელი კანონებით აგრძელებდნენ მამაპაპურ ტრადიციებსა და რელიგიურ ცხოვრებას. ისინი წინაპართაგან ბოძებული საკრალური სიბრძნით ჭვრეტდნენ, თუ როგორ დაარსდნენ საყმოს მფარველი ღვთისშვილები. მათი წინაპრები მოწმენი იყვნენ ჰიეროფანიის, კოსმოსის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2789




საკრალიზაციის და მაღალი მთების წმინდა მწვერვალებზე შემდგარნი უშუალოდ ელაპარაკებოდნენ ჯვარ-ხატებს. მთიელები ჯვარ-ხატთა ლაშქრობებს ისე გადმოსცემდნენ, თითქოს თვითონაც „მას ჟამსა" იმ ზეციური მხედრობის წმინდა მეომრები ყოფილიყვნენ. მათ სწამდათ ღვთისშვილთა სასწაულქმედებანი და დამაჯერებლად ყვებოდნენ ღვთისშვილთა თანამოძმეობაზე. სახუცო ტექსტებისა თუ ანდრეზთა ჩასაწერად მისულ მეცნიერს უზიარებდნენ მკადრეთა და ხუცეს-ხევისბერთა გამოცდილებას. ძრწოლით მოუთხრობდნენ საიდუმლო საგანძურებზე, ანდობდნენ ინიციაციურ საიდუმლოებებს, უჩვენებდნენ ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლის ადგილებს, სადაც ისტორიამდელ ხანაში დევ-კერპნი მკვიდრობდნენ და საიდანაც საბოლოოდ აყარეს ისინი ღვთისშვილებმა.

მრავალწლიანმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ამას წინათ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა ზურაბ კიკნაძის წიგნი „ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები)".

კრებულში ანდრეზები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეთა (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, თუშეთი და ხევი) მიხედვით არის დალაგებული. ანდრეზული შინაარსის ტექსტთა ერთობლიობა სრულყოფილად წარმოაჩენს ქართველ მთიელთა მითო-რელიგიურ ცნობიერებას, ხანგრძლივ ცხოვრებისეულ და სამართლებრივ გამოცდილებას, ზნეობრივ პრინციპებს და ყველა იმ სულიერ ღირებულებას, რომელთა შენახვა და ცოდნაც დასაფასებელია ყოველი ეპოქის ნებისმიერ ხალხში. მართალია, ანდრეზულ ტექსტთა ცოდნას მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოები ინახავენ, მაგრამ ზურაბ კიკნაძის აზრით, „სულიერი კულტურა, რომელიც ქვეყნის ერთ მხარეში იქმნება, სავსებით გამოხატავს მთელი ერის დაფარულ შესაძლებლობებს, მის პოტენციას".

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებში შეკრებილ ანდრეზებს აქვთ უნივერსალური ღირებულებაც, რადგან ეს ტექსტები არის ერთგვარი წყარო ტრადიციული საზოგადოებისა და ამ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის მრავალმხრივი აქტივობის შესასწავლად. უფრო მეტიც; ზურაბ კიკნაძის აზრით, „ყოველი კულტურის ფესვი ადამიანშია და, ყველგან, სადაც კი მას უხდება ცხოვრება, თუნდაც მიუვალ მთებსა და უდაბნოს ხრიოკებს იყოს შეხიზნული, რასაც ქმნის, კაცობრიობის სახელით ქმნის... ქვეყნის მიყრუებულ ადგილებში შეყუჟულთ არ უშენებიათ მონუმენტური ტაძრები და სრასასახლენი, ხშირად კვალიც კი არ დაუტოვებიათ მიწაზე თავიანთი არსებობისა, მაგრამ ეს უკვალობა იქნებ მათი ღირსებაც იყოს, რადგან კვალი ნივთიერია, ეს ხალხი კი სულიერ ღირებულებებს ქმნიდა".

წინასიტყვაში, რომლითაც იწყება ანდრეზთა კრებული, ავტორი გვესაუბრება ქართველ მთიელთა ყოფით და სულიერ ცხოვრებაში ანდრეზული ტექსტების განსაკუთრებულ როლზე. ანდრეზები დღესაც საქართველოს ბარში გაბნეული მთიელი მოსახლეობის ყოფაზე დიდ გავლენას ახდენს. ანდრეზული გადმოცემები მათთვის „საერთო წარსულის ხსოვნისა და აწმყოში კონსოლიდაციის ქმედითი საშუალებაა".

ავტორი წინასიტყვაში საფუძვლიანად განმარტავს ტერმინ „ანდრეზს":

„ანდრეზი" დიალექტური ფორმაა ირანული წარმოშობის სიტყვისა ანდერძი, რომელიც რაიმე სიტყვიერ-ზეპირ ან წერილობით დანატოვარს ნიშნავს. თუ ანდერძი, რომელსაც მამა, წინაპარი უტოვებს თავის შთამომავლობას, მისი შინაარსის უპირობო შესრულებას მოითხოვს, ასეთივე კატეგორიულია ანდრეზი საყმოსთვის. ანდრეზში გადმოცემული ამბავი სამაგალითოა, ფუძემდებლურია, მასზე დგას საზოგადოების საკულტო თუ საერო ინსტიტუციები, ქცევა, ზნეობა, ფორმალური თუ არაფორმალური ურთიერთობანი, ყველაფერი რითაც საზოგადოება არსებობს და ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოება, სოციუმი, ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კრებული".

წინასიტყვაში ზურაბ კიკნაძე თემატიკის მიხედვით გვთავაზობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემების – ანდრეზთა – ყველაზე ოპტიმალურ კლასიფიკაციას.

კრებულში შესულია 420 ანდრეზი. ამ რაოდენობის გაზრდა ნაკლებ სავარაუდოდ მიმაჩნია, ყოველ შემთხვევაში თემატურად მაინც აღარაფერი შეიცვლებოდა, რადგან კრებულში ავტორმა შეიტანა ყველა საარქივო ტექსტი. მათ შორის ყველაზე სრულყოფილი და მართლაც ფასდაუდებელი 95 საკრალური შინაარსის ტექსტი XX საუკუნის 30-იან წლებში გიორგი ჩიტაიას დავალებით ფშავ-ხევსურეთის სოციალური და რელიგიური ყოფის საუკეთესო მცოდნემ ალექსი ოჩიაურმა ჩაიწერა. კრებულში შესულია აგრეთვე თინათინ ოჩიაურის მიერ შეკრებილი 35 ანდრეზი. ტექსტების დიდი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციების შედეგად არის მოპოვებული, მათ შორის კრებულში შესულია ზურაბ კიკნაძის მიერ ჩაწერილი 55 და ტრისტან მახაურის მიერ მოპოვებული 30-ზე მეტი ანდრეზი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ნოდარ არდოტელის (ზვიადაურის) ღვაწლი მიღმახევის ანდრეზული მასალის დროულ გამოვლენაში. შუა საუკუნეთა ციხე-დარბაზებით მოფენილ მიღმახევში მოპოვებული 42 ანდრეზული ტექსტიდან უმეტესობა ნოდარ არდოტელმა ჩაიწერა.

თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის დავალებით მან 1983 წლის ზამთარში მიღმახევის სოფლებში მდიდარი ფოლკლორული მასალა ჩაიწერა, მათ შორის 25 ანდრეზი. იმჟამად V კურსის სტუდენტმა დავალება სკრუპულოზურად შეასრულა. იგი პირადად იცნობდა მთქმელებს, ვისგანაც ფოლკლორულ მასალას იწერდა. ნოდარ არდოტელმა ზეპირ ცოცხალ ტექსტებს თითქმის დაღუპვის პირას მიუსწრო. აღსანიშნავია, რომ ჯვრის მსახურთა უმრავლესობა, ვისგანაც იგი მუცოში, არდოტში, ხახაბოში, ანდაქსა და არჭილოში ანდრეზებს იწერდა, დღეს ცოცხალი აღარ არის. მის მიერ ჩაწერილი ტექსტები ენობრივი თვალსაზ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რისითაც სანიმუშოა. ამ მასალის გარეშე ანდრეზული ტექსტების სიმცირე კუთხის ხარვეზად შეიძლება მიგვეჩნია.

კრებულში შესულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დამდეგამდე მოპოვებული ანდრეზები, რომლებსაც სხვადასხვა დროს იწერდნენ ვაჟა-ფშაველა, გუსტავ რადე, დავით ხიზანიშვილი, აკაკი შანიძე, ბესარიონ გაბური, გიორგი ბოჭორიძე, კოხტა აზიკური, ლია კაიშაური, ვერა ბარდაველიძე, გიორგი ცოცანიძე, გელა დაიაური და სხვანი.

კრებულში შესულ თითოეულ ანდრეზს თან ახლავს პასპორტი, რომელშიც მითითებულია ტექსტის მთხრობელისა და ჩამწერის ვინაობა, აგრეთვე ჩაწერის დრო და ადგილი. ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ პასპორტი ინფორმაციას არ გვაწვდის ტექსტების მთხრობელთა ასაკზე. სამწუხაროდ, ფოლკლორული მასალის შემკრებ-ჩამწერები ყოველთვის როდი უთითებდნენ მთქმელის ასაკს, ალბათ ამიტომაც ანდრეზთა კრებულში ტექსტების პასპორტში მითითებული არ არის მთხრობელთა ასაკი. თუმცა დაკვირვებამ და გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მათი ასაკი შეზღუდული არ არის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამა თუ იმ ანდრეზის მცოდნე შეიძლება ყოფილიყო 18 წელს გადაცილებული ნებისმიერი ასაკის ადამიანი.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა მასალის არა თემატიკის, არამედ კუთხეების მიხედვით დალაგება. წიგნში შესული 420 ანდრეზი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეების მიხედვით ასე გადანაწილდა: ხევსურეთი – 178 ტექსტი, ფშავი – 95, გუდამაყარი – 52, თუშეთი – 37, მთიულეთი – 36 და ხევი – 22 ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ხევის მასალა მწირია. ის ტექსტები კი, რომლებიც შესულია კრებულში, სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს კუთხის მითო-რელიგიურ სურათს, ხევის საყმოთა დაფარულ შესაძლებლობებს. კრებულში თითქმის არ გვხვდება ფოლკლორისტიკის კათედრის მიერ ხევში ჩაწერილი მასალა. მით უფრო, რომ ხევის სოფლები ამჟამად უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, ვიდრე ფშავ-ხევსურეთის საყმოები. კრებულში წარმოდგენილი ხევის ანდრეზთა უმეტესობა XX საუკუნის I ნახევარში სერგი მაკალათიამ ჩაიწერა. იმის შემდეგ მოხეური ანდრეზების გასამდიდრებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა. რამდენად შეინახა ამ კუთხემ ანდრეზული მახსოვრობა და რამხელა შესაძლებლობა ჰქონდა ხევს ანდრეზული მასალის გამოვლენისა, ჩვენ არ ვიცით. იგივე შეიძლება ითქვას თუშურ მასალაზეც.

წიგნს განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას სძენს თემატური ინდექსი და მრავალფეროვანი საძიებლები. 26 დასახელების საძიებელს, რომლებშიც სრულყოფილად აისახა ანდრეზთა ძირითადი ტერმინოლოგია, წიგნში 30 გვერდზე მეტი ადგილი აქვს დათმობილი. მისი დახმარებით მკითხველსა თუ მკვლევარს შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჯვარხატები და სალოცავები, ჯვარჩენის ნიშნები და სიმბოლოები, ჯვარ-ხატთა დამხმარე არსებანი, ჯვარ-ხატთა მსახურნი, დღესასწაულები, ჯვარ-ხატთა სამსახური, ჯვარხატთა ნაგებობანი და ადგილები, რჩეულობა, უწმინდურობა და ბოროტება, სიკვდილი, საიქიო, ნათესაობა, საკუთარი სახელები, გვარები და ქვეგვარები, წარმომავლობა, პიროვნებები, ადგილის სახელები, მთები, წყლები, მცენარეულობა, ცხოველები და ფრინველები, სამოსელი, შრომის იარაღი, საბრძოლო საჭურველი, საქმიანობა, ჭურჭელი, სასმელ-საჭმელი და სუფრა.

საყურადღებოა კრებულის ენობრივი პოზიციაც. როგორც წესი, ანდრეზთა ძირითადი ნაწილი გადმოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტებზე. მაგრამ ზოგიერთ ტექსტში გვხვდება შერეული, სალიტერატურო და დიალექტური ფორმების ნაზავი, რომელიც ზოგიერთმა შეიძლება ჩაწერის ხარვეზად მიიჩნიოს. ანდრეზულ ტექსტთა მაგნიტოფონური ჩანაწერები ადასტურებენ მთის დიალექტთა რღვევის პროცესს, რომელიც განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა. ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით მამაკაცები, ზეპირ ტექსტებს უცხო ადამიანებთან გადმოსცემენ არა დიალექტზე, არამედ უფრო სალიტერატურო ქართული ენით, რომელიც მათ უკვე საკმაოდ კარგად აქვთ შეთვისებული.

თუშ-ფშავ-ხევსურულ, მთიულურ და მოხეურ დიალექტებზე შესრულებულ ანდრეზულ ტექსტთა ლექსიკა გარკვეულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ანდრეზებში გადმოცემული არაერთი სიტყვის მნიშვნელობის მახსოვარი ზოგიერთ კუთხეში აღარავინ დარჩენილა. საჭირო გამხდარა ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობის რესტავრაციაც. ანდრეზებისთვის ნიშანდობლივი მდიდარი სოციალური და რელიგიურ-საკრალური ტერმინოლოგიის გასაგებად ტექსტებს ბოლოში ერთვის ტრისტან მახაურის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ანდრეზების სიბრძნით დაინტერესებულ მკვლევარსა თუ რიგით მკითხველს.

ზურაბ კიკნაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს არამარტო ანდრეზულ ტექსტთა გამოცემა, არამედ ისიც, რომ მან ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველმა გამოყო ცალკე ჟანრად ანდრეზები და ამ ტექსტებს კუთვნილი ადგილი მიუჩინა ხალხური სიტყვიერების ჟანრულ სისტემაში. მან ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრა ანდრეზული ტექსტთა ფუძემდებლური როლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოების საკრალურ ყოფაში. ანდრეზული სიბრძნის მკვლევარმა ხუცეს-ხევისბერთა ზეპირ მეტყველებაში შემორჩენილი საკრალური სიტყვები, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში შესატყვისი არ მოეძებნებოდა, გააცოცხლა და სამეცნიერო ენის კუთვნილება გახადა. მან ანდრეზებიდან, ყველასგან მივიწყებული დიალექტური ფორმებიდან შექმნა სამეცნიერო საკრალური ტერმინოლოგია. ანდრეზული ლექსიკიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ზურაბ კიკნაძის მიერ შემოტანილი ტერმინებია: ანდრეზი – მითი; გაბუდაყება – ჰუბრისი; კვრივი - წმინდა, საშიში, ჰიეროფანიის ადგილი; საყმო – ტრადიციული საზოგადოება; ნალახი – შელახული, შებილწული ადგილი; ჯვარჩენა – ჰიეროფანია; მკადრე – ჯვრის ხელკაცი და სხვა მრავალი.

ხალხურ ტექსტთა გამოცემებს შორის ზურაბ კიკნაძის მიერ გამოქვეყნებული „ანდრეზები“ ერთ-ერთი საუკეთესო, სრულყოფილი და მნიშვნელოვანი კრებულია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემების – „ანდრეზების“ – გამოქვეყნებით ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე ახალი ფურცელი გადაიშალა. იგი არის ძვირფასი წყარო ანდრეზული კულტურის შესასწავლად. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ტრადიციული საზოგადოების ყოფით დაინტერესებულ ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევარებს, სტუდენტებსა და მკითხველ საზოგადოებას.

დალილა ბედიანიძე

# „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“

**– თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

– როცა ყოფითი წვრილმანები სულიერ ცხოვრებაში გიშლის ხელს.

**– სად ისურვებდით ცხოვრებას?**

– სხვაგან არსად – მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ თბილისში.

**– რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

– როცა გრძნობ, რომ საკუთარ თავს აჯობე და შეუძლებელი შეძელი – წერისას ზუსტად გაარტყი მიზანში.

**– თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?**

– შექსპირის ჯულიეტა.

**– თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?**

– ალექსანდრე მაკედონელი.

**– თქვენი საყვარელი მხატვარი?**

– ლადო გუდიაშვილი და სალვადორ დალი.

**– თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

– ბეთჰოვენი და გია ყანჩელი.

**– რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

– კეთილშობილებას, ხასიათის სიმტკიცეს, სულიერ სიძლიერეს.

**– რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

– სულიერ და ფიზიკურ სილამაზეს.

**– თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

– კომპიუტერთან ჯდომა.

**– თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?**

– არავინ იცის, ვის რა გველის, ამიტომ მე ჩემს ბედს ვირჩევ, მე მედ რჩება.

**– თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

– მიმტევებლობა.

**– რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

– სითბოს, გულუხვობას, ერთსულოვნებას.

**– თქვენი მთავარი ნაკლი?**

– მარტოსული ვარ, ძალიან მიყვარს მარტოობა.

**– თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

– თავს ბედნიერად ვგრძნობ და ყოველ ახალ დღეს სიხარულით ვეგებები.

**– რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

– ჩემს საყვარელ საქმეს მოწყვეტა, მუზის ღალატი.

**– როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

– როგორიც მძინარე მზეთუნახავი იყო.

**– თქვენი საყვარელი ფერი?**

– ქაობისფერი, მუქი მწვანე.

**– ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

– ღიღილო, ოღონდ არა დაკრეფილი, არამედ მინდორში მდგმოიარე.



**– თქვენი საყვარელი ფრინველი?**

– მერცხალი, რადგან გაზაფხულს მახარებს ხოლმე.

**– თქვენი საყვარელი მწერალი?**

– კონსტანტინე გამსახურდია.

**– თქვენი საყვარელი პოეტი?**

– ჰომეროსი, რუსთაველი, გალაკტიონი.

**– საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

– ჰომეროსის მშვენიერი ელენე.

**– საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?**

– მარო მაყაშვილი.

**– საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

– მაია წყნეთელი.

**– საყვარელი სახელი?**

– მალხაზი და ნინო.

**– რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

– უსამართლობას და დაუნდობლობას.

**– ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

– აღა-მაჰმად-ხანი.

**– საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

– ბასიანის ბრძოლა.

**– რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

– საბჭოთა კავშირის დაშლა.

**– ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

– ძალიან მინდოდა მომღერალი გამოვსულიყავი, მაგრამ ამაოდ.

**– როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

– სიცოცხლემობეზრებული.

**– თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

– მშვიდი და გაწონასწორებული ვარ, ვუმკლავდები ამ ცხოვრებას.

**– ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?**

– მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.

**– თქვენი დევიზი?**

– იულიუს ფუჩიკის სიტყვებით ვიტყვი: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“

**– თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

– მიყვარხარ! რამეთუ ხანდახან ვგრძნობ, როგორ მანებივრებს უფალი.

პაატა ჩხეიძე

# თემისა და ვარიაციების გამო

დავით წერედიანის ოსტატობა, ამაღლებულობა და სიღრმე გამორჩეულია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

სულ მინდა ხოტბა შევასხა, მაგრამ საკუთარი უნარიც მომეხსენება და მეშინია, ფურცელზე გადმოთარგმნისას, არ გავაფუჭო ნაფიქრი, მდარე სიტყვებით არ შევბღალო ნამდვილი პოეზია.

**ნამდვილს ბაძავდა ხილიანის საბრუნთან ვერე**
**და მთელი წუთი ნამდვილს ჰგავდა მდინარის პირი...**
*(„მოსაგონარი")*

„ნამდვილი". დააკვირდით ამ სიტყვას! ჩვენი წუთისოფელი შორსაა სინამდვილისაგან და მხოლოდ ზოგჯერ, იშვიათად ვუახლოვდებით მას, ანუ ვებაძებით და ვგავართ, ოღონდ ხან და ხან.

თუნდაც მარტო ამ შედევრის ფილოსოფია გვიდასტურებს, რომ დავით წერედიანი ორიგინალური მოაზროვნეა.

ამიტომაც მიხარია, როცა მის სახელს ამოვიკითხავ ჟურნალის სარჩევში და ვესწრაფი მის ნააზრევთან ზიარებას.

ჩემი ოპუსი მხოლოდ მისთვის იქნება გასაგები, ვინც „ჩვენი მწერლობის" 10 დეკემბრის ნომერში (25) გამოქვეყნებული დავით წერედიანის „თემა და ვარიაციები" წაიკითხა. თემა და ვარიაციები ტრიალებს დავით წერედიანის ლექსებში, თემას და ვარიაციებს გვთავაზობს მცირე ესეისტურ ჩანაწერებად...

ამ ჩანაწერებმა ამიყოლია და ვწერ, რომ მორიდებით გამოვეხმაურო ბატონი დავითის ნააზრევს.

* * *

ამ ბოლო დროს დემაგოგიის რამდენიმე განსაზღვრა-ანალიზი წავიკითხე; მათ შორის ყველაზე ვრცელი და თითქმის ამომწურავი პოლ ელმერ მორისა იყო. დემაგოგიის დავით წერედიანისეული განმარტება ყველაზე ორიგინალური და მოსწრებულია. მართლაც გულისამრევია, ათასნაირი ხერხითა და საშუალებით იგონებდე ახალ-ახალ ტყუილებს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და თანაც თავს უქონავდე მოსატყუებლად განწირულს – ხალხის მოტყუება შეუძლებელიაო.

* * *

ჰო, დემოკრატია საუკეთესო ასპარეზია დემაგოგებისათვის. ისიც სწორია, რომ არსებობს დღევანდელი (ექსპერიმენტული) დემოკრატია, თანამედროვე სოციოლოგიებითა და ტექნოლოგიებით შეიარაღებული და, რაც მთავარია, ტაბუირებული – სიტყვა არავის უნდა დასცდეს მის საწინააღმდეგოდ. პირველი არგუმენტები დემოკრატიის ნაკლოვანებათა შესახებ, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა და დემაგოგთა ასპარეზია, პლატონმა და არისტოტელემ წამოაყენეს და დღემდე გაბათილება ვერავინ შეძლო.

დღევანდელი დემოკრატიის მამები სწორედ რომ უდიდესი მონათმფლობელები არიან; მაშინ, ანტიკურ ეპოქაში, გულწრფელად და თავმოწონებით ამბობდნენ, მონები გვყავსო; დღეს ჩვენს გამჭვირვალე ყოფაში ისეა შენიღბული ცივილიზებული მონათმფლობელობის არსი, რომ გარედან ცხადად ხედავ, მაგრამ შიგნით ვერაფრით შეაღწევ, სიტყვას ვერ გააგონებ, ვერ შეეხები. ასეთ რამეს ფრანც კაფკაც კი ვერ წარმოიდგენდა.

კიდევ ერთი მწერალი უნდა ვახსენო: უილიამ თეკერეიმ, ალბათ, არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ, მაგრამ „სნობების წიგნი" და „ამაოების ბაზარი" ჩვენზე დაწერილი გამოუვიდა. კლასების **რეგენერაციის** მტკივნეულ **პროცესში**, რასაც მთელი ძალით ეწინააღმდეგება **დემოკრატია**, ჩვენს **სეკულარულ** და **ეგალიტარულ** გარემოს **ტოტალურად** მოედო **სნობიზმი**.

ჩვენ ყველა მეტ-ნაკლებად სნობები ვართ – სნობობაა თუნდაც წინა წინადადებაში თავმომწონედ დახვავებული უცხოური ტერმინები – მაგრამ დემაგოგები ყველას გვჯობნიან.

* * *

რესპუბლიკელები და დემოკრატები ამერიკაში მართლაც მეტისმეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათ აახლოვებთ მესიანისტური იდეა, ამერიკული „იქსეფშენალიზმი" ანუ ამერიკელი ერის რჩეულობა და დიადი მიზანი, ლიბერალურ დემოკრატიას აზიაროს მთელი მსოფლიო.

ჩვენში, თავი რომ დავანებოთ პარტიათა იმ უცნაურ სახელწოდებებს, სადაც **„გზაზე", „სამართლიანობაზე", „ჩვენზე", „სხვაზე„, „ხსნაზე" და წყალი რომ არ გაუვა ისეთ გადარჩენაზეა** ქადილი, ტოტალური მსოფლმხედველობრივი დომხალი თუხთუხებს.

ლეიბორისტები უფრო მეტად ნაციონალისტები არიან, ვიდრე ტრადიციონალისტები და კონსერვატორები.

ნაციონალისტები რადიკალი ლიბერალები და პროგრესისტები გახლავან.

რესპუბლიკელები კონსტიტუციონალისტობას იჩემებენ და გამუდმებით შეთქმულებებსა და რევოლუციებს აწყობენ.

ლიბერტარიანელები სახელმწიფო ხელისუფლების უკიდურეს გაძლიერებასა და ბიზნესის დათრგუნვას უწყობენ ხელს.

მოდი და გაიგე, ვინ ვისთან „იძილ-ღვიძილა", ფრანსუა ვიიონის ქართული ვერსიისა არ იყოს.

* * *

ბოდიში, მაგრამ ბაგრატიონებზე წაქილიკება მე უადგილო და უილბლო ხუმრობად აღვიქვი.

რა შუაშია ბაგრატიონი, ჩხეიძე ან წერედიანი?! მახინჯი ყველგან არის, ადამიანები ვართ.

საქმე ერის კონსტიტუცია და მისი უწყვეტობაა; და თუ გაწყდა, სადაც გაწყდა, იქ უნდა გამრთელდეს. უცხოური წამალი თუ ტექნოლოგია წყლულს ვერ მოაშუშებს, ბზარს ვერ ამოავსებს.

ნამდვილი წესრიგი ღვთაებრივი წესრიგია, თუნდაც ზეციური იერარქია. ადამიანური წესრიგი ანუ ეროვნული კონსტიტუცია მას უნდა ბაძავდეს. ჰო, ჩვენ არ ვიცით, როგორია ღვთაებრივი წესრიგი, მეც სკეპტიკოსი ვარ და პესიმისტი. მაგრამ გვაქვს რელიგიური, ტრადიციული, ნაანდერძევი წარმოდგენა ღვთაებრივ წესრიგზე და იმას უნდა დავეყრდნოთ. ინგლისელები და, მათი მიბაძვით, ამერიკელები ჯერაც მაგ გზით მიდიან, თუმც, უნდა ითქვას, უკვე ბევრი დათმეს პროგრესისტებთან ბრძოლაში.

* * *

საიდან ჩნდება სნეულება ადამიანურ სხეულში?

როცა ღმერთმა ადამი შეჰქმნა, შეჰქმნა როგორც სულიერად და ხორციელად სრულყოფილი არსება. დაძაბუნება პირველი ცოდვის შემდეგ იწყება. ადამი გადის თავისუფლების საზღვრიდან, არღვევს წესს და სულიერად დაეცემა, ზნეობრივად დაქვეითდება, სხეულში სნეულება იპარება.

ერი სრულყოფილებაა ანუ მიახლოება სრულყოფილებასთან (ოთარ ჩხეიძე). ნაკლოვანებანი თავისუფლების საზღვრების გადაბიჯებიდან იწყება, წესის მოშლის გამო ჩნდება.

მოდით და გავერკვეთ, ერის გადაგვარება მისი სხეულის შინაგანი, ორგანული თვისებაა თუ ვირუსივით გარედან შემოტანილი?

ორივეო, იტყვის გამშველებელი, ხელებს მოიფშვნეტს და საკითხს ამოწურულად მიიჩნევს.

* * *

ურბანული ცხოვრების წესი და კულტურა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ალბათ უფრო სამწუხაროდ, საქართველოში უძველესი დროიდან განვითარდა; განვითარდა ხმელთაშუაზღვისპირული ნიშნებით, ბორცვზე აღმართული ციხე-სიმაგრე და მის გარშემო შემოკრებილი დასახლებული პუნქტი.

თბილისამდე იყო უფლისციხე, ქუთაისი; თბილისის მერე იყო გორი და კიდევ ათიოდე შეიძლება მოვიძიოთ, აგერ თუნდაც უფრო გვიანდელი, სიღნაღი. და ან ბევრი ქალაქი რატომ უნდა ყოფილიყო ამ პატარა, ბიბლიური წესით მცხოვრებ ქვეყანაში?! ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი სოფელი, დასავლური სტანდარტით, ქალაქური ტიპის მცირე დასახლებული პუნქტია (Town); (Village) სოფელი იქ, დასავლეთში, სხვაგვარ დასახლებას ჰქვია. და მართლაც, „ეროვნული სულიერება პირველ რიგში მაღალმა სოფლურმა კულტურამ გადაარჩინა". მითუმეტეს, რომ პარტიზანული ბრძოლების ეპოქაში, სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე, ქალაქები მეტწილად დამპყრობთა ხელში იყო.

* * *

მოღალატე ფეოდალი?! ჰო, მოღალატენიც იყვნენ, მაგრამ უმრავლესობა მოღალატედ შერაცხული გახლდათ.

ნეტავ როდის უფრო დიდი იყო საქართველო, როცა სამ-ოთხ სახელმწიფოდ არსებობდა თუ როცა ბაგრატ მესამემ გააერთიანა? ან შეიძლება თუ არა ბაგრატ მესამე მოღალატე ფეოდალად ჩავთვალოთ დავით კურაპალატის მიმართ მაშინ, როცა ბაგრატი მოღალატედ შერაცხული ლიპარიტ ბაღვაშის დასასჯელად წარემართა? ერთმანეთს რომ შებმოდნენ და დავით კურაპალატს გაემარჯვა, ვინ შერაცხებოდა მოღალატედ?

გოეთე გერმანიის დანაწევრებულად, მცირე სახელმწიფოებად არსებობას სწორად და მართებულად მიიჩნევდა. თავის დროზე საღვთო რომის იმპერატორს ჯარი არ ჰყავდა; მას კანონი და ტრადიცია იცავდა. როგორც კი გერმანიამ გაერთიანება და ძალაუფლების ცენტრალიზაცია დაიწყო, უდიდესი უბედურება დაიტეხა თავს და თანაც ორჯერ. დღეს ევროპის უმდიდრესი სახელმწიფო ერთიანობას და დეცენტრალიზაციას მოქნილად უთავსებს ერთმანეთს.

ამერიკის შტატები ჯერაც უძალიანდებიან ფედერალურ ხელისუფლებას და დამარცხებულად არ აღიარებს თავს.

ისევ და ისევ კონსტიტუციამდე მივდივართ.

როცა სამეფო ძალაუფლებაც ძლიერია, ფეოდალებიც და ეკლესიაც, სახელმწიფო ფეხზე დგას. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ. როცა მეფე სუსტდება და ფეოდალები ძლიერდებიან, ქვეყანა აირევა და მხოლოდ ეკლესიას შეუძლია ერის ზნეობა გადაარჩინოს. როცა მეფის ცენტრალური ხელისუფლება მეტისმეტად ძლიერდება და „ნანატრი ხანა" დგება, სწორედ მაშინ იწყება სახელმწიფოს დაშლა და ერთხელაც იქნება დაიშლება.

კონსტიტუციის იდეა მოითხოვს მეფის, ფეოდალებისა და ეკლესიის ძალაუფლებათა თანაბარ, სამართლიან განაწილებას და წესის უცვლელად შენარჩუნებას.

ისე მეფესაც და ფეოდალსაც ქვეყნის შიგნით ხმალი კი არა, მწყემსის კომბალი უნდა ეჭიროს.

* * *

ჩემთვის საქართველო ქალდეადან მომდინარე სახელია და კარდუსიც მჯერა, მაგრამ ვერაფრით დავამტკიცებ; ისევ ლინგვისტური ნიაღსვლებითა და მეტაისტორიული ვარაუდებით თუ მოვახერხებ რამეს. მხიბლავს სამი იბერიის არსებობა კავკასიაში, ესპანეთსა და ირლანდიაში. და სულ ცოტა რამ მინიშნებაა საჭირო, რომ დავძლიო სკეპსისი და განვიმტკიცო თვითმყოფადობის რწმენა.

* * *

სასიქადულო მგოსნისეული განმარტება სამშობლოსი, ჩემთვისაც სრულიად საკმარისია.

**სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ**
**და მისროლია ისარი...**

და თუმცა ევროპული არბალეტის ანალოგი, სვანური (ქართული) ტარიან-ჩახმახიანი მშვილდიდან ისარი არასოდეს მისვრია, ჭეშმარიტებას აქ ვეძებ, ჩემს სამშობლოში.

ჭეშმარიტება სამშობლოს მაშინ დაუპირისპირეს, როცა სამშობლოს იდენტიფიკაციის საკითხი დადგა. ჩემი აზრით, ეს არ ყოფილა ერთი კაცის ნათქვამი, ეს იყო უნივერსალური, გლობალური იდეოლოგიის, „ახალი მსოფლიო წესრიგის" ქაფიდან გადმოღვრილი ლოზუნგი და არა გაცხარებისას შემთხვევით ამოთქმული მეტაფორა. ამ ლოზუნგმა დარაზმა სამშობლოს მოწინააღმდეგე ძალები და ისეთივე ფუნქცია შეასრულა, როგორიც ლოზუნგებმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" ან „მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს!"

მოკლედ, საიდანაც დავიწყეთ იქვე მოვედით, **დემაგოგიური** ლოზუნგი გახლდათ და დემაგოგებმა მარჯვედაც გამოიყენეს.

ქარდა ქარდუხი (ფრიდონ ქარდავა) დაიბადა 1974 წელს სოხუმის რაიონ სოფელ "შრომაში". 1996 წელს დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, ისტორიის განხრით. მონაწილეობდა 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთში. მისი პირველი ნოველა „აღელდი პონტო" გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში" 1994 წელს. ნაწყვეტი მოთხრობიდან "ვარსკვლავმორბედი" დაიბეჭდა კრებულში "მზე მოვა ვიდრე" 1995 წელს. ამ პერიოდიდან ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს თარგმანებს ამერიკული პოეზიიდან (ედგარ ალან პო, უოლტ უიტმენი, ემილი დიკინსონი...). 1994-1995 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის მიენიჭა ლევან გელაძის სახელობის პრემია. 2002 წელს ჟურნალ „ცისკარში გამოქვეყნდა მისი ნოველა „უპასუხო კითხვა".

2000-2004 წლებში თარგმნიდა ცნობილი ამერიკელი პოეტის ედგარ ლი მასტერსის ნაწარმოებს „სფუნ რივერის ანთოლოგია". პოემა ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა", ასევე ჟურნალ „ომეგასა" და „ალტერნატივაში". „სფუნ რივერის ანთოლოგიის" თარგმანისათვის მინიჭებული აქვს ჟურნალ „ომეგას" 2001 წლის პრემია. ამავე ჟურნალში დაიბეჭდა მისი ესეი „აღსარებები საიქიოდან". „სფუნ რივერის ანთოლოგია" წიგნად გამოვიდა 2005 წელს ბათუმში.

მისი მოთხრობები და თარგმანები დაბეჭდილია ლიტერატურულ კრებულებსა და ჟურნალებში („ლიტერატურული პალიტრა", „ცხელი შოკოლადი", „ჭოროხი"), ასევე განთავსებულია ლიტერატურულ საიტებზე.

ამჟამად ცხოვრობს ბათუმში და მუშაობს აჭარის არქივში. ჰყავს მეუღლე, ქეთევან გიორგაძე და შვილი – ქუჯი.

ქარდა ქარდუხი

# ძაფზე მოფარფატე სული

*ესაა სამყარო, სადაც ნიშანი და საგანი ერთია!*

მკვდრების წიგნი

## პირველი ნაწილი

შავი ღვინით სავსე ფიალა მიჭირავს ხელში. თითქოსდა ბურანში მყოფს ქალების შორეული შრიალივით ჩამესმის თავშეკავებულად წარმოთქმული სადღეგრძელოები. მწარედ ჩაფიქრებული ვუცქერ მოლივლივე სითხეს. აგუნას დალოცვილი წვენით თუ რაღაც ბუნდოვანი მიუწვდომლობით სულისკნელათრთოლებული და ვფიქრობ განუწყვეტლივ ოდესღაც მომხდარ თუ უბრალოდ შეთხზულ შემთხვევებზე, უკვე ათასობით საუკუნის მტვერწაყრილზე, მაგრამ ჩემთვის აწმყოსა და მომავალთან გადახლართულზე, სადღაც ხმელთაშუა თუ ეგეოსის ზღვის ნაპირებთან დატრიალებულ ჩვენთვის უკვე ზღაპრადქცეულ ამბებზე, ადამიანთა და ღმერთთა უცნაური ურთიერთკავშირების უჩვეულო გადმოცემებზე და არც კი ვიცი, ჩემთვის ის ათასწლობით დაშორებული ზღაპრებია უფრო სარწმუნო და ახლობელი თუ ახლანდელი, სულ ახლახან მომხდარი... ვერ გამირკვევია, რომელი უფრო მიზიდავს, რომელი უფრო მოქმედებს ჩემზე; ერთი კი ცხადია, აწმყოსავით განვიცდი უძველესს და უფრო ადვილად ვითავსებ მას, მაგრამ იმ არაკებზე, იმ არაკების ერთი შეხედვით არაჩვეულებრივ, ზოგჯერ კი საოცრად ჩვეულებრივ, საოცრად ადამიანურ გმირებზე ფიქრი რატომღაც უცნაურად მღრღნის და მაწვალებს მათს სულის მეტამორფოზებში ბოლომდე ვერგარკვეულს.

ეტყობა მასაც არეული ჰქონდა გულისთქმანი... არეული თუ გმირის გამბედაობით ფიქრობდა განუწყვეტლივ ერთზე – მიზანზე? ნეტავ თუ ეშინოდა? თუ ელოდა მზაკვრობას? მამისთვის უცნობი მოდგმა! თვითონაც მზაკვრულად არ მოექცა მერე სულზე უძვირფასესს? მაგარი გმირობაა შენმა მზემ, უშფოთველად დაძინებულს, ძილსშორისში ლალად მონავარდეს გამოეპარო! რა ულმობლად მიაგდო უკაცრიელ ნაპირზე!



მხსნელად ლიბერი მოევლინა განწირულსა და მავედრებელს. ისიც თავისი გულმავიწყობით დაღუპა, სინდისის ქენჯნით გათანგულმა და მომნანიემ. მაინც რა საოცარი ხალხი იყო... ასე ექვმიუტანლად სჯეროდათ ბედისწერის. ვგრძნობ, მეკიდება ღვინო, აუტანელი სურვილი მაქვს ხმამაღლა ვისაუბრო, ვისაუბრო გაუთავებლად. ვცდილობ თავი შევიკავო, რაც ძარღვებს მიშლის, და უაზროდ ვუჭერ თითებს ღვინის ფიალას, ვგრძნობ, რა საამოდ მეღვრება მისი რაღაცნაირი სიგრილე და მასში მოლივლივე სითხის მისტიკური ენერგია სხეულში და ვმშვიდდები თითქოს.

ოთახში დედაჩემი შემოდის და ღვინით სავსე დოქს მანვდის. ვართმევ და მაგიდაზე ვდგამ. ხელი მიკანკალებს. მამაჩემი მამჩნევს, რომ ვთვრები (სახე მიხურს და ვწითლდები სმისას) და მეუბნება:

– ნუ სვამ, სიმთვრალისას არ შეიძლება.

ვცდილობ გაღიზიანება არ შევიმჩნიო.

– რა დამათრობს, ორი ჭიქა დავლიე!

– ჰოდა ის ორი ჭიქაც არ შეიძლებოდა! – ამბობს მამაჩემი თავშეკავებულად, თითქოს სასხვათაშორისოდ და მაგიდის მიღმა უსწორებს მზერას ოთახის თითქოსდა სადღაც გაუჩინარებულ კუთხეებს.

მოთმინებიდან გამოვყავარ ხოლმე მის თავდაჯერებულ კილოს... თუ არ შეიძლებოდა, აქამდე რას უცდიდა?! თვითონაც არ იცის, რა უნდა...

– ღვინო ღვთის გაჩენილია, არა მგონია, სულს აუხეშებდეს, – რაღაც გესლიანად გამომდის.

– შენ ვინც კი შეგხედავს, საპირისპიროს დაასკვნის. – ისე მშვიდად ამბობს, თითქოს მე კი არა, ვიღაც სხვას ესაუბრებოდეს.

– დაწყნარდი, რა გჭირს?! – მეუბნება ავთო, გრძნობს, რაღაც მწარეს თქმას რომ ვაპირებ, – არ შეიძლება, ესე იგი არ შეიძლება! როგორც უფროსი ამბობს, ისე უნდა მოვიქცეთ, მეტს აღარ დალევ!

მინდა შევეპასუხო, მაგრამ ვიცი, კამათი ატყდება, თან ვხვდები, მართლები არიან; უკვე მიბრუის თავი და კიდევ

რომ დავლიო... საკვირველია, მართლები არიან და სწორედ ეს მაღიზიანებს; ყოველნაირად ჩვეულებრივსა და ცხადს ასე პედანტურად რომ მასწავლიან, ამიტომ ვღიზიანდები.

ავთო ჩემს ჭიქაში არ ასხამს, ჩემი მშობლების ერიდება და არც მე ვაძალებ, მაგრამ ეტყობა რაღაც გაკვირვებული თვალებით ვუყურებ და თავის მართლებასავით გამოსდის;

– მიხედე ახლა შენს საქმეს! – ისე ამბობს, ვხვდები, არსებითად მთხოვს, ნუ გამაწბილებ, რაო?

– ავთო, ჯერ მანქანა არაა მზად!

– შენ მოემზადე და მანამდე მანქანაც მოვა – ისევ მამაჩემია.

კამათში ამიყოლიებს და ყველაფერი ჩაიშლება. ვდგები. მეორე ოთახში შევდივარ. არეულობაა, ათასგვარ ფუთებს შორის კი ჩემი და საქმიანად დაბორიალებს. ცოტა ხანს უაზროდ ვდგავარ, შემდეგ კი თითქოსდა საქმიანად ვეკითხები:

– ძაფები მოამზადეთ?! – თავს მიქნევს და მზერით შავი პარკისკენ მანიშნებს. პარკს ვშლი და ჩავყურებ: ხუთიოდე ძაფის კოჭი დევს.

– ეს ეყოფა?!

– აბა, არა? – მეუბნება მშვიდად, მაგრამ როგორც კი მისი მზერა ჩემს დაძაბულ სახეს აწყდება სასწრაფოდ უმატებს, – როგორ არ ეყოფა, დასაკარგავში ხომ არ მიდიხარ?!

– რომ არ ეყოს?! მოგეტანა კიდევ!

– თუ არ შეგიძლია, ნუ სვამ! – მეუბნება უხეშად.

უკმაყოფილოდ ვიყურები, არ ვიცი, რა ვუთხრა ისეთი, ჩემი განრისხება მთლიანად რომ გამოხატოს.

– რა გაყვირებს, ბიჭო! – ჩემკენ იხედება მამიდა, – თავიდან ბოლომდე კი არ უნდა ძაფი... სადაა ამდენი? აგერ მისმინე: იქ, ლოგინის თავზე დაამაგრე და შენობიდან გამოსვლის შემდეგ განყვიტე, ამდენივე მანქანას გამოაბი და ეყოფა... სულაც არ უნდა გაუთავებელი ფაცი-ფუცი!

– ასე, შენ რომ წახვალ, მაშინ გააკეთე!

– მე რომ მაგას ვაკეთებდი, შენ დაბადებული არ იყავი! – გაკაპასდა მამიდა.

დაბალი ქალია, პუტკუნა და გაბრაზებისას თვალები უფართოვდება, მგონი, სიმაღლეშიც ემატება ცოტა.

– თუ საჭირო არ არის და მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გინდათ გააკეთოთ, მაშინ საერთოდ არა აქვს აზრი და მე თავი დამანებეთ!

– დამიჯერე ბიჭო, ასე სჯობია, – მამაჩემი შემოდის და მამიდაც ახლა მის გასაგონად მიმეორებს, – აბა, ამდენი ძაფი სადაა: ერთი ბოლო იქ მოაბი ლოგინს და შემდეგ, ეზოდან რომ გამოხვალთ, განყვიტე, მანქანაზე დაამაგრე და ასე წამოიყვანეთ!

– როდის, როდიდან აკეთებენ ასე!!! – ისე ყვირის მამაჩემი, მამიდას ხმა უწყდება. გულში სასოწარკვეთით მეღიმება, ახლა მამიდა მეცოდება.

– რომ ყვირი, ის თუ გესმის, რელიგიურად ეს ადათი საერთოდ ცოდვად რომ ითვლება?! – ვიცი, გულუბრყვილოდ გამომდის, მაგრამ სხვანაირად მაინც ვერ ისაუბრებ ა მ ა თ თ ა ნ, სისხლში აქვთ ჩვევა გამჯდარი!

– შენ რას მასწავლი, ისე ჰაერზე კი არ ვშვები: მოძღვართან ვიყავი ეკლესიაში! გაუკვირდა კიდეც, აქამდე არ გაგიკეთებიათო!

წარმოუდგენელია; რომელი ღვთისმსახური ეტყოდა?! მაგრამ გულში ხინჯად აქვს ჩარჩენილი და ვერ ისვენებს. არც კი ეჭვობს, არც კი ორჭოფობს! ჩაებეჭდა ტვინსა თუ გონებაში და ვერარა ლოგიკით ველარ ამოუფხვრი. იქნებ მასაც ეეჭვება?! ნეტა ის თუ ეჭვობდა მითაყამინდელ წარსულში, თუ ფიქრობდა საერთოდ მასზე, სადღაც ოდესღაც დატოვებულსა თუ ჩანასახზე?! ნეტავ საერთოდ თუ ახსოვდა უცნაური ნაწინასწარმეტყველები? ანკი იყო მისი? ტყუილად ხომ არ მიაწერდა ხალხი ზღვათა მეუფეს, თუ მართლაცდა თვითონ იქცა შემდეგ ზღვათა მეუფედ? ნეტავ მართლა თუ ფიქრობდა შვილზე მაშინ, უცნაური გმირი რომ ეწვია სასახლეში?! ორჭოფობდა თუ გაუაზრებლად უჯერებდა ყველასაგან უარყოფილ, ახლა კი მის მეუღლედ მოვლინებულ ქალს, რომელსაც სულ მალე თვითონაც უარყოფდა, აოტებდა სამეფოდან შორს! მასაც ეეჭვება?! ვინ იცის. რომ არ ეცნო? სულაც რომ არ დაეკარგა ფეხსაცმელი?! რა ადვილად დათანხმდა კაცის მოწამვლას? მერედა რა, რომ უცნობი იყო, სტუმარი ხომ ღვთისაა? განა უცნობი მოდგმისას ტილჭირით უნდა გაუმასპიძლდე? ღმერთს არ შესცოდა? ღმერთო ჩემო, როგორი ცრუმორწმუნეა! თუმცა მეც ხომ ვგრძნობ რაღაც საკრალურსა თუ იდუმალ შიშს? არა, შიშს კი არა, უფრო მოწიწებას ამ, ვინ იცის, როდის ჩასახული ჩვევისა თუ რელიგიური მისტერიის მიმართ? ჩემს თავს ვუტყდები: ხომ დარწმუნებული ვარ, სისულელეა ეს ყველაფერი. მაინც რაღაც ორჭოფული კითხვა მებადება ხანისად, მაგრამ წარმოვიდგინოთდა მართლა?!

წინა ოთახში გავდივარ. მეზობლები შემოსულან. მალე მამაჩემი შემოდის.

– შენ ხომ არ დაგილევვია, ნანა? – მეკითხება ნაზია. ოთხმოცსაა მიღწეული, იქ, სოფელშიც, ჩვენი მეზობელი იყო. ძალიან სახნიერია ბუნებით, წლოვანებაც მაინცდამაინც არ ეტყობა.

– არა, ნაზია მამიდა, ორიოდე ჭიქა დავლიე.

– ხო, ნანა... სიმთვრალეში ვაშინერს, უცებ დაფრთხება და ახლოსაც არ მოგეკარება.

– ნაზია, გაყევი შენაც, არასოდეს გაუკეთებია, რა იცის ამან, – ეუბნება მამაჩემი.

– კი, ნანა, გავყვები მეც, – ამბობს ნაზია და მიყურებს. – ეს ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო, შავი ვაშინერს, ნანა, რაიმე სამხიარულო ჩაიცვი.

ჩემი და კარადასთან მიდის, ტანსაცმელს ეძებს. სუფრიდან ბიჭები გაკვირვებულნი მიყურებენ... ყველას სულის საღრმემდე სჯერა ან სულაც ბავშვობიდან მიაჩვიეს, რომ ეს უნდა სწამდეთ, და ჰგონიათ, რომ სწამთ, ხოლო მათს მზერაში ყველაფრის უარმყოფელი და სასაცილობამდე გამაუაზროებელი გაურკვევლობა რომაა გამოსახული, ამას ველარ აცნობიერებენ...

და სერთუკს მაწვდის. შავს არ ვიხდი, გარედანვე ვიცვამ.

– შავი გაიხადე, ნანა, ვაშინერს, – მეუბნება ნაზია და მიმზერს, მევედრება თითქოს.

– არ ჩანს, ნაზია მამიდა.

– ხო, შენ გააბრიყვებ ი მ ა ს, არა?! – შორიდან ჩამესმის მამაჩემის ხმა.

გაკუმატებული ვიხდი შავ პერანგს, მაისურსაც და შიშველ ტანზე ვიცვამ თეთრ სერთუკს, ვარდისფერი ხაზები რომ დაუყვება, ალაგ-ალაგ, მქრქალი.

– მეჩონგურე ვინ იქნება? – კითხულობს ნაზია.

– გამახარიას ბიჭმა იცის ჩონგურზე დაკვრა, – ამბობს ბადრი სუფრიდან.

– ვუთხარი გუდუნას, მოვალო, – პასუხობს ჩემი და, თან ხელებს შლის დამნაშავესავით.

– ცოტა ვიჩქაროთ, თორემ ღამდება უკვე, – სწუხს დედაჩემი, – საავადმყოფოშიც არ დაგვხვდებიან გვიან! ან მანქანა სადაა ამდენ ხანს?!

– ვისი მანქანაა? – გვეკითხება მთვარისა. ესეც ჩვენი მეზობელი იყო სოფელში, დღეს ჩვენთან ერთად მოდის. ორმოცდაათს მიღწეული ქალია, სოფლის ადათ- წესები რომ არ გამოეპარება არასოდეს, ისეთი.

– ბორანას ვთხოვეთ, – ამბობს იმედო და ჭიქებს ავსებს.

– მერედა როდის მოვა ბორანა, ხომ იცი, გვიან ღამემდე მუშაობს, შუქრის ვერ უთხარი?! – ხმას უწევს მამაჩემი.

– შუქრი არაა, თანაც მანქანა არ უვარგა.

– ერთ რამესაც ვერ მოაბი თავი! ღვინო რომ ყოფილიყო საშოვი, მთელ ქვეყანას მოივლიდი...

იმედო ჩემი ბიძაშვილია, ყველაზე უფროსი. მამაჩემი თავისიანებთანაა გაცილებით უხეში და ჭირვეული.

– რა გაცხარებს, მოვა საცაა!

– მოვა კი არა, მიდი ახლავე და ნახე! – ყვირის.

ისევ საშინლად ვღიზიანდები: ცხადია, ახლა რამეს ვიტყვი გესლიანს და უფრო გავაცოფებ. საბედნიეროდ გუდუნა შემოდის; თორმეტიოდე წლისაა. ხორცსავსე, ოქროსფერი თმა აქვს, ხუჭუჭა.

– ოდი, ბებომ თქვა ერთი წუთით მოვიდესო, – მეუბნება და უხერხულად ეტმასნება კედელს.

მივყვები. ჩვენსავე სართულზე ცხოვრობენ, სამოცდამეექვსე ოთახში.

გუდუნას ბებია, ძალუა, ავადაა: ქვედა კიდურები ნართმეული აქვს. როდესაც მის უცნაურად გამჭოლ თვალებს, თითქოსდა გაყვითლებულ სახესა და ჩამოღვენთილ ლოყებს ვუცქერ, პრეისტორიული ხანის ქურუმს წარმოვიდგენ ხოლმე, თუმცა სულაც არა ვარ დარწმუნებული, იყვნენ თუ არა პრეისტორიულ ხანაში ქურუმები.

– გამარჯობა, ძალუა ბებია, – ვეუბნები ჩაბნელებულ ოთახში სავარძელში ჩამჯდარსა და წელსქვემოთ იატაკამდე მუქ ნაბლისფერ შალის ქსოვილში გახვეულს.

ძალუა მარჯვენა ხელს მიჭერს მაჯაზე და არ მიშვებს.

– რომ მიხვალთ, შვილო, ოთახში პირველად გუდუნა შეუშვით მამლით ხელში; მამალი ოთახში გაუშვას, მერე შენ ან რომელიმე სხვა მიჰყევით ანთებული სანთლით. სანთელი ლოგინის თავზე დაამაგრეთ. შემდეგ გუდუნამ დაუკრას და იმღეროს. რომელიმე ქალმა კი ლოცვები წარმოთქვას სანთელთან. ამის მერე ძაფი გამოაბი ლოგინის ბოლოს, სანთელი სამჯერ შემოატარეთ ოთახში, შემდეგ მამალს შემოსწერეთ ამდენივეჯერ და სიმღერით გამოდით გარეთ. – თავს ვუქნევ და ვცდილობ სერიოზული გამომეტყველება მქონდეს.

– დაიმახსოვრე, სიმღერით უნდა შეხვიდე, სუყველანი მხიარულნი უნდა იყოთ; რომელიმეს გაბრაზება თუ შეგატყოთ, აღარ გამოგყვებათ, იცოდე. – თითქოსდა რაღაც ზემოქმედების უნარი აქვს ძალუას თვალებს, ჟრუანტელი მივლის სხეულში.

– ასე ვიზამთ, ძალუა ბებია.

– აქეთობისას მთელ გზაზე უნდა იმხიარულოთ. გუდუნამ დაუკრას და იმღეროს, ქალებმა ილოცონ, ძაფს შენ მიხედე.

– მადლობა, ძალუა ბებია, ყველაფერი გასაგებია. – ჰმ, ყველაფერი გასაგებია... კარში გამოვდივარ და ისევ მესმის ძალუას ხმა:

– გაბრაზება არ შეგატყოთ, თორემ ახლოსაც არ მოგეკარებათ, იცოდე!

ყველანი მზადებაში არიან, არეული დავაბიჯებ ოთახებში, ვერსად ვერ ვჩერდები და ვისვენებ, აუარება გულისთქმა გონებას მირევს, თავი ამატკივა მოუხელთებელმა ფიქრთა რიალმა. მაინც როდინდელია ეს ჩვეულება? ვინ მოიგონა პირველად? ვის მოუვიდა აზრად? იქნებ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა? მაგრამ თუკი სიმბოლურია, მაშინ ხომ, ცხადია, არსებულის სიმბოლო უნდა იყოს. მაგრამ ამის წარმოდგენა განა შეიძლება? ამის წარმოდგენა ხომ უკვე ნიშნავს... არა, მეც რომ დავსერიოზულდი, რა გულწრფელობით ვეკიდები?! ხომ შევუთანხმდი ჩემს ცნობიერებას: ვაკეთებ მხოლოდ იმიტომ, ი მ ა თ არ ჩარჩეთ-მეთქი რაიმე გულში ხინჯად. განა ასეთივე გრძნობით არ ვთანხმდებოდი, ვყოფილიყავი მეკვლე პატარაობისას? დილით დედასთან რომ ვიწექი და დედა ჩუმად მაღვიძებდა, ისე რომ ხმას არ ამოიღებდა, ვითომდა "მე არაფერ შუაში ვარ, მძინავსო" ჰოდა, მეც ვითომ ვერ ვხვდებოდი, მეც თითქოს ჩემით გამღვიძებოდეს, ჩუმად გავდიოდი გარეთ. გარეთ კი სუსხი იდგა (რამდენჯერ ავტირებულვარ: არ მინდა მეკვლეობა, მცივა-მეთქი), საჩქაროდ ავიღებდი ჩიჩილაკს, ნედლ ტოტებს და ვიწყებდი ოთახის კარზე კაკუნს "კარი გამიღეთ-მეთქი", თითქოს იქიდან არ გამოვსულიყავი ხუთიოდე წუთის წინათ. მაგრამ არა, ის მაინც სხვანაირი გრძნობა იყო: იქ, უბრალოდ, შესრულება გახლდათ სასაცილო თორემ არსებითად ყველას გვწამდა, ვინც მეკვლე იქნებოდა ...უფრო სწორად, ექნებოდა თუ არა მეკვლეს ბედნიერი ფეხი, იმაზე იყო ოჯახის კეთილდღეობა დამოკიდებული. აქ კი? თუნდაც ბრწყინვალედ შევასრულო ყველაფერი აქვს კი აზრი?! სასაცილო არაა?! თუმცა ეს "სასაცილო" რამ თუკი ყველას გულწრფელად სჯერა, მაშინ კეთილი უნდა ინებო და, თუ გულით არ დაიჯერებ, არ უნდა გაიცინო მაინც, მითუმეტეს, როცა შენაც ეჭვიანობ და ორჭოფობ.

– აბა, ჩქარა, მოვიდა ბორანა! – შემოდის დედაჩემი ოთახში, სადაც მხოლოდღა ახლა აღმოვაჩენ საკუთარ თავს, ლოგინზე ინახით მიწოლილი. აუჩქარებლად ვდგები და დერეფანში გამოვდივარ. აქ უაზროდ დაბორიალებენ ოჯახის წევრები და მეზობლები: მე ძაფებჩაწყობილ პარკს მაჩეჩებენ, ნაზია და მთვარისა სანთლებს აწყობენ შავ ჩანთაში და ახლა ცდილობენ მამალიც ჩასვან შიგ ისე, რომ არ აფართხალდეს. ძალუა დერეფანში გასასვლელ კარამდე მოჩოჩებულა და ჩონგურმომარჯვებულ გუდუნას უხსნის რაღაცას. მინდა ქვემოთ ჩავიდე და დერეფანს მივუყვები. ძალუამ ეტყობა თვალი მომკრა და მაჩერებს:

– იქ, ოთახში, პირველად მამალი შეუშვით და შემდეგ მიყვეს გუდუნა.

ისევ მაპყრობს ჭროლა, გამჭოლ თვალებს. საჩქაროდ ვუქნევ თავს და ვეცლები. ის მომძახის:

– გაბრაზება არ შეგამჩნიოთ რომელიმეს, თორემ არ გამოგყვებათ, იცოდე, ახლოსაც არ მოგეკარებათ.

როგორც იქნა ჩავდივარ ეზოში. გიორგობისთვის სუსხიანი საღამოა, თუმცა ღვინისგან გახურებული ველარ ვგრძნობ სიცივეს. ზეცა მოსარკულია: უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებს ზესკნელს მცებართა იდუმალი ნათებით.

ეზოში ბორანას ვლანდავ, მისკენ მივდივარ.

– გაწუხებთ ბორანა ...

– რას ამბობ, რა შეწუხებაა! მზად ხართ უკვე?

– ახლავე ჩამოვლენ, – ვპასუხობ.

ბორანა საშუალო სიმაღლის, სუსტი აღნაგობის კაცია, ორმოციოდე წლის. შავი, ოდნავ შეჭაღარავებული თმა აქვს, შავგვრემანი სახე. ყოველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემზე მისი საცერივით დიდი თვალები, შუმერთა შთამომავალია-მეთქი, გამკრავს გულისთქმა მის შემხედვარეს.

მანქანაში ჯდება. მანქანა უძველესია, გერმანული ფირმის, მეორე მსოფლიო ომამდელი გამოშვება, ომზე გადაღებულ ფილმებში მინახავს ასეთები ხშირად. შავი ფერისაა. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან ჩაუვარდა ბორანას ხელში.

ეზოში გუდუნა ჩამოდის ჩონგურით ხელში და მანქანასთან დგება. საოცრად გულწრფელი თვალები აქვს, ისეთი ბავშვია, გინდა თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერო. მალე ნაზია და მთვარისაც გვიერთდებიან. მანქანის კარს ვაღებ და წინა სავარძელს ვწევ. სამივენი უკან სხდებიან. მე ბორანას გვერდით ვჯდები და მანქანაც იძვრის ადგილიდან. უკვე კარგად მოსაღამოვებულია. ზღვისპირზე გავდივართ და სანაპიროს გასწვრივ გრძელ ქუჩას მივუყვებით. მანქანების სანათები თვალებს მიჭრელებს. ყველანი ჩუმად ვართ. ძრავის თუხთუხში ისმის, როგორ ქშინავს ზღვა, უშველებელი ურჩხული, და რა გავეშებით ეხლება ტალღები ქვით მოპირკეთებულ ნაპირს: ისეთი შეგრძნება მაქვს, მინისქვეშეთის წყალთა მეუფის გამძვინვარებული ყვირილი მესმოდეს თითქოს.

ბორანა გაფაციცებით გაჰყურებს გამზირს, და ისევ მითაყამინდელი შუმერის სურათი მახსენდება. ქალებიც ჩუმად არიან, გუდუნალა აჩხაკუნებს ჩონგურს ხანისად, ვარჯიშობს ეტყობა.

– ასე გვიან დაგვხვდებიან შვილო საავადმყოფოში?! – მეკითხება მთვარისა შეწუხებული ხმით.

– აბა, სად წავლენ, ხომ არ დაკეტავენ საავადმყოფოს?! – ოდნავი გაღიზიანება ეტყობა ბორანას.

– გაფრთხილებულნი ხომ არიან, შვილო. უარი რომ გვითხრან?! – ისევ მთვარისაა.

– არ გვეტყვიან, მთვარისა ბიცოლა, ავუხსნი ყველაფერს, – ვამშვიდებ.

მსიამოვნებს ქროლვა მანქანების შუქით გაჩირაღდნებულ გამზირზე, რაღაც მისტიკური სითბო თუ ექსტაზი მეუფლება თითქოს.

მანქანა ხიდზე გადის: ყოროლისწყალი გადავლახეთ. კიდევ კარგა ხანი მივდევთ სანათებისაგან უცნაურად აელვარებულ გზატკეცილს, შემდეგ კი მარცხნივ ვუხვევთ. რამდენიმე წუთში მანქანა საავადმყოფოს შესასვლელთან ჩერდება. დასახლებაში შუქი არაა, მხოლოდ საავადმყოფოს რომელიღაც ოთახიდან ბჟუტავს ციცქნა სინათლე. წყვდიადი უსიამოვნო ჟრჟოლას მგვრის, განწირულობის შეგრძნება მეუფლება სხეულში.

– თქვენ ჩადით, მე მანქანას მოვაბრუნებ.

ჩამოვდივარ და სხვებს ვეშველები. გუდუნას სიცივისაგან აკანკალებს.

– წამოდით, – ვამბობ ჩუმად. უსიამოვნო განწყობა მიმძაფრდება. რა აუხსნის ახლა ამათ სათითაოდ, ან აუხსნი კი?! და გაიგებენ საერთოდ?

რკინის კარიბჭეს ვაღებ: საზარელი ჭრიალი ისმის, სულში რომ ატანს რეცა. დარაჯს, ეტყობა, ხმაურზე გამოეღვიძა, თვალების სრესვით მოდის.

– ღამე მშვიდობისა, – ვეუბნები. თავს მიქნევს და კარიბჭის დასაკეტად მიდის, სადაც უკვე შემოვიდნენ ჩემი მხლებლები. ალბათ ავადმყოფების სანახავად მოსულებად ჩაგვთვალა, არაფერს გვეკითხება. აგაშენა ღმერთმა, ერთ ზედმეტ ახსნა-განმარტებას გადავრჩი.

სასახლის შესასვლელ კარს ვაღებ და დერეფანში შევდივარ. მაღალ კარადაზე სანთელი შემოუდგამთ, მის მკრთალ შუქზე ზემოთ ასასვლელი კიბის საფეხურები ნახევრად მოჩანს. მეორე სართულზე ავდივართ, გრძელ დერეფანში სისანდობა არ ისმის, აქაც ერთგან ბჟუტავს დანჯღრეულ სკამზე მოთავსებული სანთელი. მივუყვები დერეფანს, იქნებ სადმე საუბარი გავიგონო. ერთი პალატიდან სინათლე გამოსჭვივის. კარს ფრთხილად ვაღებ და შიგნით ვიხედები: ათიოდე ლოგინი ორ მწკრივადაა დაწყობილი. ერთზე ავადმყოფი წევს. ლოგინთან, პატარა კარადაზე ჭრაქი ლიცლიცებს. ავადმყოფს პირი ნახევრად გაღებია და კვნესაშერეულად ხვრინავს. თვალწინ მოკუნტული ჩონჩხებით სავსე სარკოფაგები დამიდგა, ქვების, უძველესი დროისა, არქეოლოგიურ გათხრებზე ყოფნისას ნანახი. კარს საჩქაროდ ვხურავ და გზას ვაგრძელებ.

– კი მაგრამ, ნუთუ არავინაა?! – შეშფოთებული კითხულობს მთვარისა.

– მორიგე იქნება სადმე, მაგრამ ძინავს, ეტყობა, – ვპასუხობ.

უცებ ერთი პალატის კარი იღება და თეთრხალათიანი ქალი გამოდის, ცოტა არ იყოს უკვირს ჩვენი დანახვა, გაფართოებული თვალებით გვიმზერს.

– ვინ გნებავთ?! – მეკითხება. ორიოდე ნაბიჯზე ვუახლოვდები.

– გამარჯობათ, ქალბატონო.

– გამარჯობათ!

– მორიგე თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, რითი შემიძლია გემსახუროთ?! – მეკითხება საჩქაროდ. ისევ მეუფლება უსიამოვნო გრძნობა, მაგრამ უკვე ინსტინქტურად ვამბობ:

– იცით რა... თუ გახსოვთ ერთი თვის წინათ ამ საავადმყოფოში ახალგაზრდა გოგო გარდაიცვალა.

– დიახ, დიახ ... მახსოვს!

– ჩვენ გვინდა ოთახი, რომელშიც ის იწვა. სულ ოციოდე წუთს მოგაცდენთ.

ქალს გაკვირვებული სახე ექუფრება და მისი შეშინებული, გაფართოებული თვალები უფრო მაბნევს.

– იცით რა ... – თითქოს ენა დამება, ცოტას ვისვენებ და სულ სხვა კილოზე ვიწყებ – ჩვენთან წეს-ჩვეულება იყო ასეთი, სულის წამოყვანას ეძახიან... ეს ადათი უნდა შევასრულოთ, ბოდიშს გიხდით, თუ შეიძლება, სულ ოციოდე წუთს წაგართმევთ...

– კი ბატონო, – ჩურჩულებს მორიგე, თუმცა უარესად შეშინდა, ეტყობა ჯოჯოხეთის მოციქულებად გვთვლის, – როგორ გეკადრებათ, ფერხისა! – იძახის საჩქაროდ.

ოთახიდან ოციოდე წლის გოგონა გამოდის. მახსენდება, აქ შემხვდა ერთხელ. ექთანია. მასაც შეშინებული თვალები აქვს, შავი ნაქსოვი ზედატანი და ასევე მუქი კაბა აცვია, რაც ამ სიბნელეში უფრო კუნაპეტად წარმოაჩენს.

– ნათიას ოთახი უნდათ, რაღაც წესი უნდა შევასრულოთო.

ფერხისა მე მიყურებს: ვერ მცნობს.

– გამარჯობათ, – ვესალმები. ის მპასუხობს.

– როგორ უნდა შეასრულოთ წესი? – მეკითხება მორიგე გზადაგზა, მგონი ჯერაც ეეჭვება, ხორცშესხმული ეშმაკები რომ არა ვართ.

– არაფერი ისეთი: სანთლებს დავანთებთ, აგერ ეს ბავშვი ჩონგურზე დაუკრავს, ქალები ლოცვებს იტყვიან, – ვცდილობ მშვიდი ხმა მქონდეს.

– თქვენი რა იყო ნათია?! – მეკითხება ფერხისა.

– დაა ჩემი.

მხოლოდ ერთხელ ვყავარ ნანახი, ვერ გამიხსენა, ეტყობა.

– ვუი საცოდავი! – ვერ ვხვდები, ვის გულისხმობს ფერხისა.

ყველანი დერეფანს მივუყვებით. მორიგე ერთი პალატის კართან ჩერდება, ორივე კარს აღებს და ჩვენკენ მობრუნებული ამბობს:

– ამ ოთახში ინვა!

* * *

ნათია დაბნეული იდგა ოთახში, კარადასთან. ტანსაცმელი უნდა შეერჩია და ჩემოდანში ჩაეწყო. მოწყენილი ჩანდა. უთავბოლოდ ატრიალებდა სამოსს: ჩადებდა ჩემოდანში, მერე ისევ ამოიღებდა. მე ღია კარის ჩარჩოსთან ვიდექი და ვუყურებდი. ცხადივით დამიდგა თვალწინ, ტახტზე წამოწოლილს. მამიდა რაღაცას მეკითხებოდა, მერე ისევ ნათიაზე მელაპარაკებოდა. მე კი აშკარად, თითქოსდა ხელშესახებად ვხედავდი დიდი ხნის წინანდელს: გამომხედავდა ხანდახან და ღიმილი გაუკრთებოდა სახეზე, ეტყობა ჩემი გაკვირვებული გამომეტყველების შემხედვარეს; ხუთი წლისა ვიყავი და ყველაფერი მაოცებდა, ვერ წარმომედგინა, რატომ უნდა ყოფილიყო ნათია მოწყენილი, ვერც ის, თუ რატომ უძნელდებოდა ასე საჭირო ნივთების შერჩევა. მაშინ ბოლო გამოცდა ჩააბარა ფილოლოგიურზე. ოჯახში დიდი ხანი იყო, რაც ამაზე საუბრობდნენ, წინასწარ ამბობდა ყველა, უფრო სწორად წინასწარ იცოდა ყველამ, რომ ჩაირიცხებოდა. ჯერ ერთი, ნათიას ნიჭიერების იმედი ჰქონდათ, მეორეც, მიმღები კომისიის წევრი ბაბუაჩემის უმცროსი ძმა, ბატონი მზეჭაბუკი იყო (მხოლოდ ის გადაურჩა ხუთი ძმიდან მეორე მსოფლიო ომს, ასაკის გამო). მე ერთხელ მყავდა ნანახი და ძლივს მახსოვდა, უფრო სწორად მის ხსენებაზე საოცრად მელოტი თავი და მოწკურული თვალები წარმომიდგება. ბატონი მზეჭაბუკი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ. კარიერის ციცაბო საფეხურებზე ზეაღსვლით თავი მეტი აღარ შეუწუხებია, ამ სახელოთივე გავიდა პენსიაზე ორი წლის შემდეგ. მარჯანიშვილის გამზირზე ცხოვრობდა, ოროთახიან ბინაში, ერთი შვილილა ჰყავდა, გიორგი, უკვე ორმოცს მიღწეული, ძალზე მხიარული ბერბიჭა.

ვიდექი ოთახში და მიკვირდა, თუ რატომ არ უხაროდა ნათიას, უხაროდა კი არა, მოწყენილი რომ იყო.

უცებ გვერდითი ოთახის კარი გაიღო და მამაჩემი შემოვიდა. ნათიას დანახვაზე სახე გაუბრწყინდა.

– ოო, ნათია... გილოცავ! – მჭიდროდ ჩაწყობილი კბილები გამოუჩნდა, – ყოჩაღ ნათია! – ხელი ჩამოართვა და თითქმის ძალით გადაეხვია. მომეჩვენა, რომ ნათია უფრო დაიბნა, გაკვირვება ეხატებოდა თვალებში, უკვირდა მამაჩემის სიხარული. არადა შევნიშნე, მამაჩემის საქციელში, გარდა თანდაყოლილი პათეტიკისა, აშკარა გულწრფელობაც გამოსჭვივოდა.

ოთახში უშველებელი კარადის კარი ზლაზვნით მიიხურა და მის გარეთ მოთავსებულ ვეებერთელა სარკეშიც გაიელვა ნამით ნათიას დაბნეულმა სახემ.

არ ვიცი, რატომ, და ნათიას სწორედ მაშინდელი სახე გამახსენდა, რაღაცნაირად დაუცველი და უმწეო, თითქოს ერთი წლის ჩვილისთვის, ძლივს რომ აიდგა ფეხი, ხელი შეეშვათ და მარტოკა გაეშვათ ყოვლად ეული, რატომღაც ასეთი მეჩვენა მაშინ ნათია; საცოდავად და უნუგეშოდ მინებებული ცხოვრების საზიზღარ, თუმცა ყველასათვის აუცილებლად გასავლელ გზას.

წვიმის ხმაური სასიამოვნოდ იჭრებოდა ოთახში. დასასვენებელი სახლის აივნიდან ბამბუკებისა და ლამაზი ვარჯოვანების ტყე მოჩანდა, უფრო სწორად ბოტანიკური ბაღის მცირედი ხედი. ოდესღაც აქაურობას ათასობით ტურისტი და დამსვენებელი ავსებდა და აყრუებდა სიცოცხლის ხალისითა და ჟინით, ახლა კი ჩვენ ვიყავით ჩასახლებულნი, ჩვენ – იძულებით დამსვენებლები.

მარჯვენა ხელი თავქვეშ მქონდა ამოდებული, მარცხენაში ნახევრადჩაღეული სიგარეტი მეჭირა; ორიოდე კვირა იყო, რაც ვეწეოდი, და ჯერაც მაბრუებდა. ახლაც გონდამძიმებული ვუსმენდი მამიდას, რომელიც დაღონებული მიყვებოდა დიდი ხნის წინანდელ ამბავს, რომელზეც ადრე წარმოდგენაც კი არ მქონდა:

– ბოლომდე მაინც არ გამენდო, მინიშნებით მეუბნებოდა: შეიძლება ხვალ უსიამოვნება შემემთხვესო. კი მაგრამ, რატომ, მამიდა-მეთქი? არაფერი მითხრა, ძალიან შეწუხებული იყო. "ნუ გეშინია, გოგო, ხვალ მე მოვალ-მეთქი ბაღში", "არა, არ მინდაო," –მამიდამ ამოიხვნეშა,–მაშინ შევცდი, მაშინ! თორემ ახლა ცოცხალი იქნებოდა. სულელმა! სულელმა! არ მითხრა, ყველაფერს მეუბნებოდა, ის კი დამიმალა, და მეც შევცდი, ოციოდე წუთი დავიგვიანე... ოცი წუთი! ბაღში რომ მივედი, დირექტორი და აღმზრდელები აჩოჩქოლებულნი დამხვდნენ. დირექტორმა რაღაც ამრეზით გადმომხედა და "თქვენთან სალაპარაკო მაქვს, ქალბატონოო", მითხრა, "ნათია სად არის-მეთქი, "ოთახშიაო", მომაძახა ერთ-ერთმა აღმზრდელმა, ახალგაზრდა იყო, ადრე სულ იმას მიმტკიცებდა, "ნათია ჩემი განუყრელი მეგობარიაო"! ლამისა ერქვა. ოხ, ის გათახსირებული ისა – თმით რომ არ ვათრიე! როგორ არ მითხრა ან როგორ შეატოვა მარტო! "მერე ვილაპარაკოთ-მეთქი" ვუთხარი დირექტორს და ნათიასთან შევედი. კინაღამ გავგიჟდი: ცრემლებისაგან იხრჩობოდა, თმა ასწეწოდა, ნაღდად არ შემშლია, ლოყები დაკაწრული ჰქონდა! "რა გჭირს, მამიდა-მეთქი". უფრო აზლუქუნდა, სიტყვა არ დასცდენია! მერე მითხრა ლამისამ: ვარაზის ნაცოლარი – ის კახპა ისა – და მისი ჯიბგირი ძმა მოსულან, ერთი აყალ-მაყალი აუტეხიათ: "შენ რომ არ იდგე შუაში, ვარაზი არასოდეს მიმატოვებდა, შე კახპაო", რა არ უძახიათ, "დაანებე თავი, თორემ მოგკლავო", დამუქრებია ძმა! ღმერთო შენი სახელის ჭირიმე! – ზემოთ აიხედა მამიდამ, – აუხდა, აუხდა! ჩემი წყევლა! შუაზე გახლიჩა ბომბმა სოხუმში! ნეტა ის კახპაც ყოფილიყო იქ! მაგრამ არც იმას დაადგება კარგი დღე, როგორც ნათია მოსპეს და დაღუპეს, ისე გაამწარე, ღმერთო! –ცრემლი მოიწმინდა მამიდამ და ისევ გააგრძელა, – არ მიატოვა ზლუქუნი, ძლივს დავაწყნარე ბოლოს, ერთი წუთით შევედი დირექტორთან, არ ვიცოდი, რა უნდოდა.

"ქალბატონო, ალბათ კარგი იქნება. თუ ნათია აღარ მოვა სამსახურშიო", "კი მაგრამ, რატომ-მეთქი", "რას იფიქრებენ ბავშვები, ყველამ გაიგონა, რა არ უძახა იმ ქალმა, ცუდია ზნეობაზე აღმზრდელებს ვესაუბრო, როდესაც ამდენი ბავშვი გვყავს აღსაზრდელიო". მე გავმწარდი, არ მცოდნოდა მაინც იმ გათახსირებული ქალბატონის ნამუსი და მთელი ცხოვრება! ვერ მოვითმინე და მივახალე: "გიჯობს შენს საკუთარ ზნეობას მიხედო, იქნებ ცოტათი უშველო, ჩვენს გვარში კი არასოდეს გვქონია ეს გასაჭირი-მეთქი", და მივუჯახუნე კარი. ნათიამ არაფრით არ დამიჯერა, "ვარაზი უნდა ვნახოო", "კარგი მამიდა, დამშვიდდი და მერე ნახე-მეთქი". არა! ეტყობა თავიდანვე სჭირდა რაღაც, თორემ რამ შეაყვარა ის ლოთი და ჩხუბისთავი! ქალი არ იყო სოფელში, ის არ გაარში-

ყებოდა! მხატვარიაო! არაფერი მინახავს მისი დახატული! კი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩემთან არასოდეს მოქცეულა ცუდად, მაგრამ მთელი სოფელი ასე ლაპარაკობდა: უქნარობისა და ლოთობის მეტს არაფერს აკეთებსო! მივედით; ვარაზი და ჟუჟუნა იყვნენ, – საცოდავი მერი, მათს ჯილაგში ერთადერთი ნორმალური ადამიანი, მიწას ებარა უკვე, – იმანაც აწკურა თვალები და ამრეზით გადმოგვხედა. ღმერთო ჩემო; რა გვჭირდა იმ მათხოვრების შესახვეწარი! არა, საცოდავი ნათია როგორ იყო მართალი, რამ შეაყვარა, რამ?! დამანებე ვარაზ, თავიო, – უთხრა, – გთხოვ, ნურასოდეს ნუ მნახავო! არადა შემდეგ მითხრა, რამ მათქმევინა, რამ მათქმევინაო! სწორედ ის სტანჯავდა, მიტოვება რომ დააპირა, უფრო სწორად ენით წარმოთქვა, თორემ – მე მაინც ხომ ვიცი – ნათია ვერასოდეს მიატოვებდა ვარაზს. ვარაზმაც იცოდა ...საცოდავი! სწორედ მეორე დღეს იყო, რომ წავიდა ტყეში მორების ჩამოსატანად ...საბედისწეროდ! ღმერთო, შენ გაამწარე ის გათახსირებული! ვარაზიც ცოცხალი იქნებოდა ახლა და ნათიაც! მორჩა, იმ დღის მერე დამთავრდა ნათიას სიცოცხლე! მერმინდელი თორმეტი, თუ რამდენი, – დაფიქრდა მამიდა, – ცამეტი წელი, ჩათვალე, არც კი უცოცხლია! – მერე ჩაფიქრდა და ამოიოხრა: – ღმერთო შემინდე, რასაა, რომ ვბოდავ! ეს სამი წელი იყო, – მე ეჭვი არ მეპარება, – სრულიად მორჩენილი ეთქმოდა, რომ არა ომი, ვინ იცის... ღმერთო, შენ გაამწარე ამ ომის დამწყებიც და დამამთავრებელიც!

წვიმამ უმატა, თქიშინით მოდიოდა სახურავიდან და რაღაც ბუნდოვან ამბებად ერწყმოდა ჩემს სიგარეტის ბოლისაგან და ათას რამეზე უაზრო ფიქრისაგან დაბურდულ გონებას.

* * *

გუდუნასაკენ ვიხედები, მინდა ვუთხრა, თუმცა არ ვიცი – რა, და უაზროდ ვაჩერდებდი ისედაც შეცბუნებულ ბავშვს. დაბნეულობიდან ნაზია მაფხიზლებს:

–ახლა შენ ჩონგურზე დაუკარი, გუდუნა, და მამალს როდესაც შევუშვებთ, უკან მიჰყევი სიმღერით.

მთვარისა და ნაზია ჩანთებს ექაჩებიან, ცდილობენ ფრთხილად ამოიყვანონ მამალი. მორიგე და ფერხისა კედელს აკვრიან, გაკვირვებულნი გვიმზერენ. ასეთივე გაკვირვებით შეხედავდნენ ალბათ სასწაულს ... ცით მოვლენილ სასწაულს.

გუდუნა ჩონგურზე უკრავს და სიმღერას იწყებს. კარგი ხმა აქვს, რაღაც იდუმალი, რომელიც ამ ნახევრად სიბნელეში ოდინდელ საკულტო გალობასავით ჩამესმის. ნაზია კარის ზღურბლზე სვამს მამალს. ფრინველი უცებ ვერ



*მხატვარი აივენგო ჭელიძე*

გრძნობს ასე უშურველად მინიჭებულ თავისუფლებას, გაუნძრევლად დგას, შეშინებული აბრუნებს თავს ხან მარცხნივ, ხანაც მარჯვნივ, გაოცებული გვათვალიერებს. ლამაზი მამალია, წითელი, ალაგ-ალაგ ყავისფერი, ფრთები და ჯიშიანი ბოლო შავში გადასდის. ფრინველი კიდევ კარგა ხანს დგას გაკვირვებულად, შემდეგ თითქოს მძიმე გადაწყვეტილება მიეღოს, ფრთხილი ნაბიჯებით შედის ოთახში.

თვალს ვავლებ პალატის თეთრად შეღებილ კედლებს, უმწეოდ და დამთრგუნველად მაცახცახებს; ადრეც ვარ აქ ნამყოფი, მაგრამ მაშინ ნათია იყო აქ და მის ღიმილიან და ნუგეშით აღსავსე გამოხედვის წყალობით, ეტყობა, აღარ განვიცდიდი ასე გამანადგურებლად აქაურობას. ღმერთო, სად დავტოვეთ! სად დავტოვე! ჩაშავებულ, ჩამჟავებულ, ჩანესტიანებულ ოთახში! უკაცრიელი პალატების შემყურე! აქ რა მოარჩენდა! თვითონ ხომ არაფრით დამტოვებდა აქ! არაფრით! ნუთუ მართლა გავიმეტე?!

* * *

კავკასიონის მთაგრეხილები უნდოდ გადმოგვყურებდნენ, მწვერვალებისკენ თოვლი ეფინა, როგორც ჯერაც შერჩენილი უბიწოება.

საკენშიც უკვე ელოდნენ თოვლს, ორჯერ დაითრთვილა კიდეც სიმწვანე, მთის ძირას, ნაძვნარში მე და ავთომ ტოტებისაგან კარავი შევაკოწიწეთ და დილიდანვე გავაჩაღეთ ცეცხლი. ნათია ცეცხლს მიეფიცხა: გასავათებულს გატანჯული სახე ჰქონდა. ავთოს პატარა ბიჭი – ნუკრი – შეშას აყრიდა ცეცხლს.

ათამდე ვიქნებოდით: მზია, ნუნუ და კიდევ ერთი მეზობელი. ასევე ორი შორეული ნაცნობი, რომლებიც ორიოდე დღის წინათ შემოგვემატნენ – კილასურიდან იყვნენ; ერთი შესამჩნევად გონებასუსტი გახლდათ, ბიჭიკო ერქვა, მეორე – ცნობილი საქმოსანი, ბახვა ფილია, ბიძაჩემის მეზობელი, კარგად ვიცნობდი. კარავთან ვიდექი და უწყვეტად მომავალ ხალხს გავყურებდი; თითქოს ხიდი გაბმულიყო უშველებელი, საკენიდან იქით- ლათამდე, მერხეულამდე, მოუსავლეთამდე, უკუნეთისა და სიბნელის საწყისამდე. უკვე შეჩვეული ვიყავი და არანაირ გრძნობას არ აღძრავდა ჩემში ლტოლვილთა ცქერა, მხოლოდ ეს იყო, ხანდისხან სასოწარკვეთით გამელიმებოდა: ზოგს უშველებელი ფუთა მოჰქონდა, ზოგს ორი ბავშვი მოჰყავდა ერთად, ზოგი საქონელს მოდენიდა ...ვიღაცს დიდი საბარგო მანქანის ძარაზე დაეკრა თავისი სარჩო-საბადებელი და თვითონაც ზედ შემოსკუპებულიყო. ერთ ასეთ მგზავრში ცნობილი მწერალი შევიცანი. თვალი ამარიდა, ანდა მომეჩვენა. "რას მიცნობდა, ერთხელ თუ ორჯერ ვყავარ ნანახი?!" უცებ მაჯაზე ხელის შეხება ვიგრძენი: ნათია იყო.

– ოდი, ოდი, ის არაა?! – მე გამელიმა და თავი დავუქ-

ნიე, – როგორ, კი მაგრამ, როგორ არ... – ნათიამ არ დაასრულა, თვალები საბარგო მანქანის ძარაზე შემომჯდარისთვის ჰქონდა მიშტერებული.

– ნათია, – ვთქვი წყნარად, მან შემომხედა, თვალებში უსაშველო დაღლილობასთან ერთად უსაშველოდ დიდი ცრემლი ედგა, ცრემლი, რომელშიც, არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა, მთელი ჩემი სახე სჩანდა; სახე, სახლი და ბავშვობა.

– ნათია, დღეს ყველა ერთ დღეში ვართ, სწორედ ესაა გულის გამაწვრილებელი; წელან სარდალმა ჩაიარა: დღეს ყველანი ერთნაირები ვართ.

– არა, ოდი, სარდალი სხვაა; უნდა მივიდე, რაღაც უნდა ვუთხრა! – აღელდა ნათია და ავტომანქანისაკენ წაიწია. მე ოდნავ ძლიერად მოვქაჩე ხელი.

– ხომ არ გაგიჟდი, ნათია! – მან უმწეოდ შემომხედა.

ისევ გავხედე ტაატით მიმავალ მანქანას და ჩემდაუნებურად გამიელვა თავში სტრიქონმა: "სად იყო მთვარე საქართველომდე..." და უცებ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, რადგან ნათიამ ზუსტად ამ სტრიქონის გაგრძელება წაიბუტბუტა:

– სად წავა მთვარე საქართველოდან...? – მე მას შევხედე და მივხვდი, ახლა ორივენი ერთზე და თითქმის ერთნაირად ვფიქრობდით.

მე და ავთომ ქალდანების ოჯახში, კარტოფილი ამოვთხარეთ ბლომად, ოჯახის უფროსმა: მეტი არაფერი მაქვსო, – და ორი დიდი კეცის მჭადი გამოგვატანა. ავთომ მოხერხებულად ჩააწყო კარტოფილები ნაღვერდალში. ორი წლის ნუკრია და მასზე ხუთი წლით უფროსი და – სოფია – მხიარულად ტკარცალებდნენ ცეცხლთან და კარტოფილებს უკირკიტებდნენ. მათს მხიარულებაზე ნათიასაც ელიმებოდა.

– ერთი ვიცოდე, რომ გავრბივართ, სად მივდივართ?! – წამოიწყო უცებ ბახვამ, – ვინ რას დაგვახვედრებს, იქ რომ მივალთ? – მზიამ სინანულით დაუქნია თავი.

მე ასეთი საუბრის თავი არ მქონდა, საერთოდ ველარ ვსაუბრობდი რამეზე, გულს მირევდა ნებისმიერი თემა. მხოლოდ ავთოს თუ ვეტყოდი რამეს, ისიც, როცა საჭმელი შემოგველეოდა: რომელ ოჯახში მივსულიყავით და გვეთხოვა, ხუმრობა ხომ არ იყო– უკვე მეთერთმეტე დღე მთავრდებოდა, რაც მოვდიოდით.

–შენ მაინც რას გამორბიხარ, ბიჭიკო უბედურო–მიუბრუნდა ბიჭიკოს,–შენ ვინ რა ხელს გახლებდა? რომ მიდიხარ და სახლ-კარს ტოვებ, იქ რა, სასახლეს დაგახვედრებს ვინმე თუ იცი?

ბიჭიკომ დიდი თვალები გაშტერებით მიაპყრო მას. ავთომ ამრეზით შეხედა ბახვას.

–თქვენ რატომ გამოიქეცით, ბატონო ბახვა?!–ჰკითხა ნათიამ უცებ.

–მე?!–გაუკვირდა ბახვას და ჩვენ გადმოგვხედა, თითქოს გვეკითხებოდა, "განა ეს ისედაც ცხადი არააო?"–მე იქ ვინ გამაჩერებდა, იმდენს ვეხმარებოდი ჩვენს ბიჭებს; ბოლო ერთი თვე მარტო მე ვამარაგებდი საწვავით.

–მე მგონია, ბიჭიკოზე უფრო, თქვენ გამონახავდით მაგათთან საერთო ენას, ბოლოსდაბოლოს მათაც დასჭირდებათ საწვავი!

–ნათია!–დავუძახე მე,–ახლა ასეთებზე ლაპარაკის დრო არაა.

ვიცოდი, ნათიამ ვერ აპატია ბახვას, და ვერც ვერასოდეს აპატიებდა, ის რაც მან ერთი კვირის წინათ ჩაიდინა: ბახვას დიდი სატვირთო მანქანა ჰყავდა წამოყვანილი, ძარაზე მთელი თავისი ქონება ჰქონდა დაკრული, ზემოთ კი ქალები და ბავშვები მიყუჟულიყვნენ. თვითონ ბახვა პატარა ავტომანქანით მოდიოდა. სოფელ ლათასთან ყველანი "ჩამოყარა" ძარადან და თავისი ჟიგული დააკრა ზედ. ამ "გმირობას" ჩვენც შევესწარით. ნათია შეაძრწუნა მანქანიდან ჩამოძევებული ბავშვების ტირილმა, მაგრამ ბახვამ არავის მოუსმინა და გზა არხეინად განაგრძო. შემდეგ ყაჩაღები დასხმიან თავს, რაც წასართმევი დარჩა, წაურთმევიათ, ხოლო მანქანისათვის საწვავი გადაუსხამთ და აუბრიალებიათ.

გველნაკბენივით გაფითრდა ნათია, როცა ბახვა შემოგვემატა; ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამკიდა და მითხრა; ოდი, მაშინ ჩვენ ცალკე წავიდეთო, მე მას თვალებში შევხედე და მუდარით ვუთხარი: ნათია, მოდი ნუ დავემსგავსებით მას, – არაფერი უთქვამს. ახლაც გაჩუმდა, რადგან ბახვამ ნირწამხდარმა გაკმინდა ხმა, თანაც ისედაც დაღლილი იყო და ბევრი ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. ეს ბოლო აღმართიც უნდა აგვევლო როგორმე, მერე იქნება შვეულმფრენებით მოგვეხერხებინა წასვლა, თუმცა უკვე არც ფეხით იქნებოდა საშიში.

ცეცხლი ჩავაქრეთ და აღმართს შევუდექით. ძლივს მოდიოდა ნათია. ვბრაზობდი: თავისი სიჯიუტით ჩაიგდო თავი ამ დღეში – ქუთაისში იყო ამდენ ხანს და მაინცდამაინც თოთხმეტ სექტემბერს ჩამოფრინდა სოხუმში, ოდის ვნახავ და წამოვალო, უთქვამს. თუმცა რა, ნათია კი არა, ბევრი მოატყუა დროებითმა (უფრო სწორად, საშინელმა!) მშვიდობამ. მე ლექციას ვესწრებოდი, როდესაც არტილერიის გრუხუნი ატყდა. გაოცებული ლექტორი, ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიაზე რომ გვესაუბრებოდა, გაყუჩდა და ხაფანგში მომწვდეული თაგვივით აცეცებდა თვალებს.

მერეც ჰქონდა შანსი: რამდენჯერ მივაცილე გემბანამდე, ის-ის იყო უნდა გამგზავრებულიყო, ბოლო წუთს მაინც უკან გამომყვებოდა: მეშინიაო. სინამდვილეში უჩემოდ არ უნდოდა წასვლა, თან ისიც იყო, მეც მეშინოდა მისი გემით გაშვების: კანოეებივით ძირავდნენ ჩვენს გემებს. ბოლოს ძლივს დავითანხმე, მერხეულში დამელოდებოდა. კაცმა რომ თქვას, მეც რას ვაკეთებდი ...არეული დავბორიალებდი ნახევრად დანგრეულ, განძარცულსა და გაპარტახებულ, საკუთარი შვილებისაგან და თვით ღმერთისგანაც კი მისატოვებლად განწირულ ქალაქში. სწავლა დაიწყოო და იარაღი ჩავაბარეთ ...უკვე უნიათონი ვიყავით, უსუსურნი და უსურვილონიც თითქოს, იმის უნარი და ძალი არ შეგვრჩა, მივსულიყავით, ისევ აგველო იარაღი და ბრძოლა განგვეგრძო, დამარცხებას შევურიგდით წინასწარ... ხელი ჩავიქნიეთ და დავთმეთ, საბოლოოდ გავწირეთ ის, რისი დათმობისა და გაწირვის შემდეგ უკვე აღარ ცოცხლობს ადამიანი ან კიდევ ცოცხლობს, მაგრამ მის სიცოცხლეს აღარ ჰქვია სიცოცხლე, რადგან მთელს შემდგომ ცხოვრებას სინანულსა და ვაებაში ატარებს.

მაშინ კი, მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა რაღაც იმედი ეტყობა, ყოველშემთხვევაში იმ წუთამდე მაინც, სანამ მერხეულიდან დავინახავდით მე, ავთო, ნათია და სხვები, თუ როგორ ხარობდნენ და აღნიშნავდნენ მოზეიმე, მანათობელა ტყვიები სოხუმის დაცემას. მაშინ იყო, უკანმიუხედავად რომ გავუყევით საკენისაკენ მიმავალ, ცოცხალ ადამიანთაგან შექმნილ გზას, ადამიანთა უწყვეტ ნაკადს, გზას ჯარისკაცებითა და ნაჯარისკაცარებით სავსეს ...ნებისმიერ ომს ვეყოფოდით... თუმცა მაშინაც არ იყო იმედი საბოლოოდ გადაწურული, მომაკვდავის გულისცემასავით მიკნავე-

ბული სასო ბოგინობდა სადღაც, რომ აქედან დაღწეულები გალში მაინც შევუერთდებოდით მთავარ ფრონტს, მაგრამ ეს იმედიც გზაშივე ჩაინთქა ღრანტეებში მთებს მომწყდარი ზვავივით, რადგან მალევე გავიგეთ, უკვე ენგურამდე ხარობდნენ თურმე მანათობელა ტყვიები.

–ისევეა,–მითხრა ნათიამ,–კრწანისში ხუთი ათასი მებრძოლი ჰყავდა, გასვენებაზე კი ოცი ათასი მოუვიდა.

მწარედ, გამანადგურებლად ჩამეცინა; არ მეგონა, ნათიაც თუ ამაზე ფიქრობდა. ყველასათვის ცნობილი პარადოქსი იყო, ათასჯერ გამეორებული, თითქმის ტრივიალურად ქცეული, მაგრამ ჩემზე ყოველთვის სასოწამხდელად მოქმედებდა, ამის გახსენებაზე უკანასკნელ წვეთამდე მეწურებოდა და მიცარიელდებოდა გული.

თითქმის ავათავეთ აღმართი. კავკასიონი დამდურებით გვიმზერდა, გვსაყვედურობდა თითქოს რაღაცას ცოცხალი ადამიანივით. ნათიამ შემოიხედა და, თითქოს ჩემს სულისკნელში შემოეღწიოს, თქვა:

– ვის ვუტოვებთ ამ მთებს?! – თვალებში ვებერთელა ცრემლი უციმციმებდა.

* * *

მამალი თითქოსდა დაბნეულად, მაგრამ როგორღაც დინჯად მიაბიჯებს ოთახში, სადაც ორი სარეცელი დგას კედლებთან, შუაში ფართო გასასვლელია. სანთელი ანათებს და ამ ციცქნა შუქის ფონზე უფრო შემზარავად იჭყიტება მნათობებგაუჩინარებული, კუნაპეტი ღამე სარკმლიდან. მამალს გუდუნა მიჰყვება სიმღერით, შემდეგ ნაზია და მთვარისა მოდიან, ხოლო მორიგე ფერხისა და მე მოგვიანებით შევდივართ ერთად. საკვირველია: აქ რომ მოვდიოდი, ირონიული, გაღიმებული სახეების დახვედრას ველოდი ყოველივე ამის ხილვაზე. თუმცა, ეტყობა, ამათზე საავადმყოფოს ჩაბნელებული პალატები და ჩემი მხლებლების გულწრფელი სერიოზულობაც მოქმედებს. მაგრამ ...ყველაზე მთავარი მაინც სიკვდილია, სიკვდილთან ხომ ყველანი გულწრფელები ვართ.

–რომელ ლოგინზე იწვა, ნანა?–ეკითხება ნაზია მორიგეს.

–ლოგინზე?!–იბნევა მორიგე უცებ, შემდეგ ერკვევა,–აი ...აი, ამაზე!

–ღმერთო ჩემო,–ამბობს მთვარისა,–როგორ გამოარჩია... ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, შენი სულის ჭირიმე ...–ჩურჩულებს მთვარისა და მამალს სასოებით შეჰყურებს.

მეც კი ვგრძნობ, როგორ აჟრჟოლებს მორიგეს. ღმერთო ჩემო, რა არის საოცარი?! სულ ორი საწოლია, ერთ-ერთის ქვეშ ხომ უნდა შესულიყო, აბა, ჩვენს გვერდით ხომ არ გაჩერდებოდა?! გუდუნა აგრძელებს სიმღერას. ნაზია სანთელს იღებს ჩანთიდან და სარეცლის თავზე ამაგრებს.

–მამალი რისთვის გინდათ?–ჩურჩულით მეკითხება ფერხისა. შავი, სქელი მოსასხამი მოუტანია, შემოუხურავს და ხელებით იმაგრებს შიგნიდან, მკერდთან.

–ადათია ასეთი,–რა ავუხსნა ახლა ამას? მაინც ვცდილობ; გაიგოს იქნებ, – სჯერათ რომ ფრინველს გამოყვება სული.

ფერხისა გაოცებული მიყურებს შეშინებული თვალებით და ჩემდაგასაკვირად მის მზერაში ვიჭერ: თითქმის ყველაფერს ხვდება, რასაც ვეუბნები.

* * *

ბიცოლა ტახტზე იჯდა, შავმოსასხამშემოხვეული და გაცხარებით ესაუბრებოდა გარსშემოხვეულ შვილებს, მაზლიშვილებსა და სხვა ნათესავებს. მე კუთხეში ვიდექი, ღუმელთან. იქვე იყო ია – ჩვენი ბიძაშვილი – და რაღაცებს მეკითხებოდა. ნათიას ლია – ბიძაშვილის მეუღლე – ელაპარაკებოდა.

მესამე ბიძაშვილის – იმედოს (ბიძაშვილები იმდენი მყავს, ჩამოთვლა გამიჭირდება) – ქორწილის მეორე დღე იდგა და ერთად შეყრილი ნათესაობაც ქორწილზე მსჯელობდა გატაცებით. წინადღის ნამთვრალევი ბიძაშვილები ჩემთან (როგორც ყველაზე პატარასთან) ხუმრობითა და ოხუნჯობით ცდილობდნენ განწყობის გაუმჯობესებას, რაც არცთუ ისე მოსაწყენი გახლდათ ჩემთვის.

ბიძაჩემი კელასურში ცხოვრობდა. ვებერთელა სახლი ედგა, სტადიონივით ეზოთი. ისე წესით, გუმისთისპირად, სოფელ გუმში მდებარე ბაბუაჩემის სახლი, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა, ბიძაჩემს უნდა რგებოდა, როგორც უმრწემესს, უფროსი ძმა, მამაჩემი კი, უნდა განშტოებოდა ფუძე ოჯახს, მაგრამ ბიძაჩემმა თვითომ ისურვა (რაც, ჩემი აზრით, სავსებით ჭკვიანური იყო) და ამ ოციოდე წლის წინათ დასახლდა კიდევაც, მამისა და ძმის დახმარებით, ამ მშვენიერ ადგილზე კელასურის პირად, მდინარიდან ორასიოდე ბიჯის მოშორებით.

–ოდი,–დამიძახა ნათიამ,–ოდი, წამო, წავიდეთ ბინაში,–მე შევიშმუშნე.

–რა გინდა ახლა ბინაში, გოგო?–გაუკვირდა იას,–რა უნდა აკეთო იმ

გამოყრუებულ ოთახში?

–ხვალ სამუშაო მაქვს, ია.

–მერე, დილით წადი!–ურჩია თაკომ.

–დილით ვერ მოვასწრებ: სარეცხი მაქვს, მერე უნდა დავაუთოო.–წამოდგა ნათია, –წამო რა, ოდი, მარტო მეზარება.

მე, ეტყობა, დარჩენა მერჩია ასე ერთად შეკრებილ ნათესაობასთან, მაგრამ არ მინდოდა მისთვის ხათრი გამეტეხა.

გარეთ გამოსულებს გიორგობისთვის სუსხიანი სიო შეგვეგება. ნათიამ ქურთუკი შემიკრა და ავტობუსების გაჩერებამდე გავედით.

ფოთლებშემოძარცულ ჭადრის ქვედა ტოტზე, რომელიც მოსაცდელში შემოჩრილიყო, მობუზული იჯდა ბუმბულაწეწილი გულწითელა და სევდიანი, თუმცა არაფრისმთქმელი თვალებით მომჩერებოდა.

–ნათია, კინოს მაყურებინებ?–ვკითხე ავტობუსში მუდარით. მას გაეღიმა.

–რომელი ფილმი გინდა?–მხრები ავიჩეჩე: სულ ერთი იყო, ოღონდ მენახა.

–„მაუგლი“ გინდა?–სიხარულით დავუქნიე თავი; ამდენ ბედნიერებას ერთად აღარ ველოდი.

მაშინ „მაუგლი“ არ მქონდა ნანახი (მეორე კლასში ვიყავი), მხოლოდ ნათიას მონაყოლიდან ვიცოდი, ისე შემაყვარა ჯუნგლები და ტყე, რომ არც კი მინდოდა ჩემი წარმოდგენებით შექმნილი სამყაროდან გამოსვლა, რაც არ იყო გასაკვირველი ჩემგან – ბავშვისგან, მაგრამ მე უფრო ის მხიბლავდა რომ არც ნათიას სურდა იქიდან გამოსვლა: იმ ლამაზი ზღაპრიდან ამ საშინელ ცხოვრებაში, ჯუნგლებიდან სოფელში ...გაკვირვებული ვუსმენდი, როდესაც ვეფხვთან მაუგლის შერკინებაზე მიყვებოდა, და ახლა აღფრთოვანებული გახლდით, ამ ჩხუბს ჩემი თვალით რომ ვნახავდი.

ნათიას გაელიმა ჩემს სიხარულზე. კინოთეატრ "აფსნისთან" ჩამოვედით.

ნათია დროდადრო მიხსნიდა ფილმს, თუმცა მონაყოლიდან ისე კარგად მახსოვდა, თითქოს წინათაც მქონოდა ნანახი. საოცარმა ჟრუანტელმა დამიარა მაუგლის თვალების შემხედვარეს, ვეფხვთან შებმამდე რომ მონანათა ეკრანს.

–ოდი, გინდა "ეშმაკის ბორბალზე" დავსხდეთ?–თავი დავუქნიე. მალე ზემოდან დავაცქერდით ქალაქს: ლურჯად ლიცლიცებდა თვალუწვდენი ზღვა, სოხუმი ჩამავალი მზის სხივებისაგან სისხლისფრად ციმციმებდა. სიხარულით მევსებოდა გული, ვიდრე ზემოთ მივიწევდით, მაგრამ როცა მწვერვალს მივაღწიეთ და ქვემოთ ვიწყეთ დაშვება, შეუმჩნეველი ნაღველი შემომეპარა, თუმცა მაინც არ ვთხოვე ნათიას, კიდევ ერთხელ-მეთქი.

ზღვისპირა შადრევნებს მივუახლოვდით.

–მოდი, სურათი გადავიღოთ,–მითხრა ნათიამ.

მესურათემ დიდხანს გვატარა აქეთ-იქით, სანამ მოხერხებულად დაგვაყენებდა.

სურათზე ჩვენს უკან, მარჯვენა მხარეს, შადრევნები მოჩანდა თეატრის შენობის ფონზე, მარცხნივ კი მწვანე ვარჯოვანების ბაღი. მე გულუბრყვილო სახე მქონდა, ნათია კი იღიმებოდა.

* * *

მთვარისა სანთელს ანთებს. იდუმალად ბრიალებს ლამაზად ჩამოქნილი თაფლის სანთელი და მისი ციცქნა შუქი ირიბად ელვრება სარეცელს, რომელზედაც განუტევა სული, მთრთოლვარე სული, ნათიამ – ჩამუქებული სენაკის უდაბურობით გათანგულმა და გულშეღონებულმა ალბათ, ჩამუქებული სენაკისა, სადაც ახლაც დაბუნდული, ულრანი ტყის ოჩოკოჩებივით დაბოგინობენ ლიცლიცა სანთლის პაწია ნათელთაგან წამოჭრილი აჩრდილები ჩვენივე საკუთარი სხეულებისა, რაც მისტიკურს ხდის ჩემს ისედაც არეულ ფიქრებს, გრძნობათა თუ შეგრძნებათა ულრან ლაბირინთებში რომ მიზიდავს და გამოსასვლელ, იქიდან გამოსაღწევ გზებს მიბნევს და მიწიოკებს ისედაც არსებობასა და ყოფაზე გულისთქმებში დანთქმულს. თუკი მ ა თ რწმენას დავუჯერებ, ამ ოთახში უნდა იმყოფებოდეს ახლა ნათიას სული. სული თუ თვითონ ნათია? განა სახელი სულის კუთვნილება არაა? იქნებ სულს კი არა, სხეულს ვაკუთვნებთ სახელს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთვის ხომ ნათია და ნათიას სული განუყოფელი რამ იქნებოდა, თუკი არსებობს სული საერთოდ, ჰოდა მ ა თ ი რწმენით, ახლა, ამ ოთახში ხომ უნდა იყოს მისი სული? ამ ოთახში ხომ უნდა დაბორიალებდეს ჩვენი უმეცარი ქცევებისა და ფიქრებისაგან განაწყენებული ან იქნებ სულაც გამხიარულებული: მ ა თ ხომ ასე სწამთ, რომ გამხიარულებული იქნება და აღფრთოვანებით გამოგვყვება უკან, საკუთარი ტანსაცმლებით ნიშან-გაფენილ სარეცლისაკენ?! ეჭვიც კი არ ეპარებათ საკუთარ რწმენაში; საავადმყოფოში დასტრიალებდეს იქნება სიკვდილის სარეცელს ჯერაც, დაბნეული, და არაფრისდიდებით არ მოშორდება მასო. მაგრამ თუკი სიკვდილი სულის გათავისუფლებაა სხეულისაგან, სხეულის ტვირთისაგან, რაღა ანაღვლებს, რაღას დასტრიალებს ამ სარეცელს, როგორც შეყვარებული მიჯნურის გვამს, რაღას დაბოგინობს ამ ჩახუთულ სენაკში; უდიდესი საპყრობილისაგან თავდაღწეულს ნუთუ ამ ოთახიდან განკიდეგანება არ ძალუძს?! იქნებ სწორედ გარდაცვალების შემდეგ ესაჭიროება სულს წარმოუდგენელი გარჯა, რომ არ დაიბნეს ათასობით გესლმწთოლვარე სულთა შორის ლაციცში და ერთადერთი ჭეშმარიტი ბილიკი არ დაჰკარგოს? ძველი ტიბეტელებივით საკრალური ლოცვები ვუკითხოთ მიცვალებულს? იქნებ მართლაცდა არ იყოს აზრსმოკლებული გონსმიღმური სულის, საიქიოს გადანაცვლებული სულის, სააქაოდან გამხნევება და მეგზურობა? მაგრამ რაღა მამალი უნდა ჰყავდეს წინაგამკაფველად? როგორა სწამთ? სწორედ მამალი გრძნობს და ხედავსო კიდეც უხილავ სულს, ადამიანთაგან განსხვავებით. კი მაგრამ, ნუთუ ფრინველებზე მაღლა არ ვდგავართ ადამიანები? ეტყობა, სასტიკად მოვწყდით პირველყოფილ ბუნებრიობას ღმერთის ნაღვაწ სხვა სულიერთაგან განსხვავებით?! უძახე მამალი... როგორ დასტრიალებს გარს ამ სარეცელს, რა ჩაჟინებით უყურებს...

– ერთიც არ მოშორებია, დაილოცოს შენი სახელი, გამჩენელო,– ბუტბუტებს ნაზია თავისთვის და, ვგრძნობ, თუ რა სიწრფელით სწამს, სჯერა იმისა, რასაც აკეთებს. სარეცელთან მიდის, ცდილობს მამალი არ დააფრთხოს და ლოცულობს ჩუმად. სიტყვებს ველარ ვარჩევ, მაგრამ რიტმი ისე მწყობრად მიედინება ბგერებისა, სახატო დღესასწაულებში ხელდასხმულების გაბმული ხოტბა მახსენდება, უფლისადმი აღვლენილი.

–რას შვრება?–ჩურჩულით, მფრთხალი ჩურჩულით მეკითხება ფერხისა და შემკრთალი მიცქერს თვალებში.

–ლოცულობს,–ასევე ჩუმად და შთამაგონებლად ვპასუხობ. ახლაღა ვამჩნევ; თავიდანვე მთელი გულწრფელობით ვცდილობდი როგორმე დამერწმუნებინა ფერხისა ყოველივე ამის სიმართლეში, გარდაუვალ საჭიროებაში, მაგრამ, არ ვიცი, რისთვის, რისთვის ვლამობ ამას?

–რატომ ლოცულობს?!–ისევ ბავშვივით მეკითხება ფერხისა, ჩუმად. მეც ერთხელ დაჭერილი ტონით ვაგრძელებ:

–უნდა ნათიას სული გაამხნევოს, შეიჩვიოს, რომ გამოგვყვეს და აქ არ დარჩეს ისევ,–თვითონვე მიკვირს საკუთარი კილო.

მამალი თითქოსდა ნაზიას გონმიუწვდომმა ლოცვებმა იმოქმედესო, ფრთებს შრიალით იქნევს და მსუბუქად ხტება სანთლის შუქისაგან ზედაპირგადანათებულ სარეცელზე. სიკვდილის შემდგომაც არ ვანებებთ თავისთვის, თავისუფლად ყოფნას, სიკვდილის შემდგომაც ვცდილობთ ჩვენებური, ამქვეყნიური თამაში მოვახვიოთ თავს!

* * *

– ოდი! ოოო-დიიი!

უცებ გამაჟრჟოლა, ნათიას ხმა იყო. გიომ გაფართოებული თვალებით შემომხედა და ვებერთელა, მდინარისპირად დაკრეფილი ფოთლები გაუშეშდა ხელში.

– შენი დაა, – ამოიჩურჩულა ბოლოს, – როგორ მოგვაგნო?

– არ ვიცი, ეტყობა, დაგვინახა ვილაცამ.

– ოოო-დ-იიი! – მომესმა ახლა უფრო ნერვიული ძახილი.

დაბურული ტყიდან მდინარის პირას გამოვედი და დამნაშავესავით დავუქნიე ხელი ნათიას.

– ოდი, რას აკეთებთ, სად გადაიკარგეთ?!

მდინარის ხმაურში ძლივს ისმოდა მისი ხმა, სამაგიეროდ, მისი სახე, მისი აღელვებული სახე ჩანდა კარგად: მდინარე ვიწრო იყო, ათიოდე ბიჯი თუ იქნებოდა ჩვენს შორის მანძილი.

–რას აკეთებთ, ოდი?

ქურდობაზე წასწრებულივით ვერ დავმალე სიმართლე და ვუთხარი:

–ქოხი ავაგეთ!

–ქოხი?!–გაოცდა ნათია და გაეცინა,–მერე რატომ არ მითხარი, რამდენი ხანია გეძებ; გიოც იქ არის?

–ხო.

–დედამისი ეძებს ...ოდი წაიყვანდა სადმეო,–სახე აწითლებული ჰქონდა ნათიას. გიოც გამოძვრა და ჩემს გვერდით დადგა.

–მანდ როგორ გადახვედით?–დამიძახა ნათიამ და მდინარეს გახედა.

–აგერ, ამ მორზე გადმოვბობღდით,–მდინარეზე ძელი იყო გადებული, ეტყობა, ნაპირიდან წაიქცა ოდესღაც და ბუნებრივ ხიდად გაიდო. ახლა მას ორ ადგილას წყალი გადასდიოდა ჩანჩქერად და ცოტათი აძნელებდა გადმოსვლას.

–აქ როგორ გადახვედით, ოდი, ვერა ხედავ, რა ვიწროა?

–სულაც არა, აი, ნახე, რა ადვილია!–წამოიძახა გიომ და გადასვლა დააპირა.

–არა! გაჩერდი! გესმის, არ გაბედო!–იწივლა ნათიამ და ფეხები ააბაკუნა,–მანდ მომიცადეთ, მე გადმოვალ, აქეთ კი ხიდიდან გადმოვიდეთ.

–ნათია, შენ ველარ გადმოხვალ, ჩავარდები,–დავუძახე მე. ნათიამ გამიღიმა და არაფერი მითხრა. შემდეგ ფეხზე გაიძრო და მორზე შეაბიჯა, გული ამიბაგუნდა და შიშით მივაჩერდი, შუამდე მოვიდა; ვხედავდი, თავს ძლივს იკავებდა, ველარ მოვითმინე და მივეგებე, კინაღამ დამისხლტა ფეხი.

–გადი, გადი უკან, არ მომეკარო!–ხელი არ მომკიდა ნათიამ. ნელ-ნელა ვიხევდი უკან და, როცა ნათიამ მიწაზე დააბიჯა ფეხი, თავისუფლად ამოვისუნთქე.

–არასოდეს არ გაბედოთ აქეთ წამოსვლა, გესმით?

თავი დავუქნიეთ.

–რა ქოხი ააგეთ, მაჩვენეთ ერთი ...

დაბურულ ტყეში შევედით, ათიოდე ნაბიჯზე ჩვენი ნამოღვაწარი ამშვენებდა მიდამოს; ტოტების, ფოთლებისა და ათასგვარი მცენარით გადახურული ქოხი. ნათიამ გაიღიმა და შიგნით შევიდა. პატარა მიწაყრილებზე მორი იყო გადებული სავარძლად. ნათია "სავარძელში" მოკალათდა, ჩვენ – ხის პატარა კუნძებზე. სახე გაებადრა, ნახევრად ბნელ ქოხში ფოთლებისაგან შეკოწიწებული სახურავიდან შემოღწეული შუქის ათინათი დასთამაშებდა და უფრო იდუმალსა და საყვარელს ხდიდა მის ღიმილს. ტყიდან ფრინველების ათასგვარი, გონმიუწვდომი გალობა ისმოდა. ნათიამ თითქოსდა უეცრად გამოერკვაო, რაღაცნაირი დანანებით გვითხრა:

–ნეტავი საკუთარი ხელებით ამ უდაბურ ტყეში აგებულ ქოხში ცხოვრებასავით ადვილი იყოს ქვეყნად არსებობა!–სათითაოდ ჩაგვხედა თვალებში,–ნეტავი გაცლიდნენ და დაგანებებდნენ,–გაჩუმდა, გაირინდა წუთით და საოცარი სევდით დაუმატა,–ნეტავი დაგანებებდნენ, ბავშვებო!

უკან ნათიამ მართლაცდა შორი გზიდან წაგვიყვანა, თითქმის სამი კილომეტრით მეტი გამოვიარეთ, რათა ხიდით გადმოვსულიყავით მდინარეზე, გასავათებულები შევედით სანატორიუმის ეზოში.

–ნათია, ნიკორწმინდაში მივდივართ, ავტობუსი ჩამოდგება თერთმეტ საათზე, ხომ წამოხვალთ?!–მოვიდა უცებ თამრიკო და სხაპასხუპით მოგვახალა, სახე გაბრწყინებოდა, მარჯვენა ხელი შვილისთვის, ათი წლის თეონასათვის ჩაევლო და ისიც ქვემოდან გვიყურებდა, თვითონაც მოღიმილე.

–დღეს, თამრიკო?–დაიბნა ნათია და მე შემომხედა.

–ჰო, ახლა, თერთმეტ საათზე, წამოდი რა, ნათია, ოდი ... – ახლა მე შემომხედა.

–არ ვიცი, თამრო, რაღაც თავი მიბრუის ...არ ვიცი ...ჰო, ალბათ წამოვალთ.

ჩვენს ოთახში ავედით, მეშვიდე სართულზე. ნათია წამოწვა და თხელ ზეწარში გაეხვია. წამისად ვარაზის სახელოსნო დამიდგა თვალწინ, სადიპლომო ნახატი რომ დაგვათვალიერებინა, მაშინ იყო, საოცრად დამაინტერესა ერთმა ვებერთელა, ნახევარკედლისხელა ნახატმა; რაღაც ოთხკუთხა, თითქოსდა ქვის ტახტზე იყო ახალგაზრდა ქალიშვილი ინახით წამოწოლილი. ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა – ქანდაკება ყოფილიყო ტილოზე გადმოღებული: ძველებური მუქი ნაცრისფერი ტანსაცმელი მოსასხამივით შემოეხვია, მარჯვენა მკერდი მოშიშვლებოდა, მარცხენა იდაყვით ტახტს ეყრდნობოდა, ხოლო ხელის მტევანზე ლოყა დაესვენებინა, მარჯვენა ხელი კი თავზე ჰქონდა გადადებული, რაღაცნაირად ჰგავდა ნათიას. მაშინ სურათიდან მზერა ნათიაზე გადავიტანე, ნათიამ დაიჭირა ჩემი გამოხედვა, მერე სურათს შეხედა და გაწითლდა. ახლაც ზეწარში გახვეულმა ნათიამ საოცარი სიმსგავსით გამახსენა ვარაზის ის ნახატი.

აივანზე გავედი და ზემოდან გადავხედე ეზოს: დამსვენებლები ირეოდნენ, ზოგიერთს სპორტული სამოსი ეცვა, ზოგს გრძელი ხალათი, ეტყობა, ამიტომაც მაგონებდა აქაურობა საავადმყოფოს. ირგვლივ რაჭის მთები გადაშლილიყვნენ, ფიჭვებითა და ნაძვებით, ათასგვარი წიწვოვანებითა და აგნისანით დახუნძლულნი. "ცხადია, თავს არ გრძნობს კარგად. ხომ არ დაიღალა იმ ტყე-ღრეში სიარულით ...ხომ არ სწყინს რამე?"

–ნათია, არ წავიდეთ ნიკორწმინდის სანახავად?

–მე ვერ წამოვალ!

–რატომ?

–არ მინდა ...

–ცუდად ხარ?

–არა, წასვლა არ მინდა,–ჭერს ახედა,–დავიძინო მინდა.

"გაღიზიანებულია. ნეტა რა დაემართა? რატომ მგონია, რომ განზრახ ლაპარაკობს ასე? წარმოუდგენელია თამაშობდეს, თუკი არ შეუძლია. ეტყობა მე არ მინდა დავიჯერო, რომ არ შეუძლია. მეც რომ ვერ ვითმენ? გუშინ არ უნდა ავყოლოდი კამათში ...თითქოსდა ძალით მიწვევს ...უნდა რაღაც წამომაცდენინოს მასზე, რამე ძარღვების ამშლელი". კარზე დააკაკუნეს. გავაღე. გიო იყო.

–რას შვრები?

–რა უნდა გავაკეთო?!–არ მესიამოვნა მისი მოსვლა ამ განწყობაზე,– შემოდი! –აივანზე გავედით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
27899

–ნიკორწმინდაში არ მიდიხარ?–უფრო გაველიზიანდი.

–არა.

–არც მე,–მიპასუხა კმაყოფილებით. ხუჭუჭა თმა ჰქონდა, მკვეთრად გამოყვანილი კაუჭა ცხვირი და ფართო თვალები, ახმეტიდან იყო. მე ისევ გადავიხედე აივნიდან და კმაყოფილი სახით მოსეირნე დამსვენებლებმა გამალიზიანა.

–მოდი ბუშტა გავავსოთ წყლით და გადავაგდოთ,– ვუთხარი გიოს. მას თვალები გაუბრწყინდა და სახე სიამოვნებისაგან გაებადრა. მეექვსე კლასში იყო, ჩემზე ერთი წლით უმცროსი, მაგრამ რა გინდა, რომ არ მოეფიქრებინა, ესეც პირველად მან მოიფიქრა. ახალწაკითხული ჰქონდა „კარლსონი". აბაზანაში შევედით, ბუშტას თავი ონკანს მოვაცვით და წყალი მოვუშვით. ბუშტას, კარგა ბლომად რომ გაიბერა წყლით, თავი მოვუნასკვეთ. სადღაც ათ ლიტრამდე წყალი იქნებოდა შიგ, ძლივს გავიტანეთ აივანზე, ხელებიდან გვისხლტდებოდა.

–რას შვრებით?–შემოგვხედა ნათიამ.

–არაფერს,–ვუპასუხე.

ორივემ ერთად მოვიქნიეთ და გადავუშვით: წყლით გაპიპინებული ბურთი ტყვიასავით წავიდა და გადამწიფებული ნესვივით დაასკდა ქვაფენილს: ბომბის ნამსხვრევებივით გაიფანტა წყლის შხეფები და ირგვლივ მყოფთ შეესხურა. გულგახეთქილნი გაცვივდნენ დამსვენებლები. ჩვენ ოთახში შევიმალეთ, მე სიცილი წამსკდა. ნათია სარეცლიდან წამომართულიყო და სახე გაფითრებოდა. მკაცრად შემომხედა და მიყვირა:

– რა ქენი, ოდი, ხომ არ გაგიჟდი?!

* * *

გაკვირვებული ვუმზერ სარეცელზე გარინდულ მამალს, რომელსაც ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სარკეში იმზირებოდეს ბავშვივით, რომელმაც პირველად ჩაიხედა სარკეში და გაოცებული დარჩა იქიდან მისკენ მომზირალი არსებით; იმასაც ვგრძნობ, მორიგე ექთანი და ფერხისა რაოდენ გაოგნებულნი არიან ამ მათთვის აუხსნელი და გაუგებარი, მაგრამ ეტყობა, ქალებში ჭარბად არსებული მგრძნობიარე ინსტინქტებისათვის არცთუ ისე უცხო მოვლენით: მაინც გრძნობების სფეროა ეს ყოველივე, ამიტომაც უეჭველი გულწრფელობით ღებულობენ ყველაფერს, თუმცა გაოცებით, მთვარისასა და ნაზიასათვის კი არაფერია ახალი: მათ თავიანთი დღედამოსწრება ასეთი საქმეების მეტი რა უკეთებიათ, უნახავთ, და არც არასოდეს მოუცლიათ მასში რაიმე ეჭვის შესატანად, ისე გაუჯდათ სისხლ-ხორცში. გუდუნა კი ჯერ არაფერს არ აანალიზებს და განსჯის, მხოლოდ ღებულობს ისეთად, როგორც არის, და იმისი შიში აქვს ბებიას – ძალუას – დარიგებები არ გამორჩეს, ჩონგურის სიმები არ აერიოს, სიმღერა არ შეეშალოს.

–ეს ბავშვი რატომ მღერის?!–მეკითხება ფერხისა. მე უკვე აღარ ვფიქრობ იმაზე, თუ რა ვუპასუხო: კარგა ხანია ინსტინქტურად ველაპარაკები,–სულს უმღერის, რომ არ გაბრაზდეს და უყოყმანოდ გამოგვყვეს.

ალარ მიკვირს, თუ როგორ იმორჩილებენ ბრბოს. მე ხომ სულით-ხორცამდე მომიცვა ამ მისტიკური წესის, ი მ ა თ ი რელიგიური მრწამსის ხორცშესხმამ; მე ხომ მთელი სერიოზულობითა ვარ ჩაფლული ნაღდად წარმართობისდროინდელ როკვაში, მაშ რა მნიშვნელობა აქვს, მწამს თუ არა მწამს, მჯერა თუ არა მჯერა?

მთვარისა ღვინით სავსე დოქს იღებს ჩანთიდან და ნაზიას აწვდის.

–მე არა, ოდის მიეცი,–ამბობს ნაზია და, ვიდრე მე რამეს მოვიფიქრებდე, დოქს მაჩეჩებენ ხელში.

–გადაუწიე, შვილო, აპკურე ზედაშე,–მეუბნება მთვარისა და თვალებით სარეცლისაკენ მანიშნებს.

* * *

ნათიას მოსვლა სამსახურიდან ყოველთვის მიხაროდა სოფლის ერთფეროვანი და მომაბეზრებელი ყოფით გულმოყირჭებულს. ამას, რა თქმა უნდა, გულღიად აღარ გამოვხატავდი, მაგრამ, ეტყობა, გაბრწყინებულ თვალებზე მაინც მემჩნეოდა სიხარული, რადგან მასაც გაუნათდებოდა ხოლმე სახე, რა დედ-მამის შვილი იყო აშკარად გამოსახვოდა სიამე: გაზრდილები ვიყავით ასე თუ ჩვენი ხასიათიც უწყობდა ხელს – ყველანი გავურბოდით ოჯახში გრძნობების გამოხატვას ერთმანეთისადმი, თეატრალურ ჟესტად თუ პოზად ვთვლიდით, არაფრით არ შეგვეძლო მივსიყვარულებოდით ერთიმეორეს, თუმცა მე ყველაზე პატარა ვიყავი სახლში (ნათია ცამეტი წლით იყო ჩემზე უფროსი, მართა – შვიდით), და ეს ცოტათი ხსნიდა ამ შებოჭილობას; შედარებით მეტ უფლებას აძლევდა ოჯახის წევრებს, ნაკლებ ეთოკათ გრძნობები, ერთადერთი, ვინც თავისუფლად გვეფერებოდა და გვესიყვარულებოდა სამთავეს – ბებია იყო. ამიტომაც განსაკუთრებით გვიყვარდა და მასთან არც ჩვენ გვრცხვენოდა გრძნობათა გულწრფელობისა. ასე რომ, თუ არ ჩავთვლით ამ გარეგნულ გამოუხატველობას, მე და ნათია ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ამიტომაც მიხაროდა მისი მოსვლა სამსახურიდან.

ჩვეულებისამებრ შაბათ-კვირას რჩებოდა სოფელში, სხვა დროს ქალაქში იყო, მამიდაჩემის ბინაში. სოხუმის 30—ე ბაღში მუშაობდა აღმზრდელად, უსინათლო თევდორეს სახელობის ქუჩაზე, ზღვისპირად. თვითონ აიჩემა; მეორე კურსიდან დაუსწრებელზე გადაიტანა საბუთები, მიუხედავად ბატონი მზეჭაბუკისა და მშობლების წინააღმდეგობისა, და როცა სკოლებში ველარ იშოვა საათები, დიდი წვალების შემდეგ მაინც დაიწყო მუშაობა ბაღში.

იმ დღითაც პარასკევი საღამო იდგა. ჭიშკართან საუბრობდნენ ქალაქიდან ახალჩამოსული ნათია და ჩვენი მეზობელი, უფრო სწორად, მეზობლის რძალი ნუნუ. მე იქვე ვთამაშობდი.

გზაზე ვარაზი გამოჩნდა, ნელა მომავალი; ჩვენგან მოშორებით ცხოვრობდა, ნახევარი საათის სავალზე, მაგრამ ბიძა ჰყავდა ჩვენი კარის მეზობელი და ხშირად სტუმრობდა.

ვარაზი მალე გაგვიპირდაპირდა და ღიმილით მოგვესალმა. ურთიერთმოკითხვების შემდეგ უხერხული დუმილი ჩამოვარდა წუთით. ნათია და ნუნუ ღობეს ეყრდნობოდნენ მხრებით, ვარაზი სამიოდე ბიჯის მოშორებით იდგა, მარჯვენა ხელი ჭიშკრის ლავგარდანზე ჰქონდა ჩავლებული. უცებ მე მომიბრუნდა, ჩემკენ წარმოდგა ბიჯი და ხელები გამომიშვირა:

–ისროლე, ოდი,–დამიძახა, და მეც გავუქნიე ბურთი, რომელიც ნათიამ მაჩუქა. ტყავისა იყო, ნამდვილი ფეხბურთელები რომ თამაშობენ, სწორედ ისეთი. ახლომახლო არავის ჰქონდა მსგავსი და მეც ვამაყობდი.

ვარაზმა ხელებით კი არ დაიჭირა ბურთი, როგორც მე მოველოდი, არამედ მუხლზე დაიგდო და აკენწლა.

–ვარაზ, აბა, დაარტყი, თუ გამიტან!–დავუძახე მე და ჭიშკარში ჩავდექი. ნათიასა და ნუნუს გაეცინათ. ვარაზი მსუბუქად ურტყამდა ბურთს, ამიტომაც უმეტესად ვიგერიებდი.

–ვარაზ, ახალ ნახატებს აღარ დაგვათვალიერებინებ, თუ თბილისში გაქვს ყველა? –ჰკითხა ნათიამ.

–თბილისში დავკეტე სახელოსნო, დროებით. ალბათ მთელი ეს გაზაფხული და ზაფხული არ ჩავალ, შეიძლება შემოდგომა და ზამთარიც,–წარმოთქვა ვარაზმა და მარჯვენა ფეხით დამირტყა ბურთი: ვერ ავილე, ცოტა არ იყოს ძლიერად გამოუვიდა. ისევ მივაწოდე, ბურთი გააჩერა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნუნუმ დაასწრო:

–მთისუბანში სახლს აშენებსო, მართალია?

ვარაზს გაეცინა. ნათიამ გაკვირვებით შეხედა და წამოიძახა:

–კიდევ კარგი, ტაბაკონა შორს რომაა აქიდან...

ვარაზმა გადაიხარხარა და სიცილით თქვა:

–ასე ეშინიათ ჩემი?

–ისედაც უცხოთესლს გეძახიან სოფლელები, მჩხიბავსა და ნასრულს, მთისუბანში სახლს აშენებსო, რომ გაიგებენ, უფრო დაფრთხებიან და ჭორად აგილებენ.

–მთისუბანში სახლი ვისა აქვს?!–უკვე ხუმრობის გარეშე თქვა ვარაზმა გაკვირვებით,–ათიოდე აგარაკია, ისიც ჩვენი სოფლელებისა, ნათია, თქვენც ხომ გაქვთ?!

–კი მაგრამ, რაც ბაბუა მოკვდა, აღარ ავსულვარ, ის უვლიდა და ამუშავებდა, ახლა ვინ მოუვლის, მაგისთვის ვის სცალია?! მამაჩემი ადის იშვიათად ...არადა ისე მიყვარს იქაურობა!..

–გეუბნებით რა, გასაშტერებელი ადგილია! უცხო ხომ არაა ჩემთვის, მაგრამ შარშან შემემთხვა, თითქოს აღმოჩენასავით იყო; დეიდამ მთხოვა, ხილი მოკრიფე და ჩამოიტანეო. რომ ავედი, კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ მოგვიანებით შევხვდი მწყემსებსა და მემრონწლეებს, აღარ დაიშალეს, ბატკანი დაკლეს, უუჰ, ისეთი ლამაზი იყო, შავი ფერისა... შუაღამემდე ვქეიფობდით. ადრე არასოდეს დავკვირებივარ, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ იქიდან ზღვა მოჩანდა; საღამოს რომ გადმოვიხედე – მთებს ზემოდან – უშველებელი ზღვა ამილაჟვარდდა, ჩაწითლებული, ჩამავალი მზით, გამაჟრჟოლა და ავიჩემე, რადაც უნდა დამიჯდეს, პატარა ქოხი უნდა დავდგა-მეთქი.

მე გაოცებული ვუსმენდი, ნუნუ და ნათია მონუსხულებივით მისჩერებოდნენ. მთისუბანში რამდენჯერმე ვიქნებოდი ნამყოფი, საყანე ნაკვეთი გვქონდა, მაგრამ "აგარაკიო", ისე ლამაზად უწოდა ვარაზმა, მეც ზღაპრულ მიდამოდ წარმოვიდგინე და წამსვე გავუჯავრდი იმ მეზობლებს, რა თქმა უნდა ჩემს გუნებაში, რომლებიც ვარაზს ძრახავდნენ, სოფელში ენგრევა ერთი ციდა ქოხი და მთისუბანში სახლს აგებსო...

– თებერვლიდან იქ დავძრწივარ, დიდი ქოხი გამომივიდა, როგორც ჩავიფიქრე, არსებითად – სახელოსნო. რამდენიმე ნახატი იქ დავამთავრე, მთისუბანმა მითებში გადამასახლა, სულ ისმინეს ჭალები და ლიდიის ოქროები მელანდებოდა საღამოს მზის სხივებისაგან გამეწამულებულ ხეობებში ბორიალისას, მწყემსები ხომ გავაწამე პოზირებებით. რომ დავიღლებოდი, ჩემს ნაკვეთს ვბარავდი, თითქმის მთლიანად გადავაბრუნე და საფერავი ჩავყარე ...ორასი ძირი, ჩემები კინაღამ გადაირივნენ, ადრე სულ სიმინდს თესავდნენ, თანაც: საფერავი არ იხარებსო, – ახლა კი მოსწონთ. დედის სულს ვფიცავარ, კარგა ხანია ასე გემრიელად არ დამისვენია, თანაც რახანია ასე გულით არ დამიხატავს. წარმოიდგინეთ, დილით ცოტას ვაზზე ვმუშაობდი, მერე კი საღამომდე ვხატავდი. ამასობაში მწყემსები მოდიოდნენ და ვქეიფობდით.

–კი მაგრამ, მუდამ სოფელში რომ გხედავდი?! – გაოცებით თქვა ნათიამ.

–აქ შაბათ-კვირას ჩამოვდივარ, "უიქ-ენდ", – დაუმატა სიცილით ნათიას ეჭვიან გამოხედვაზე, ნუნუმ გადაიკისკისა.

–სიამოვნებით გაგიცვლიდი პროფესიას! – აღმოხდა ნათიას.

–ორი კვირის წინათ თბილისელი მეგობრები ჩამომივიდნენ, – წამოიწყო საუბარი ვარაზმა, თან ბურთი დამირტყა – ამდენი ხანი გაუნძრევლად რომ ჰქონდა მარცხენა ფეხის ქვეშ მომწყვდეული,–წერილებში იმდენი ვუქე იქაურობა. აღფრთოვანდნენ. ვხატავდით და ვსვამდით, მერე კი დავხეტიალობდით ტყეში. ზღვა რომ ნახეს, ჩამავალი მზით გაბრწყინებული, კინაღამ გაგიჟდნენ, ამ ადგილებს ვერც ჩვენ მოვშორდებითო.

–ეგონოთ, ერთი კვირით უყვართ გაჩერება, თუნდაც ერთი თვით, მერე კი გაშმაგებულნი გარბიან უკან, თბილისში!–თქვა ნუნუმ.

–არა, გულწრფელად თქვეს, მე ხომ ვგრძნობ,–მიუგო ვარაზმა და მოხერხებულად დამირტყა ბურთი, მარჯვენა მაღალ კუთხეში.

–ვარაზ, გუშინ სალვადორ დალის ნახატის რეპროდუქცია ვნახე,–წამოიძახა უცებ ნათიამ,–ფრანგულად ეწერა სათაური, ვეღარ გავარჩიე. ვაიმე, საოცრება იყო! ჯვარცმა ...შემაძრწუნებლად იყო გადაწყვეტილი.

–მინახავს ალბომში.

–ვარაზ, შენ არ მოგწონს სიურრეალიზმი?

–როგორ არ მომწონს?–გაუკვირდა ვარაზს,– მთისუბანში დავხატე რაღაც ...მთელი თვე ვხატავდი, კარგი ჩანაფიქრი იყო, მთლიანად გამიტაცა,–აღელდა და ჩაფიქრდა,–რაღაც სიურრეალისტური უნდა გამოსულიყო,–წუთით ისევ ჩაფიქრდა, შემდეგ ნათიას შეხედა და განაგრძო,–არ ვიცი, თუ გახსოვს, ნეტარ ავგუსტინესა აქვს ერთი ასეთი აზრი თუ გამოთქმა: როგორც უხილავი ქარი თავისი ქმედებებით საცნაურდება ასევე შენი ქმედებებით ცნაურდები შენ, უფალოო, – ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით ასეა; ეს იყო საფუძველი თუ შთაგონების წყარო: მინდოდა ქარი გამომესახა ზღვის ფონზე მისი ტალღების გამოსახვით, ერთ მხარეზე ღრუბლებს მიფარებული მზე უნდა გამოჩენილიყო რაღაც მისტიკური შუქით. სურათი არ გამომივიდა, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილი მართლაც კარგი იყო, მომეწონა, მაგრამ მთლიანობაში არ გამომივიდა ...ერთი სიტყვით, მსურდა მარადიულის რაღაც ჩემეული წარმოდგენა დამეხატა, ეტყობა, სურვილი მეტი მქონდა, ვიდრე შესაძლებლობა. გარდა ამისა, რომ დავამთავრე, უცებ მივხვდი: ეს არ ჰგავდა ჩემ ნახატს, რაღაცით სხვისი სტილი იყო და ამიტომაც ამიცრუვდა გული, ასე რომ, როგორ არ მიტაცებს სიურრეალიზმი ...მაგრამ დალი ისეთი ბუმბერაზია, შეუძლებელია თავისი ტორი არ დაგამჩნიოს, ამიტომაც სჯობს საერთოდ არ მიეკარო!

აღელვება დაეტყო ვარაზს, ამ დროს მივაწოდე ბურთი; მკერდით გაისწორა მოხერხებულად და მოწყვეტით დაარტყა: ბურთმა ჭიშკრის მარცხენა მაღალ კუთხეში გაიზუზუნა და უკანვე გახტა, ნუნუმ და ნათიამ ოდნავ შეჰკივლეს.

–რას შვრები, ბიჭო, არ მოხვდეს!–წამოიძახა ნათიამ.

–არა უშავს, მეორე კლასშია უკვე, ბურთის ხომ არ შეეშინდება.

–სულაც არ შემშინებია!–იხტიბარი არ გავიტეხე მეც.

–ამის მეტი ჭკუა არ გაქვს, ბიჭო, თავში? ოცდაათი წლის კაცი თითისტოლა ბავშვს ეთამაშები?!–დატუქსა მოულოდნელად გამოჩენილმა ბახვამ ვარაზი.

ბახვა ბიძა იყო მისი, თხელ-თხელი, მაღალი კაცი, უკვე ორმოცდაათს მიღწეულს ერთი ღერი ჭაღარაც არ ერია ყორანივით შავ თმაში. მოხდენილ ულვაშს ატარებდა, მოკლეს, და ამ შავი ულვაშისა და თმის ფონზე თვალებიც უფრო კუნაპეტად უელვარებდა.

–გამარჯობა, ბახვა ბიძია,– მიესალმა ნათია.

–გაგიმარჯოს, შვილო,–გაუღიმა ბახვამ და მერე მე მომიბრუნდა,–ან შენ რას ჩაუდექი, ოდი, კარებში, ვერა ხედავ, გიჟია, თამაშიც არ იცის!–მე ვიცინოდი, გალიმებულმა ვარაზმა კი ჭიდან წყალი ამოიღო და თავპირიანა დაიბანა, შემდეგ შავი დიდი ცხვირსახოცით სახის შემშრალება დააპირა.

–მოიცა, პირსახოცს მოვიტან!–წამოიძახა ნათიამ.

–არა, არა, არ მინდა ნათია!–იუარა ვარაზმა და სასწრაფოდ შეიმშრალა სახე, თმაზეც გადაისვა ცხვირსახოცი შემდეგ კი თითებით დაივარცხნა.

–სად იყავი, ბიჭო, გუშინ, ვენახს გაგისხლავო, რომ მითხარი? ვის დაემსგავსე ასეთი უდარდელი.–საყვედურობდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ სიამაყე უყფლებოდა ბახვას, მის შემხედვარეს.

–ბახვა ბიძია, გუშინ მართლა მოვდიოდი, მაგრამ ...ხომ იცი, ამირანმა მკლავი მოიტეხა და საავადმყოფოში წევს. ჰოდა, თუთა ისე სხლავდა ვენახს, ვაზის საცოდაობამ მომკლა. საღამომდე შევრჩი, ბახვა ბიძია, და მერე აზრი არ ჰქონდა გამოსვლას. ახლა ორ საათში მზამზარეულს ჩაგაბარებ შენს ოჯალეშს, – სახე უხურდა ვარაზს.

–ხალხო, ხომ გესმით? ვნახოთ, რა სიტყვის კაცია!–მოგვიბრუნდა ბახვა ჩვენ, –  ნათია, შენ მაინც იშვიათად გამოჩნდები ხოლმე, ახლა კი უარი არ გამაგონო: შენ, ნუნუ და ოდი ჩემი სტუმრები ხართ. ვარაზ, თუ მაგ ვენახს დალამებამდე გასხლავ თავმოუხდელი ოცლიტრიანი ჩემზე იყოს, –ვარაზმა ხელი მოწონების ნიშნად ასწია.

–ვარაზ, ვაზის გასხვლის შემდეგ ხატვის სეანსები ხომ არ ჩაუტარე თუთას, ამბობენ, მის პორტრეტს ხატავსო?–რაღაც ეშმაკურად შეეკითხა ნუნუ. ბახვამ გადაიხარხარა, ვარაზს გაეცინა.

–არა, ნუნუ, თუთა ადრე დავხატე, თუ მოხვალთ შენ და ნათია, დაპირებისამებრ, გაჩვენებთ.

–აბა, წავედით, თორემ დაღამდა,–წამოიძახა ბახვამ.

–ჩვენ ცოტა მოგვიანებით მოვალთ, ბახვა ბიძია, თორემ მუშაობაში ხელი შეეშლება ბატონ მხატვარს!–შაყირით შეხედა ნათიამ ვარაზს.

–არა, არა!–წამოიძახა ბახვამ,– ახლავე, ყველა ერთად წავიდეთ,– დაუმატა საჩქაროდ და ნათიას მკლავზე მოჰკიდა ხელი. მე ეზოში შევვარდი და ბურთი შევინახე.

* * *

დაბნეული ვართმევ მთვარისას შავი, ჟოლოსავით შავი, ღვინით სავსე ჭურჭელს, ერთხანს ხელში მიჭირავს და ვათვალიერებ მოლივლივე სითხეს. შემდეგ სარეცელს ვუახლოვდები და რამდენიმე წვეთს ვაპკურებ ქვეშაგებზე. ღვინოს წვეთები გახსნილ ჭრილობასავით აჩნდება თეთრეულს. მამალი ამრეზით მიყურებს, არც კი ფრთხება, მხოლოდ ესაა; რაღაც იძულებული კაცის მანერით, რამდენიმე ნაბიჯით იხევს კედლისკენ. ჭურჭელს იქვე, პატარა მაგიდაზე ვდგამ და უკან ვბრუნდები; მორიგესა და ფერხისას გვერდით ვდგები, კედელთან.

* * *

არა, ეს სულაც არ ყოფილა შიშის გრძნობა, არც უმწეობის, ეს სულ სხვა რაღაც იყო, ყველაფრისაგან განსხვავებული, ყველაფრისაგან განცალკევებული, გამოხალვათებული და ეულად, მარტოდმარტო მდგომი – შეგრძნება იმისა, რომ ახლობელი, შენი უახლოესი ადამიანი გაუცხოებულია, სხვად გამხდარია, გაუჩინარებულია შენთვის და შენ რაც უნდა იფიქრო, ილვაწო და იდავიდარაბო, მაინც აღარაფერი ეშველება, აღარაფერს აღარ შეუძლია დააბრუნოს, უფრო სწორად, შენ დაგაბრუნოს მასთან, კვლავაც იგივე გახადოს შენი წარმოდგენა მასზე, კვლავაც ჩვეულებრიობა დაუბრუნოს მასთან შენს ურთიერთობებს – მოაშოროს, ჩამოაგლიჯოს საიდანღაც გაჩენილი, გამოჩორკნილი ბურუსი თუ მოუშორებელი ნიღაბი და პირველყოფილი სიხალასე დაუბრუნოს – რასაც ასე ესწრაფი, ასე ეძიებ, მაგრამ ველარ გიპოვია, ველარ მისწვდომიხარ და შენც, გამძვინვარებულსა და გაბოროტებულს, ხელი ჩაგიქნევია, ამოგიოხრებია და დინებისათვის, ამსოფლიური, მუხთალი, ყოვლისშემმუსვრელი, მაგრამ ყველასათვის თავდაულწეველ, თითქოსდა გარდაუვალი დინებისათვის მიგინებებია.

ასეთ გრძნობასა თუ შეგრძნებას (ან თუნდაც – ადამიანის ასეთ სულიერ განწყობას) ვყავდი თავის კლანჭებში მოქცეული, ჩვენი სახლის ზალასა თუ ოთახებში მობორიალე ადამიანთა შემყურე, რომლებიც, მიუხედავად იმისა, გულით განიცდიდნენ თუ არა ნათიას ცუდად ყოფნას, უფრო მაინც ხვალისთვის, მეზობლებთან, ნათესავებთან, ან სულაც უბრალო შემხვედრებთან საჭორაო მასალას აგროვებდნენ. ერთი სული მქონდა შემეძახა და ყველა გამეყარა შინიდან, მაგრამ ჯერ ერთი, ათი წლის ღლაპს ამის უფლება არ მქონდა და არც მომისმენდნენ, და მეორეც – გულის სიღრმეში ვგრძნობდი, ამ ხალხს რაღაც დამამშვიდებელი სიო დაჰყვებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ოჯახის წევრები უმწეოდ ვგრძნობდით თავს. ყველანი ახალ-ახალ რჩევებს იძლეოდნენ, ყველანი გვპირდებოდნენ, რომ დაამშვიდებდნენ ნათიას, თუკი მარტო ვაცლიდით მასთან საუბარს. საერთოდ, ბოლომდის რა თქმა უნდა არცერთის აღარ მჯეროდა, მაგრამ მაინც, ოდნავ იმედს მინერგავდნენ თითქოს.

ზალიდან ნათიას ოთახში შევედი: დედის, ბებიასა და დის გარდა, ხუთიოდე მეზობელიც იყო და ნათიას შეჰყურებდნენ. ნათია ლოგინში იჯდა და ისტერიულად საუბრობდა. საშინაო ხალათი ეცვა, შიშველი ტერფები ფლოსტებში ჰქონდა წაყოფილი, თმა ჩამოშლოდა და მკერდსა და მხრებზე ეყარა. ნათიასთან ბებია იჯდა და ამშვიდებდა.

–შენც ...შენც, შენც ველარ გიტან!–დედას შეხედა ნათიამ, რისხვაჩამდგარი თვალებით, სახე საოცრად დაძაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოდა,–სუყველანი მჩაგრავდით, ყველანი მიტანჯავდით ბავშვობას, სულ გრცხვენოდათ, რომ თქვენი შვილი ვიყავი!

–ნათია, დაწყნარდი შვილო!–გაფითრებული ეხვეწებოდა დედაჩემი.

ვგრძნობდი, ეს მართლაც სხვა ნათია იყო. ისეთი წარმოდგენა მქონდა მის შემხედვარეს, თითქოს ის უწინდელი ნათია დამსხვრეულიყო, ათასობით ნაწილად დაცალკევებულიყო, დაფანტულიყო და, მიუხედავად მთელი ძალისხმევისა, რომ ისევ გამთლიანებულიყო, განსრულებულიყო – ვერ ახერხებდა, ველარ ძალუძდა, ის მაინც გაბნეული იყო უკვე, საოცრად დაშლილი ...ის დღე იყო და ის დღე – მე მთლიანი, ბოლომდე გამთლიანებული ნათია არ მინახავს.

–არ მომეკარო!–აუყვირდა ნათია დედისას.

–რა დავაშავე, შვილო!–ატირდა დედაჩემი.

–ახლა ტირილი არ შველის, ახლა აღარაფერი არ შველის!

–მითხარი, შვილო, რა დაგიშავეთ?!

–გადით! ყველანი გადით! მარტო ბებია დარჩეს, მარტო ბებიას ვეტყვი!

მე დავტოვე ოთახი. მალე ბევრმა მომბაძა. ნათიასთან ბებია, დედა და ნაზია დარჩნენ, სხვები ზალაში ირეოდნენ, მაგიდასთან დამჯდარ მამაჩემთან. მე კუთხეში მოვკალათდი სავარძელში. მათი ერთობლიობა იმედს მინერგავდა თითქოს, რატომღაც მჯეროდა, ყველას ერთად რაღაცის შველა შეეძლო, შეეძლო რაღაც გადაერჩინა. ვიცოდი, მამაჩემსაც იმათი ეს ვითომცდა ყურადღება და მზრუნველობა ამხნევებდა. მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ძლიერი ნებისა, ყოვლისშემძლე, თორემ საოცრად ცვალებადი ბუნებისა იყო, ადვილად შეიძლებოდა გავლენის მოხდენა, რაიმეში დარწმუნება და დაყოლიება, განსაკუთრებით ასეთ უმწეო მდგომარეობაში.

–წავიდა ვინმე სასწრაფოს მოსაყვანად?–იკითხა ციალამ. ყველა დაფაცურდა.

–ავთო წავიდა,–წარმოთქვა ნუნუმ წყნარად.

–მაგი საერთოდ არ იყო საჭირო! რას გაუკეთებენ ექიმები ჩვენზე უკეთესს,– მწყრალად თქვა მთვარისამ.

–რას ქვია, რას გაუკეთებენ?! – ლამის იყვირა მამაჩემმა, – შენ და ექიმი ერთი ხართ?! ათასნაირად დაამშვიდებენ, წამლებს გამოუწერენ!

–რა სათქმელია კაცო, რა შედარებაა; ექიმი იმიტომაა ექიმი, ავადმყოფობისას უნდა მიმართო. თავიდანვე რომ გვენახებინა ექიმისათვის, ამდენი დავიდარაბა არ დაგვჭირდებოდა,–ხელები გაშალა და ისე წარმოთქვა მზიამ,– ეს ჩვენი კუდაბზიკობები, რომელიც ვერ მოვიშორეთ!.. რა იყო საჭოჭმანო და სასირცხვილო, ავადმყოფობა სირცხვილია?! ერთი სხვას გადაეტანა, რაც ამ გოგოს დაემართა და, ვნახავდით, როგორ იქნებოდა!

ყველანი აჩოჩქოლდნენ, სხვადასხვანაირად გამოხატავდნენ თავიანთ თანხმობას და ყაყანში გადასდიოდათ. მე რატომღაც, როცა მათ ვუყურებდი და რაღაც შველის იმედი მქონდა, მრცხვენოდა, მრცხვენოდა საკუთარი თავისა; ასე მეგონა, დამნაშავე ვიყავი, მიუტევებლად დამნაშავე ნათიას წინაშე, რომ ამ დანაშაულს ველარასოდეს ველარაფრით ვერ გამოვისყიდდი, ძალიან ბევრიც რომ მომენდომებინა და მთელი ცხოვრებაც მენანიებინა, მაგრამ არ შემეძლო, მიუხედავად ნებისყოფის დაძაბვისა, მაინც არ შემეძლო გამეცნობიერებინა, მიმხვდარიყავი, თუ რაში, კერძოდ რაში ვიყავი დამნაშავე, თუ რა მეთვლებოდა ღალატად?

ფიქრებში გართულმა ძლივს შევნიშნე ექიმის შემოსვლა; უცებ გამოვერკვიე და მოჩვენებებიდან გამოფხიზლებულივით მივაჩერდი; თეთრი ხალათი თითქოსდა იმედისმომცემად გაკრიალდა ზალაში. ორმოცდაათიოდე წლის ქალი იყო, ექთანი უფრო ახალგაზრდა ჩანდა – ორმოც წლამდე, რაღაც პირქუში შესახედაობა ჰქონდა, მიუხედავად თეთრი ხალათისა.

–სად არის ავადმყოფი?–იკითხა ექიმმა.

–აქეთ მობრძანდით, ქალბატონო,–მიეგება მზია და ნათიას ოთახისკენ გაუძღვა.

როცა უმწეო ხარ ადამიანი, უმნიშვნელო რამეც იმედად და მშველელად წარმოგიჩნდება, ამიტომაც მოველოდი სულმოუთქმელად ექიმის მოსვლას, მაგრამ მალე გული საბოლოოდ გამიტყდა, როცა მან უხეშად გადააცვა შავი ჯემპრი ნათიას და ძალით (სამი წლის შემდეგ თქვა ნათიამ, თითქოს სიზმრისეულ ბურანში ვიყავი, ზმანებასავით მახსოვსო), ჯიკავ-ჯიკავით წაიყვანა მანქანისაკენ დედაჩემისა და მეზობლების ლოიალობითა და გულაჩუყებით გალიზიანებულმა. ნათიას შემაძრწუნებლად გაფითრებული სახე ჰქონდა, უაზრო გამომეტყველებით, ექიმისთვის ჩაებღაუჭებინა ხელები და ლასლასით, გაუაზრებლად, თითქოსდა ინსტინქტურად მიჰყვებოდა. მაშინ იყო, საბოლოოდ დავკარგე მათი ყოველგვარი იმედი და გამიკვირდა, მეზობლებისა და ოჯახის წევრთა უმეტესობა რომ აღაფრთოვანა ექიმის "მოხერხებულობამ". რაღაცას ჩაგწყვეტდა, საზარლად ჩაგწყვეტდა სულისკნელში იმის გაფიქრება რომ ექიმისათვის ი ს ერთ-ერთი ჩვეულებრივი ავადმყოფი იყო და არა ისეთი განუმეორებელი და შენთვის ესოდენ ძვირფასი არსება, რომელსაც შენ ყველასაგან გამორჩეულ, ერთადერთ განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებ და გსურს, მანაც ასე შეხედოს, იმანაც ასე აღიქვას, რაც შეუძლებელია, რაც გამორიცხულია მისგან. ამიტომაც იყო, უწინდელისაგან განსხვავებით მისი თეთრი ხალათი იმედად კი არა, თეთრ ყვავად ალმაქვევინებდა მას – "პროფესიონალიზმისაგან" უგულოდ (როგორც მაშინ ვფიქრობდი) ქცეულ ექიმს, რომლისთვისაც შენთვის და სხვისთვის საყვარელი პიროვნება ერთი ჩვეულებრივი პაციენტია. იქიდან მოყოლებული თეთრხალათიანების დანახვაზე სულ თეთრი ყვავები მახსენდებოდა, თუმცა, არ ვიცი, საიდან, ბუნებაში ხომ არასოდეს მენახა თეთრი ყვავები, ხეირიანად ისიც არ ვიცოდი, საერთოდ არსებობდნენ თუ არა, და ამიტომაც ვცდილობდი წარმომედგინა თეთრი ყვავი, და როგორც კი წარმოვიდგენდი, არცთუ ისე საშიშად მეჩვენებოდა: შავი ფერის ჩამოცილება საოცრად ცვლიდა მათ.

* * *

ახლა უკვე ნაზიამ აპკურა ღვინო, სარეცლის წინ იატაკზე. ნეტა ეს როდინდელია? ღვინის გადაწევა? ღმერთმა გაანათლოს მისი სული... აცხონოს... ღმერთმა შეუნდოს... განა ღმერთმა უკეთ არ უწყის, აცხონოს და შეუნდოს თუ წასწყმიდოს?! ჩვენი აქედან თხოვნა-მუდარა რა საჭიროა, ანდა ვინ რას გვეკითხება? ჩვენ თვითონ ცოდვილებს სხვისი ცოდვების შენდობას? იქნებ მასაც აცოფებდა იგივე გრძნობა, უპატრონოდ რომ მიაგდო?! და განა ი მ ა ნ არ იხსნა?

გუდუნა ისე ეშხიანად მღერის, საეჭვოა ნაწყენი დარჩეს აქ მობორიალე სული. ღმერთო ჩემო! როგორ დარჩა აქ? თუკი დარჩა! თუკი საერთოდ არსებობს? იმად გამოაღწია სხეულის ტყვეობას, რომ ამ სხეულზე გაცილებით უბინძურეს, საპყრობილეში დარჩენილიყო? ისე მაინც არ მოუნდა

განავარდება გარეთ, თვალუწვდენელ ველებზე, ხასხასა ეთერში, მიულწეველ უსასრულო ზესკნელისაკენ, რომლის უსაზღვროება მშვენიერი თავშესაფარი იქნებოდა მისთვის, ახალთავდახსნილისათვის წუთიერი ამაოებისაგან, უაზრო ყოფისაგან, მომქანცველი არსებობისაგან, რომელიც მთელი ცხოვრება, თითქმის მთელი ცხოვრება, ფიტავდა, სძიძგნიდა და ანამებდა მას, როგორც დედინაცვალი საძულველ გერს, და ნუთუ მაინც აქ, ამ ჩახუთულ, ჩანესტიანებულ პალატებში, რომელნიც მხოლოდ სიკვდილის, გახრწნის, განქარვების სახედ გაგრძნობინებს თავს, არჩია ყოფნა, ვინემ ჩვენ არ დავიხსნიდით მას, ჩვენ თვითონ დასახსნელნი?! მოდი და ასეთი გულისთქმების შემდეგ ირწმუნე მ ა თ ი მრწამსი, უყოყმანოდ, ეჭვშეუტანლად დაასრულე ეს მითაჟამინდელი წეს-ჩვეულება, საგვარტომო სჯული თუ საკულტო რიტუალი, თან სხვებიც დაარწმუნე, რომ ეს მართლაც და ასეა, რომ ყოველივე ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, რომლის აღსრულებაზეცაა დამოკიდებული სულის (სიცოცხლეშიც გამწარებული სულის) ბედი.

ვთქვათ, ყოველივე სიმართლეა; აქედან გამოთავისუფლებული სული იქ რომ მიგვყავს, ტანსაცმლებით ნიშანგაფენილ სარეცელთან, განა იქაც ტყვეობაში არ მოვაქცევთ? მაშ რა იცვლება? თუმცა არა, მ ა თ ხომ სჯერათ, რომ ასე ორმოცი დღე იქნება მხოლოდ და შემდეგ ზეცაში წარონინდება მისი სული. რა მშვენივრად უთავსებენ თავიანთ წარმართულ წარმოდგენებს ქრისტიანობას?! თვითონაც კი არ შეაქვთ ეჭვი; ეს ორმოცი დღე მუდმივ გამოცდასა და ცდუნებაში იმყოფებაო, ამიტომაა, რომ "ორმოცს" დიდი მონდომებით უხდიან მიცვალებულს. კარგად მახსოვს, სოფელი ვისამე "ორმოცს" თუ არ მოიწონებდა, ხალხი ამბობდა, "უკეთური პატრონის გამოისობით ვერ შეაღწია სულმა ზეციერ სასუფეველშიო". ეტყობა მ ა თ რწმენას ათასწლობით ჩამოყალიბებული ჩვეულება აქვს შემოვლებული კედლებად და ჩემი გულისთქმანი ციცქნა, პანაწკინტელა ქვებია მათთვის, ლოდსატყორცნთა, რომლებიც ვერას დააკლებენ ამ ტრადიციის საუკუნეობით განმტკიცებულ ლიბოს.

–ოდი, მიდი ნანა, გააკეთე ახლა ძაფი, დროა უკვე,– მეუბნება ნაზია და იდუმალი, მაგრამ საქმიანი მზერით მიყურებს.

* * *

ჩაბნელებულ ოთახში ვისხედით, პატარა მაგიდასთან. ოთახის სიღრმეში, საწერ მაგიდასთან ღამის ლამპარი იყო ანთებული და მის მოიისფრო შუქზე სიგარეტების კვამლში არეული, ყავის ჭიქებიდან ორ სვეტად ამომავალი ოხშივარი რაღაც მისტიკურად მოჩანდა. თვალწინ დელფოსის ტაძარი წარმომიდგა, ჩემივე წარმოსახვით შექმნილი, და მისი სარიტუალო ცეცხლისაგან დაყენებული ბოლი, საიდანღაც მითოსურმა თუ მისტიკურმა სახემაც გაიელვა ლოცვად დავარდნილი ორაკულისა. ჩემი მეგობარიც მითოსიდან გადმოსახლებული ნასრულივით იჯდა სავარძელში, ფეხი ფეხზე გადადებულს ცალი თვალი მოენკურა, მარჯვენა ხელის თითები ოდნავ შეჭაღარავებულსა და შეთხელებულ თმაში შეეცურებინა და რაღაცნაირად გამჭოლად მიყურებდა, აელვარებული, წყლიანი თვალებით. სამი საათი იქნებოდა, რაც ვსაუბრობდით, შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, უკვე მესამე ფინჯან ყავას ვსვამდით, ორიოდე დღის ჩამოსული გახლდათ შვეიცარიიდან, სადაც ორი წლის წინათ დაამთავრა ფსიქოლოგიური, შემდეგ კი იქვე ჩააბარა ასპირანტურაში, როგორც ჩვენთან იტყვიან, თან პროფესორ ფებსონთან ძლიერ პრაქტიკას გადიოდა. ორი წელი იქნებოდა, რაც არ მენახა. ნათია ერთი კვირის დასაფლავებული დახვდა, ამიტომაც თითქმის ყველაფერი აინტერესებდა.

ყავა მოვწრუპე, შემდეგ ღრმა ნაფაზი დავარტყი და მენცარს მივაჩერდი. ჭაობიდან ვასაკების გაბმული ყიყინი შემოიჭრა სარკმლიდან. ქუჩაში შეგვიანებულმა მანქანამ გაიქროლა.

–ძლიერ საინტერესოა!– ამოიღო უცებ ხმა, მერე სასწრაფოდ, კარადიდან მოზრდილი ჟურნალი გადმოიღო და ისევ სავარძელში ჩაეშვა, –ესე იგი, ჯოხი გეჭირა?! – მომაჩერდა ისევ.

–მე უფრო არგანს დავარქმევდი,–დავფიქრდი, შევეცადე გამეხსენებინა,– რაღაცნაირი ლამაზი, მოხატული თუ მოჩუქურთმებული კვერთხი იყო, ალბათ კინოფილმებში მინახავს მსგავსი,–გამჭოლი მზერით მიყურებდა.

–იცი, ოდი, აქ ცნობილი ფსიქოანალიტიკოსების თითქმის მათემატიკურ სიზუსტემდე ახსნილი ანალიზებია სიზმრისეული სიმბოლოებისა, რამაც შეიძლება ცოტათი შეგაწუხოს და შეგაშინოს, მაგრამ მაინც წაგიკითხავ,–გადაფურცლა და კარგა ხანს ეძება რაღაცა. მე ინტერესით შევაჩერდი; სულ სხვანაირად წარმართა ჩემი კითხვა; შეიძლება თუ არა წინასწარ გამცნოს რამე, გაგაფრთხილოს და თავიდან აგაცდინოს-მეთქი სიზმარმა, და სიზმარი მოვუყევი: სადღაც გაურკვეველ ადგილას ვიმყოფებოდი, ირგვლივ ბლანტი ღრუბლები დაზოზინობდნენ. მე ვიდექი და ხელში არგანი მეჭირა, არგანი მიწაზე იყო დაყრდნობილი, ხელი კი წინ მქონდა წარმართული. ნათია რაღაცნაირად დაბნეული მოდიოდა თუ გაჩერებული იდგა, ველარ აღვიდგინე, მახსოვს, რომ ნამტირალევი იყო, შემდეგ ვერც ის გავიხსენე, გაბრუნდა თუ ჩემსკენ წამოვიდა.

–აი, ნახე, ოდი; ჯოხი და არგანი: ძალაუფლების ნიშანი,–უცებ დავიბენი, ვცდილობდი დამეკავშირებინა ერთმანეთისთვის მისი საუბარი და ჩემი სიზმარი, მენცარი კი აგრძელებდა–ვინმეს მიმართ აგრესიის გამოვლენა, განდევნა, მოშორება ...– უცებ დაკეცა წიგნი და მომაჩერდა, შემდეგ ყავა მოსვა. სავარძლიდან წამოვიწიე, მასზე გადაფარებული ნაქსოვი უშნოდ გაიბლანდა და შევეცადე გამესწორებინა.

–მენცარ, საწყენი და შესაშინებელი არაფერია: მეცა მაქვს გაცნობიერებული, რომ ვერ მოვუარეთ.

–არა, ოდი, არა, თვითგარკვევა სულ სხვა რამეა. მოდი გავიხსენოთ: სიზმარი ალბათ მაინც რეპრესირებულ სურვილთა განხორციელებაა, მაგრამ ქვეცნობიერი ბოლომდე აშკარად და ლაღად სიზმარშიც აღარ გამოვლინდება, რადგან მას ცნობიერის სახით ჰყავს ცენზორი: აზრები რეპრესირებულია, რადგანაც ეს აზრები მიუღებელია ცნობიერების მორალურ შინაარსთან. დააკვირდი... დააკვირდი; სიზმარი სიმბოლურად რომ ახსნა შენთვის მეტად შემაწუხებელ რეალობამდე მივალთ: შენი იგრძენი თავისუფლება, ასე თუ ისე, ანუ – სიხარული, მეტად აშკარად გეუბნები, მისი გარდაცვალებით.

გამჭოლად შემომხედა, მეც თვალები გავუსწორე. "ნეტავ თუ აცნობიერებს, ეს საუბრები საკუთარი "რეპრესირებული" პატივმოყვარეობის გამოსავლენადაც რომ სჭირდება?" გამიელვა ფიქრმა ბრაზით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



მისტიკა. მოდი, თავის დაზღვევის მიზნით, ასე ვუწოდოთ იმ უცნაურ ფლუიდებს, რომლებიც დავით წერედიანის ლექსებიდან მოედინება, – ძალიან ახლობელი და მოუხელთებელი, ნათელი და იდუმალი, გასაგები და შეუცნობელი.

სიტყვები უარყოფენ სინტაქსის კანონებს, რათა თვითონ დაადგინონ ურთიერთკავშირის წესები და, რაღაც მანქანებით, ამას ახერხებენ კიდეც.

აზრი სიტყვებში კი არ იკითხება, არამედ ექოში, რომელსაც ისინი გამოსცემენ. სიტყვა, როგორც ფონემების შეკვრა, და სიტყვები, როგორც ბგერწერის თაიგული. რა არის ეს ბგერწერა – ალიტერაცია? არის და არც არის; ასონანსი? – მარტო ხმოვანი ვერ იტვირთავს შინაარსის სიმძიმეს; რითმა, რიტმი, ინტონაცია? ამაზე ღირს დაფიქრება, მაგრამ სავარაუდოა, რომ წყობილსიტყვაობა ქვენაწილაკების როლს ვერ გასცდება. ის კი არა, აქ მარტო სემანტიკაც კი უძლურია. რაღაც სხვა არის, არა ზოგადი, არა ცნობილი, არამედ ინდივიდუალური, სუბიექტური, შინაგანი, იმანენტური.

საქმე ის არის, რომ ამ ლექსებში აზრს წარმოქმნის არა სიტყვათშეთანხმება, არამედ მეზობლობა, სიტყვათმეზობლობა.

ჩვეულებრივი სიტყვები უჩვეულო პოზიციაში დგანან, მათ ერთმანეთის მიმართ უკავიათ ისეთი პოზიციები, როგორიც აქამდე არ ან იშვიათად ჰქონიათ. ავტორი ათავისუფლებს სიტყვებს საყოველთაო სავალდებულო სამსახურისგან და სთავაზობს ახალ, მანამდე უცნობ, თავისუფალ სამსახურს – თუ უფრო კომფორტულს არა, გაცილებით საინტერესოს მაინც.

აი, მიზეზი იმისა, რაც ყოველთვის გვაკვირვებს დავით წერედიანის ლექსებში.

**დავით წერედიანი**

## თრიმლები

ოდინდელ ყმაწვილს შორეულს და, რულადებით სავსეა ყელი,
ისე ახლობელს, თვალთა ფსკერზე საზიარო თრიმლები თრთიან,
შევეხიზნები, გული დავდოთ, საყუურები მოვკრიბოთ ძველი,
ქანაობს თრიმლი, ნელი თალხი მაფარია, თენდება გვიან.
ალისფერ ნაწნავს, სარკევ, სარკევ ორლესულო, ელევა ბრწყინვა,
თუ დარი დამყვა, გამოლოცვით დავიბრუნებ, გამონატრებით,
მაგრამ გზად, სანამ ჯადო-სიტყვას დავეძებდი, დავკარგე, ვინ ვარ,
თვე გამიხდება, კოლხეთისკენ მოცურავენ არგონავტები.

ანდა ღამდაღამ დედოფლები, დედოფლები, ცხენთა თქარუნი,
ლელში, ლერწმებში უფლისწულად გავიღვიძე, სახელი არ მაქვს.
სიყრმის ნაღველი – არც ნაღველი, სიყვარული – არც სიყვარული,
არამედ ქარი, ტანი შენი ლერწამია, არამედ ქარმა...
მშვიდობით, თვალნი მიმერინდნენ, უსურვაზი გასხლტა მკლავიდან,
ალიონისკენ ბილიკ-ბილიკ მიიშლება სრასახლი ნისლის.
ვინ უთხრას ყმაწვილს, არაფერი არ ამხდარა, ისე წავიდა,
თრიმლის ტოტია, მოლაღურის ძახილია, ამინდებს იცვლის.

## ბალადა

დრო არ ირხევა, მხოლოდ კვალი იკარგება, იქ, ცრემლის გარეთ.
ხავსიანია ფილაქანი, ნაწვიმარზე სურნელს ინახავს.
წყალმცენარეთა ხვიარებში, თვალი თვალთან, კამკამებს ცირა,
და მწვანე ფსკერზე, სამი ღამე რომ უხმობდი, სიკვდილი გიცდის.

## ათინათი

შეშლილი თამრი სარკმლის პირას მეგონა და, ვხედავ, ცაშია,
ვხედავ, მიფრინავს მოკიაფე სულთა თანა, ღრუბელთა თანა.
აპრილის თვეში, სანამ ჩემი საცოლეა, მალავს ხვაშიადს,
მაისის თვეში, სანამ ჩემი დობილია, მიამბობს ნანახს.

მდინარის აქეთ აწმყო დროა, მთელი აწმყო უპყრია ხანძარს,
მდინარის იქით წარსულია, ხილს ასხია, მზე ადგას ბანებს.
სველ ნიავებად, ფერი ფერზე, ცისარტყელას დაშლის და კვანძავს,
ლურჯს ებუტება, თანისთანად ურიგდება ყვითელს და მწვანეს.

ივლისის თვეში ღიმილს კარგავს, ხმა დაჰყვება ავად მბორგავი,
დიან ღრუბლები მეწამული, ცის მორევი სავსეა რისხვით,
სამყაროს ბნელში მიირღვევა ეს ქვეყანა, ცოდვის გორგალი,
ზრიალებს მიწა: „საბურველი ახდილია! ვერავინ გიხსნით"!

შეშლილი თამრი სულ არ შიშობს, აღსასრულის ზარები დარეკს,
ხალხს არ ემდურის, უკვირს კიდეც, ზეციერმა რისთვის დარისხა.
თვალგაშტერებით, ვინემ ცრემლი დამძიმდება, უცქერის მთვარეს
და მერე უსმენს ყვავილოვან დიდ მინდორზე, ძილში, მთვარის ხმას.



თამუნა არდიშვილს, ისე როგორც არავის მის თაობაში, შესწევს უნარი ჩვეულებრივი, ყოველდღიური რუტინა საზეიმო რიტუალად აქციოს და ქალის, როგორც ამქვეყნად მოსვლა, მისიის რანგში წარმოაჩინოს. მისი გაშლილი სუფრა, რომელსაც სულერთია მოქეიფე თანამეინახენი უსხედან ქალაქურ ეზოში, შეყვარებული წყვილები ჩინურ რესტორანში თუ ჩაისა და თაფლგადასმული კარაქიანი პურის მომლოდინე ბავშვები ძველი ოდის ხის აივანზე, ყოველთვის ტრაპეზის იდუმალებითაა შებურული. თვითონ თამუნა კი თავისი მშვენიერებითა და სიფაქიზით თვით პირქუში ამინდების ჟამსაც ბოტიჩელის ქალებივით გაზაფხულის სითბოს მატარებელია.

აქვარელია მისი სალებავი, ერთი შეხედვით მშვიდი და ფერმკრთალი. საოცარია, როგორ ახერხებს ამ სიმშვიდეში, სიფერმკრთალეში ასე უჩუმრად ჩაატიოს ტრაგიზმის ზღვარზე მდგარი სულიერი დრამა. მის ლექსს სწორედ ეს უჩინარი სიბრძნე ახასიათებს, რომელიც არასოდეს ღებულობს ფორმულის სახეს, მით უფრო ეს ფორმულები არ კრისტალდება რითმებში, რიტმებში. ეს სიბრძნე განფენილია ცხოვრების ქსელში და მის მელოდიას მხოლოდ პოეზიის მგრძნობიარე თვალი, გული და ინტელექტი ისმენს და ხედავს.

## თამუნა არდიშვილი

* * *

შევფუთე გული,
როგორც ეს პალმა
მობუზული ჩაიხანასთან...
რას იზამ, სცივა...
დავლიოთ ჩაი!..
რა ხმაურია თავბრუსხვევაში,
როცა ვტრიალებ, დაულალავად,
მთელი სამყარო
თავდაყირა დგება
და დახტის,
სასაცილო ხდება მახინჯიც,
თითქოს ბურუსი ეფარება
წამახულ ზროებს,
მე რომ მუდმივად ვეგებოდი
და სისხლი ჩემი ზედ შეახმათ...
დავლიოთ ჩაი!..
ამაოება მშვენიერია,
რადგან დროს მაძლევს,
რომ ვიარსებო
და სიცოცხლე ბრმად მიხაროდეს...
რადგან დროს მაძლევს!..
დამასვენეთ შავო წრფეებო, ნუ გადამკვეთავთ...
ამაოებამ განმკურნოს იქნებ...
დავლიოთ ჩაი!..

* * *

გზა აღარ არის,
წაიშალა,
თითქოს საშლელი ეჭირა ღმერთს
და ულმერთოდ შლიდა
ჩემს ნაფეხურებს...

* * *

სიზმარს ჰგავს მთვარე
მოქანავე ჯაჭვებით ცაში
და ამ სხეულის,
როგორც დაირის
შენს ხელებში
ადაფდაფება...

* * *

სალამოობით
ლილისფერი ლელიანები
ნანაობენ ნიავის ფრთებზე
და ტბა ლაჟვარდი
თითქოს მომწვანო ბკეს მოიკიდებს
და უეცარი ამოსხლტება იქიდან თევზი
და ჰაერში გაკვანძავს მარყუჟს
და დგაფუნით ჩახტება უკან
თეთრმუცელა და ონავარი...
გამჭვირვალე გარიჟრაჟები
ნებივრობენ ტბის ნაპირებზე,
ღამე ფეხს ირთხამს,
მოიკეცავს შრიალა კალთებს
და თუთასავით გაალურჯებს
ჰაერის (ფურცელს) ფარდას...
მწუხრის ნარღვევებს
ამოკემსავს ციცინათლებით...

* * *

რა არის ნეტავ სიყვარული?
ერთი წერტილი ლაბირინთში,
რომელსაც ალბათ
გვერდს ვერ აუქცევ...
რა არის ნეტავ სიყვარული?
უკვე ნათქვამი მრავალჯერ
და ბევრჯერ ნაგემი,
ვით წყარო, როგორც უკვდავება
ისე ნარუჯი, (ნანატრი)
დაუსრულებელ მწყურვალთა რიგებს
რომ აუდის
და, უძლეველი,
კლდესაც გულს ულღნის
მსუბუქი წვეთით.

* * *

ღამის ლურჯ ჯიქანს
ჩამოწველილი
ვარსკვლავთა ჭავლი
მთვარის ფინჯანში,
ყანწივით მრუდე ფინჯანში მთვარის...

მთვარის ქვა გლუვი
თაფლისფრად ბზინავს.
ჩემს გულზე
გრილი ღარია მკერდის...
სხვადასხვა მხრიდან
მოწეულ ხმათა
ქსოვა ფაქიზი,
ვით აბლაბუდა
ტოტიდან ტოტზე
გადაქსელილი...
და მოქცეული ხმათა ბადეში
ამ იდუმალი დუდუნის ტყვე ვარ...

* * *

ნუ გამაგონებ
ამ შეშლილ დავლურს
და ალისფერი ნაკვალევით
მძიმე ნაბიჯთა
ნულარ დამტვიფრავ...
გინახავს ცხენი,
მოლაპლაპე შავი ფაფარით
მიფიცხებული მზის მზრუნველ სითბოს,
კურდღელი ტყის პირს,
გრძელ ყურებს რომ ზურგს გადაიწყობს,
მოწიწკნის ბალახს...
ასე მაცოცხლე!

* * *

იქ ვარსკვლავების დერეფნებია,
შენგან შორს
ქარი კუდს ადგაფუნებს
წყლიან ქალაში,
დაჭორფლილი ხეთა ჩრდილები
იშლებიან მარაოებად
და წვერწამახულ ნემსიყლაპიებს
მთვარის ორთქლში ფრთები უბრწყინავთ
ათასფერად მომცრო ქავლებად...
და ვერცხლის ეჟვანს
მივყვები მთვარეს
გადაკალმულ, სხივიან გზებზე...

* * *

გეძებდა გული
და ჭირნახულის მოსთვლა სწყუროდა,
გეძებდა გული,
ო, რა დიდხანს ეშვებოდა თავქვე,
ჭალიდან ეყურებოდა შენი ძახილი,
მდინარის ქუხილს
მიიჩნევდა შენს დაძახილად...
და ო, რა დიდხანს
დაყვებოდა, როგორც აჩრდილი
ახალგაზრდობა მცინარა და მკერდჩაღელილი...
გეძებდა გული!..

* * *

გულუბრყვილო ქართველები;
ფხალი, ხაჭაპური
და სიყვარულის სადღეგრძელო,
როგორც რაღაც მთავარი,
მოხელთებული, ან მოუხელთებელი
და მარადსანატრელი...
აყვავებული რტო მწვანე ბოთლში,
დასრულებული ნატურმორტი...
ცხოვრება ასრულებს,
რასაც ვერ ვასრულებთ ჩვენ...
ცხოვრება გვასრულებს
ან ძალიან ადრე,
ან ძალიან გვიან...
მზე ანთია, როგორც ციკლოპის თვალი,
ყველაფერს ბურღავს, აცამტვერებს...
ეს ჩვენი საუკუნეა,
ციკლოპი, რომელმაც
სიყვარულს გზად ფეხი დააბიჯა...

* * *

და გაზაფხულმა მზის ნაკვერჩხალში
ჩააწო ხეთა მწვანე ფუნჯები
და გაზაფხულმა
აიტაცა ჰაერის ტალღა
და მოჩითული გვირილებით
ჩემს მინდორზე გადაასარკა,
თითქოს გვიხმობდა
ჭრელ ტაბლასთან,
გვეძახდა ყველას,
მე – ჩამქრალ სანთელს
და მოჟღარუნე სიმებივით
ალებს თმაცეცხლას,
ჩუმი სიცილით
სველ ხეებს რომ ეფარებოდნენ...

* * *

შუაღამისას საათები
კვლავ დარეკავენ
ისე ხმამაღლა,
რომ უთუოდ გამეღვიძება,
ავიბორცვები ჩემს საწოლში,
ხანგრძლივი რეკვით აგანგაშებულს
მეტაკებიან გირები მძიმე
და სამყაროს ერთი კუთხიდან
მეორეში გამაქანებენ...
პატიებისკენ მიმაქანებთ
მძიმე გირებო,
გამილხვეს გული,
ვაპატიო და მეპატიოს...
ღმერთო, შევიძლო შენს წინაშე
მუხლზე დამხობა
და ბოროტება გახდეს
მხოლოდ სიზმარეული...

* * *

დამუნჯებულა უშვილო კუნძი
და ჰორიზონტი
ხეთა მრუმე სილუეტებით
ლურჯი ალივით წაკიდებია...
ნესტიან ფესვებს
მიწაში ღრმად ჰყოფს,
თითქოს ეძლევა
მიწიერ ტკბობას...
უშვილო კუნძი
ხავსის ხლართებს
გულზე დაიფენს,
ბედნიერია უშვილო კუნძი!..
იმით, რაიც აქვს
და იმითაც, არა აქვს რაიც!..
განუმარტოვდა ცასა და მიწას,
დაკარგა თავი,
ხმიანობის უფლება,
ჭიდილისა და ვნებათაღელვის...
დარჩა სიცოცხლე
და განცდა ჭვრეტის...
ჩაუღრმავდა უძირო სიბრძნეს...

* * *

ამ აღდგომაზე
ლურჯად ინათა,
შეჩქვიფებული იასამნებით
აივსო ქუჩა
და თბილისმა
ალის კვერცხები ჩამოარიგა
მორწმუნეთა სიხარულის
სიმბოლოებად
და ურწმუნოთა სევდის
წილებად...
და როგორც სკები
ნაყოფიერი
გუგუნებენ ეკლესიები...

* * *

სამარისებურ სიჩუმეს ვკრეფდი,
დიდი კალათი
ისევ მძიმედ მეკიდა მკლავზე...
ამოფრენილი ფრთიან თაგვებად
ღამურები
მხარს გაბასრავდნენ
პაწია ბრჭყალით...
სამარისებურ სიჩუმეს ვკრეფდი,
ველოდებოდი,
რომ კალათი ამჩატდებოდა,
ბოლოსდაბოლოს ხომ
დაბადებდა ყველა ღამურას...
და მეგზურებად დავრჩებოდით
მე და სიჩუმე...

* * *

დავიკვნესებდი...
რომ შემეძლოს გადავიხსნა
და დავცალო
გულის მარაგი,
თუნდ დაშრეტილი კალაპოტივით
ვეგდო და
ყველა ფეხს მაბიჯებდეს...
დავიკვნესებდი...
მოვითქვამდი ყველა სათქმელს,
ყველა სატირალს
ამ ერთი კვნესით...
რომ შემეძლოს,
დავიკვნესებდი...

* * *

სიზმრის მხატვარი გარდამეცვალა...
ვინ მომიხატავს ამ
შავ-თეთრ სიზმარს,
რომელიც ზოგჯერ ისე ირევა,
რომ ღიმილი შიგნით,
ვით ღამეა ლუსკუმი
და თმის შავი ფრთა
თოვლივით თეთრი...

* * *

თუ მზე უეცრად იქ ამოვა,
სადაც სულ წვიმდა
და ჩამოქუფრულ ცის პირბადეებს
ედექი ზურგით,
იფიქრე – ღმერთი დიადია!
თუ უეცრად სხივთა თოვაში,
როგორც ტალახი
შეიმზღვლევა სიავე ღამის,
თუ სული შენი
დაუცველი იქნება მუდამ,
ვით მფრინავი ბაბუაწვერა,
იფიქრე – ღმერთი დიადია,
მიჰყევი ნებით!
ღმერთთან ბრძოლაში
უსაშველოდ დაიქანცები
და იმ მზიური თასებიდან
ყლუპსაც ვერ მოსვამ,
ის რომ გზადაგზა მოგაწოდებს,
რომ სიცოცხლეს სული მოეთქვა...

* * *

ჰო, მობრჭყვიალე
დილისფერო!
ჰო, ალბათ მე ვარ,
ვინც დავიკარგე,
ვინც შემატეხა
ავდარმა ღეროს...

## სოხოზე

უშველებელი და თმაგაშლილი,
როგორც ულაყი ფაფარაშლილი
მობრჭყვიალე ვიტრინების წინ
მიირწევა ალისფერტუჩა
და თვალჟუჟუნა,
განა ქალია?!
ყვრიმალები ჩამოუსხეს თითქოს რკინისგან
და მკლავი, როგორც კლდის მონასხლეტი
ამობურცული გლუვი ძარღვებით,
მოჭიქულია ბრჭყალები წითლად...
ვჯახირობთ, მაგრამ მაინც ჯოხებით
ვიციცქნებით და გვიხარია,
ზღვის მოლუსკები და სალათები
ზურმუხტოვან წყალმცენარეთა,
წვენი, რომელსაც ქოქოსის გემო
                    დაყვება ნაზი,
იაპონელი მოკლე ხელებით
ესალმება მასპინძელს ჩვენსას
„ქონი ჩუა... ქონი ჩუა..."
...თეთრი ქალი და ზანგის ბიჭი;
ვით ნადირს, ტყიდან რომ იცქირება,
თვალები ისე უცხოდ უელავს,
რუხი ტუჩებით ენაფება ბაგეს
ვარდისფერს...
რაღაც ძალიან ავხორცი და თან მიმზიდველი...
უცნაურია ამ ქუჩებზე შემოღამება!..

* * *

ამეთვისტოსფერი სიზმრები,
ზაფხულის საღამოები
ჩემი ბავშვობის აგარაკზე
დაბურული ხეივნებითა
და გამჭვირვალე ხედებით...
თეთრი, ფარღალალა სახლები,
თითქოს სინათლე რომ გასდით...
დიდი, კეთილი უფროსები,
მუდამ მოფუსფუსე,
საღამოობით ჩამომსხდარნი
ყავის ჭიქებით
გრილ აივნებზე...
ჩემი სხეულის კრიალა ექო...
ვარდის ბუჩქებთან მოცახცახე
ჩემი სახელი...

* * *

გულმა ლექსისკენ გაიწია,
ხელმა კალმისკენ;
გადმომეღვარა დაუოკებელი
გულისთქმათა საგალობელი,
სისხლის სხივებად
დავენათე
სიცოცხლის ფურცელს...

* * *

რად მიგორებენ წლები კამათლებს,
რად მაწოდებენ ფიალას ნაკლულს,
გულის სიღრმეში ველი განთიადს
გადასხივებულს მეწამულისფრად,
ჩამოღამებას გავყურებ გარეთ,
როგორ გადაფენს ქსელის ფარდას
მწუხრი ხეებზე...
ამ ქსელში ბევრი ფიქრი გაება...

* * *

წლებმა დაცეხვეს
კუნძული გულის,
წლებმა მოხნეს
და გაატარეს თავისი კვლები...
მაწვიმდა ხშირად...
მობუზული, როგორც ბელურა
ვეჭიდებოდი სიცოცხლის მავთულს,
სადაც უწყვეტად გადიოდა
დენის მდინარე...

## სოფელი

დიდ ოთახში, დიდ მაგიდასთან
ბუხარი მწიფობს,
ჩვენს სახეებზე
მოცახცახე ჩრდილებს გადაფენს
და ცეცხლის ბუტკო
ამ ბებერი სახლის გულია,
ჩვენი თანყოფით
უცაბედად აღმდგარი მკვდრეთით.

* * *

მინდა ვილოცო
და ხელი არ მემორჩილება,
მინდა სასწაულის მჯეროდეს,
თუნდაც ერთის
და ხელჩაქნევით არ ვნებდებოდე
დღეების ნაცრისფერ ტვიფრებს...
ჩემი მზერა წვიმებს ძოვს
და საზარელ, ჭუჭყიან
გუბეებად ჩამოღვრილებს
სარკეებად გაიხდის ხოლმე...
იქ კი არაფერი მოჩანს
მღვრიე ლანდების გარდა...
მაინც მტკივნეულია
ნაცრისფრად ამოტვიფრული დღე,
მაინც მტკივნეულია ულმერთობა,
როცა შენში, სადღაც,
როგორც ბნელ, ულრმეს ჭაში,
სინათლის პატარა ჩიტი
აწყდება გაუვალ კედლებს,
როდემდე?!



თავისებურია რეზო ესაძის პოეტიკა. მის მიერ შექმნილი ფორმა – ეს არის ფრაგმენტებისა და ეპიზოდების განუწყვეტელი მოძრაობა და დიალექტიკური ერთმთლიანობა. აქ ყველაფერი მიედინება, როგორც მდინარე და ადგილზე დგას, როგორც რწმენა.

შიში წარმავლობისა და რწმენა განახლებისა. ორი ფენომენი, ორი საწყისი, რაც გვაღელვებს და რაც გვაიმედებს ამ არაორდინარული შემოქმედის მხატვრულ ნააზრევში. როგორც მის კინონამუშევრებში, ისე პოეზიაში, მუდმივი ბრძოლაა, დუალისტური დაპირისპირებაა ორ ძალას, ორ საწყისს, ორ სულიერ მდგომარეობას შორის, საიდანაც წარმოიშობა მთავარი იდეა.

რეზო ესაძის ლექსებში გამოხატული სიყვარული სამშობლოსადმი რაღაც მისტიკურ საფანელსაც შეიცავს და სწორედ ამიტომ არის მიმზიდველი, სიმპათიური, თანაგანცდის გამომწვევი და, რაც მთავარია, რეალური.

ასე ძალიან უნდა გიყვარდეს, რომ ასე ფატალურად გეშინოდეს დაკარგვისა. სიყვარული ხომ სხვა არაფერია, თუ არა დაკარგვის შიში. კიდევ კარგი, რომ ჯერ კიდევ ერთად ვართ ამ შიშში, ამ ეგზისტენციურ გარდუვალობაში, რომელიც ღვთაებრივი კომპენსაციის სახით იმედსაც გულისხმობს.

## რეზო ესაძე

* * *

არა იყო. არც რა იყო,
ქალას ბოლი ასდიოდა.
არც რა იყო. არც ვინ იყო,
გზაზე კაცი მიდიოდა.

მდინარე არ მოძრაობდა,
იგი ნაპირს მომდგარიყო.
თავზე ნისლის ბული ადგა,
ბული არა, ბოლი იყო.

იქით, ვილაც ხელს იქნევდა,
საწოლიდან ამდგარიყო.
ხელს კი არა ხმალს იქნევდა,
მგონი ხმელი ჯოხი იყო.

პირს აღებდა და მუნავდა,
ხმა იყო და ხმა არ იყო.
თან ყინავდა, სიცხე წვავდა,
ან ყინვა, ან ცეცხლი იყო.

ქართულ ცას და ქართულ მიწას
ცოდვა-ბრალი დასდებოდა,
გზაზე კაცი მიდიოდა,
არც კაცი და არც გზა იყო.

სერზე რუხი მგელი იდგა,
ყმუოდა და ხმა არ იყო.
ქარი ქროდა, ქარი ქროდა,
თან ფოთოლის ძვრა არ იყო.

სოფლის ბოლოს, ძველ ჭიშკართან,
ვილაც ობლად დამდგარიყო.
თითქოს აქეთ ხელს იშვერდა,
თითქოს იყო და არც იყო...

* * *

შთამაგონებენ, შენ ის არ ხარ, რასაც მე ვფიქრობ,
რომ ხარ ცბიერი, გამკილავი და უმადური...
და თუ ავყევი ამ ცუდ ნათქვამს სანთელს ჩავიქრობ
დარჩება მხოლოდ: შიში, ძრწოლა და განცდა ნულის...
მაგრამ ეს წამით, რადგან მილმა, ტყის იქით მზეა –
კავკასიონის მთებს დაჰნათის და ველს ალაზნის,
აქით ალავერდს დაჰფოფინებს, იქით ვარძიას,
იქეთ ნეტარი იყალთოა, ვრცელი დარბაზი...
თავზე სამშვილდეს დასტრიალებს დროთა უკუნი,
გელათი, გრემი, სარკინეთი, ტაო, ტანძია...
მიწის გულიდან უსაშველო ისმის გუგუნი
და სრა ველებზე წინაპართა სულნი დაძრწიან...
რომელი ერთი ჩამოვთვალო „ვეფხის ტყაოსანს"
ვაჟა-ფშაველა ვით მალამოს აფენს ნატყვიარს.
გარდაუვალი კდემა მოსავს გარეშამოსა –
გელათის კართან დიდგორელი ვეფხი მარხია...
ეს სულეთიდან ამოსული ცეცხლის ალია.
შენ ის არა ხარ, შეაგინო გარეშამოსა,
შემოილალავ სხივებს მზისას, თავზე გაყრია
ცქერა შენი ლოცვაა და მადლით შემოსვა.
ბალახს ძოვენ შენს კედლებთან წარსულნი დრონი,
როგორც ვცხოვრობდით ჩვენ ოდესღაც ვითომ ისა ვართ?
თუმც მოგონება თან დაგვყვება ტოლი და სწორი
ვგრძნობ წარმტაცია ეს განცდა და ეძებს გასაქანს...
და ეშურება შენკენ ჩემი ფიქრი ეული
ცად მიმართული (ღმერთისაკენ) თან მისტერიით,
დაუქანცველი, უთვალავი გზით გალეულით –
არ დავიწყნია სხეულს ახლაც, ახსოვს და იცის
დრო, როს მოვიდნენ ის უცხონი, გადამთიელნი
და დაგვყვეს ადლით, გადაგვთელეს შხამით, იელით,
წარყვნეს სივრცე და ამოხაპეს. მარგალიტი მათ
გულის ფიცრის,
მიითვისეს, გაავრცელეს ვით საკუთარი:
სტვირი, ჩონგური, ჭიანური, ბარბითი, ქნარი,
დააფინეს გარეშამოს თავის იერი
თითქოს თვით იყო ცის საწყისი, წყლისა და ხმელის...
მანამდე არც რა გვებადა და არც რა ყოფილა...
გაგვძარცვა უცებ, შეგვიცვალა ფერი, იერი...
სისხლზე დაგვემყნო, მიგვითვისა, არ გვამყოფინა –
წარმოგვედგინა ვით საწყისი ახალ ევროპის,
რენესანსული საწყისის და მისი მეაკვნე
და თან პრაგმატულ სამყაროის დიდი ალბომი
თანამედროვე კულტურების ოლიმპი ღმერთთა, –
ასე გადინდა და გაიქნა სისხლი შუმერთა,
პელაზგთა, ხეთთა, ქალდეველთა, სისხლი ეტრუსკთა,
თუბალთა, ლაზთა, ეგვიპტელთა, ძმათთა იმათთა
და დაადგა დედამიწას ბერძენთა, რუსთა
სხვათა და სხვათა სულთა პრაგმატთა

დათა და ძმათა, მათთა სისხლით მონათესავთა
სახე, იერი
და დაანინდეს მათ მსოფლიო, რომლის მენავე
უფულოდ გალმა არ გაიყვანს საკუთარ ძმასაც...
ამ შენჩემობით გაუხეშდა სული ფაქიზი
ეგზისტენციურს დაეწაფა წყაროს და მავანს
ვალი მოსთხოვა სუნთქვისთვისაც. იგი ამ მიზნით
სისხლის მდინარეს გადაცურავს და გალმა გავა:
დაკარგა კაცმა ფეხქვეშ მიწა, თავზე ცაფერი,
წაირყვნა ბიჭი, გათახსირდა გოგო და ჯიში,
წახდა სამყარო. ის განიცდის სულიერ შიმშილს
მინდა ბლავილი, თუმც ვიცინი და იქვე ვიცი
საბედისწერო გახდა ის დღე, როცა ლაზეთი
აცდა გზა-შარას ჰელიოსურს, გზათა სოფელთა
მათ ნიშნისგებით აირჩიეს ყოფა ასეთი
შარა რომელმაც ღმერთს მოგვკვეთა და შეგვაფეთა
მათ, ვინც იმთავით უცებ გაგვწირა დასალუპავად...
დასაწყისშივე იზეიმეს, ვნებით დაითვრნენ,
უწმინდურ შარას მიეძალნენ, განქრნენ, გაინთქნენ,
განიბნენ მათში და ასრულდა წინაპართ ჭვრეტა,
სამესამედოდ, რადგან ჟამი როცა დადგება
ეზოთერიულს ქართულ წისქვილს დაათრობს წყალი,
და აქერონზე გადავა ნავი, ნანატრი წამი დაიწყებს ათვლას...
შესდექ სამყაროვ, შენ ქართველთა დიდი გაქვს ვალი
და ხარ მიზეზი ჰელიოსურ ნაპერწკლების მინავლებისა...
თუ გსურს გადარჩე გაალვივე ის ნაპერწკალი...
და ლოცვა კვლავაც დაამკვიდრე წმინდა ველისა:
თუ გსურს გადარჩე, კვლავ იწამე რაც უწინ დაგმე...
დათმე ის გზა პრაგმატული, აანთე ცეცხლი...
დრო არის ვიდრე, გადაყარე ოქრო და ვერცხლი
და სამოსელი შესატყვისი პატრონს არგუნე,
დაამყნე ნერგზე მშვენიერზე შენ მწარე ხაპი, —
ახლა ის გვერდით მიმოწიე მხრით და იდაყვით.
განაცალკევე დროები ვით დღეა და ღამე.
გაენდე მოყვასს, კეთილ სიზმრით გული აამე,
გულსა მოძულეს ფეხთ გაუგე მზე და ხათუნი...
დააკანონე გულის სითბო შენი ქართული
ნუ მიადგები დასანგრევად გაღებულ კარებს;
სადაც წინაპართ უცხოვრიათ წელგამართული
მაღალი სულით და უსაზღვრო სივრცით ქართულით:
ან გვადგას თვალი გამკილავი და უმადური
მაგრამ მწამს ცით და მაღალი ღმერთით
დაგვიბრუნდება ყველაფერი და სხეულს აშლილს
აღარ დავტვირთავ სამოთხის ვაშლით
აღარ გავისვრი ღვიძლ ძმის სისხლით მე ცოდვილ ხელებს,
სხვისი საზომით არ გავზომავ ზღვის სიღრმეს, ღელეს,
და აღსრულდება ის ნანატრი ციური მადლი,
რომელიც თვალზე ცრემლებს მოგვწმენდს, გაქრება დარდი
და ჩვენ ვიქნებით თავად რაცა ვართ, არა მსგავსი სხვის
საკუთარი მზით ქართულით და საკუთარი ცით
სულიერ განსჯის ალმაფრენით და გულით მწველით.
მოგეშურები მოსახვევად და არა მკვლელი...
ადგილი შენი ჩემს გულშია, მკვიდრათა ბუდობს
და მის წიაღში საფიქრალი მხოლოდ ერთია:
ერის სიცოცხლე და ქმედება რომ ზღვაა თვითონ
და მდინარენი დანარჩენნი ამ ზღვას ერთვიან.

ეპისტოლე

# ქარი — სხვა თვალით

ძვირფასო რედაქცია, ვკითხულობ თქვენს ჟურნალს ინტერესით და ვიცი, რომ მკითხველისთვისაც გამეტებული გაქვთ შესაფერისი კუთხე. თუ მიიჩნევთ, ჩემი „ეპისტოლე" დასაბეჭდია, ვთამამობ; თუ არადა უმორჩილესად გთხოვთ, მიაწოდოთ იგი ადრესატს —

„ქარიანი სურათების" პოეტური ოპუსის ავტორს **შოთა ბოსტანაშვილს** თითო ლექსის გამომზეურება რომ უყვარს, თანაც ძველისა და ახალი წლის მიჯნაზე (ცოცხალია ჩემში შთაბეჭდილება შარშანდელი დეკემბრის პუბლიკაციისა, მამას ეძღვნებოდა).

საერთოდ, პოეზიის ჟანრები, ჯერ კიდევ დაუწყობელი უნდა იყოს. მოდერნი, პოსტმოდერნი — ამათი ახსნა-განმარტებანი, საბუთიანი თუ უსაბუთონი, ჩემისთანა საწყალ მკითხველს პირდაპირ თავგზას უბნევს. არცაა აუცილებელი დილეტანტმა ლიტერატურულ მიმდინარეობათა რკვევაზე გამოვიდო თავი, ცხადია, ამას არც არავინ მეკითხება, მაგრამ ლექსის მოქცევა რომელიმე კალაპოტში, მაინც მგონია, ნიშნავს თავისუფლებას დაადო ხუნდები.

აი, მივედი ძირითად სათქმელთანაც.

შოთა ბოსტანაშვილის ლექსი თავისუფლების ქარსაა მიდევნებული, თანაც, ეს მაინც გონების, ჭკუის პროდუქტია, გულს რომ იქვემდებარებს, მორჩილებს. ამ ნაწარმოების კითხვისას, არც გინდა ამოხსნა, რისი თქმა სურდა პოეტს. აუდევნებიხარ მუსიკასა და ქარს და აგერ აქვე, თითქოს ხუროთმოძღვრის საჭრეთელი ულამაზეს ორნამენტს აჩუქურთმებს. და ილვრება მხოლოდ განწყობილება: კეთილი, გონიერი, სათუთი, ანგარიშგასაწევი, სიცოცხლისუნარიანი.

აქ არის მთელი ცხოვრება, კაცმა რომ უნდა გაიაროს, ან იქნებ უკვე გაიარა კიდეც.

ავტორი უიოლებს მკითხველს ყური დაუგდოს სიტყვას. სიტყვას — ჯადოქარს.

ნეტა, რას იტყოდა გალაკტიონი, ასეთი პოეტური ოპუსი რომ შეემჩნია?

„ძამიკო"... და ჩემი წარმოსახვა ლაბირინთშია.

**P.S.** როგორც ირკვევა, ამ თბილ სიტყვას გალაკტიონი ბევრისთვის არ იმეტებდა, უბრალოდ, მოგონებებში იჩემებდა ბევრი... იჩემებდნენ მახლობლობასაც... არა მგონია ეს სამი მარცვალი — გულივით მფეთქავი, პოეტს, თან რანაირ პოეტს, ალაბალა ეპნია...

სხვა რაღა დამრჩენია, მიყვარხართ ძალიან. მთელ რედაქციას იმედიან, ბარაქიან ახალ წელს გისურვებთ. უკეთესები ხომ ხართ, მინდა იყოთ უფრო უკეთესები.

**სოფიო მაჭავარიანი**
*ქუთაისი*

ნერიუს მილერიუსი

# ქალაქი, როგორც კატასტროფის მოდელი: „რეალურსა“ და „წარმოსახვითს“ შორის

### შესავლის მაგიერ: თვითგანადგურების საწყისი ეტაპი

ეს წერილი ნიუ-იორკში დაიწერა. ეს, ალბათ, იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა ადგილი, სადაც იწერება ფილოსოფიური ტექსტი, იმდენად ფასეული და მნიშვნელოვანია, რომ მისი მოხსენიება და დასახელება საჭიროა. მრავალი ფილოსოფიური ტექსტი სწორედ იმით განსხვავდება გამოკვლევისაგან, რაც ამა თუ იმ საკვლევ გარემოში ჩაღრმავებას მოითხოვს, რომ ფილოსოფია მნიშველოვანწილად *ატოპიურია*, და გადააბიჯებს იმ უშუალო *ტოპოსს* — უშუალო ადგილს — რის გამოც რამე ითქმის ან იწერება.



*ნერიუს მილერიუსი*

ოღონდ ამჯერად, თვითონ ქალაქი, სადაც წერილი დაიწერა, წარმოშობს პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელია, მაგრამ ჩაწვდომა და, ალბათ, გაგებაც შეიძლება. თუ ნიუ-იორკის ქუჩებში გაივლით, თვალში გამუდმებით შეგეჩხირებათ აპოკალიპტურ და პოსტაპოკალიპტურ კინოფილმთა სარეკლამო სტენდები დანგრეულ თუ განადგურებულ ქალაქთა თავზარდამცემი სურათებით.

კატასტროფათა ფილმების სარეკლამო პლაკატები ნიუ-იორკის რომელიმე ძალზე ჩვეულებრივ ადგილზე, ვთქვათ, ავტობუსის გაჩერებაზე, იზიდავს მოქალაქის ყურადღებას, იხილოს როგორ ინგრევა ნიუ-იორკის ეს ჩვეულებრივი ქუჩები, და ეგებ ავტობუსის ის გაჩერებაც, სადაც კატასტროფის მაჩვენებელი ფილმის პლაკატი ჰკიდია. ძნელი არ არის მიხვედრა, რომ თვითგანადგურების ტრაექტორია აუცილებლად მიიწევს მოქალაქისაკენ, რომელიც მსგავს პლაკატს შესცქერის ნიუ-იორკის ქუჩაზე. ხოლო, როცა იმ ფილმის სანახავად მიდის, სადაც შეიძლება იხილოს ბუნებრივი სტიქიებით, მისტიკური ან კოსმიური ძალებით განადგურება თავისი ქუჩისა, მოქალაქე მიდის საცქერად ფილმისა, სადაც შეუძლებელია თავიდან აიცილოს მინიშნება საკუთარი დაღუპვისა, რადგან ამ ქალაქში ცხოვრობს...

ნიუ-იორკი ერთი-ერთია იმ ორიოდე ქალაქთაგან, რომელთაც აჩვენებენ ქალაქების კატასტროფის ჟანრში, სადაც კატასტროფის გლობალურობა ხანდახან "მიწაზე ეშვება" კონკრეტულ, მოქალაქისათვის ნაცნობ ქუჩაზე, კონკრეტულ ხიდზე ან მდინარის რკალზე. მაშინ, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ფილმის მაყურებელთათვის ნაჩვენები ტრაგედია აბსტრაქტული საშიშროებაა, მთელ კაცობრიობას რომ ემუქრება, ნიუ-იორკში უშუალო იერს იძენს. ოღონდ ხდება თუ არა რეალური ეს ნაცნობ გარემოს მოახლოებული ხიფათი? და ნუთუ უნდა დავეთანხმოთ, რომ კატასტროფის ჟანრის ფილმების საშუალებით, გამუდმებით რომ უჩვენებენ დედამიწის თვითეული მოქალაქის დაღუპვას, მაყურებელი რეალურად პირისპირ ხვდება საკუთარ სიკვდილს? კატასტროფის კინოჟანრი სპეციფიკურ თანამედროვე რიტუალად მხოლოდ იმიტომ კი არ გვევლინება, რომ ქალაქის ქუჩებში გამოკიდული სარეკლამო სტენდები მოქალაქეებს ეპატიჟება სანახაობაზე, სადაც ნაჩვენებია თვით მისი — როგორც მაყურებლის — შესაძლო დაღუპვა; კატასტროფების კინოჟანრი სპეციფიკურ რიტუალად გვევლინება იმიტომაც, რომ ეს სანახაობა ჩერდება და რეალური სამყაროდან „შესაძლებელ“ გასართობ სამყაროში გადადის. თუკი კატასტროფის ამსახველი კინო მაყურებელს უჩვენებს საკუთარ დაღუპვასთან მიახლოებას, ეს მხოლოდ წარმოსახვით, დრამატულ, ფანტასტიკურ და კომედიურ სამყაროში ხდება.

რა თქმა უნდა შეიძლება ვიკითხოთ იმ მიზეზთა შესახებ, თუ რატომ მოაქვს ვიზუალური კმაყოფილება და გართობა თანამედროვე მსოფლიო ეკრანებზე ქალაქებისა და მთელი კაცობრიობის განადგურებას. ოღონდ გაცილებით ნაყოფიერი იქნებოდა, ამგვარი კაუზალური საკითხის გარკვევისას, შესწავლა თვით ამ ფენომენისა, სადაც დღევანდელი კულტურის უამრავი საკითხი იკვეთება. ამგვარი გამოკვლევა ვერ ჩაეტევა ვიწროდ შემოფარგლული კინოკრიტიკის საზღვრებში. კინოკატასტროფის კვლევისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მოვლენის ინტერპრეტაციის ტექნიკას, რასაც შეიძლება შინაარსისა და კონტექსტის გადატანა დავარქვათ. კინოკატასტროფის ცენტრში დგას არა საგანგებო ეფექტები და ამ ჟანრის სხვა კლიშეები, არამედ რაღაც სხვა, სხვა აზრი, სხვა კონტექსტი. ამ სტატიაში კონტექსტი, რაშიც განიმარტება კინოკატასტროფა, გახლავთ ქალაქის მცხოვრებნი, ქალაქის სივრცე და სტატუსი, სადაც კატასტროფული სიუჟეტები მოქმედებენ ქალაქის ფიზიკურ გარემოში.

## ვირტუალური სარკმელი კატასტროფულისაკენ

ყოველდღიური არსებობის უფრო ფართო პირობებზე საუბრისას ენტონი გიდენსი გამოყოფს გამოცდილების სეკვესტრაციას, ამასთან დაკავშირებულ პროცესს რომ აწვდის რაღაც დაფარულს, რაც განაცალკევებს დადგენილ წესრიგს ყოველდღიური ცხოვრებისა შემდეგი ფენომენებისაგან: სიგიჟისა, დანაშაულისა, სნეულებისა და სიკვდილისა, სქესობრიობისა და ბუნებისაგან.*

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ცხოვრების ყოველდღიური რიტმიდან იდევნება ისეთი ფენომენები, რომელთა წინასწარგანჭვრეტაც და გაკონტროლებაც შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ყოველდღიური ცხოვრების რიტმიდან გამოძევებულნი, ისინი თავისთავად არ ქრებიან და არსებობას განაგრძობენ უსაფრთხო, გათვლილ მანძილზე, როგორც, ვთქვათ, „შეშლილები“, რომელთაც საგიჟეთში ათავსებენ. ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ ტელე ან კინოეკრანზე ძალადობის სცენების დოკუმენტური კადრების ხილვისას ხშირად არავითარ შიშსა და ძრწოლას არ განიცდიან, ისაა, რომ თვით ეკრანს აღიქვამენ ტექნოლოგიურ საშუალებად, რომელიც ამცირებს, აშორებს და არარეალურს ხდის იმას, რაც ყოველდღიურ, ხელშესახებ გარემოში თავზარს დასცემდათ. სწორედ ამ დროს აღიქმება ძალადობა, სიკვდილი თუ ბუნებრივი კატასტროფები სანახაობად.



*ნიუ-იორკი 2001 წლის 11 სექტემბერს*

გიდენსის მტკიცებით, გამოცდილების სეკვესტრაცია უზრუნველჰყოფს ონტოლოგიურ დაცულობას, ოღონდ დავამატებდით, რომ წარმოშობს ვითარებას, რომელშიც კლებულობს რადიკალური გამოცდილება. ეს ნაკლი ანაზღაურდება მრავალფეროვანი პროდუქციით და, სხვათა შორის, ლიტერატურული, კინო, ვიდეო და კომპიუტერული პროდუქციითაც. ონტოლოგიური დაცულობის განცდა იმდენად ძლიერია, ხოლო რადიკალური გამოცდილების უქონლობა ისეთი აშკარა, რომ წარმოსახვის ნაყოფები, გამოცდილების ნაკლებობას რომ ანაზღაურებს, ხშირად მეტად რადიკალურ ფორმებს იძენს და, მათ შორის, მასობრივი თვითგანადგურებისა თუ გლობალური კატასტროფის ფორმებს. სრული დაცულობის პირობებში ვირტუალური სიუჟეტები, რაც ფანტაზიისა და ჰალუცინაციის ნაყოფია, ტოტალურად დესტრუქციულნი და, ამასთან, თვითდესტრუქციულნიც არიან.

ოღონდ როცა უსაფრთხო ყოველდღიურობას არღვევს დანაშაული, სიკვდილი ან ბუნებრივი კატასტროფები, პარადოქსულად იცვლება თვით ფუნქცია წარმოსახვითი კატასტროფებისა. შევყურებთ რეალურ დანაშაულს, ქუჩაში დაღვრილ სისხლსა თუ ბუნებრივ კატაკლიზმს ოდესღაც ნაკითხული ლიტერატურული თუ კინემატოგრაფიული კატასტროფის პრიზმაში. ამ შემთხვევაში ლიტერატურული თუ კინემატოგრაფიული კატასტროფები ველარ ანაზღაურებენ რადიკალური გამოცდილების ნაკლებობას და ალბათ უფრო ვირტუალურს ხდიან ამ გამოცდილებას. წარმოიშობა deja vu-ს ერთგვარი ეფექტი, როცა ვხედავთ მოვლენებს, რაც უკვე განხორციელდა ხელოვნების სფეროში. სლავოი ჟიჟეკი ამბობს, ნიუ-იორკის მცხოვრებთა უმრავლესობას, ალბათ, ამან გადაატანინა ახალი დროის ყველაზე დიდი კატასტროფა, 11 სექტემბერიო.

მაყურებელთა უმრავლესობისათვის მსოფლიო სავაჭრო ცენტრში მომხდარი აფეთქებანი სატელევიზიო ეკრანზე გასული მოვლენები გახლდათ, და როცა ხშირად განმეორებულ კადრებს ვუყურებდით, სადაც მოჩანდა შეშინებული ხალხი, კამერისაკენ რომ მორბოდნენ ჩამონგრეული კოშკისაგან წარმოქმნილი მტვრის გიგანტური ღრუბლის ფონზე, ეს კადრები გვაგონებდა ფილმ-კატასტროფათა შთამბეჭდავ გადაღებებს.*

11 სექტემბერი გამოცდილების ის წერტილია, რომელშიც შეთხზული ლიტერატურული და კინოსიუჟეტები თუ სცენარები, მოულოდნელად — თვით შემთხზველთათვისაც თავზარისდამცემად — რეალურ სივრცეში ხორციელდება. მაყურებელი ქვეცნობიერად ვირტუალურს ხდის ჩამონგრეული ტყუპი კოშკის სურათებს და ისე უყურებს, როგორც ჰოლივუდის მორიგი ფილმის სპეცეფექტებს, თითქოს აგრესიული სანახაობის გაბათილებას ცდილობს, თვით მას რომ ემუქრება და სამიზნედ აქცევს. მაგრამ ასეთი გაბათილება მხოლოდ დროებითია, ხოლო ამ სანახაობის აგრესიულ ზემოქმედებას ვერც უკან დააბრუნებ და ვერც გააუქმებ.

* Giddens A. “Modernity and Self-Identity: Self and Society in the Late Modern Age”. Stanford: Stanford University Press, 1991, p. 156.

ჯერ კიდევ გიდენსი მიუთითებდა, რომ თანამედროვე სამყაროში სხვადასხვა საშიშროებანი ყოველდღიურობის ფონზე კი გაბათილდება, მაგრამ გლობალური მასშტაბით უკიდურესობას აღწევს. ამავე პოზიციაზე დგას ჟან ბოდრიარი, ვისთვისაც ნიუ-იორკი ის ადგილია, სადაც უაღრესი სიმძლავრე და უშიშროება პარადოქსულად გადაებმის უაღრეს მოწყვლადობას. ბოდრიარის მიხედვით, კინემატოგრაფიული კატასტროფები გვიმტკიცებს, რომ არსებობს იმპულსი ყველანაირი სისტემის მსხვრევისა, თუ "ეს სისტემა ახლოსაა სრულყოფილებასა და სრულ ძალაუფლებასთან"*. 11 სექტემბერი — მოვლენაა, რაც შესაძლებელი გახდა, ერთი შეხედვით, ყოვლისშემძლე და სრულყოფილი სისტემის შიგნით არსებული სისუსტის შედეგად. რაც უფრო გლობალური, ინტეგრალური და კონცენტრირებული სისტემაა, მით მეტად მოწყვლადია ცალკეულ წერტილებში. ამრიგად, უოლ სტრიტის გლობალური ფინანსური ყოვლისშემძლეობა ემგვანება მაგნიტად, რაც მანჰეტენის ურბანულ ქსელს სამიზნედ აქცევს. და რეალური სივრცის ყოველი სეგმენტიც ასეთივე სამიზნედ იქცევა, ოღონდ არა ამ მასშტაბისად.

ცხოვრების ყოველდღიურ რიტმსა, წარმოსახვით კატასტროფებსა და ნამდვილ კატასტროფებს შორის არსებულ ურთიერთობებზე მსჯელობისას შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ ამ ელემენტთა შემაერთებელი კავშირი. როგორც წრიულ სტრუქტურას ახასიათებს, ერთი და იგივე ფენომენი, წრის პერიმეტრის საპირისპირო ადგილებზე, საპირისპირო აზრს ატარებს. სწორედ ამიტომ წარმოსახვით კატასტროფებს სხვადასხვა აქცენტები გამოარჩევთ 11 სექტემბრამდე და 11 სექტემბრის შემდგომ.

ცხოვრების ყოველდღიურ რიტმსა, წარმოსახვით კატასტროფებსა და ნამდვილ კატასტროფებს შორის არსებულ ურთიერთობათა ამგვარი ქსელის განხილვისას შეუძლებელია არ შევნიშნოთ თავისებური კავშირი, ამ ელემენტებს რომ აერთიანებს. როგორც წრის სტრუქტურას სჩვევია, ერთსა და იმავე ფენომენში — წრის პერიმეტრის ურთიერთსაპირისპირო წერტილებში — სხვადასხვა აზრი ძევს. სწორედ ამიტომ წარმოსახვით კატასტროფებს, 11 სექტემბრის რეალურ კატასტროფამდე, ურთიერთსაპირისპირო აქცენტები აქვს. 11 სექტემბრამდელ წარმოსახვით კატასტროფებს ანაზღაურებს ყოველდღიურობის მონოტონური რიტმი, 11 სექტემბრის შემდეგ კი ვირტუალური ხდება რადიკალური გამოცდილება და მოქმედებას იწყებს, როგორც ფარი ყოველდღიური მონოტონური რიტმისა. ამ შემთხვევაში 11 სექტემბრამდელი წარმოსახვითი კატასტროფები ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებიან, ხოლო 11 სექტემბრის შემდგომი — რეალობის სფეროს (როგორც ფარი).

მეორე მხრივ, 11 სექტემბრამდელი კინემატოგრაფიული კატასტროფები მოქმედებს როგორც ნამდვილი საშიშროების რეალური სიმპტომები, ხოლო 11 სექტემბრის შემდგომდროინდელი კი — როგორც უარესი რეალური საშიშროების კომიკური იმიტაცია. პირველი შემთხვევის საპირისპიროდ, ამჟამად წარმოსახული კატასტროფები, როგორც სისტემის მოწყვლადობის რეალური სიმპტომები, 11 სექტემბრამდე უფრო რეალური მოჩანს, ვიდრე სექტემბრის მოვლენების შემდგომდროინდელნი, რომელნიც რეალურ მოვლენებს ვერაფრით შეეჯიბრებიან.

არსებობს არა ერთი, არამედ ორი წრე, რომელშიც მოვლენები თითქოსდა სხვადასხვა მხარეს მიემართებიან. ფანტაზიისაგან რეალობისაკენ მიმართულ წრეს ემატება მეორე, სადაც მოვლენები მიემართებიან რეალობიდან ფანტაზიისაკენ. უფრო მეტიც: ორივე წრე დაკავშირებულია სპეციფიკური კვანძით, რაც ბოდრიარმა რვიანის ფორმის მქონე მებიუსის ბაფთას შეადარა. ამ ფორმის ბაფთა შუაგულში იხრება და თითქოსდა ცვლის მოძრაობის მიმართულებას. სწორედ ამიტომ ისეთ მოვლენას, როგორიცაა, მაგალითად, "რეალობა", შეიძლება ჰქონდეს არა წრესავით ორი, არამედ რამდენიმე მნიშვნელობა, დამოკიდებული იმაზე, თუ მებიუსის ბაფთის რომელ მხარეს, მარცხნივ თუ მარჯვნივ, ზევით თუ ქვევით მდებარეობს ეს მოვლენა.

მებიუსის ბაფთის გარშემოწერილობაში მომხდარი ცვლილების შემდეგ შესაძლებელია საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, რამაც ამ ტექსტის დაწერა განაპირობა, დაბრუნება ნიუ-იორკის ქუჩების პლაკატებთან, მოქალაქეთათვის დასათვალიერებლად რომ გამოუფენიათ, თუ როგორ ნადგურდება ნიუ-იორკი და თვით მაყურებელიც წარმოსახვით კინემატოგრაფიულ სივრცეში. ცხადია, ამ ქალაქური რიტუალის რეალობისა და ფანტაზიის გააზრება საგრძნობლად გასხვავდება მებიუსის ძაფის სხვადასხვა წერტილში. და ამის ასახსნელად უნდა ვნახოთ თუ საერთოდ როგორ ფუნქციონირებს კინემატოგრაფიული სივრცე რეალურ საქალაქო სივრცეში.

## დასკვნების ნაცვლად: კატასტროფულის, როგორც საქალაქო რიტუალის განმეორება

როგორც მ. ჰორკჰაიმერი და ტ. ადორნო წერდნენ „განმანათლებლობის დიალექტიკაში“, მაყურებლისათვის ქუჩა კინოფილმის გაგრძელებაა. ამ გამოთქმის პერიფრაზირებით შეიძლება ითქვას, რომ კინოთეატრიდან გამოსული მაყურებელი თავს ქალაქის კინემატოგრაფიულ პავილიონ-მაკეტში აღიქვამს. ნიუ-იორკი, პარიზსა და რომთან ერთად, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე „კინემატოგრაფიული“ ქალაქია. კინო გარდაქმნის ნიუ-იორკს ურბანისტულ კინემატოგრაფიულ პავილიონ-მაკეტად, კინემატოგრაფიული მზერა ყოველდღიურ მზერას და ნიუ-იორკის ქუჩაში გამვლელი, ყოველდღიურ ქალაქურ ვითარებასა და მოვლენებს ვუდი ალენისა და მარტინ სკორსეზეს ფილმების ეპიზოდებად აღიქვამს.

ქალაქისა და კინოს სურათების ამგვარი ჩანვნა ქალაქის მაცხოვრებელს და კინომაყურებელს თითქოს ერთ წრეში ატრიალებს — ქალაქის ქუჩებიდან კინოსივრცისაკენ და უკან — კინოეკრანებიდან ქალაქის ქუჩებისაკენ. ურთიერთჩაწნული ქალაქისა და კინოს წრე, რასაც მოქა-

* Жижек С. «Добро пожаловать в пустыню Реального». М.: Фонд «Прагматика культуры», 2002, с.19.

Baudrillard J. The Spirit of Terrorism. In: Originally published in Le Monde, 2 November, 2001.

ეკატერინე ბაღდავაძე



გოგი ფარასტაშვილის კოლექციიდან

ქვირფასი სტუმარი

ლაქე და კინომაყურებელი რეალობად აღიქვამენ დიდი ძალდატანების გარეშე, ნიუ-იორკის ტურისტული ინდუსტრია და კინოინდუსტრია ერთ კომერციულ პროდუქტად ამოტივტივდება — ფილმებში წარმოსახული ნიუ იორკის ქუჩების ტურისტულ მარშრუტად. ყავის სმა თუ ლვეზელების გასინჯვა კინემატოგრაფიულ მადისმოყვარულებთან ერთად, ცენტრალური პარკისა ხეივნებსა თუ ჰუძონის ნაპირებზე სეირნობა, სადაც ნიუ-იორკელი შეყვარებულები დასეირნობენ, გამბედაობის მოკრება და იმ ქუჩების გადაკვეთა, სადაც ნიუ-იორკის განგსტერული ბანდები ერთმანეთს ყელს ღადრავენ — კინემატოგრაფიულ ვითარებათა განმეორება ქალაქის რეალურ სივრცეში, ფიზიკური სინამდვილისათვის აზრის მინიჭების რიტუალად იქცევა. თანამედროვე ვიზუალური კულტურის ნაყოფთა ძალა შესაძლოა ხშირად გადმოიცეს საკულტო როკ ჯგუფის U2-ის ერთი სიმღერით: „...even better than the real thing“ — „რეალურ ნივთზე უკეთესიც კი“. ქალაქის რეალური სივრცე თითქოსდა ჩამორჩება კინემატოგრაფიულს. კინემატოგრაფიულ მოვლენათა და ვითარებათა განმეორების რიტუალში მონაწილეობისას ყავა თითქოს უფრო „მაგარი“ ხდება, ლვეზელი უფრო „ტკბილი“ და სიყვარული უფრო „მხურვალე“. აქ კინო მოქმედებს როგორც მედიუმი, ფიზიკურ რეალობას იმ დამაჯერებლობას რომ ანიჭებს, რაც რეალობას თითქოსდა არც სჭირდება.

მაგრამ ნუთუ შეიძლება კატასტროფების ფილმთა კინემატოგრაფიული ვითარების განმეორება? ალბათ დიახ. და თუ შეიძლება, ამ განმეორებას იგივე დანიშნულება ექნება — ფიზიკური სინამდვილისათვის აზრის მინიჭებისა? ცხადია, არა. არსებითად, 11 სექტემბერი სხვა არაფერია თუ არა სიმბოლური განმეორება კატასტროფების ფილმთა მრავალი სიუჟეტისა. ასეთ — რეალურ ქალაქურ სივრცეში მომხდარ — განმეორებაში გააქტიურდა არა ქალაქის აწმყო, არამედ შესაძლებელი სცენარი, რაც მანამდე შესაძლებელ მომავლად მიიჩნეოდა.

კატასტროფების კინო — უპირველეს ყოვლისა, რიტუალური თამაშია მოქალაქისა ქალაქის დაღუპვასა და საკუთარ სიკვდილთან. თავის ჩვეულ რიტმშიც კი ნიუ-იორკი დიდწილად ფუნქციონირებს, როგორც ქალაქი სამყაროს დასასრულისა. სხვადასხვა კინემატოგრაფიული და ლიტერატურული ნარატივები წარმოსახვის ძალით თითქოს გამუდმებით აახლოებს ქალაქს დასასრულთან. გარდა წარმოსახვითი ნარატივებისა, არსებობს 11 სექტემბერი, თავისი უკიდურესობით წარმოსახვის საზღვრებს რომ მიუახლოვდა. წარმოსახვითი ან რეალური ნიშანი დასასრულისა თითქოსდა დამახასიათებელი გახდა ამ ადგილისათვის და განმტკიცდა ქალაქური ცხოვრების უბრალო გამოცდილებით, როცა ქალაქში სეირნობისას გეჩვენება, რომ ნიუ-იორკში უკვე აღრეულია ხალხები და რასები — რამდენადაც შესაძლებელია, აშენებულია — რის წარმოდგენაც შეიძლებოდა, შესაბამისად შექმნილი და ნაჩვენებია, რომ მსოფლიო ამ ქალაქში უკვე „განხორციელდა“.

„სამყაროს დასასრული“ ნიუ-იორკში იმდენად მოახლოვდა, რომ ხანდახან გვგონია, სამყარო მალე გაქრება, არცთუ შორეულ მომავალშიო. შემთხვევით არ არის, რომ რონალდ ემერიხის ნაწარმოების, სადაც ნიუ-იორკს შთანთქავს ოკეანის ტალღა და შემდგომ სიცივე და ყინული შებოჭავს, სათაურია, „The Day After Tomorrow“. „ზეგ“ ალბათ ყველაზე იდუმალებით მოსილი მანძილია დროში. „ზეგ“-ის წამი უფრო შორს არის, ვიდრე „ახლა“-ს წამი, რაც დაუყოვნებლივ ხდება და რასაც ვერ გაიაზრებ. „ზეგ“ უფრო შორსაა, ვიდრე „ახლავე“ ან „ხვალ“ — შესაბამისად შორს არის ისეთ მომავალზე, რომელმაც, რაკი ხვალ მოდის, უკვე დააჩნია კვალი „აწმყოს“ თავისი სიმპტომებით. მაგრამ „ზეგ“ „ოდესმე“-ს ანუ გაურკვეველ მომავალს არ გულისხმობს. ანუ „ზეგ“ უფრო შორსაა, ვიდრე კონკრეტული და რეალური აწმყო, მაგრამ უფრო ახლოს, ვიდრე მიუწვდომელი და ფანტასტიკური მომავალი. ეს არის დრო, როცა რეალობა ფანტაზიაში იჭრება, ხოლო ფანტაზია — რეალობაში. ისინი ერთმანეთს ასესხებენ თავის მახასიათებლებს — ფანტაზია სავსებით რეალური გვეჩვენება, ხოლო შესაძლებელი რეალობა, როგორც ოდესღაც, 11 სექტემბერს, თითქმის შეუძლებელი, და ამიტომაც არარეალური გვგონია.

რეალობისა და ფანტაზიის სწორედ ასეთი ჩახლართვის ფანტასტიკურ ვითარებათა განმეორება საქალაქო სიტუაციაში ორმაგ პროცედურად იქცევა. ერთი მხრივ, ამგვარი განმეორება შეიძლება ემსგავსებოდეს ზღაპრის ელემენტარულ განმეორებას, რის შედეგადაც საქალაქო სივრცეებში იქმნება ფანტასტიკური ქალაქები — დისნეილენდები. მაგრამ შესაძლებელია მეორეგვარი განმეორებაც, რომელიც ჰოკჰაიმერისა და ადორნოს მინიშნებულის საპირისპირო მიმართულებით წაგვიყვანდა — არა კინოთეატრიდან ქუჩისაკენ, არამედ ქუჩიდან კინოთეატრისაკენ. თავის წიგნში, "ეჭვქვეშ", ბორის გროისმა გვიჩვენა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს განმეორება. ნიღბის ფენომენზე მსჯელობისას ბორის გროისი ამტკიცებს:

შემთხვევითი არ არის, რომ ტრადიციული ნიღბები ძირითადად ბოროტებას გამოსახავენ — სიკვდილს, მრისხანებას, მუქარას, სიმახინჯესა და სიმხეცეს. როცა ჩემს სახიფათო მხარეს ნიღბად წარმოვაჩენ, ამით ექსპლიციტურად ვასაბუთებ ჩემზე არსებულ ეჭვს და ამით ვამშვიდებ სხვის მზერას. გულახდილობის ფენომენში ეს მზერა საკუთარ თავს ხვდება და ამგვარად ცოტა ხნით მაინც ბათილდება.*

ამგვარი პერსპექტივიდან მზერისას ცხადი ხდება, რომ კატასტროფის ფილმის სანახავად კინოთეატრში წასვლა მხოლოდ და მხოლოდ გართობის აქტი არ არის. ამგვარი ფილმის ნახვა ხიფათის ხელახლა „განცდაა“, რაც გარდაუვლად გვევლინება ქალაქის განვითარებისა ან განადგურების ნეგატიურ სცენარად. ვირტუალურ სივრცეში განცდილი ეს მუქარა თითქოსდა თავიდანაა აცილებული. შესაძლო კატასტროფების განცდილი სცენარი ვირტუალურად რჩება, ხოლო ამგვარი სცენარის შიშისაგან გათავისუფლება — რეალურ გამოცდილებად. ამ შემთხვევაში კინოთეატრი ის ადგილია, სადაც უფასურდება ისეთი ნეგატიური სცენარები, რომელთაც შეეძლოთ დაენგრიათ კინოთეატრის გარეთ არსებული სივრცე — ქალაქის ქუჩები.

---

* Гройс Б. «Под подозрением». М.: Художественный журнал, 2007, с.68.

კლოდ სიმონი

# „აკაცია“

**მხატვრობა, მუსიკა, სკულპტურა, მათემატიკა — აი, ხელოვნებისა და მეცნიერების ის დარგები, რომლებსაც კლოდ სიმონი თავის წიგნში „აკაცია“ საუბრისას მიმართავს. ერუდირებული საუბარი, რომელიც საფრანგეთის ლიტერატურის ნობელის პრემიის ლაურეატის მუშაობას აშუქებს.**

„აკაციის“, ისევე როგორც სხვა წიგნების დაწერისასაც, იგივე სირთულეები შემხვდა: წაშლა, ამოგდება, ჩამატება... როცა რომანი უკვე აღარ არის დიდაქტიკური, რალაც ჭეშმარიტებას აღარ გადმოგვცემს განვითარების პროცესში (სოციალური მოძღვრება, როგორც ეს ბალზაკს უნდოდა), თავდაპირველი მდგომარეობა, ერთგვარი მიზეზობრიობის კანონი და კვანძის გახსნა, რომელსაც ფაგე მის „ლოგიკურ დაგვირგვინებას“ უწოდებს, მაშინ ასეთი ნაწარმოები (რომელსაც „ჰარმონიულს“ დავარქმევდი) წესებთან წინააღმდეგობას აწყდება და მათთან შეგუება უწევს. წესები, რომლებიც მართავს ყველა მიმართულებას ხელოვნებაში (მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა და ა.შ.) ანუ ასოციაციებისა და კონტრასტების, ასონანსისა და დისონანსის, მიზანმიმართული განმეორებების, ფრაგმენტებისა და კონტრასტების და ა.შ. კომბინაციები. ასეთ პირობებში როდის უნდა გადაწყვიტო, რომ აღარ გააგრძელო და ტექსტი დასრულებულად მიიჩნიო?

რაულ დუფი, უმნიშვნელო, თუმცა ერთ-ერთი პატივსაცემი მხატვარი, რომლის მუშაობის პროცესის ნახვის პატივიც მქონდა, აკვარელის წინ მდგარი ფუნჯით ხელში მიხსნიდა: „აი, ახლა ყვითელი ან მწვანე ან კიდევ ლურჯი ფერის დამატებამ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს!..“ რარიგ უფრო მშვენიერია დიდ ოსტატთა (ტინტორეტო, რუბენსი) ესკიზები (ე.ი. თუ ხელოვნების მიზანი სილამაზეა, უფრო მეტად „დახვეწილი“), ვიდრე დასრულებული ტილოები! გახსოვთ, სეზანი რომ ამბობდა რენუარზე: „ამ მხეცმა საკმარისია 10-ჯერ შეახოს ფუნჯი პალიტრას, რომ უკვე აღფრთოვანებას იწვევს“ (და აქედან გამომდინარე მაგონდება სეზანის ექსპოზიცია პარიზში, სადაც როტონდაზე თავმოყრილ თორმეტიოდე ტილოს „Sainte-Victoire“ შორის გამოირჩეოდა ერთი ლურჯ-ნაცრისფერი თუ ლურჯ-მწვანე საღებავთა სქელი მონასმებითა და რამდენიმე კონტურით შესრულებული გასაოცარი ესკიზი). ნურც მიქელანჯელო დაგვავიწყდება, რომლის ზოგიერთი სკულპტურული ნამუშევარიც ჯერ კიდევ დაუსრულებელი სახით უკვე იმდენად დიდებულია (მასები, პლანირება, შუქ-ჩრდილის განაწილება), ერთმანეთს ულოცავენ, რომ აქ დასვა მხატვრის ფუნჯმა წერტილი...

ასე რომ, დასრულდა თუ არა ესა თუ ის ქმნილება, თვით ხელოვანის გადასაწყვეტია: შეუძლია თუ არა მარტო არსებობა. ვპასუხობ თუ არა ამ კითხვას? თითქმის აღარ საჭიროებს დახმარებას. პასუხობს ყველა ხელოვნებისთვის საჭირო იმპერატივებს, რომლებზეც ეს-ესაა ვისაუბრე.

## გეგმა ფერებში



„ფლანდრიის გზის“ რამდენიმე გვერდის (დაახლ. ნახ. სთ) დასრულების შემდეგ (არეული, დასაწყობი) მაინტერესებდა, როგორ მოხდებოდა ამ ფრაგმენტთა გაერთიანება და შეკვრა. ამისათვის თითოეულ პერსონაჟსა თუ თემას მივაკუთვნე სხვადასხვა ფერი და მას შემდეგ, რაც ერთ ხაზზე დავწერე თითოეული გვერდის მოკლე რეზიუმე, თვალში მხვდებოდა მინდორზე არსებული შესაბამისი ფერი. ქაღალდის პატარა ზონრებთან თამაშით პალიტრაზე დავიწყე კომბინაციების ძიება. ფერები მეხმარებოდა ერთი თვალის შევლებით ყველაფერი თვალსაჩინოდ დამენახა. პირველ თავს ჰქვია: „დაწყობა, გადაადგილება, კომბინაციები“. მუშაობის ამ ფორმით შემეძლო მენახა, ისევ უნდა მესაუბრა თუ არა წიგნის ამა თუ იმ მონაკვეთში ამა თუ იმ პერსონაჟსა და მოვლენაზე. როგორ შეიძლებოდა მათი მონაცვლეობა, გამეორება, სხვა ასპექტზე გადასვლა და ა.შ. „თქვენი დიდი პრობლემა პერიოდულობაა“ — მითხრა ერთ დღეს პიერ ბულემ. სწორად შენიშნა.

## აზრი ღია უნდა იყოს თუ დახურული

რაც შეეხება მიშოსავით ფიქრს, რომ მხატვრობა, ფერითა თუ ფანქრით შეადგენს მეტყველების უფრო ღია ფორმას, ვიდრე სიტყვებია, რასაკვირველია, ეს ასეცაა, ანუ როგორც მუსიკაშია, არ არის საჭირო სხვადასხვა ენების ცოდნა საიმისოდ, რომ ამან აგაღელვოს. ამის შემდეგ დასავლეთსა და მის ლიტერატურას თუ მივუბრუნდებით, რასაკვირველია, ვნახავთ, რომ არსებობს გასაოცარი ტექსტები, „დახურული აზრით“ (ასევე თითქმის ყველა რომანული ნაწარმოები დოსტოევსკიმდე ამბავზე იყო აგებული). ჯერ დოსტოევსკისთან, შემდეგ კი პრუსტსა და ჯოისთან ჩნდება „ღია აზრის“ ტექსტები, რომლებიც მზამზარეულ ჭეშმარიტებებს დახარბებულმა დიდმა საზოგადოებამ, ბუნებრივია, მიუწვდომლად მიიჩნია. რაც შეეხება ჭეშმარიტ პოეზიას, ის ყოველთვის პოლისემიური გახლდათ.

## წერის სამი პრობლემა

ერთადერთი, რასთან ბრძოლაც მიწევს წერისას, კვლავაც ჩემში, როგორც მგრძნობიარე არსებაში, ჩაბუდებული მოგონებები და არეული განცდებია; ბრძოლა,

მივაღწიო ჰარმონიულ მთლიანობას ენაში, რაც მაყალიბებს, როგორც მოლაპარაკე არსებას და შესაბამისად მოაზროვნეს. მოსკოვში საბჭოთა მწერლების შეკითხვას, თუ რა პრობლემები მაღელვებს, მივუგე, რომ სამ პრობლემასთან მაქვს საქმე: 1. წინადადების დაწყება; 2. გაგრძელება; 3. დასრულება. ეს ეხება როგორც თითოეულ პარაგრაფს, ისე თითოეულ თავსა და მთელ წიგნს. ინტერვიუში ეს განვაცხადე „აკაციიდან“ მოხმობილ მაგალითზე დაყრდნობით. მოვყევი როგორ გადაანყდა ღამით ლტოლვილთა მანქანა ესკადრონს. მანქანაზე იყო ისეთი სიმძიმის ტვირთი (სიტყვები), როგორიცაა ბუფეტები, ზარდახშები, ლეიბები და ა.შ. გროვის კულმინაციისათვის წინადადების დასაგვირგვინებლად მჭირდებოდა მსუბუქი საგანი (სიტყვა) და მივაგენი ველოსიპედს.

ჟულიენ გრენი

# „სამხრეთის ვარსკვლავები“

**სამხრეთ ამერიკის სიყვარული, მშობლიური სიყვარული, ხორციელ სურვილსა და რწმენას შორის ჭიდილი — აი, ყველა ის საკითხი, რომლითაც „ლევიათანისა“ და „შუაღამის“ ავტორი ხაზს უსვამს თავის შემოქმედებას.**

სამხრეთის ქვეყანა დღეს უკვე აღარ არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ერი, მაგრამ ეს ქვეყანა, სამხრეთი — ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაზრისით — კვლავაც ცოცხლობს. ნამდვილი ამერიკული ლიტერატურა სწორედ რომ სამხრეთიდან მოდის. პო, ტვენი, ფოლკნერი, უორენი და ა.შ. სხვა თვალსაზრისით ნურც მარგარეტ მიტჩელი დაგვავიწყდება. ეს სამხრეთული რევანშია. ერთადერთ გამონაკლისს ნათანიელ ჰოტორნი წარმოადგენს, მაგრამ იგი დროისა და ომის მიღმა დარჩა, თავის სამყაროში, როგორც ნამდვილი მწერლები იქცევიან ხოლმე.

მაგალითად: იეიტსი, რომელიც ირლანდიის მოვლენებს გაექცა, ან კიდევ დ. ჰ. ლოურენსი, რომელმაც ინგლისს ზურგი აქცია. ასე რომ, სამხრეთი არსებობს, როგორც სულიერი ერი. ენის არჩევანიც ჩემში საფრანგეთის სიყვარულმა განსაზღვრა. ავირჩიე ფრანგული ენა. ენა ხომ იგივე სამშობლოა. არა ვარ ვიწრო ნაციონალიზმის მომხრე, მაგრამ აქ მაინც მტკიცე არჩევანი ვამჯობინე. ავირჩიე იმ ქვეყნის ენა, სადაც ვცხოვრობდი. სურვილი ამერიკელად დარჩენისა დედისადმი ერთგულებაა, ასევე მამისა და მთელი ჩემი სამხრეთული ოჯახისადმი.

ორ უნიფორმას ვატარებდი: ამერიკულსა და ფრანგულს. არტილერიაში როგორც ფრანგულ, ისე ამერიკულ არმიას მივეკუთვნებოდი. 18 ნახევარი წლისა ლეიტენანტი გავხდი. მანამდე კი ამერიკის ჰოსპიტლებში ვმსახურობდი. 39 წლის ომის დროს აშშ-ში ამერიკული უნიფორმა მეცვა და მებარა „ამერიკის ხმა“ საფრანგეთისთვის, ანუ ომის საინფორმაციო სამსახური ევროპისთვის. ორმაგი განათლება ენის მხრივ — ეს გაორება — მუდამ თან მდევდა. ფრანგებს არაერთხელ უსაყვედურიათ ჩემთვის, ამერიკელად რომ დავრჩი. ამერიკელებს კი ემიგრანტად ანუ უცხოელად მივაჩნდი ყოველთვის.

## დედა, როგორც საყრდენი



დედას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჩემზე. მან ჩამინერგა ის აზრები, რომლებიც სიკვდილამდე თან სდევს ადამიანს, როგორც წესი, კერძოდ, სულიერების სფეროში. ქრისტიანული სარწმუნოება, ინგლისური ენა, ლიტერატურის სიყვარული და რელიგიური საკითხებით გატაცებაც დედის დამსახურებაა. ის, რომ დაცული ვიყავი განსაკუთრებული ფორმით, ცხოვრებაში ეს შთაგონება თან მდევდა და ყველანაირი შიში დამაძლევინა. ახალგაზრდა ვიყავი და შიში არ მქონდა... 16 წლისა არაგონის ფრონტზე ვიბრძოდი. მწამდა, ტყვია ვერას დამაკლებდა. ჭურვები ჩემს ირგვლივ ცვიოდა. დედის ამ უპირატესმა გრძნობამ — სიყვარულმა — დიდი დახმარება გაუწია ადამიანებს. საერთოდ ეს საყრდენია. დააკვირდით დედის როლს რემბოსა და ბოდლერის ცხოვრებაში.

## სილამაზის კულტი

პირველ შთაბეჭდილებას, რასაც ლამაზი სახე მიქმნის, საერთო არაფერი აქვს ხორცთან. ესაა უნივერსალური სილამაზე, როგორც პეიზაჟი. ყოველთვის მაფორიაქებდა სახესა და სხეულის ინტიმურ ნაწილებს შორის კავშირი. აფორიაქებული და გატაცებული ვიყავი ჩემს ახალგაზრდობაში. ლტოლვასა და ზიზღს შეხვდებით ჩემს არაერთ პერსონაჟთან, ჟოზეფ დეიდანს მოირასთან, ვისზევსკისთან „სამხრეთში“ და ელიზაბეტთან „შორეულ ქვეყნებსა“ და „სამხრეთის ვარსკვლავებში“. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოიყო ორი სფერო: ხორციელი და პლატონური სიყვარული, მე ვიტყოდი, უფრო სპირიტუალური. ეს იყო ჩემი ახალგაზრდობის დრამა. მოგვიანებით ჩემი ცხოვრება სხეულსა და სულს შორის ბრძოლის მუდმივ ასპარეზად იქცევა, რასაც თან ახლავს მორიგი მარცხი და საბოლოოდ უარის თქმა, რაც 30 წლით უკან მაბრუნებს, როცა გაფურჩქვნის ხანა მედგა. სულიერად უნდა გამეკეთებინა არჩევანი ღმერთსა და სამყაროს შორის. ვიყავი ხორციელად ძლიერი და ღრმად რელიგიური. ასეა! მე ვარ ერთი ვინმე უაღრესად ბედნიერი, მაგრამ ზოგჯერ გა-

წონასწორებული. პლატონური სიყვარული — ჩემს საუნივერსიტეტო წლებში, 20 წლის ასაკში — ერთდროულად დიდი ბედნიერებაც გახლდათ და საშინელი გამოცდაც. გამოცდა უმანკოებისა. მაგრამ როგორ ავხსნით ასეთ რამეებს, როცა ჩვენ ნაწილობრივ იდუმალებაში ვცხოვრობთ. და არასოდეს არაფერია ნათელი. სინამდვილეში არაფრის ახსნა არ შეგვიძლია. არსებითი აუხსნელია! ის, რაც ადამიანში რჩება, სულია. ანუ ის, რაც სხეულზე ზეობს სიცოცხლეშივე. სხეულს თავისი კუთვნილი დრო აქვს. მთელი დრო კი სულს ეკუთვნის. მე პასკალის მომხრე ვარ, რომელსაც ადამიანის მდგომარეობა სამყაროში დაყავს ღმერთამდე და სულამდე. თუმცა იგი იცნობს სამყაროს ამ ტკბილ და აკრძალულ ნეტარებებს. კარდინალი ნიუმანი, რომელსაც დიდად ვაფასებდი და ვაფასებ, უფრო გულღიად ამბობდა: „მე და ჩემი შემქმნელი და სხვა არაფერი“. რაც შეეხება ხორციელ პრობლემას: „როგორც ადამიანი, შეუძლებელია შეეწინააღმდეგო სექსუალურ ინსტინქტს“. ეს სიტყვები პაპთაგან ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურს პავლე VI-ს ეკუთვნის. ყველაფერი ამ სიტყვაშია: „როგორც ადამიანი“. მიიღო ღვთის შეწევნა — ნიშნავს დაემორჩილო ზოგიერთ ვალდებულებას და ზოგიერთ ადამიანის ბუნებისთვის შეუფერებელ რეჟიმს. და ეს გასაგებია ჩემთვის. როგორ გინდა 20 წლისა წინ აღუდგე სხეულს, რომელიც ფიზიკური ბედნიერებისთვის შეიქმნა?

### რელიგია და რომანი

ვარ მწერალი და ვარ კათოლიკე. დაჟინებით ვაცხადებ: არა კათოლიკე მწერალი. ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. მკითხველი თავისუფალია ისევე, როგორც მე, როგორც თითოეული ადამიანი დედამიწაზე. ეს არის ყველაზე გასაოცარი, მაგრამ სახიფათო წყალობა, რაც ღმერთმა მოგვმადლა: ჩვენი თავისუფლება! არ მიყვარს არც ქადაგება, არც მქადაგებლები. რწმენას არ სჭირდება არგუმენტები. ის არის! არასოდეს ვყოფილვარ ათეისტი. ეს ღვთის წყალობაა.

### მწერლობა, როგორც დამოუკიდებელი ძალა

ის, რაც ადამიანს შესძრავს ჩემს წიგნებში, რომლებიც ისე დაიწერა, რომ არ ვიცოდი, საით მივდიოდი, არის ის, რომ ისინი შეიქმნა მეთოდურად, თითქოს გარკვეულ გეგმას ემორჩილებოდა. თამაში ქვეცნობიერს მიჰყავს („მე“-ს?). ქვეცნობიერი ის მწერალია, რომელიც ძალიან კარგად ფლობს თავის ხელობას. სწორედ აქედან გამომდინარე მეუბნებოდა ანდრე ბრეტონი: „თქვენ ბუნებრივი, ავტომატური მწერლობის ყველაზე ჭეშმარიტი მაგალითი ხართ. მეც რომ ასეთი გარემოცვა მქონოდა!“ მას შურდა ჩემი, რადგან სწორედ ამის გაკეთებას შეეცადა „Nadja“-თი, მაგრამ ეს იყო ძალიან „გაცნობიერებული“. ძალზე მიყვარდა ეს ადამიანი. იგი ძალიან ლამაზი ენით მეტყველებდა და წერდა. რას ნიშნავს ავტომატური მწერლობა? ზუსტად არასოდეს განმარტებულა. საიდუმლოდ თუ არა, ენიგმად მაინც რჩება. ის შემოთავაზებული კი არა, ნაბრძანებია, წერ მხოლოდ მაშინ, როცა ქვეცნობიერი მზად არის. ვწერ, რომ გავიგო, რა მოხდება; ქვეცნობიერმა ეს იცის და ნელ-ნელა აშორებს საფარველს.

ფრანგულიდან თარგმნა
**შორენა გვილავამ**

მარიამ წიკლაური

# მარადი ნეფის მოლოდინში

ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული“ საინტერესოა თავისი სათქმელით, ფორმით, ენით, სტილით, უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. ეს არის რომანი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება. ისეთ ყოვლისმომცველსაც, რომელსაც თითო სიტყვით ძალიან ნაცნობი სახელები ჰქვია: ადამიანი, ზნეობა, სიყვარული, ხელოვანი, ქვეყანა, თავისუფლება, სულიერება, ნაყოფიერება და ბევრი ასეთი გასაოცარი და მარადიული სახელი.

„ორსული“ გასული წლის წიგნის ფესტივალზე შემოგვთავაზა გამომცემლობა „პეგასმა“ მკითხველებს. ეს რომანი გამოცემამდე ერთ-ერთ ჟურნალშიც იბეჭდებოდა გაგრძელებებით, წაკითხულიც მქონდა და, ამდენად, სულ ველოდებოდი, რომ ამ წიგნის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გამოავლენდა ლიტერატურული საზოგადოება. მიხარია, რომ დღეს აქ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ამ რომანის ძალიან კარგი და სერიოზული შეფასება მოვისმინე, მაგრამ შევეცდები ცოტა რამ მეც ვთქვა: ნინო სადღობელაშვილი თავისი თაობის და არა მხოლოდ ახალი თაობის ერთ-ერთი მართლაც გამორჩეული შემოქმედია. ეს მისი მესამე წიგნია. აქამდე გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოიცა მოთხრობების კრებული „ბამბაზიის სამოთხე“ (რომელიც დღეს გია ჯოხაძემ მშვენივრად მიმოიხილა) და ლექსების კრებული „შუაღამის იავნანა“. სულ მალე საზოგადოება ნინოს სხვა ახალ რომანსაც გაეცნობა. ის მრავალმხრივი შემოქმედია: მუშაობს პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიაში, პუბლიცისტიკაში და ყველგან პოეტად რჩება, რადგან ის ნამდვილი პოეტია თავისი სულიერებით. ბატონმა როსტომმა დღეს აქ ფრანგები ახსენა და აი, მეც აქედან დავიწყებ: ორიოდე დღის წინ, უნივერსიტეტში ვესწრებოდით „ფრანკოფონიის დღეების“ პროგრამით გამართულ შეხვედრას მწერალ ბესიკ ხარანაულთან და როცა საფრანგეთის ელჩს ვუსმენდი, რომელიც საუბრობდა ხარანაულის ახლახან ფრანგულად გამოცემულ „ამბა ბესარიონის წიგნზე“, გაოცებული იმას ვფიქრობდი, რა ბედნიერება იქნება, რომ ჩვენი გადაღლილი პოლიტიკოსები აიძულო ჩაუსხდნენ ლიტერატურას და შეძლონ, თუნდაც ცოტა ხნით მაინც, იმ სიამოვნების შეგრძნება რასაც კარგი ლიტერატურა ჰქვია და მერე „გახედონ“ თავიანთ ქვეყანას, მთელ მსოფლიოს და პრობლემებსაც. რა სხვანაირად დაინახავენ ისინი ქვეყნიერებას. ჩვენც გვეშველება და მათაც. და სანამ ამ ან სხვა ნაწარმოებებს საფრანგეთში თუ სხვა ქვეყნებში თარგმნიან და მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე დადგება ეს დრო, მანამადე იქნებ აქვე, მშობლიურ ენაზე ამოიკითხონ თუნდაც ამ რომანში სიტყვები: „ბედნიერია ის სახელმწიფო, რომელსაც პოეტები

ექსკლუზიური ერი, და ჩვენთან მხოლოდ მშობლიური წესები ამართლებს." ეს რომანი ახალგაზრდა ქალისათვის გასაოცრად გასაკვირი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაყოფია, რადგან, თუ პოეზია მხოლოდ სულის გამოცდილებისა და „წამიერი გაბრწყინების" პროდუქტია, პროზას ხომ ძალიან დიდი და ბევრი რამ სჭირდება შესაქმნელად. მაგრამ ჩვენი დღევანდელობა ნიჭიერი შემოქმედისთვის იმდენ „საკბილოს" იძლევა, გასაკვირი არცაა ეს. მთელი რომანი დაწერილია მისტიკის, ცხად-სიზმრის, პოეტურობისა და ცხოვრებისეული სისასტიკის ზღვარზე და როგორც ამ რომანის ერთი გმირი ამბობს: „ბავშვობიდან მძულს მისტიკა, რადგან სულ მგონია, რომ ამაზე ყალბი არაფერია სამყაროში. სიყალბე კიდევ სიცრუეა და ძალიან ბრძენი უნდა იყო, ტყუილი რომ კეთილად მოიხმარო". ბრძენია ავტორი, რომლის მიერ არაჩვეულებრივად მიგნებული ეს საცალფეხო ბილიკი რომ არა, სტილურად ვერაფრით შეკრავდი ამდენ ერთი შეხედვით დამოუკიდებელ ამბავსა და პრობლემას. საქართველოს უახლესი წარსული და დღევანდელობა, მითიური ამირანის ძლევაუძლეველობისა თუ მთაში შენახული ყველაზე წრფელი სიყვარულის თემებს, აფხაზეთისა და საერთოდ, შინაგანი ლტოლვილობის თემას, საკუთარი თავიდან გასვლისა და საკუთარი უნაყოფობის დაძლევის პრობლემას, მარადი იუდასა და მარადი ქრისტეს ურთიერთობას, ეგოიზმისა და სიყვარულის ბრძოლას, ხელოვანის ზნეობის პრობლემის, წარსულისადმი პასუხისმგებლობისა და მომავლისადმი დამოკიდებულებათა შემუშავების საკითხებს, ყოველდღიურობაში შემოჭრილ პოლიტიკას, თავისუფლების არსის გარკვევას, მამის წიალის ძებნას, ცხოვრებისეული საზრისის ძიებას, სამშობლოსა და ღვთის ძიებას. მერე ამ ყველაფრის ხელოვნებაში და სიტყვაში გადასახლება და ამით სამყაროს კიდევ ერთხელ და უთვალავჯერ აღწერა, გამოხატვა. უთვალავჯერ „რწმუნების" მოძიება საკუთარ თავში და საკუთარ ერშიც, რომ სიყვარული უმაღლესი თავისუფლებაა, რომ გზაა ღვთისკენ, მარადისობაა. და ამ გზაზე დაცემული ადამიანის კათარზისისთვის კი ალბათ მართლაა საჭირო: „დედის მუცელში დაბრუნება და ხელახლა შობა". იმდენი პრობლემაა დანახული და აღძრული ამ არცთუ ისე დიდ წიგნში, რომ ავტორის სიტყვები: „არაფერზე წერაა სწორი, მეომრები სულაც ჰაერში წერდნენ ყველაზე ძვირფას წერილებსაც კი. აბა, სად ჰქონდათ ფურცელი და კალამი" და მართლა როგორ ჰგავს ჩვენი ყოფა მეომრულს და მართლა იმდენ რამეზე გვაქვს საფიქრალი, ვინ იცის იქნებ საბოლოოდ მართლაც ყველაზე დიდ ოსტატობასა და ნიჭს , სწორედ ეს არაფერზე წერა ითხოვს და ბედნიერების ფერიც მართლა „არაფრისფერია". მამის სიტყვები გავიხსენოთ, მთავარ პერსონაჟს რომ მიმართავს: „ხომ ხედავ ყველაფერი რა უცნაურად ტრიალებს შენს გარშემო. თითქოს თვლემს, სიზმრების მორევში იძირება, ნაყოფს ვერ იღებს. გვამის სუნი არ გცემს? აბა, კარგად დაყნოსე ჰაერი, დაყნოსე, ჰო! სანამ რამეს ისეთს არ ჩაიდენ, რაც აცოცხლებს, რაც აფხიზლებს, რაც ხელახლა შობს – შველას ნუ დაელოდები". მაგრამ გვაქვს კი უნარი ასეთი სიახლის შობისა? იქნებ ის პატარა ბავშვი (რომანის ერთი გმირი – დათა) მომავლის საქართველო, ჯერ რომ არაფერი გაეგება ამ ცხოვრებისა და სულ მამის მოლოდინშია?




რომანის პერსონაჟებს თითქოს პირადადაც ვიცნობ, ადვილად ახდენს მკითხველი იდენტიფიცირებას მათთან. აი, უმთავრესი, რაც მინდა გამოვყო და რაზეც აქ არ უთქვამთ: ეს არის მთავარი გმირის კოტე ნიჟარაძის შესახებ დედის სიტყვები ( მე ვიტყოდი, გასაღებიც კი ამ რომანისა): „საშინელი თვისება აქვს: არასდროს მარცხდება!" და რაა ეს დაუმარცხებლობა? იქნებ სწორედ გამარჯვების კარის დახშვა საკუთარ თავში? და იქნებ ეს თვისება არა მხოლოდ კოტეს, არამედ მთელ საზოგადოებასაც გვჭირს? რომელმაც "გაუმარჯოს" ძახილში კი არა, სწორედ დუმილში უნდა დაიმუშოს გული? „სიკვდილი მიყვარს, ის გამოწვევასავითაა, მტერივით, რომელიც ყველაზე დიდ აზრად გექცევა". დიახ, სიკვდილზე გადის სიცოცხლის გზა და ამ მსოფლგანცდის მატარებელია ავტორიც. ძალიან ბევრი რამის თქმაა შესაძლებელი და ბევრი ადგილი და პასაჟია გამოსაყოფი რომანიდან, მაგრამ ავტორის მიერ გამოგონილი „მეთერთმეტე მცნებისა" არ იყოს, „არ მოიხიბლოო" , ჩვენც ალბათ, მთელ საზოგადოებასაც ამაზე გვაქვს დასაფიქრებელი, არ აღმოვჩნდეთ თუ უკვე არ ვართ „გამარჯვების ხიბლში" ჩაფლულები. საინტერესოა სოფელ კარსანის პასაჟი, საგიჟეთი, საჰაერო ბურთით ფრენა, მიტინგების დარბევისას დაბადებული ბავშვი, ორსული ხეები, თითებიდან ზეთის ლურჯი საღებავივით გამოჟონილი იების თაიგული, მამის საფლავის სცენა, სარკეში საკუთარი გამოსახულების გაქრობის სცენა, გაურკვეველი საპყრობილე, და ბევრი სხვა რამ. ეს რომანი თითქოს წრიულობას შეიცავს თავის თავში: წყობით, არქიტექტურით. აქ რაღაც იწყება და მთავრდება და ისევ იწყება (როგორც "სამოსელ პირველში"). აქაც ცხოვრება სიტყვითქმნადობით აისახება, იწერება და იქმნება სიტყვით. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მწერალს (მთავარი გმირები, ორივენი მწერლები არიან), რომელზეც ავტორი ამბობს კიდეც „აბელის მოდგმისანი ვერაფერს დაწერდნენო, ვნება არ ეყოფოდათო". სიტყვას და სიტყვის მისტერიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. „სიტყვა როცა ხარ, გვერდითაც სიტყვა გინდა მოიწვიოო". გმირები ახლა სხვა წიგნში გადასასახლებლად ემზადებიან. სხვაგან წაიყოლებენ „სულის პურსაც და ცრემლის მარილსაც", როგორც ავტორი ამბობს. მრავალი დღის მერეც მოსაძიებელი იქნება აქ დასმული კითხვების პასუხები და ყდაზე წარმოდგენილი კახაბერ შარტავას არაჩვეულებრივი ფოტო ალბათ არასდროს დაავიწყდება თვალს და ალბათ, უპირობოდ გადააშლევინებს ამ წიგნს ნებისმიერს, რომელმაც არც კი იცის ჯერ, ვინ არის მწერალი ნინო სადღობელაშვილი და რა ნაყოფს მოელის მისგან „ორსულის" მკითხველი. მე კი უკვე დარწმუნებით ვიცი, რომ გმირი ეკა გვიანიძე ქართულ გმირთა გალერეას შეემატა, თავისი უსათუთესი ბუნებით, მაძიებელი სულით, პასუხისმგებლობის საოცარი უნარით მოყვასთა წინაშე, თავისი მარადიული გზასავალით, რომელზეც ბევრი დამარცხებულა და აღმდგარა, რომელზეც უტკბილესი ნაყოფიც მოუმკიათ, მიუხედავად იმისა „ჯამბაზობის დრო" დგას თუ მარადიული ნეფის მოლოდინში მლვიძარებენ სულები.

ნინო დეკანოიძე

# სიმბოლური ხიდი

საინტერესოა თვითონ მოსაწვევი. მოხდენილი, მიმზიდველი ბუნებრივი ფერადოვნებით. ეს ფერადოვნება ქაღალდის უთვალავი წეროებისა მრავლისმეტყველად სიმბოლურია, რომ ადამიანი გამეტებულია იყოს დიდი ბოროტების ან დიდი ბედნიერების შემოქმედი, უმრავლეს შემთხვევაში – მომსწრე.

ბრძენი ერი, რომელიც დღესაც იშუშებს ჰიროსიმისა და ნაგასაკის ჭრილობებს, მსოფლიოს წინაშე მაინც აყვავებული ალუბლების ხეივნებით წარსდგება. ამ ხეივნებიდან დიდი სინათლე გადმოდის. საკურა და ყველაფერი ცხადია – სიცოცხლე არის მშვენიერი...

და აქეთ, ჩვენკენ. მოსაწვევი იმითაცაა საინტერესო, რომ „გათვალისწინებულია 2 კაცზე და პრეზენტაციის დღეს გაიცვლება ერთ წიგნზე“. რახან არავის დავუპატიჟივარ, მუდამ მოუცლელი რედაქტორი გულკეთილად მითმობს თავისას, ოღონდ აუცილებელი პირობით: მოვიპოვო ის ერთი წიგნი და მოვიტანო დანიშნულებისამებრ...

პრეზენტაცია **პაატა ნაცვლიშვილის** ახალი წიგნისა **„ნამდვილი ქაღალდის წერო“** გაიმართა იაპონიის საელჩოს ინიციატივით 10 დეკემბერს, თიბისი ბანკის მეტად პრესტიჟულ გალერეაში. შესაბამისად, მონიშნულ დროს, ამ მისამართზე თანდათანობით შეიკრიბა დედაქალაქის ბომონდი; და არა მხოლოდ. მიპატიჟებულთ, როგორც წესი, აქ ყოველთვის შექმნილი აქვთ საზეიმო განწყობა. ასე იყო იმ საღამოსაც. გულუხვად გაშლილ შვედურ მაგიდაზე, ნახევრად შევსებული ლალისფერი და ქარვისფერი ღვინით, ბრწყინავდა ბოკლები მწკრივად. ენაფებოდა ვინ როგორ! ზოგი წყურვილის მოსაკლავად, ზოგიც მოხდენილად იმარჯვებდა ხელში ეტიკეტისათვის და აგემოვნებდა ნება-ნება, თანაც ათვალიერებდა წიგნის ავტორის შესანიშნავ ფოტოგამოფენასაც, რომელიც ერთი ფრაზით ასეც შეიძლება დახასიათდეს: „ნიჭიერი კაცი იაპონიაშიც ნიჭიერია“ ანდა „ხელიდან ოქრო ცვივა“.

პრეზენტაცია გახსნა იაპონიის ელჩის თანაშემწემ **თეონა ნაცვლიშვილმა.** მასთან ერთად ღონისძიებას საპატიო მისიით წარმართავდა საელჩოს თანამშრომელი **რუსუდან გვერდწითელი** ვისი პროფესიული გულმოდგინებითაც სიტყვით გამომსვლელთა ენობრივი ბარიერი დაძლეული იქნა.

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულება ბატონმა **მასაიოში კამოჰარამ** გამოხატა რა კმაყოფილება დასრულებული პროექტის და მისი ავტორის პაატა ნაცვლიშვილის მისამართით, საზოგადოებას აუწყა, რომ ქართველი ჟურნალისტის თავდადებული შრომისმოყვარეობა დაფასდა – შესანიშნავი წიგნით, რომელიც იქნება სიმბოლური ხიდი ორ ქვეყანას შორის. ბატონმა ელჩმა ყურადღება გაამახვილა არაერთ კულტურულ ღონისძიებაზე, რომელიც იაპონიის საელჩომ ჩაატარა საქართველოში და აგრეთვე დასძინა, მსგავსი ღონისძიებანი კვლავაც გათვალისწინებული იქნებაო.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს: **პაატა ნაცვლიშვილმა, ზურაბ აბაშიძემ, იური მეჩითოვმა.** ავტორმა მადლობა გადაუხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყმაწვილობისდროინდელი ოცნების ხორცშესხმისათვის, და 2009 წლის თებერვალში იაპონიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა; რომ ამ მოგზაურობამ საშუალება მისცა უშუალოდ გასცნობოდა იაპონური პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სპორტის ცალკეულ ასპექტებს, შეხვედროდა საინტერესო ადამიანებს, დაეთვალიერებინა და ფოტოკამერით აღებეჭდა იაპონიის სხვადასხვა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და ეს ყველაფერი ქართველი მკითხველისათვის გაეზიარებინა.

აღსანიშნავია, რომ ამ მდიდრულ წიგნში მიმობნეულია ავტორისავე ლექსები, რომლებიც იაპონური ტანკისა და ჰაიკუს ანალოგიითაა შექმნილი; და კიდევ პაატა ნაცვლიშვილი ამბობს: „ყველა ჭეშმარიტი წიგნი, ფერის, თემისა და შინაარსის მიუხედავად, მშვიდობისა და სიკეთისათვის მებრძოლი ქაღალდის წეროა... ძალიან მინდა, ყველა ჩემი წიგნი, ყველა ჩემი ნაწარმოები ქაღალდის წერო იყოს, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი“.

წიგნი „ქაღალდის ნამდვილი წერო“ გამოსაცემად მომზადდა თბილისში, აიკრიფა და დაკაბადონდა „პეტიტში“, გამოიცა სტამბა „სეზანის“ მიერ, და არის ნიმუში საგამომცემლო ხელოვნებისა. პროექტის რეალიზაციას მხარი დაუჭირეს **Japan Tobacco**-ს კომპანიების ჯგუფმა და **„თი-ბი-სი“ ბანკმა.**

დასასრულისათვის: რედაქტორს – ეს მშვენიერი წიგნი, რედაქციას – მასალა, მიმომხილველი მადლიერია შთაბეჭდილებისათვის.

როსტომ ჩხეიძე

# სიჭაბუკის არსი და ხატი

– მე არასოდეს არ დავბერდები!

თამაზ ჩხენკელის თვალწინ წელში მოღუნული მოხუცი ძლივს გადადიოდა ქუჩაზე და წამიერი განცდა გამოიწვევდა ამ აღშფოთებას სიბერეზე, აღგზნებასაც, და შიშსაც.

წამიერი განცდა ვითომ?

მართლა ასე რომ ყოფილიყო, ეს წამოძახილი არც კი დაამახსოვრდებოდა თამაზ ბიბილურს, არამცთუ ლიტერატურული პორტრეტის კამერტონად ექცია, კამერტონადაც და თავისებურ ქვაკუთხედადაც.

ლიტერატურული პორტრეტი თამაზ ჩხენკელის ჟანრი გახლდათ, მისი პოეტური ბუნებისათვის ასერიგად მახლობელი. დახვეწილ სტილისტიკას ავსებდა ფსიქოლოგიური დაკვირვებანი და ბელეტრისტული პასაჟები და ამ გადაკვეთაზე იქმნებოდა მისი მხატვრულ-დოკუმენტური სილუეტების ის სერია, სანიმუშოდ რომ წარმოგვიდგება და ხელშესახებს ხდის თვითონ ავტორის სილუეტსაც, თითქოსდა შეფარულსა და მიმალულს ლაკონიური და ხატოვანი თხრობის სიღრმეში.

ამ ჟანრის თავისებურება ესეცაა – ყოველთვის რომ ცნაურდება ავტორის ის პიროვნული თვისებანი, რომელსაც ძალზე ბუნდოვნად ან სრულიად ვერ მიაკვლევ მისივე მხატვრულ თხზულებებში.

ლიტერატურული პორტრეტის ოსტატი სასურველია თვითონაც გამხდარიყო ამ ჟანრის ქმნილების გმირი, და თამაზ ჩხენკელს ამ მხრივ ნამდვილად გაუმართლებდა – მარტოდენ ნარკვევები თუ რეცენზიები კი არ მიეძღვნებოდა, არამედ პორტრეტთა რკალიც შემოისალტებოდა მის გარშემო, ამ რკალის ერთი საუკეთესო ნიმუში კი თამაზ ბიბილურის ის მცირე თხზულება აღმოჩნდებოდა („მონოლოგი თამაზ ჩხენ-

კელზე“), იმ ვითომდა ნამიერი განწყობილების გამომხატველ, არადა, ეგზისტენციური შინაარსის ფრაზას რომ შემოგვინახავდა.

მისი სულიერი წყობის გამამჟღავნებელს.

მისი არსებობის წარმმართველს.

მისი ბიოგრაფიის თანამდევს უკანასკნელ წუთამდე.

– მე არასოდეს არ დავბერდები!

შუა ხნისა უკვე აკვირვებდა ყველას.

და ოტია პაჭკორია დაღლილობას რომ ვერ ატყობდა, ამ მოტივით ხსნიდა:

– თამაზ ჩხენკელი ჩვენს შორის ყველაზე ნაკლებ დასცილდა სიჭაბუკის არსსა და ხატს.

რვა ათეულ მიტანებული ხომ აკვირვებდა და აკვირვებდა.

და ვახტანგ ჯავახაძეს რა ამოუშლიდა მეხსიერებიდან იმ წუთებს, ამ უჩვეულობის შემსწრე რომ შეიქნებოდა:

– 2007 წლის 11 დეკემბერს... თამაზ ბიბილურის ხსოვნის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. ჩუბინაშვილის ქუჩაზე მივდიოდი და შორიდან დავინახე: ტაქსი გაჩერდა, ტაქსიდან მკვირცხლად გადმოხტა მამაკაცი და ჩემკენ გამომართა, მოაბიჯებდა და ძალიან ჰგავდა ახალგაზრდა თამაზ ჩხენკელს. მომიახლოვდა და თამაზ ჩხენკელი აღმოჩნდა, ოთხმოცი წლის თამაზ ჩხენკელი!



თამაზ ჩხენკელი

არასოდეს არ დავბერდებიო...

არც ბერდებოდა.

ისეთი სიმსუბუქით დაატარებდა წლებს, თითქოს დრო მის გარეთ მიედინებოდა... ალბათ მართლაც ასე იყო, რადგანაც ვერა და ვერ დააშორა სიჭაბუკის არსსა და ხატს.

თამაზ ბიბილური ანტიკური ტრაგედიის გმირს რომ შეადარებდა, თამაზ ჩხენკელი უთუოდ ამ გაიგივების დადასტურებას ესწრაფოდა ბედისწერასთან შერკინებითა და იმ დანაქადების აღსრულებით, არაფრისდიდებით რომ არ უნდა გადაებიჯებინა იმ მიჯნისათვის, რომლის იქითაც სიბერე იწყებოდა, ჭირთა უფრო ძნელი, რუსთველისა არ იყოს.

შერკინება შერკინებად, მაგრამ მაინც თავისი უნდა გაეტანა ბედისწერას და თამაზ ჩხენკელსაც გამოეცადა, თუ რას ნიშნავდა სიბერის სუსხი, მხოლოდ მონაბერად, მხოლოდ ნამიერად, მაგრამ მიჯნაზე კი შედგამდა ფეხს და გარეგნობაზეც დააჩნდებოდა ის იერი, სიჭაბუკის ხატს რომ უნდა გამოთხოვებოდა თანდათანობით.

იძლია ვითომ?

მაგრამ გამოსავალს მაინც ჰპოვებდა, ერთბაშად რომ გადაირბენდა სიბერის ხანას და წუთისოფელსაც გადასცილდებოდა – აღარც მის ძახილს მიუგდებდა ყურს და აღარც მის ჯანღებს შეეპყრობინებოდა.

არასოდეს არ დავბერდებიო...

აკი არც დაბერებულა!..

ხმით ნატირალი უსათუოდ დაშვენდებოდა მის გაბიჯებას ამა სოფლიდან, და ზურაბ კიკნაძის ის სტრიქონები, მეგობრის გასაცილებლად ჩანიშნული უბის წიგნაკში სწორედაც ხმით ნატირალს მოგვაგონებს ინტონაციითაც და შინაგანი აგებულებითაც:

– თამაზ, თამაზ, ოდესმე, იმ გარდაუვალ ჟამს, როცა დადგება ყოვლის ბოლო და შეჯამდება ყოველი ნამოქმედარი და „გან-რა-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა“, თუკი რაიმე გაგვამართლებს მის წინაშე, მწამს, რომ ამ ქვეყნის დაუვიწყარ გზებზე ჩვენი ხეტიალი და ჩვენს შეუდარებელ დაბა-სოფლებში ღამისთევანიც იქნება. მარჯი შენს გზას!

რობაქიძული „მარჯი“ აქ უზუსტესადაა შერჩეული – თავისი ტევადობითაც და იმ გზნებითაც, ამ სიტყვის დამამკვიდრებელს რომ სჩვეოდა, და თავისი ტრაგიკული ხვედრითა და იდუმალებით ასერიგად მახლობელი რომ გამხდარიყო თამაზ ჩხენკელის სულიერი ბიოგრაფიისთვისაც. ეს ბიოგრაფია ხომ ისევე გადაჯაჭვოდა ამ სახელს, როგორც სხვა ძვირფას სახელებს, რომელთა ნაწერების წყალობით სულიერი ჩამოყალიბებისა და თვითდადგინების რიტუალის აღსრულება ყოველთვის საამაყოდ ჰქონდა.

ამ ქვეყნის დაუვიწყარ გზებზე ჩვენი ხეტიალი და ჩვენს შეუდარებელ დაბა-სოფლებში ღამისთევანიო...

აქ მარტოდენ საქართველოს შემოვლა არ იგულისხმება.

გზებზე ხეტიალიც და დაბა-სოფლებში ღამისთევანიც „ოდისეას“ ქართული ორეულის შექმნისათვის თავგამოდებამ გამოიწვია.

მიზეზი თითქოს ყოფითი გახლდათ – ამხელა საქმის აღსასრულებლად განმარტოება სჭირდებოდა ორივეს, მხოლოდ ჰომეროსით ცხოვრება, ეს მყუდროება კი არც ოჯახურ საზრუნავს უნდა დაერღვია და არც ნათესავ-მეგობართა სტუმრობას.

თავისთავად ეს სულაც არ არის უბრალო მიზეზი, მაგრამ სხვა მოტივი არანაკლებია, თუ მეტი არა – „ოდისეა“ ასეთი დიდებულებით ვერ ამეტყველდებოდა ქართულ ენაზე, მთარგმნელები თვითონაც გაუთავებელ ხეტიალში რომ არ ყოფილიყვნენ იმ ოთხი წლის მანძილზე.

„ოდისეა“ ოდისეათი უნდა გამოცხადებოდა ქართულ სამყაროს, და „ვისრამიანის“ სწორუპოვარი ქართული ვერსია აღარ ყოფილიყო მარტოსული, როგორც პოეტური ეპოსის გარდათქმა პროზად.

თუკი რაიმე გაგვამართლებს უფლის წინაშეო...

მესიის მეორედ მოსვლისას ღმერთი ამ ენით ამხელდა კაცობრიობას – ის მისტიკური ძეგლი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ დაბეჯითებით გვამცნობდა ამ გარდუვალობას და უამრავი კალამი რომ დაშვრებოდა მისი

სიმბოლური მინიშნებების გასაშიფრად, თამაზ ჩხენკელიც და ზურაბ კიკნაძეც დიდხანს იტრიალებდნენ ამ საიდუმლოს ამოსახსნელად და გულმოდგინედ შეეცდებოდნენ მისი დაფარული შინაარსისაკენ გზის გაკვალვას.

რაც უნდა იყოს, ქართული ენის გადარჩენას ჩაგვაგონებდა ენიგმური ტექსტი, მისი ამოუწურავი სალაროსა და ბრწყინვალების, და ყველა მოქალაქე – მითუფრო, სიტყვის კაცები – მოვალე გახლდათ მისი დიდებულების შესანარჩუნებლად ძალ-ღონე არ დაეზოგათ.

თუნდ ქართული „ოდისეაც“ ამ მისიის სრულუფლებიანი ნაწილი გამხდარიყო, დამადასტურებელი ჩვენი ენის მთავარი ძარღვის სიმრთელისაც და მისი კიდევ ერთი გამოღწევისა საბედისწერო მოსახვევიდან.

დაე შეჯამებულიყო ყოველი ნამოქმედარი!..

არასოდეს არ დავბერდებით...

უკანასკნელ თვეებში სიკვდილის დამღა აღებეჭდებოდა სახეზე და კიდეც უდრტვინველად გაჰყვებოდა მის გზას... და მწუხარე სიტყვები რომ გააცილებდა, ერთი მათ შორის ხმით ნატირალის სიცხოველესაც შეიძენდა, როგორც ამონასხლეტი იმ რეალობიდან, დრო-ჟამის მიჯნას რომ არა სცნობს და იდუმალ ხმებს მიყურადებული რაღაც სხვას დაეძებს, რაღაც მესამეს სიკვდილ-სიცოცხლის სამყაროული რიტმის მიღმა.

...დრო აკი ისედაც კარგა ხანს მიედინებოდა თამაზ ჩხენკელის გარეთ. ვიდრე მის არსებაშიც შეაღწევდა და მოაგონებდა, რომ მისი ჟამიც მოწეულიყო, თუნდ ისიც ფეხზე მდგარი შეგებებოდა სიკვდილს, ფეხზე მდგარიც არა, ყალყზე შემდგარი თავისი ერთი ლიტერატურული პორტრეტის პერსონაჟივით, ვინც იმ სურათის ქვეშ წაიქცეოდა, დაფიონის სისხლიან მწუხრში თავგანწირვით მიმქროლავი თეთრი ცხენი რომ გამოსახულიყო.

ფიქრი და განსჯა

გივი ალხაზიშვილი

# შთაბეჭდილებათა ნაკვალევი

## იგივეობის ვარიაციები და სიახლე

დღეს საინტერეო თემაზე ვსაუბრობდით. კერძოდ კი ვარიაციების იგივეობაზე პოეზიაში და, ამდენად, პოეზიის სიკვდილზე მათ შემოქმედებაში, ვინც უსასრულოდ იმეორებს იმავეს. ჩემი აზრით, ასევე შეიძლება საუბარი მკვდრადშობილ ფსევდოსიახლეზე.

როგორც გუშინ გითხარი, დიდი ხანია ამ პრობლემაზე ვფიქრობ და გარკვეულწილად ვცდილობ თავი ავარიდო ადგილის ტკეპნას და მოყირჭებულ იგივეობას. კიჩი აქაც მძლავრობს, მაგრამ იმ მასშტაბით და ხარისხით არა, როგორც მოსალოდნელი იყო.

ეს ის პროცესია, როცა საჭიროა არსებული, დაბეტონებული იდეების და ფორმების დეკონსტრუქცია, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებისას აუცილებელია იმის ზედმიწევნით ცოდნა, ფლობა, რის დეკონსტრუქციასაც განიზრახავს მავანი.

ჩვენში კი ურთიერთგამომრიცხავი ვითარებაა – ვინც სიახლის ძიებაშია, ვერ ახერხებს „იგივეობის“ დეკონსტრუქციას, რადგან არ იცის ის, რის დეკონსტრუქციასაც ცდილობს.

სიახლე ან სიძველე თავისთავად არ ნიშნავს კარგს ან ცუდს. კლასიკურ, მკაცრ ფორმებში არაერთხელ გაირკვა, რომ ფორმალისტური იგივეობისას შესაძლებელია მისი განახლება ინდივიდუალური ნიშნით, რასაც პირობითად “ახალი სულით ინსტალაცია” დავარქვათ. კლასიკურ სალექსო ფორმებში ვგულისხმობ იაპონური ლექსის ტრადიციას, სონეტს, ღაზელს და ა. შ.

ე.ი. მხოლოდ ფორმალისტური სიახლეები არ არის საჭიროა და საჭიროა ახალ იდეათა ხორცშესხმასა და აქტუალობაზე ფიქრი და მათი არეკვლის გზებისა და ხერხების გადააზრება... ეს ყველაფერი და კიდევ მრავალი სხვა შესაძლებელია პრაქტიკულად განახორციელოს პოეტმა, თუ საამისო ნიჭი და ნებელობა ექნება და არა მარტო შიშველი სურვილი, რაც წინასწარ ნიშნავს მარცხს.



ვხედავ, რომ ლიტერატურულ პროცესში ასეთ ძიებებს მოკრძალებული ადგილი უჭირავს და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ცალკეულ ავტორებთან განახლების პროცესი დაწყებულია და რაც მეტად საინტერესოა, ეს ხდება სხვადასხვა სტილისტიკის და თაობის პოეტების შემოქმედებაში და ჯერჯერობით მაინც იშვიათ გამონაკლისზე შეიძლება ვისაუბროთ.

სიახლე არასოდეს არის გაბატონებულ მდგომარეობაში მანამ, ვიდრე არ გაიმარჯვებს და თვითონვე არ დაადგება კიჩის გზას. ამიტომ განახლების პროცესი ცვალებადია და უწყვეტი. ეს პროცესი ასევე თავისთავში გულისხმობს ვილაცების ხიბლში ჩავარდნას, ნარცისულ თვითტკბობას და თანდათანობით შემოქმედებით კვდომას. ცუდია, როცა სიახლის სახელით ჩიხისკენ გვიბიძგებენ და ძველის ვარიაციებს უწოდებენ განურჩევლად ყველაფერს და თვითონ არც რაიმე ახალს და ღირებულს ქმნიან და არც „ვარიაციების“ წერა შეუძლიათ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდათ, არამედ — საამისო ძალა არ შესწევთ. აქ ისევ თავს იჩენს იმ ველის აუთვისებლობა, რისი დეკონსტრუქციაც აუცილებელია, მაგრამ შეუძლებელია არსებული ნამდვილი დინების და ინერციის შესწავლის გარეშე.

ძალიან ვრცელი თემაა და ურთიერთშეთანხმებაც ძნელი მისაღწევი და შეიძლება არც არის საჭირო.

## აკვიატება

ერთმა ფრანგმა ავტორმა - გასულ საუკუნის მიწურულს - წიგნად გამოსცა ასი სონეტი. 99 სონეტი ურითმოდაა შესრულებული, ხოლო მეასე ზუსტად იცავს სონეტის ყოველ მკაცრ და აუცილებელ მოთხოვნას; იგი მკითხველს ამით ეუბნება, რომ ეს ყველაფერი იცის და გავლილი აქვს, და რომ 99 სონეტის ურითმობა, არც შემთხვევითობაა და არც სონეტის სტრუქტურის ვერფლობა, და რომ სონეტის ურითმობა ავტორის ნებაა.

ჩვენშიც იწერება სონეტი და არსებობს კიდეც ქართული სონეტის საფუძვლიანი გამოკვლევა.

უპრეცედენტო შეიძლება ვუწოდოთ სონეტების ერთ პუბლიკაციას, სადაც ავტორი ვერ იცავს რიტმს

და რამდენიმეჯერ რიტმიდან ამოვარდება და ბესიკურ საზომს შეუგნებლად არღვევს და გვთავაზობს ერთი მარცვლით ნაკლებ ან მეტ სალექსო სტრიქონს.

დიდი კვლევა არ უნდა, აშკარად ჩანს, რომ ფრანგი ავტორისგან განსხვავებით მისი ბუნება არ არის პროსოდია, იგი ვერ ფლობს კონვენციას და მარცვლების დათვლისას თითებს იშველიებს. არც ამისთვის დავძრახავ ავტორს, თუ კი უჭირს თითებიც მოიშველიოს, სამწუხარო კი ის არის, რომ სწორად დათვლას ვერ ახერხებს, რადგან აშკარად არ აქვს რიტმის, პროსოდიის შეგრძნება, რაც აუცილებელი პირობაა ტრადიციული სალექსო სტრუქტურის დაუფლებისას. დიდიხანია ვხედავ, როგორ იწვალებს თავს ეს ავტორი კონვენციით და სონეტებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წვალებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მინდა ვურჩიო, შეეშვას კონვენციას, ასე რომ სტანჯავს, და საკუთარ ბუნებას — ანუ არაკონვენციურობას დაუბრუნდეს. ისედაც ხომ ამტკიცებენ მნიშვნელოვანი სიახლეების აღმომჩენები, რომ პროსოდია, კონვენცია, გარითმვა — საბჭოური გადმონაშთებია და თავი უნდა ვანებოთ.

მის სონეტებში განსხვავებული საზომის სტრიქონებმა ყური რომ მომჭრა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რატომ სვამს ტოლობის ნიშანს ხელოსანსა და ოსტატს შორის. მიზეზი ბანალურია, იგი უბრალოდ მოკლებულია კლასს და კონვენციის ტყვეა, როცა ცდილობს კონვენციური ლექსი დაწეროს. მაგრამ ტყვეობიდან თავდახსნილს სძულს ტყვეობის პერიოდი და საერთოდ ნებისმიერი კონვენცია, სიტყვის მუსიკალურ მნიშვნელობას და მის აქცენტირებას სიგიჟეს და ჯადოსნობას უწოდებს, ერთი სიტყვით, სძულს კონვენცია და ყველაზე რთულ ფორმას — სონეტს ირჩევს საჯილდაო ქვად. სონეტში კიდევ უფრო გამოაშკარავდა, რომ იგი შეგირდიც არაა, მხოლოდ იმიტომ რომ პროსოდია, კონვენცია მისი ბუნება არ არის და ვერასოდეს მიაღწევს ოსტატობას.

ამიტომაა, რომ ის ლიტერატორები, რომლებმაც მონაფურ დონეზეც ვერ აითვისეს ტრადიციული პოეზიის გამოცდილება და ფსევდო-ავანგარდში ისკუპეს, კიჩად მოიხსენიებენ ყოველ პოეტურ ნიმუშს, თუ იგი ტრადიციულია. იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ სალექსო ფორმა ჭურჭელია, რომელშიც შესაძლოა ღვინოც ჩაასხა და გაურკვეველი წარმომავლობის სითხეც, თუმცა ესენი, ძველიაო, მაინც გაიძახიან. როგორც ვატყობ, დღეს ნახევარფაბრიკატული ტექსტების გამოჩეკვაა სიახლე და უბრალოების სახელით მოწოდებული ბანალობა კი ჩვეულებრივი ნიღაბია, ვერფლობის დასამალავად რომ იყენებენ და თან ნოვაციადაც ნათლავენ. სულ ეს არის მთელი მათი ნოვაციის ტექნოლოგია.

პოლ ვალერი სიამაყით იხსენებდა დროის იმ პერიოდს, კონვენციის საიდუმლოებათა შესწავლასა და ათვისებას რომ შეალია. არ დამავიწყდებაო, ასე წერს იგი შეგირდობის პერიოდზე.

ჩვენს ავტორსაც უნდოდა მსგავსი რამ ეთქვა, მაგრამ სათქმელი არ აქვს, რადგან ზოგჯერ სტრიქონში მარცვალს სწორად ვერ ითვლის და რიხით ათანაბრებს, აიგივებს ოსტატისა და ხელოსნის მნიშვნელობას, რადგან მართლაც ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან იმას, რაც თვითონ ვერ დაძლია და არ იცის. სულაც არ არის სამარცხვინო, საერთოდ უარი თქვას კონვენციის ათვისებაზე და უმრავლესობასავით გააგრძელოს ალტერნატიული გზების ძებნა, რადგან მისი ბუნება არ არის პროსოდია, რისი სწავლაც თითქმის შეუძლებელია, მითუმეტეს ორმოც წელს გადაცილებილი ავტორისთვის.

თუმცა ვერ აითვისებს-მეთქი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რადგან, ვინ იცის, რა სასწაულს გვთავაზობს განგება?!

პროსოდია ნიჭის ნიშან-თვისებაა და ვისაც არ გააჩნია, ვერც ისწავლის, მაგრამ ამის გამო არ უნდა შეიძულოს ის ენა, რომელსაც ვერ ფლობს, ან რომელ ენაზეც არ შესწევს ძალა რაიმე მნიშვნელოვანი დაწეროს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ პროსოდიის და კონვენციის სრული ფლობაც კი არ არის საკმარისი პოეზიის მოსაპოვებლად და ვერფლობამ რაღა უნდა მისცეს ავტორს, ასე რომ აუკვიატებია, სონეტშიც მოსინჯოს ძალა.

## რჩევას არ გავითვალიწინებ!

ერთმა ჩემმა კოლეგამ, როგორც მიმანიშნა — კეთილმოსურნეობის გამოისობით, თორემ ისე რა რჯიდა, მირჩია, რომ უჯრაში გამომემწყვდია ჩემი მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „მომავალი წარსული" და მხოლოდ მას მერე გამომექვეყნებინა, როცა ისინი —„ჩემი თანამშრომლები" ცოცხლები აღარ იქნებოდნენ, რომლებსაც „ვამასხარავებ და დამნაშავეებად გამომყავს" ამ წიგნის ფრაგმენტებში, „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე რომ დაიბეჭდა.

ჩვენი საუბარი წერილობითი იყო და ვთხოვე მოსაუბრეს, რომ ბოლომდი მადლიერი დავრჩები მისი, თუ კეთილს ინებებს და კონკრეტულად დამისახელებს, რომელ თანამშრომლებს გულისხმობს და რითი ამტკიცებს მისი ვარაუდების სინამდვილეს, რომ არგუმენტების გარეშე ამ ბრალდებას არ მივიღებ. ვთხოვე, რომ წაეკითხა გამოქვეყნებული ფრაგმენტები, რათა მითქმა-მოთქმით გამოწვეული ცრუ შთაბეჭდილება „სინამდვილედ" არ მოსჩვენებოდა. პასუხი აღარ მოუწერია და მეც გამუდმებულ თავის მართლების რეჟიმში არ ვაპირებ ცხოვრებას, მეტადრე მაშინ, როცა თურმე ძალიან იოლია კონკრეტული არგუმენტების მოხმობა და ჩემი „არაეთიკურობის" გამომზეურება.

მოკლედ, ასეო, ჯერ უჯრაში გამოამწყვდიე ეგ წიგნი და, როცა ყველა დაიხოცება, მერე დაბეჭდეო. დავუჯერებდი კეთილმოსურნე კოლეგას, რომ არა ზოგიერთების განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამავე წიგნში არ უნდა შევხებოდი გარდაცვლილებს, რათა გარდაცვლილებზე მხოლოდ კარგს ამბობენ ან არაფერსო.

მოლას, ვირის და ბავშვის იგავისა არ იყოს, ნებისმიერ შემთხვევაში მწერალია დამნაშავე და არა ის, ვისაც სურვილი არ აქვს ამა თუ იმ პერსონაჟში თავი ამოიცნოს. უცნაურია, მაგრამ ყოველ პერსონაჟთან, წიგნში რომ დამკვიდრდა, ერთდროულად რამდენიმე ადამიანი აიგივებს საკუთარ თავს, როგორც ამბობენ „იდენტიფიცირებას ახდენს" და ყოველი მათგანი იჩემებს ეს მე ვარო.. მაგრამ ხმალლა კი არ ამბობენ, კულუარებში აგრძელებენ დავას და საზოგადოების ერთი ნაწილის წაქეზებას ამ წიგნის ავტორის წინააღმდეგ.

ესა თუ ის პერსონაჟი კრებითი სახე, სახეთა ჯამია და რომელიმე ერთი პიროვნების დოკუმენტური ასლი სრულებითაც არ არის. ამავე წიგნში ასახული რეალური ადამიანები დოკუმენტურ მასალასთან ერთად ჩნდებიან და მე ვიცი, რომ სწორედ იმ დოკუმენტების შეხსენება არ სიამოვნებთ, მაგრამ მე, როგორც მწერალს, არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ ფაქტებს, რომელიც იმ ეპოქის და ადამიანების სახეს წარმოაჩენს, თან არსებულ ექსტრემალურ ვითარებაში, როცა ისინი უშურველად აჩენდნენ თავიანთ სახეს, რისი გახსენებაც ახლა, გასაგები მიზეზების გამო, აღარ სურთ და მწერალზე იბოლმებიან: არ უნდა გაეხსენებინა, რა დროს ეგ იყოო.

არ ვითვალისწინებ ჩემი კეთილმოსურნე კოლეგის რჩევას და წიგნს უჯრაში არ გამოვკეტავ, და არც იმ თემაზე ვიფიქრებ /ღმერთმა დამიფაროს/, როდის დაიხოცებიან პერსონაჟები და მკითხველები — ავტორის ჩათვლით, რათა მერე ვიღაცამ თვალი დაადგას ამ წიგნს და იქნებ გამოსცეს კიდეც, თუ ჭკუაში დაუჯდა.

მითქმა-მოთქმა, რომელმაც ჩემამდეც მოაღწია, ძირითადად ფსევდომორალისტურია და იმ ადამიანთა პროპაგანდისა და წუხილის გამომხატველი, თავის თავი რომ ამოიცნეს ამ წიგნში, მაგრამ არ კი უნდათ აღიარონ, რომ ისინი არიან და შემოვლითი გზებით ცდილობენ მწერალს დასდონ ბრალი, აქაოდა არ უნდა ეთქვა, პერსონაჟებზეც კი ის, რაც შეიძლება ჩვენზე მინიშნება გამოვიდესო. ნამდვილი სახელების დარქმევა, „საგმირო" ამბების გამომჟღავნება საღვთო საქმეა, მეტადრე მაშინ, როცა საბჭოთა ჯილდოების და კგბ-ეს აგენტის მეტსახელების გადამალვა და ათასი კომპარტიული დანაშაული ხახვივით შერჩა ზოგიერთს. როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, გაფუჭებულ ტელეფონობანას თამაშობენ. უმრავლესობას, ავტორს რომ ადანაშაულებს, წაკითხული კი არა, თვალითაც არ აქვს ნანახი ის ჟურნალები, სადაც ჩემი წიგნის ფრაგმენტები დაიბეჭდა, და მაინც, გაუთავებლად იმეორებენ ათას შეუმოწმებელ სისულელეს, მერე თვითონვე იგონებენ, „ამდიდრებენ" და იჯერებენ კიდეც.

მოვუბოდიშებ ჩემს კეთილმოსურნეებს და მათ რჩევას ვერ გავითვალისწინებ, უჯრაში წიგნს არ გამოვკეტავ და წელს აუცილებლად გამოვცემ.

ჩემს მრჩევლებს მინდა შევახსენო, რომ ისედაც ბევრი რამ მაქვს უჯრაში გამოკეტილი, რის გამოქვეყნებასაც თავი ავარიდე სრულიად გასაგები მიზეზების გამო. დრო მიკარნახებს, მაუწყებს, ვითარება გადამაწყვეტინებს რამდენად გამართლებული იქნება ზოგი რამის არქივიდან ამოცურება და გამოქვეყნება.

დროთა განმავლობაში, არ გამოვრიცხავ, წიგნი შეივსოს ახალი თავებით და ფრაგმენტებით, იმ წლების ცოცხალი სურათებით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში რომ ჩაიკარგა და სადაც გარკვევით ჩანს საბჭოური ხანის ამორალობა, აქამდე რომ გამოჰყოლია ზოგიერთს, ან იქნებ არც გამოჰყოლია და მექანიკურად იმეორებს იმათ აზრს, ვისაც ხელს არ აძლევს ამ წიგნის გამოქვეყნება, და მირჩევს — მანამ არ გამოვაქვეყნო, ვიდრე ყველა არ გარდაიცვლება, ვისაც კი მეხსიერება შერჩენია და იმ ჟამიანობის ამბებისა რაიმე გაეგება.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ

არქივის დალაგება გაურკვეველ განცდებთან არის დაკავშირებული. ერთი მხრივ, ეს არის ფინიშისთვის მზადება /ქვეცნობიერად/, როცა თავს არ უტყდება კაცი და გაუცნობიერებლად ეძებს გამოსავალს/ არქივით დაიმედება/. მეორე მხრივ, დაუბეჭდავ ლექსებში ცრუ საყრდენის ძიება იმის შიშით, რომ მომავალში რაღა უნდა დაწეროს კაცმა და ა. შ.

კარგია, რომ პირდაპირ მითხარი — რაა კარგი და რა ცუდი. ილუზიებს დავეხსენი და შევდივარ მკაცრ რეალობაში, რასაც გავურბოდი ჩემი საქციელით. შინაგანად მზად ვიყავი სიმულაციურ რეჟიმში მეცხოვრა და წარსული /ერთხელ უკვე დაწერილი/ მექცია ძირითად საზრდოდ.

ასე რომ, არქივის დალაგებაც კი გამოცდა ყოფილა და რაღაც საფეხურიც, ამავე დროს, რომლის გადალახვა გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს.

ასე რომ, დიდი მადლობა სიმართლისათვის.

* * *

დღეს ჩემი შვილიშვილი — ქეთი — ათი წლის გახდა. დაპატიჟა თავის ამხანაგები, კლასელები, უბნელები და ბავშვთა ცენტრში — მოსაშვილის ბოლოში — ვაკის პარკთან — წვეულება გავმართეთ. იყვნენ მშობლებიც. ქეთის ძმა, გივიკოც ესტუმრა და მიულოცა.

ვიდრე ეს საბავშვო ტაშფანდურა გაიმართებოდა, ქეთის ვუთხარი: შენ პირველად გახდი ერთი ათეული წლის, რომელიც ორნიშნა რიცხვით აღინიშნება. გაივლის დრო და გახდები ორი ათეულის, სამი ათეულის... მერე ექვსი ათეულის, როგორც მე, თუმცა მე უკვე ამას ველარ მოვესწრები. ბავშვს სახე შეეცვალა, ლამის ატირდა, შენ თუ არ იქნები, მე რად მინდა სიცოცხლეო. დავამშვიდე და ვუთხარი, რატო მაინცდამაინც ექვს ათეულზე იტირე და არა ოთხ ათეულზე? მაშინ ხომ შენც ცოცხალი იქნებიო. შემომღიმილა.

ახლა რომ დავუჯერო ჩემს შვილიშვილს და ასხუთ წლამდი ვიცოცხლო, ხომ იქნება სასაცილო. მეტი არაა ჩემი მტერი, მაგრამ შვილიშვილისგან მაინც სასიამოვნოა ასეთი გულუხვი წყალობა, თან ეჭვიც რომ არ ეპარება თავის ვარაუდში.

ეკა ბუჯიაშვილი

# ქართული ცივილიზაციის მოდელი

*

## პავლე ინგოროყვას სულის მოსახსენიებლად

იდგა 1983 წლის 22 ნოემბერი.

მაჩაბლის ქუჩიდან დიდუბის პანთეონამდე ფეხით მიდიოდა პროცესია, უკანასკნელ გზაზე რომ მიაცილებდა პიროვნებას, რომელმაც დიდწილად განსაზღვრა საქართველოს არსებობა XX საუკუნეში, იმ დრამატულ ეპოქაში, მთელი მონდომებით რომ ცდილობდა ჩვენი ქვეყნის წარსულის წაშლას. ამიტომაც არც ამ ადამიანის ძალისხმევას ეპუებოდნენ, სიცოცხლეშივე ცდილობდნენ, გაეუფასურებინათ მისი მონაპოვარი, მიეჩქმალათ მისი ღვაწლი, მაგრამ... ადამიანთა მცირე ჯგუფმა იცოდა მისი ფასი და უკანასკნელ გზაზე ხელით მიასვენებდნენ დიდ მოამაგეს პატარა ქვეყნისა, რომლის შვილობაც მძიმე ჯვარივით მიჰქონდათ გზაზე ერისკაცებს.

უკანასკნელ გზაზეც ჩაუსაფრდებოდნენ.



*მამა გიორგი, ამირან არაბული, როსტომ ჩხეიძე*

აქაც შეეცდებოდნენ, ხელიდან გამოეტაცათ პროცესიისათვის და არ მიეცათ უფლება რიტუალის შესრულებისა, მაგრამ... ამჯერად მაინც არ დაანებებდნენ ხელისუფლებას თავისი ნებისამებრ წარემართა მსვლელობა – დიდუბის პანთეონამდე ფეხით მიაცილებდნენ, მანამდე, ქაშუეთის სამრეკლოზე ზარებს აახმიანებდნენ და მთელ ერს ამცნობდნენ, რომ გარდაცვლილიყო დიდი პიროვნება;

სამშობლოს მოკვდომოდა პავლე ინგოროყვა.

მას შემდეგ ამ დღეს ყოველ წელიწადს თავს იყრიდა დიდუბის პანთეონში და პატივს მიაგებენ ამ დიდი მოღვაწის ხსოვნას. წელსაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით შეკრებილა. სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი **გიორგი სამანაშვილი** პარაკლისს რომ ალავლენს მგალობელთა გუნდის (ხელმძღვანელი **ლაშა ზაალიშვილი**) თანხლებით, ასე მიმართავს შეკრებილებს:

„ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორ გაივლის ამ წუთისოფელს. ღვთივ სათნოდ ცხოვრება უფლისა და ქვეყნისათვის ცხოვრებას ნიშნავს. ასე გაიარა თავისი წუთისოფელი პავლე ინგოროყვამ და უფალმა გაანათლოს მისი სული".

ჯერ კიდევ ოცი წლის ყმაწვილმა შეძლო, გამოეცა ქართული სასულიერო პოეზია, როგორც ნიმუში იმისა, თუ რას ნიშნავს უძველესი ეპოქებიდან ამოიტანო განძი და აქციო იმ რეალობად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ქართული კულტურა. იგი წერდა ნაშრომებს არა მხოლოდ ცალკეული მონაკვეთების შესახებ ერის ცხოვრებიდან, არამედ მთლიანად ქვეყნის ბედისწერას გამოხატავდა უშორესი ხეთური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე და ქმნიდა ერთ მთლიანობაში გააზრებულ ქართული ცივილიზაციის ისტორიას. მის ამ ღვაწლს რომ გაიხსენებს **როსტომ ჩხეიძე**, ამასაც აღნიშნავს:

– პავლე ინგოროყვას ადგილი მთაწმინდაზეა, ისევე როგორც არჩილ ჯორჯაძისა. იგი ჩვენთვის არა მხოლოდ მეცნიერი და ეროვნული მოღვაწეა, არამედ პოლიტიკოსიც არის, ვის ნააზრევსაც უნდა დაეფუძნოს იდეოლოგია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისაო.

მისი სიცოცხლე მაგალითია იმისა, როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა, ეროვნულმა მოღვაწემ, კულტურის დიდმა მცოდნემ და მოამაგემ.

პავლე ინგოროყვას ცხოვრების საბოლოო მიზანი იყო გამოცემულიყო თავისი ნაშრომების შვიდტომეული.

„2010 წელია და ეს ჯერ კიდევ არ შესრულებულა, – დანანებით იტყვის **ნიკა სანებლიძე,** – ახლახან გამოიცა მისი თხზულებების მეორე ტომი, რაც საბჭოთა სინამდვილეში შეუძლებელი იყო, რადგან მასში უნდა შესულიყო „გიორგი მერჩულე". შესაბამისად, ეს ისტორიული ნაშრომი ქართული საზოგადოებისათვის სათანადოდ ცნობილი ვერ გახდა... და ამის ნაყოფს დღესაც ვიმკით, რადგან ჩვენ რომ საკუთარი ისტორია გვცოდნოდა, შესაძლოა ბევრი რამ აგვერიდებინა ბოლო წლებში თავს დამტყდარ უბედურებათაგან".

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ პავლე ინგოროყვას ეს განზრახვაც ჩაუშალეს. განსაკუთრებით „გიორგი მერჩულეს" ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი უნდა მიჩქმალულიყო და კიდეც მოახერხებდნენ ამას, გამოცემითაც მხოლოდ სამი ტომი მომზადდება – პირველი, მესამე და მეოთხე – აი, ის საკრალური მეორე ტომი კი მხოლოდ წლების შემდეგ იხილავს დღის სინათლეს **დავით გალეგაშვილის** ძალისხმევით. მისი თქმით, „ეს ყველაფერი XXI საუკუნის საქართვე-

ლოს განსაკუთრებულად სჭირდება. უფალმა მოგვცა შანსი, გვეცხოვრა დამოუკიდებელ საქართველოში, მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, დამოკიდებულია იმაზე, როგორ სახელმწიფოს ავაშენებთ. თუ ამ ყველაფერს ისე გავუძლვებით, როგორც პავლე ინგოროყვას წარმოედგინა, მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობაც დიდხანს გასტანს. თუ არადა, შესაძლოა მალე გამოგვეცალოს ხელიდან".

**ჯანსუღ ჩარკვიანის** თქმით, ასეთი შეკრებები იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მომავალ თაობას ვაჩვენოთ, ვინ იყო პავლე ინგოროყვა, როგორი სულისკვეთებით ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე და რამოდენა მემკვიდრეობა დაუტოვა თაობას. სამაგიდო წიგნები დაუტოვა შთამომავლობას, „ქართული სასულიერო პოეზია", „გიორგი მერჩულე", „რუსთველიანა"... რომლებშიც ნათლად ჩანს დიდი ცოდნაც, ფიქრიც, განსჯაცა და სიყვარულიც ჩვენი ქვეყნის წარსულისა თუ მომავლისა.

ამიტომაც **გია მურღულია** მას უწოდებს „კაცს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით განასახიერებდა მოღვაწეობას. არა მარტო განსაკუთრებული მიგნებები, მისი შეცდომებიც ბევრ რამეს გვასწავლის.

ძალიან კარგ საქმეს აკეთებს როსტომ ჩხეიძე ყოველწლიურად რომ გვკრებს ამ დიდი ადამიანების ხსოვნის პატივსაგებად. საქართველოში არის რამდენიმე საფლავი, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეს უფრო მეტ აზრს სძენენ, ვიდრე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ერთ-ერთი ასეთი პავლე ინგოროყვას საფლავია".

ამიტომაც არ ეპუებოდნენ.

ამიტომაც ჩასდგომოდა კრიჭაში ავბედითი ეპოქა. დროება ცდილობდა, მედროვეთა ხელით გაეუფასურებინა მისი ღვაწლი. მაგრამ... ადამიანთა მცირე გუნდმა მაინც ხომ იცოდა მისი ღვაწლიცა და ფასიც. თავის დროზე სხვებთან ერთად გურამ ასათიანიც შეეცადა გამოქომაგებას:

„გაივლის დრო, დადგება სხვა საუკუნე, იმ საუკუნის მოქალაქეები გაიგებენ, რომ XX საუკუნის მიწურულს საქართველოში იყო ისეთი ავტორიტეტული დაწესებულება, როგორიცაა მეცნიერებათა აკადემია და ჩვენს თაობას შერცხვება მომავლის წინაშე, რომ ამ დაწესებულებაში პავლე ინგოროყვა არ იყო". მურმან ლებანიძე კი სულაც ლექსს რომ უძღვნიდა, თავისებური ძარღვით ეტყოდა სათქმელს:

„შენ არ მოკვდები, შენ უნდა გახმე..."

და ამ ყველაფერს შეკრებაზე რომ გაიხსენებს **თემურ ქორიძე**, დასძენს:

„ის მართლაც გახმა, დიანგრა, დაილეწა... მაგრამ არ მიუტოვებია თავისი დიდი საქმე.

რომელ საუკუნეშიც არ უნდა ეცხოვრა, თუნდაც რუსთაველის დროს, ის ყოველთვის იქნებოდა დიდი მოაზროვნე და საქართველოს მწიგნობართუხუცესობა დაშვენდებოდა".

ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მეათე 22 ნოემბერი იდგა.

პავლე ინგოროყვას საფლავთან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ და სამშობლოს სამრეკლოზე ახმიანებული ზარებით ცდილობდნენ მთელი ერისთვის შეეხსენებინათ, რამხელა მოაზროვნე ჰყავდათ.

ისინი საუბრობდნენ მოღვაწეზე, რომელმაც შექმნა ერთ მთლიანობაში გააზრებული ქართული ცივილიზაციის ისტორია.

იხსენებდნენ კაცს, რომელმაც ბევრწილად განსაზღვრა ჩვენი არსებობა დრამატულ XX საუკუნეში, მთელი მონდომებით რომ ცდილობდა ჩვენი წარსულის ნაშლას.

კიდევ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდამდე გზაზეც საუბრობდნენ და ადამიანურ სათნოებათა შორის უდიდეს მადლზეც, ხსოვნა რომ ჰქვია.

**ანდრო ბედუკაძე** კი ამბობდა:

– ხსოვნის შენახვა იმას ნიშნავს, რომ საკუთარ წარსულს მივაგებთ პატივს და გვაგრძნობინებს, რომ ღირსნი ვართ ამ დიდი წინაპრებისაო.

ელენე ამაღლობელი

# კვალზე

✵

## ოთარ ჩხეიძის მემორიალის გახსნა

**– ამ დღეებში 90 წელი შეუსრულდებოდა. თვითონ გულგრილად უყურებდა სახელის უკვდავსაყოფად ზრუნვას – იქნებოდა ეს ანთოლოგია, ენციკლოპედია, პანთეონი, ძეგლი... – და თუ ამ სურვილს გადავუხვიეთ, მხოლოდ ერთადერთი მოტივით – ხვალინდელ საქართველოს ძალიან დაჭირდება ოთარ ჩხეიძე. ის იყო არა მხოლოდ ლიტერატურული მოვლენა, არამედ პოლიტიკურიც და საქართველოს სახელმწიფოს მოდელი ბევრწილად შეიძლება ამოვიდეს მისი თხზულებებიდანაც. ხვალ თუ ზეგ ეს აუცილებლად მოხდება, უამრავი ადამიანი დაინტერესდება მისი ბიოგრაფიული დეტალებითაც – სად ცხოვრობდა, სად მოღვაწეობდა, სად იქმნებოდა ეს პირუთვნელი თხზულებანი იმ უმწვავეს, სასტიკ ჟამს, – ასე მიმართა ფალიაშვილის ქუჩის 6 ნომერთან ოთარ ჩხეიძის მემორიალის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას როსტომ ჩხეიძემ.**

ოთარ ჩხეიძის სახელობისა ქუჩაც არსებობს უკვე თბილისში, ეს მემორიალური დაფა კი კიდევ ერთი ფრაგმენტი, კიდევ ერთი დეტალი იქნება ხსოვნის უკვდავსაყოფად მათთვის, ვინც ქვეყანას კულტურისა და ზნეობის მიხედვით აფასებს.

90 წელი უნდა შესრულებოდაო.

მისი ცხოვრება და შემოქმედება XX საუკუნესა და ახალი ათასწლეულის დასაწყისს გადაეჯაჭვა.

ხანგრძლივად იცოცხლა და კიდეც დაადგა გვირგვინი თავის თხზულებათა ციკლს „მატიანე ქართლისაი", სადაც საქართველოს ტრაგიკული ბედისწერა გამოიხატა და მომავალ თაობას დაუტოვა მატიანე უმძიმესი დროებისა. სწორედ ამიტომ აღნიშნავს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ სამადაშვილი**, რომ „ოთარ ჩხეიძე, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საქართველოს სჭირდება, რადგან დღევანდელი საზოგადოება აშენებს სახელმწიფოს და მაგალითი შეუდრეკელობის, ნონკონფორმიზმის, შრომის, მოღვაწეობის, ქედუხრელობის... ყველა საზოგადოებაში, ყველა ქვეყანაში და ყველა დროს არის საჭირო.

ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ოთარ ჩხეიძე იყო, არის და იქნება მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს შემოქმედი და მოქალა-

ქე. არა მხოლოდ ჩემი, არამედ ჩემი შვილის, ჩემი შვილიშვილის თაობაც აღიზრდება ამ მაგალითზე“.

– მართალია, სახელის უკვდავსაყოფად არ ისწრაფოდა, მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტმა ამ მემორიალის გახსნით თავისი და საზოგადოების დამოკიდებულება გამოხატა ოთარ ჩხეიძის მიმართ, – თქვა **გივი ალხაზიშვილმა**, – მისი ყოველი დღე შეწირული იყო იმ ნაწარმოებებისათვის, რომლებიც მომავალშიც იცოცხლებენ. მწერლის ცხოვრების მაგალითიც ეს არის, მაგრამ ეს მხოლოდ ნება არ იყო, ეს იყო თვისება დიდი ნიჭისა.

ძალიან კარგია, ქუჩა რომ არსებობს ოთარ ჩხეიძის სახელობისა, შენიშნავია მემორიალური დაფა და ველოდები, რომ მომავალში სრული კორპუსით გამოიცემა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაო.

დღეს იოლია საუბარი ოთარ ჩხეიძის პირუთვნელობაზე.

მისი რომანები იწერებოდა უმძიმეს ეპოქაში, რომელიც გულმოდგინედ ცდილობდა ჩვენი წარსულისა და მომავლის წაშლას. ერთხელ ბესო ჟღენტისთვის მიხეილ ჯავახიშვილზე წერილი რომ შეუხსენებიათ და უკითხავთ: რატომ დაწერეო, მას პასუხად კითხვა შეუბრუნებია: თქვენ ცოცხალი ბერია გინახავთო?

ამ ეპიზოდს რომ გაიხსენებს **ლია სტურუა**, აღნიშნავს:

„აი, ასეთ დროში ოთარ ჩხეიძე წერდა ისე, როგორც დიდ მწერალს ეკადრება და იქცეოდა ისე, როგორც გმირი.



*ზაალ სამადაშვილი, ანდრო ბედუკაძე, ივანე ამირხანაშვილი*

დღეს, როცა ასე შელანძღულია ქართული ენა, როცა ასე ჭირს მისი დაცვა – მართალია, პურიზმი არ არის სწორი და თვითონაც ბევრ უცხო სიტყვას ვიყენებ, მაგრამ მაინც, ძალიან მოგვეძალა ბარბარიზმები – ხანდახან ოთარ ჩხეიძის რომელიმე რომანს ავიღებ ხოლმე და ისე შევეფარები, როგორც რაღაც ძალიან მყუდროს, ძალიან მშობლიურს.

იმ მძიმე წლებში ხშირად მითქვამს, სამშობლოში ვცხოვრობ და სამშობლო მენატრება-მეთქი.

ოთარ ჩხეიძე მთელი თავისი შემოქმედებით, მოღვაწეობით, სათნო და კეთილი გარეგნობით ამ სამშობლოს ტოლი და ფასი იყო ჩემთვის და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას მისი პატივგებისთვის“.

ათწლეულები გავიდა იმ ავბედითი 1921 წლის შემდეგ, რომელმაც უმძიმესი დღეები მოუტანა ქვეყანასაც და ქართულ მწერლობასაც. 1924, 1937... ამ წლებმა უხვად მოზიდა სისხლი და ცხედრები. ჩხეიძეების გვარზეც გადაიარა ქარიშხალმა.

– ლამის გენოციდი მოუწყესო, – იტყვის **კობა იმედაშვილი**, – და ამ სიტუაციაში, ამ დროს, მთელი სიმაღლით ადგომა ფეხზე და თქმა იმისა, რაც გვჭირდა, არათუ დიდი ვაჟკაცობა, დიდი თავგანწირვაც იყო. იმ ძნელ პერიოდში, როცა ქართული მწერლობა იძულებული იყო გაჩუმებულიყო ან სხვაგვარად ეთქვა სათქმელი, ბატონმა ოთარმა თქვა ის, რაც ქართულ მწერლობას უნდა ეთქვა. ამიტომ ის სინდისია ქართული მწერლობისა და როცა მომავალი თაობა იკითხავს, აბა, ვინ აღწერა რაც გვჭირდაო, შეგვიძლია ოთარ ჩხეიძის შემოქმედება გადავუშალოთ.

მადლობა მინდა ვუთხრა როსტომ ჩხეიძეს. როგორც ბატონმა ოთარმა უპატრონა ქართულ სინდისს, ისე პატრონობს როსტომი ქართულ მწერლობას, რომელიც კარგა ხანს ჩრდილში იყო და ახლა დაიწყო გამოცოცხლება“.

**თამაზ ვასაძისთვის** კი ოთარ ჩხეიძე დიდ სამყაროს განასახიერებდა. მისი თქმით, „იშვიათია ხელოვანი, ასე მკაფიოდ, ასე ნათლად და მყარად სცოდნოდა, რისთვის ცხოვრობს, რა უნდა აკეთოს ამქვეყნად და ლიტერატურაში. მისი მიზანი და ლიტერატურული პრინციპები იშვიათი სიმტკიცით გამოირჩეოდა. ოთარ ჩხეიძე თანამედროვე საქართველოს თითქოს ძველ საქართველოსთან აერთებდა. მყარი იყო მისი კავშირი საქართველოს კულტურის საფუძვლებთან, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ ჯავახიშვილთან, ვასილ ბარნოვთან, ილია ჭავჭავაძესთან. ამ კავშირის უწყვეტობის შეგრძნებაც ძალიან გვჭირდება და მას ოთარ ჩხეიძის პროზაში ვპოულობთ“.

ოთარ ჩხეიძის დღეები აღინიშნებოდა.

არა პომპეზურად, არა ხმაურით... ასეც უნდა ყოფილიყო.

სახელის უკვდავსაყოფად არაფერს ცდილობდაო...

არც სჭირდებოდა.

დიდებული ადამიანები უძეგლოდაც არ იკარგებიან.

კიდევ ერთი ფრაგმენტი შემატებოდა ოთარ ჩხეიძის ხსოვნას, მემორიალურ დაფაზე ამოტვიფრული ასოები ახალი ათასწლეულის მატიანეში ეწერებოდნენ, **ნატო ჩხეიძე** კი იხსენებდა:

– როცა ვახტანგ ჭელიძე გარდაიცვალა, დაკრძალვის დღეს მამამ მითხრა: წამიყვანე!

ვინც ოთარ ჩხეიძეს იცნობდა, მშვენივრად იცის, რომ ასეთი დამხმარე ფრაზების თქმა არ იცოდა. სხვა შემთხვევაში იგი იტყოდა:

– ხომ არ წავსულიყავით!

და როცა შინიდან გამოვდიოდით, მან თავისთვის ჩაილაპარაკა, ოღონდ ისე, რომ მეც გამეგონა.

– გაქრა ერთი დიდებული კაცი.

მაგრამ ეს სიტყვა „გაქრა“ არ ეხებოდა მხოლოდ ვახტანგ ჭელიძეს. ის თითქოს ყველა ასე გამქრალი კაცის დაფასებასა და დანანებასაც იტევდა. ისინი გაქრნენ ფიზიკურად, მაგრამ დიდებულ ადამიანთაგან რჩება კვალი.

ამ კვალზე დადიოდა ოთარ ჩხეიძე.

ჩვენც უნდა ვიაროთ, როგორც შევძლებთ.

მადლობელი ვარ აქ მობრძანებისა და ოთარ ჩხეიძის კვალის სიყვარულისთვის.

რიტა ბაინდურაშვილი

# დუდუკო, ჩემო ტკბილო თილისმა...

საინტერესო და შემოქმედებითად მრავალმხრივ დამუხტული საღამოები როგორ გაუკვირდება ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზს, მაგრამ ის საღამო სხვა იყო მაინც: დუდუკის და ქალაქური მოტივების ფონზე ყველასათვის საყვარელი მსახიობები **მურმან ჯინორია** და **რუსუდან ბოლქვაძე** ქართველ კლასიკოსთა ლექსებს კითხულობდნენ და... **ქსოვრელები** მღეროდნენ. ჩანაფიქრი იყო იმთავითვე წარმატებული ქართველი კაცის გულისთქმასა და სულის სიმებს შეხებოდნენ, აეჟღერებინათ, აემღერებინათ და მოეოხებინათ მშობლიური ნერვი. არავითარი წინასწარ დაგეგმილი სცენარი და დადგმა, არანაირი წინასწარ მომზადებული სიტყვა და გამომსვლელი, ყველაფერი იქვე, ექსპრომტად, გულის კარნახით და სულის გამოძახილით ხდებოდა და ამ ბუნებრივმა გამოძახილმა უცებ გააერთიანა კიდეც დარბაზი – მონაწილენიც და მაყურებლებიც.



*ელდარ შოშიტაშვილი*

დარბაზის მასპინძელმა **როსტომ ჩხეიძემ** შესავალ სიტყვაში თქვა:

– გვინდა ჩვენი ლიტერატურული შეხვედრების ეს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონი ცოტა ორიგინალურად, გამორჩეულად დავასრულოთ და ამ დარბაზის ერთგულ სტუმრებს ლამაზი თბილისური საღამო ვაჩუქოთ. დღეს აქ ყოველი ჩვენგანისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი მსახიობები, მომღერლები გვეწვივნენ, რომლებიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ ქართული პოეტური სიტყვისა და ჰანგების მადლსა და ძალას, გვიამბობენ მისი ტრადიციების, თვითმყოფადობის შესახებ და გაიხსენებენ სახალისო ამბებს. დღევანდელი საღამო მცირე ხნით ძველ თბილისში დაგვაბრუნებს ყველას...

შეხვედრის დასასრულს კი **მაკა ჯოხაძემ** ჩვეული მღელვარე, ღრმად გააზრებული სიტყვით შეკრა კომპოზიციური ქარგა. ხოლო მანამდე:

ქსოვრელების დუდუკი აკვნესდა... მერე მას ჩუმი დოლი და გარმონი აჰყვა და ისეთი სულისმიერი, ნაზი ჰარმონია დაიღვარა დარბაზში, **მურმან ჯინორიას** სათუთად ნათქვამი ლექსის გარეშე როგორღა იქნებოდა... გრიშაშვილის, გალაკტიონის, საიათნოვას პოეზიის მარგალიტებით ქალს, სიყვარულს, სამშობლოს, სიცოცხლეს ეთაყვანებოდა მსახიობი, ჩვეული უბადლო არტისტიზმითა და მძაფრი გალაკტიონისეული განცდებით კითხულობდა „მთაწმინდის მთვარეს" და უკვე მერამდენედ აღაფრთოვანებდა მსმენელს, მაყურებელს... გამორჩეული მსახიობური ტალანტითა და ქალური ქარაგმით ხიბლი და მშვენება შემატა საღამოს **რუსუდან ბოლქვაძემ**, რომელმაც ასევე ძლიერი ემოციებით მიაწოდა დარბაზს საიათნოვას, გრიშაშვილის, მურმან ლებანიძის პოეტური შედევრები.

სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა „ჩვენი მწერლობის" თანამშრომლის **ლევან კიკნაძის** მიერ ისეთი ოსტატობით შესრულებული ქალაქური სიმღერა, თითქოს ისიც ამ ანსამბლის წევრი ყოფილიყოს.

... და კიდევ უფრო აჟღერდა და ახმიანდა ქსოვრელების საკრავი... პოეზიის ნიაღვარს მათი კარგად ცნობილი, ძველი სატრფიალო სიმღერები ერთვოდა და შიგადაშიგ კურიოზები ახალისებდა, რომელსაც ანსამბლის წევრები იხსენებდნენ. ანსამბლის ისტორიაზე, მის წარსულსა და დღევანდელობაზე, დუდუკის წარმოშობაზე და ქალაქური მუსიკის ფენომენზე ისაუბრა ჯგუფის ხელმძღვანელმა **ელდარ შოშიტაშვილმა.** მან გაიხსენა ანსამბლის სულისჩამდგმელი, ნიჭიერი მომღერალი და ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებელი **გრიშა ქსოვრელი,** რომლის სახელსაც წლების მანძილზე ატარებს ანსამბლი. იგი თბილისში კარგად ცნობილი, კოლორიტული და ძალზედ სიტყვამახვილი პიროვნება გახლდათ, ამიტომ მასთან დაკავშირებული ბევრი სახალისო ამბავი გახმიანდა დარბაზში.

ბატონმა ელდარმა დუდუკის წარმოშობაზეც საინტერესოდ ისაუბრა და ბრძანა, რომ იგი ჭეშმარიტად ქართული საკრავია, რომელიც შემდეგ ჩვენგან გავიდა აღმოსავლეთში; ძირითადად ჩალმისაგან მზადდება, თუმცა ჩვენში უფრო ხშირად ჭერმისაგან ამზადებენ; რომ დღესაც ყველაზე კარგი დუდუკი თბილისში, დილომსა და ავჭალაში მზადდება და ახლაც ისეთივე სიამოვნებით და ინტერესით ისმენენ მას, როგორც წარსულში. მან გაიხსენა ერთი ძველი თბილისური ამბავი, თუ როგორ გადაარჩინა შემოსეული მგლების ხროვას დუდუკმა ხალხი: ერთ ზამთარს მგლები ისე შემოჩვევიან თბილისს, რომ შეშინებული მოსახლეობა შებინდებულზე გარეთ ველარ გამოდიოდა. ერთხელ მედუდუკენიც გადაჰყრიან მგლებს და სხვა რომ არაფერი ჰქონიათ თავის დასაცავად, დაკვრა დაუწყიათ. ისე გაუგრძელებიათ გზა. მთელი ქალაქი უყურებდა თურმე, როგორ მიდიოდნენ მედუდუკენი დუდუკის კვნესით და უკან მგლის ხროვა მიჰყვებოდათ, საკრავის ტკბილი ხმით მოჯადოებული... მერე დიდხანს, დიდხანს ჰყვებოდნენ ამ ამბავს თბილისში თვითმხილველები. აი, ეს ძალა აქვს დუდუკსო, – ბრძანა ბატონმა ელდარმა, – დუდუკი სულის მკურნალია და სანამ იგი იარსებებს, თბილისიც იქნებაო!

დუდუკის ტკბილი ხმით და ქართული ლექსით გაჯერებული არაჩვეულებრივი საღამო კარგა ხანს გაგრძელდა. ემოციები ვერ დაფარა მაყურებელმაც და თვითონაც მოინდომა ლექსის თქმაცა და სიმღერაც. დარბაზიდან ექიმი **ლევან ქურციკაშვილი** გავიდა და არტისტული მგზნებარებით წაიკითხა ძველი სატრფიალო ლექსი ქსოვრელების მუსიკის თანხლებით. ხოლო **ლევან კიკნაძემ** და **რუსუდან ბოლქვაძემ** იქვე, ექსპრომტად ქართული ცეკვის ისეთი ცეცხლი დაატრიალეს, მართლაც რომ გვირგვინივით დამშვენდა ამ საერთო ზეიმს. ცეკვის გარეშე, აბა, როგორ იქნებოდა ჭეშმარიტად თბილისური საღამო...

ლია კარიჭაშვილი

# სამი საღვთისმეტყველო სათნოება და „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ მკვლევარსა და გამომცემელს ვახტანგ მე-6-ს ღრმად სწამდა, რომ პოემა ანაგოგიური საზრისის ალეგორიული თხზულებაა. ამგვარი ხედვა თანამედროვე რუსთველოლოგიაში სოლიდურია და აქტუალური. მე-20 საუკუნეში ამ პოზიციიდან პოემას იკვლევდნენ კ. კეკელიძე ს. იორდანიშვილი, კ. ცინცაძე, ვ. ნოზაძე, მ. გოგიბერიძე, ი. გიგინეიშვილი, შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი, გ. იმედაშვილი, მ. გუგუშვილი... ამავე მიმართულებით მუშაობენ მ. კარბელაშვილი, ნ. სულავა, ე. ხინთიბიძე, რ.ფირცხალაიშვილი და სხვები.

ნინამდებარე ნაშრომი რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხს უკავშირდება. წარმოჩენილია ზოგიერთი ასპექტი სამი ძირითადი უნივერსალიის მიხედვით, რომლებიც საღვთისმეტყველო სათნოებებად არიან სახელდებულნი. პავლე მოციქულის 1 ეპისტოლეში ხაზგასმულია რწმენა, იმედი, სიყვარული, რომელთაგან „სიყვარულია უმეტესი''.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში უკვე მოხმობილია ეს სამი უნივერსალია. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" ეს ცნებანი პერსონიფიცირებულია. ავთანდილი რწმენას განასახიერებს, ფრიდონი – სასოებას, ტარიელი — სიყვარულს. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ: 1. როგორ ვითარდება პოემის სიუჟეტი ამ სათნოებათა გათვალისწინებით და 2. რამდენად წარმართავენ ისინი საკუთრივ პერსონაჟთა ქცევებსა და მსოფლმხედველობას.

## სარწმუნოება

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური განვითარება მკაცრად კანონზომიერია. ყველა ეპიზოდი თავისი შემადგენელი დეტალებით მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან. პოემის მხატვრული ქსოვილის ორნამენტები, თუნდაც შორეულნი, ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ შინაარსობრივი ნიუანსით, იდეური მიზანმიმართულებითა და ემოციური ელფერით. ამ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება. სიუჟეტი მიემართება ესქატოლოგიური დასასრულისკენ მტკიცე რწმენით იმისა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". პოემის მხატვრული სივრცე გაჯერებულია ღვთის არსებობის ღრმა რწმენით. სიტყვა „ღმერთი" დაახლოებით 220-ჯერ იხსენიება, იგი სახელდებულია ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში კარგად ცნობილი ტერმინოლოგიითა და სიმბოლიკით. ღმერთი არის „უცნაური და უთქმელი", „არსთა მხედი", „ერთი", „ცხოველი", „სახიერი", „უფალი უფლებათა", „მზრდელი ყოვლისა" და სხვა. ღვთაების ამგვარ ატრიბუტებს მაჰმადიანობა არ იცნობს. მისი ღმერთი „ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს არა სიყვარულით და სამართლიანობის პრინციპით, არამედ თვითნებობით. ამიტომ მაჰმადიანს არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, მისდამი დამოკიდებულებაში ის მხოლოდდამხოლოდ შიშით ხელმძღვანელობს" (კორნელი კეკელიძე). რუსთაველი ქმნის მაჰმადიანურ გარემოს (როგორც მხატვრულ პირობითობას) და, ბუნებრივია, ორთოდოქსული ქრისტიანობის ნიშნების ძიება პოემის ზედაპირზე მიზანშეწონილი არ არის, თუმცა ზედაპირსვე მსჭვალავს მსოფლმხედველობრივი ფუნდამენტი – ქრისტიანული იდეოლოგია. (კ. კეკელიძემ გამოარჩია 30-მდე ტაეპი, რომელიც შთაგონებულია ბიბლიის ამა თუ იმ ციტატით. ამგვარ ტაეპთა ნუსხა შეავსეს მკვლევრებმა: ს. იორდანიშვილმა, კ. ცინცაძემ, ვ. ნოზაძემ და სხვებმა. რუსთაველის გამონათქვამების პირველწყაროს ძიება ბიბლიის წიგნებში დღესაც გრძელდება. ამ ბოლო დროს გამოითქვა საყურადღებო მოსაზრება, რომ პროლოგის დასაწყის სტროფებში მინიშნებაა წმინდა სამებაზე (მ. გუგუშვილი, ბ. ბრეგვაძე).



„ვეფხისტყაოსანში" ბოროტება არასუბსტანციურია. პერსონაჟები აცნობიერებენ სამყაროს მშვენიერებას, სიკეთეს, ჰარმონიულობას, და აცხადებენ:

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?"

„ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს,"

პოემის სიუჟეტის განვითარების ხაზი წინააღმდეგობებზე გადის, ჭირს ლხინი ცვლის, ლხინს-ჭირი.

**საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:**
**ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.**
*(705)*

„ესრეთ არს ცხორება ესე საწუთროისი: არცა ესევითარი სადა იპოების საქმე, რაითამცა მარადის სიხარულსა შინა იყო და არასადა შეემთხვა მწუხარებაი, არცა ესე შესაძლებელ არს, რაითამცა მწუხარებასა შინა ვინ იყო და არასადამცა ჰპოა ნუგეშისცემაი"– წერს იოანე ოქროპირი (15, 78).

განსაცდელს თავისი ფუნქცია აქვს. ის შესაძლოა სიბრძნენაკლულობის შედეგი იყოს („თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა") და, თავის მხრივ, მიზეზი და წინაპირობა პიროვნების სულიერი სრულყოფისა. სწორედ განსაცდელია ადამიანის სულიერი განვითარების საფუძველი, რადგან „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმი-

ნებაი გამოცდილებასა და გამოცდილებაი სასოებასა, ხოლო,სასოებამან არა არცხვინოს" (რომ. 5. 3-5).

გ. ფარულავა წერილში „სიყვარულის სათნოება და თავისუფლების პრინციპი ქართულ სასულიერო ლიტერატურაში" აღნიშნავს: „კაცის უზენაესთან მიახლების ღვთაებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციაში გამოცდა-ცდუნების მომენტი აუცილებელია. ისინი გარდამავალ საფეხურებად გვევლინებიან შეთავაზებული თავისუფლებიდან რეალურად განცდილი თავისუფლებისაკენ" (26, 121).

„გამოცდა-ცდუნების მომენტი" ერთგვარი საჯილდაო ქვაა და მხოლოდ ღირსეულები აბიჯებენ რეალური თავისუფლებისკენ, რომელიც წინააღმდეგობათა დაძლევას გულისხმობს და გამოცდილებასა და ცხოვრებისეულ სიბრძნეს ეფუძნება. ამ სიბრძნეს მოიპოვებენ პოემის მთავარი პერსონაჟები. მათი პიროვნული სიკეთე ბუნებითი მოცემულობაა, მაგრამ პოემის დასასრულ, მათი ცხოვრების ძნელი და გრძელი გზის ბოლოს, ისინი ცეცხლში გამოხურვებულ ოქროსავით ბრწყინავენ, სხვა ძალით და ცოდნით არიან აღჭურვილები, ასეთები არიან ავთანდილი (რომელიც იმთავითვე საღვთო სიბრძნის მატარებელია), თინათინი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ფატმანი. მათ შორის, როგორც ცნობილია, ყველაზე დინამიკურნი არიან ნესტან-დარეჯანი და ფატმანი. სხვაა ნესტანი, რომელიც ამბობს: „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო, თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო", და სხვა საფეხურზე დგას იგი, როდესაც მიჯნურს სწერს: „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად". ამ დროს იგი უკვე შინაგანი თავისუფლების მფლობელია. განცდილმა ტკივილმა მის სულიერებაში შვა ახალი პიროვნება ლმობიერებით, თავმდაბლობით, მოთმინებითა და სიყვარულით დამშვენებული.

როგორია განსაცდელი თავისი ბუნებით, სიმძიმით?

„თქვენ არა შეგემთხვა გარნა კაცობრივ, ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროის ძალისა თქვენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებაიცა, რაითა შეუძლოთ დათმენად" (1 კორ. 10, 13).

ასეთივეა „ვეფხისტყაოსნის" „განგების" მიერ დაშვებული განსაცდელიც. იგი ადამიანური ანუ ცხოვრებისეულია.

„რად ემდურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო?"

„მითხარ უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან," – ეუბნება ავთანდილი ტარიელს და ცდილობს გაამხნეოს იმის შეხსენებით, რომ მის თავს არაჩვეულებრივი რამ არ ხდება, შეემთხვა ის, რაც სხვებსაც გადახდენიათ და მომავალშიც გადახდებათ. განსაცდელიდან გამოსავალი არსებობს, მაშასადამე, მისი დაძლევა შეიძლება.

„ყოლა ჭირი არ ეგების, თუმცა ლხინმა არ დასძლია"
(შდრ. „განსაცდელთა თანა გამოყვანებაიცა").

ავთანდილმა საკუთარი ნებით აირჩია განსაცდელისა და ფათერაკის გზა. ის საკუთარი ნებით გამოიცდება მოყვასის დახმარებისა და საკუთარი პიროვნების დამტკიცების მიზნით. „ღმერთის წინამძღვრობით წარმართებული ადამიანი საკუთარი თავისუფალი ნებით იყენებს ამქვეყნიური ცხოვრების სიძნელეებს იმისათვის, რომ სულის სიმტკიცე შეიძინოს" (ნეტარი ავგუსტინე 1979:73) ამ თვალსაზრისით ავთანდილს გვერდით უდგას თინათინი, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილებით უსახავს მიჯნურს ურთულეს ამოცანას და თვითონაც დგება იმ მტკივნეული გამოცდის წინაშე, რომელსაც მიჯნურთან ხანგრძლივი განშორება მოუტანდა. თინათინი ავთანდილს ტარიელთან დაბრუნების იდეას უწონებს:

**შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა,**
**ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა.**

ვიდრე ავთანდილის განზრახვას შეიტყობს, თვითონვე ეკითხება: „რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?"

საკუთარ ბედზე ჩივილი კი სულ ერთი წამით გაკრთება:

„ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი-, ცისა?"

„ვეფხისტყაოსანში" არის ჟამი, როგორც ბიბლიური დრო („ყოველივესათვის ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისაი ცისა ქუეშე", ეკლ. 3. 1). ამ პოეტური სამყაროს მკვიდრთ კარგად იციან, რომ არის „ჟამი დარღვევისაი და ჟამი აშენებისაი, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი ტყებისაი და ჟამი როკვისაი". დროისა და ჟამის პრობლემა უახლეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი აქვთ ა. სერებრიაკოვს, გ. მარგველაშვილს, რ. სირაძეს, ლ. გრიგოლაშვილს, დ. მელიქიშვილს და სხვათა . ჟამი ირანულიდან მომდინარე სიტყვაა. მას რამდენიმე ლექსიკური შესატყვისი აქვს: საათი, პერიოდი, ხანა, დრო. ჟამი არ არის ზუსტი შესატყვისი ბერძნული „ხრონოსისა", რომელიც მარადიულობის ხატად მიიჩნევა. იოანე პეტრიწის მითითებით, მას უფრო მიესადაგება კერო (**კაიროს**) — გარკვეული, დანიშნული დრო, ვადა, რომელიც ხრონოსთან შედარებით ვიწრო ცნებაა. „ჟამი არ ენაცვლების ხრონოსსა, არამედ კეროსა, ხოლო კეროი ნაწილ ოდენ არს ხრონოისა" (იოანე პეტრიწი 1940).

„ახალ აღთქმაში" ეს სიტყვა (კერო) იძენს სპეციფიკურ შინაარსს და უპირისპირდება ხრონოსს, როგორც განზოგადებულ, დინებად დროს და გაიგება, როგორც ქრისტეს გამოცხადების დანიშნული, გარკვეული დრო" – (დამანა მელიქიშვილი). „ხოლო ჟამი მოწევნულ არს" (ლ. 21,8); „აჰა, ესერა მოახლებულ არს ჟამი და ძე კაცისაი მიეცემის ხელთა ცოდვილთა" (მ. 26, 45-46).

სახარებისეულ სიტყვებს „ვერვინ მიყვნა ხელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი" — მოიხმობს იოანე საბანისძე „აბოს წამებაში". აბო „სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ", მაგრამ მას არავინ შეხებია, ვიდრე დადგებოდა ამის დრო ანუ მოიწია ჟამი მისი.

დავით გურამიშვილის ტყვეობიდან გაქცევის პირველი მცდელობა უნაყოფო იყო. იგი გაქცევას აღარ აპირებდა, რომ არა ღვთის ნების გამოცხადება: „ხმა მესმა ძილსა შინაო... ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო". ეს იყო მინიშნება, რომ მოვიდა ჟამი მისი დახსნისა.

„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებმა კარგად იციან, რომ ყოველ საქმეს თავისი ჟამი აქვს. მიზნის მიღწევის საწინდარი არა მხოლოდ სურვილი და გარჯაა, არამედ, უპირველეს ყოვ-

ლისა, ღვთის ნება, რომელიც განხორციელდება ეგზისტენციალური დროის რომელიღაც მონაკვეთში, რომლის მოლოდინიც ადამიანს მართებს მოთმინებითა და სასოებით.

„ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცაგხვდების".

ამ ტაეპს პოემის გამოცემებში წაკითხვის სხვა ვარიანტიც აქვს:

„ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცაგხვდების".

ორივე შემთხვევაში უდავოა ერთი რამ: ადამიანმა უნდა იმოქმედოს, გამარჯვებას კი მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ღვთის ნებაა. ე.ი. ერთმანეთს უნდა დაემთხვეს ორი ფაქტორი: ღვთის ნება და ადამიანის თავისუფალი ნება, იბრძოლოს მიზნისთვის. („ღმერთმა ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად"). მიზანი მიუღწეველია იმ შემთხვევაშიც, თუ ამ საქმის აღსრულების ჟამი ჯერ არ დამდგარა.

ტარიელი შუამდგომლობას სთავაზობს ავთანდილს როსტევან მეფის წინაშე. ავთანდილმა კი იცის, რომ მისი და თინათინის ქორწინება უნდა მოხდეს, როცა საამისო დრო მომწიფდება, როცა ამის ჟამი დადგება.

**რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,**
**ღმერთი ინადებს, მომივლენ გულსა სახმილთა ლხენანი;**
**მაშინღა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,**
**უმისჟამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი.**

ანდა:

**კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი**
**არ მოსთმინდების"**

ეტლი და მისი ცვალება ამ შემთხვევაში გულისხმობს დროის, როგორც არამატერიალური არსის, კოსმოლოგიურ გამოხატულებას, რადგანაც „დროს არა აქვს სუბსტანციური, საგნებისაგან დამოუკიდებელი მყოფობა და არსებობს მხოლოდ სამყაროსთან ერთად, მხოლოდ სამყაროში და სამყაროს წყალობით. არც დროს და არც სივრცეს არ ძალუძთ თავისთავად საგნების გარეშე არსებობა" (ნეტარი ავგუსტინე).

რევაზ სირაძე წერილში „დრო და ჟამი" ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ქრისტიანობა ითხოვს გავიაზროთ რისი დროა, და არა რა დროა. შენების თუ ნგრევის, მშვიდობის თუ ბრძოლის. ასეთ კონცეფციას ეკლესიასტედან მოკიდებული ვხვდებით პლატონთანაც, პროკლესთანაც, დანტესთანაც, რილკესთანაც, თომას მანთან, გალაკტიონთან", ვფიქრობთ, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ რუსთაველიც. მისი ჟამი ეს „რისი დროა", ჭირის თუ ლხინის, შვების თუ წუხილის.

**აქამდის ჭირი ჩემზედა აწ ესე ლხინი უხვდების:**
**რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად**
**ვინ შეუწუხდების?**

„თუცა დაშვრომის ჟამია," „დრო მომეახლა ლხინისა" და სხვა.

## სასოება

სასოების ძირი რწმენაა. „სასოებაი ხილული არა არს სასოება, რამეთუ რომელსა იგი ხედავნ, რასაღამე ესავნ?" (ჰრომ. 8, 24). „ვეფხისტყაოსნის'' სიუჟეტის გზამკვლევი სასოებაა. იგი არ არის ხილული იმედი, ემყარება მხოლოდდამხოლოდ რწმენას. პოემაში ძირითად წინააღმდეგობათა დაძლევის ალბათობა არსებობს მხოლოდ თეორიულად, ანუ არა ჩანს რეალური წინაპირობა იმისა, რომ ესა თუ ის მიზანი მიიღწევა.

იმდენად უცნაური და მოულოდნელი იყო უცხო მოყმის გამოჩენა მეფე როსტევანისა და მისი ამალის თვალსაწიერზე, რომ მეფემ ეჭვი შეიტანა მის ხორციელებაში: „ჯერთცა ესე არა ვიცი ცხადი იყო თუ მეოცნა".

როდესაც როსტევანის წარგზავნილებმა უცხო მოყმის კვალს ვერ მიაგნეს, მეფე დარწმუნდა:

„ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო",

მაგრამ თინათინმა უცნობის ეშმაკეულობა ასე ადვილად არ დაიჯერა და ამ ყოვლად უცნაური ამბის გარკვევა თავის მიჯნურს შესთავაზა, როგორც საპატიო გამოცდა. ავთანდილი არაბეთიდან გადის ღია, უკიდეგანო სივრცეში და ეძებს კაცს, რომლის შესახებ არაფერი იცის, მხოლოდ მისი გამორჩეული გარეგნობა და ჩაცმულობა აღბეჭდვია მეხსიერებაში. ერთადერთი აზრი და გამართლება ამ ძებნისა არის ის, რომ უცხო მოყმე შესაძლოა იყოს ხორციელი, რეალური ადამიანი და, მაშასადამე, სადმე უნდა იმყოფებოდეს.

ავთანდილის მიერ ნესტან-დარეჯანის ადგილსამყოფლის მიგნება თითქმის არარეალური ჩანს, თუმცა გამორიცხული არ არის, რამდენადაც არაფერია ცნობილი ნესტან-დარეჯანზე, არც მისი სიკვდილის ამბავი და, სავარაუდოდ, თუ ცოცხალია, მის მოძებნას აზრი აქვს.

გაირკვა, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯთა ტყვეა. თუ ქაჯები ხორციელნი არიან, მათთან ბრძოლა შეიძლება. იქ კი, სადაც ბრძოლა შეიძლება, გამარჯვება ტარიელისა და მისი ძმადნაფიცების მხარეს უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში მიზნის მიღწევის პერსპექტივა მცირეა, რადგან არ არსებობს წინასწარი ცნობა (ან ის ძალიან მწირია), რამე ორიენტირი და ხელჩასაჭიდი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი იმედის ენერგიით ვითარდება. სირთულეებს სძლევს, ჩაკეტილი წრეებიდან პერსონაჟები გამოჰყავს მხოლოდ და მხოლოდ იმედს – სასოებას.

## სიყვარული

„ვეფხისტყაოსნის" პოეტური სამყაროს მამოძრავებელი სიყვარულია. პოემაში განვითარებული მოქმედება პირველი ეპიზოდიდან უკანასკნელამდე სიყვარულის ბიძგით გამოწვეული ერთგვარი ჯაჭვური რეაქციაა. ავთანდილი უცხო მოყმეს ეძებს მიჯნურის დავალებით, სიყვარულის სახელით.

**ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:**
**პირველ ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს**
**შენად სწორად,**

**მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
წა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.**

ცხადია, მიჯნურობის მეორე რიგის მიზეზად დასახელება მხოლოდ ტაქტია. ამ დავალების თავიდათავადი მიზეზი სწორედ მიჯნურობაა. ავთანდილმა უნდა დაამტკიცოს, რომ სწორუპოვარი რაინდია („ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად") და თინათინის ღირსია („შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე"). ტარიელის თავგადასავლის მოსმენა ავთანდილისთვის შესაძლებელი გახდა მიჯნურობის წყალობით. ეს მაგიური სიტყვა მოუპოვებს მას ასმათის თანაგრძნობასა და კეთილგანწყობას.

ტარიელი მზადაა გაიხსენოს და ხელახლა განიცადოს მტკივნეული წარსული. ეს მისთვის თავგანწირვის ტოლფასია, მაგრამ მიზანი ამად ულირს:

**პირველ, შეჰყრის მოყვარულთა ჩემით რათმე
მიზეზითა,
კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა
ცხელთა ანაგზითა.**

ავთანდილი ტარიელთან ბრუნდება მისი, როგორც მოყვასის, სიყვარულის გამო. თუ აქამდე უცხო მოყმის მოძებნა და მისი ამბის შეტყობა ავთანდილის, როგორც მიჯნურის, ღირსების საკითხი იყო, ახლა ტარიელის დახმარება მისიად ექცა, მხოლოდ იმ სიყვარულის მიზეზით, რომელიც ამ ორ უცხო ადამიანს შორის დაიბადა („მან მიუგო უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი...). ეს ურთიერთობა მხოლოდ პიროვნული არ არის. მას მასშტაბური შედეგები მოჰყვა. „ავთანდილი ინდოეთის სახსნელად არის მოვლინებული. მან არა მხოლოდ ტარიელში ჰპოვა თავისი სხვა, საიდანაც იშვა სიყვარული, არამედ ინდოეთშიც დაინახა არაბეთის სხვა" (ზურაბ კიკნაძე).

ფატმანი უკანასკნელი რგოლია, რომელიც გმირებს ნესტან-დარეჯანთან აკავშირებს. მისი განდობისა და თანადგომის საფუძველი ისევ სიყვარულია. ფატმანმა ისე შეიცნო ნესტან-დარეჯანი, როგორც საკუთარი სულის საუკეთესო ნაწილი, შორეული, მშობლიური წიაღი, რომელთან განწყვეტილი დრო და სივრცე ზოგჯერ გაუცნობიერებელ სევდას ჰგვრიდა, ამიტომაც შეუყვარდა საკუთარ თავზე, შვილებსა და ოჯახზე მეტად:

ფატმანმა მოახერხა ავთანდილის აშიკიდან გარდაქმნილიყო მის ჭეშმარიტ მეგობრად და იქცა ხიდად ქაჯეთისკენ, რომლის კარი დალეწა ისევ სიყვარულის ძალამ, ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი რომ გააერთიანა.

„სიყვარული რჯულის აღსრულებაა".

„ქრისტიანული სიყვარული მეგობრობაა". (იოანე ოქროპირი).

მიჯნურობა, როგორც მშვენიერისა და ღირსეულის ტრფიალი, მეგობრული სიყვარული და სიყვარულის სიყვარული, როგორც სწრაფვა უზენაესისკენ, არის „ვეფხისტყაოსნის" პოეტური სამყაროს სული ცხოველი და უკვდავება. საღმრთო სიყვარული, რომელიც მოყვასის სიყვარულით გამოიხატება, თავის თავში მოიცავს რწმენას, სასოებასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რაც ქმნის „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სამყაროს საფუძვლებს და რუსთაველის, როგორც შემოქმედის, „განგების" გამოხატულებად გვევლინება.



ქრისტინე ბებია

# HAPPY BIRTHDAY TO YOU!

– იცი, რა მინდა?

– რა?

– დიდი დაბადების დღე!

– დიდი დაბადების დღე?! დიდ ტორტზე ანთებული სანთლები რომ ერთი სულის შებერვით უნდა ჩააქრო, არა?!

– კი!

– არარეალურია! დიდ დაბადების დღეზე რა გითხრა, დიდად კი ვწუხვარ! – სამწუხაროდ, სამწუხარო იყო რეალობა.

ეს იმანაც კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ეუცხოვა ჩემი სიტყვები. თავი ჩაქინდრა. ტყუილია, არავის არ ურჩევნია ტკბილ სიმართლეს მწარე ტყუილი.

– ჰო, კარგი... მოდი ჩემთან, ჩემო! – მე სიყვარულით.

და რომ მე სიყვარულით, ეს ეჭვგარეშე იცოდა. ეს ყველა ცუდს ავიწყებდა. თავი არ აუწევია, მკერდზე დამადო ჩემმა ფერიამ. მე ვეფერებოდი. უკიდურეს სიღარიბეში უსაზღვრო ნეტარებას განვიცდიდით. ბედნიერი ხარ, თუ ზუსტად იცი, რა არის შენთვის ბედნიერება. ჩვენ ღმერთზე მეტად გვწამდა, რომ ჩვენთვის ბედნიერება იყო ურთიერთსიყვარული და ბედნიერებიც ვიყავით. ვბედნიერობდით. ვბედნიერობდით. ვბედნიერობდით... შიგადაშიგ შიში შემომბედავდა, ვაითუ, ისე დაიღალოთ სულიერი ბედნიერებით ან მატერიალური უბედურებით, ერთმანეთის სიყვარულის თავი აღარ გვქონდეთო.

– ძლიერი იმუნიტეტი აქვს ჩვენს სიყვარულს! – რამდენჯერ გვითქვამს ერთმანეთისთვის და ისევ ვბედნიერობდით. რაც დრო გადიოდა, უფრო ვიწრთობოდით. არ გვეშლებოდა ბედნიერება...

...და ეს როგორ მომივიდა! უსირცხვილოდ(!) წამომცდა. მართალი, მაგრამ უსამართლო ვიყავი. შემრცხვა და ვიცრუე, ვითომდა, – ვიხუმრე.

იმას ოცნება წამოსცდა... ,,უსირცხვილოდ". შერცხვა (ჩემდა სამარცხვინოდ) და ჩემსავით იცრუა:

– მეც...

რა სირცხვილია!

რა სირცხვილია, ერთი დაბადების დღე ვერ გადამიხდია ჩემი ყველასთვის. ჰა-ჰა, ტორტი და ღვინო მომეხერხებინა როგორმე და ეგ იყო! ტორტიც იყო, ღვინოც იყო, ხილიც იყო... რა არ იყო! ჩიტის რძე არ აკლდა, სანამ მე გამომყვებოდა ცოლად. მერე რომელ ჩიტის რძეზეა ლაპარაკი, ძროხის რძეს ვერ ვასმევდი... არ უყვარდა და იმიტომ... ჰმ!

– ბავშვობიდან ვერ ვიტან რძეს!

როგორ მიყვარდა, იმას რომ რამე არ უყვარდა... და ისევ შემომიჩნდებოდა შიში: ალბათ, მალე შენც არ ეყვარები!

– რძე არ მიყვარს, მაგრამ, საოცარია და, რძის ყველა ნაწარმზე ჭკუა მეკეტება! ხაჭო, არაჟანი, მაწონი, ყველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მქონდა სათქმელი. აი, საფიქრებელი კი, იმან იცოცხლოს! მაგრამ ფიქრის თავი არ მქონდა, ამას რომ მეტყოდა, უნუგეშო საფიქრებელში ვვარდებოდი. გაგიჟებას არაფერი მაკლდა – ის რძის ნანარმზე გიჟდებოდა. ნეტავ, ჩვენი მშობლები რა ჭკუაზე იყვნენ, ერთს რომ არ მოგვაკითხავდნენ ან თუნდაც, არ მოგვიკითხავდნენ?! აკი, ნინდანინვე გაგვაფრთხილეს, დაგვივინყეთ, ერთად თუ გადანყვეტთო ცხოვრებას. იმისიანებს მე არ ვუნდოდი, ჩემიანებს ის არ უნდოდათ, ჩვენ ერთად გვინდოდა და გავიპარეთ... სილარიბეში – უფულოდ ცარიელ ოთახში მდიდარი – სიყვარულით სავსე ოჯახი შევქმენით. სიყვარულს სიყვარულს ემატებოდა და ფულს ფული აკლდებოდა. ასე მივყვებოდით დროის სწრაფ დინებას და ისიც ჩვენს სხეულებს, როგორც უნდოდა, ისე აბურთავებდა. აქეთ გადმოგვისვრიდა, იქით მიგვანარცხებდა, გვაჩოჩიალებდა, გვაყვინთავებდა, მაგრამ მთავარი – სული არ გვეხუთებოდა! ადრე თუ გვიან, გვჯეროდა, სხეულსაც ეშველებოდა. ბოლოს და ბოლოს, ყველა მდინარე ზღვას უერთდება. მარილიან წყალში უფრო იოლია ცურვა.

– იცი, ჩვენზეა ნათქვამი, იმედით უდგას კაცს პირში სულიო.

– ჩვენზე სხვა რამეა ნათქვამი: „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო."

– რომელ ფერზეა ლაპარაკი, უსმელ–უჭმელი ჩამოვხმებით და გავჩხიკინდებით... და მერე რომ ვერ გავაძლოთ ერთმანეთი?!

– ადამიანი მადიანია, მაგრამ ღმერთი მადლიანია.

– ღმერთი იმედია!

და ჩემი აზრი: პირიქითაც, იმედი – ღმერთი!

– შეიძლება, ღმერთიც მოკვდეს და – იმედიც... და ჩვენც დავიხოცეთ, მაგრამ ჩვენი სიყვარული არ მოკვდება! იმქვეყნადაც ერთად ვიქნებით და ერთმანეთი გვეყვარება! – და ამას რომ ამბობდა, ღმერთიც სწამდა და იმედიც ჰქონდა.

– ჰო! – აი, კიდევ: – ძლიერი იმუნიტეტი აქვს ჩვენს სიყვარულს!

მაგრამ შიშმა მაინც შემაჯანჯღარა: თქვენ თქვენი სიყვარულის დიეტაზე ხართ და თქვენი სიყვარული – თქვენს დიეტაზე. თქვენ დასუსტდით და თქვენი სიყვარულიც რომ...

„ოღონდ ეგ არა!"

– ხვალ გასაუბრებაზე ვარ დაბარებული. ლატარიაა! ან გაგვიმართლებს ან — არა. მე ვცდი!

– იქნებ, ლატარიის ბილეთი გვეცადა?! იქნებ, გაგვიმართლოს?! მილიონები! სერიოზული თანხაა!.. დრო არ იცდის, დღითიდღე უფრო იფასებს თავს.

– მე უკვე გამიმართლა ცხოვრებაში და ისეთი ფასდაუდებელი განძი მყავს, მილიონებად კი არა, იმ შენს დროდაც არ მიღირს, ძვირფასო! სანამ გიპოვიდი, ფულიანი ღარიბი ვიყავი. ახლა ჩემი ხარ და უფულო მდიდარი ვარ.

– შენ ხუმრობ და, მე სერიოზულად გეუბნები!

მეორე დილით უკვე ისიც... ის ხუმრობდა ამაზე. მე ჩემთვის, ისე: „გინდ ყოფილა ორი ლარი და გინდ – არა!". სახლიდან გასვლის წინ ნარმატებები მისურვა. ნამდვილად მჭირდებოდა ნარმატებები... მილიონები. „ბოლოს და ბოლოს, გინდ ყოფილა ორი ლარი და გინდ – არა!"

ექვსი ძირითადი რიცხვი: გაცნობის, პირველი პაემანის, პირველი კოცნის, გაპარვის, ჯვრისწერის და... მისი დაბადების დღე. ერთი ბონუს-რიცხვი... გაცნობის დღიდან არაერთხელ ამიხსნია მისთვის სიყვარული: თვალებით გაცნობისთანავე. სიტყვებით პირველივე პაემანზე. მერე და მერე მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც, ლექსებითაც... ბონუს–რიცხვის მოფიქრება ველარ მოვახერხე და, – არ მინდა ბონუს–რიცხვი, თუ მოგება მინერია, ექვსი რიცხვითაც მოვიგებ.




მხატვარი ბადრი გაგნიძე

ბილეთი შევავსე. ფული უნდა გადამეხადა, ბილეთს რომ საბოლოო სახე მისცემოდა. ერთი ორლარიანი აღმომაჩნდა საფულეში... და ჩემი სახეც საბოლოოდ მიეცა სასონარკვეთილებას. მეც კარგი ვინმე ვარ! რაც ჩავდე, ის დამხვდა. აბა, შიოს მარანი ხომ არ იყო (ჩვენი სიყვარულივით!)?!. გასაუბრებისთვის ფოტოსურათი 3/4, რაღაც-რაღაც (პირადობის მონმობის და სხვათა) ქსეროასლები მჭირდებოდა. ისე არ ყოფილა, „ბოლოს და ბოლოს, გინდ ყოფილა ორი ლარი, გინდ – არა!". ბოლო იყო ის ორლარიანი და ისე მინდოდა ბონუს–ორლარიანი! მაგრამ, ძირითადად, ეგრეა: „მინდა!" გინდა გითქვია და გინდა – „არ მინდა!" ან „რა მინდა?", ბოლო მაინც ერთია: „არ გამოვიდა!". შევსებული ბილეთი გადავხაზე და ურნაში გადავუძახე.

დროის დინებას მივყავდი... ანკეტა შევავსე. იმათ, ფრანგული ლამაზი და მჟღერი ენაა, მაგრამ ჩვენ ინგლისური გვინდაო. შევსებული ანკეტა გადახაზეს, ჩემი ფოტოსურათი და ის რაღაც-რაღაც ქსეროასლები ურნაში გაისტუმრეს, მე გარეთ გამომისტუმრეს. შემდეგი შემოუშვიო! – მდივანს გადაუძახეს... და სულშიც ვიგრძენი რაღაც სისველე...

გათამაშებისთვის არ მიყურებია რატომღაც. რეკლამის დროს გამოაცხადეს გათამაშების შედეგები. ექვსი ციფრი: გაცნობის, პირველი პაემანის, პირველი კოცნის, გაპარვის, ჯვრისწერის და... მისი დაბადების დღე. მთავარი ჯეკპოტი არ გათამაშდა „რატომღაც". ექვსივე მოგებული რიცხვი მენერა, მაგრამ მოგება – არა, თურმე.

მისთვის არაფერი მითქვამს. მალე მისი დაბადების დღე მოდიოდა. „Happy Birthday To You!"-ს ამოღუღლუღებას დიდი არაფერი ინგლისურის ცოდნა სჭირდებოდა. მაგას კი მოვახერხებდი როგორმე! ძალიანაც ლამაზად ჟღერს: Happy Birthday To You!

ეს ნაწარმოები უცნაური, უბრალოდ რომ ვთქვათ, თამამი ციტირებით იწყება.

რა არის ეს – ეპატაჟი, მანერა თუ თამაშის ილეთი? ალბათ სამივე ერთად ან, შესაძლოა, არც ერთი. ძნელი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ვხვდებით, რომ ეს არის სიგნალი, ნიშანი, მოწოდება – რაღაცისკენ. და ეს რაღაც პირველივე ასოდან იწყება – აკროსტიქი!

კიდურწერილობის ტრადიციული ფორმებისგან განსხვავებით აქ რაღაც სხვა იდეა უნდა იგულისხმებოდეს. ტექსტში არის მისტიკა, რაც წაკითხვის მრავალნაირ საშუალებას იძლევა. თუმცა უდავოა, რომ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია შიში, რომელიც ავი თვალივით ყველაფერში აღწევს, ყველგან ძვრება, ყველგან ავლებს მომწუსხველ მზერას და ყველაფერში ცეცხლივით აჩენს ტრაგედიის წინათგრძნობას.

ტრაგედია – ქება „ტ“ ასონიშნისა, აქ იკითხება ფრაზა: „ჩამოიქცევა ცა და ვინლა ილოცებს ადამიანებისთვის“.

თუმცა ხსნის გზაც აქვეა – ჯვარი ვაზისა და რწმენა გამოტოვებული სიტყვისა. მოთხრობის სათაურიც ამას გვეუბნება, „თევზი“ — არცთუ შორეული ალუზია, რომელიც გვაახლოვებს არქეტიპულ რწმენასთან.

თამარ სუბელიანი

# მეთევზე

*და ჩემს მკვდრებს, ჩემს შვილებს*
*ზღვისკენ მივათრევ.*
**სხვა, ჩემი მოთხრობიდან**

ა—შუდუ, ჩემი ქმარი, მეთევზეა. ის გათენებამდე იღვიძებს. იცვამს დაკემსილ ტანსაცმელს, გადის ქოხიდან. ზღვაში შედის. ისვრის ბადეს. ეშხეფება წყლის წვეთები. ამომავალ სხივებზე ქმრის მოწუსხულ სახეს ვხედავ. ლოცულობს აშუდუ.

ბ—ავშვები იღვიძებენ. იცვამენ. ვეხმარები ხელ-პირის დაბანაში. თიხის თასებს ცხელი რძით ვუვსებ. მხიარულად შეექცევიან.

გ—ვიმრის მოსალოცად მივდივართ ქალები. ვწვებით მიწაზე, პირით ცისკენ. ხელებს ვკიდებთ ერთმანეთს. ვქმნით წრეს. დედა ლიეშო სახეზე გვიმრას გვაფარებს. ჩვენ ვტირით და ვითხოვთ შემწეობას ზღვასთან მებრძოლი ქმრებისთვის.

დ—ედა ლიეშო სოფლის უხუცესია. ზღვას გამოეყო, როგორც მიწა, 6 ღამე იბორგა და იქცა ქალად. მაგრამ ზღვამ დაწყევლა და დედა ლიეშოს არ შეუძლია იხილოს განთიადი.

წყალმცენარეები აბია თმაზე და აყვავებული ვაშლის სურნელი აქვს.

ე—რთი... ორი... ათამდე დაითვალა, არ იცის მეტი.

შენ საქათმეში იმალები. შენ კიდიხარ კიბეზე.

მე ღობესთან ვდგავარ. მცირე ცვლილებით. აშუდუს ტანსაცმელს ვრეცხავ.

ჩემი ბავშვობა პალმებისკენ მირბის. იქაც იმალებიან.

ვ—აზი სოფელში ვაჭრებმა ჩამოიტანეს. მთელი ღამით ლოცულობდა გვიმრიანში დედა ლიეშო. ბორგავდა იმ ღამით ზღვა. ქმრები ვერ წავიდნენ სათევზაოდ. მესამე დღეს გაცოცხლდა ვაზი. ნაყოფი მოგვცა და ჩვენ ვიგემეთ ტკბილი მარცვლები.

ზ—არები სოფლის აღმოსავლეთით კიდია. როცა კვდება ვინმე, დედა რეკს ზარს, დანარჩენები ვიცინით.

თ—იხის თასში ჩავყვირით ქმრების სახელს ცოლები, როცა ისინი მიდიან და არ ბრუნდებიან.



ი—ალქნებს მოჰყვებიან ვაჭრები. ჩამოაქვთ ტანსაცმელი და სამკაული. ჩვენგან მიაქვთ ვაშლის ღვინო. ზოგიერთ ვაჭარს ჩვენი ქალი მიჰყავს. დედა ლიეშო წინააღმდეგია ასეთი შეუღლების.

კ—აბებს ვკერავთ წვიმიან ღამეებში. ქმრები გვიან ბრუნდებიან სითეთრიდან. ქმრები ცივდებიან. ქმრები ცხელდებიან. ჩვენ კაბებს ფართე კალათებში ვაწყობთ. ქმრებს კომბოსტოს ფურცლებს ვადებთ შუბლზე. ზოგჯერ ისინი ვერ უძლებენ მაღალ ტემპერატურას და დედა ლიეშო ზარისკენ მიდის.

ლ—ილიების დღესასწაულისთვის დილიდან ვემზადებით. განთიადზე მივდივართ სანაპიროსკენ. ტანსაცმლიანად შევდივართ ზღვაში. კარგად რომ გათენდება, ქალები მივდივართ სახლებისკენ, რათა ქოხებიდან ყველაფერი გამოვიტანოთ. ქმრები ხეებზე ადიან და იქ რჩებიან შებინდებამდე. ბავშვები მიწაზე სხდებიან.

შებინდებისას გუბურისკენ მივდვართ მდუმარედ. წრეზე ვწვებით, ისე როგორც გვიმრიანში ლოცვისას.

მ—ამა.

ნ—ავი მიაპობს ტალღებს. აშუდუს ბადეს მოჰყვებიან თევზები. ნავზე ეცემიან. ფართხალებენ. მოწუსხულია აშუდუ. რამდენიმე თევზს წყალში აბრუნებს. იტოვებს მხოლოდ დღიურ ლუკმას. ლოცულობს აშუდუ. მადლობას უხდის ზღვას. მე გვიმრიანში ვწევარ, პირით ცისკენ.

ო—რაგულის ფხა კიდია კედელზე. კუთხეში ყრია ნივრისა და ხახვის თავები. კართან დევს სკივრი, რომელშიც ვინახავთ სამოსსა და მცირეოდენ ფულს. ქაღალდის ფულზე გამოსახულია ერთ-ერთი მმართველი. მას სახეზე აწერია, როგორ სურს მოდრიკოს ჩვენი სოფელი, მოაქციოს ბანკებისა და საფონდო ბირჟების მარწუხებში. გაგვხადოს თეთრ პერანგსა და ახალ ფეხსაცმელში გამოწკეპილ კლერკებად.

პ—ეპლები სიზმრებში შემოდიან. მხრებზე გვეჭიდებიან საცეცეებით. მიგვაფრენენ ქალაქებისკენ. სადაც ადამიანებმა დაივიწყეს თავისუფლება. სადაც დაივიწყეს ერთმანეთი. სადაც საშოში იკლავენ ბავშვებს. სადაც ჯერ რუდუნებით აგებენ ტაძრებს, მერე ამსხვრევენ. სადაც ყალბი იოჰან ლაროშები გინებით მისდევენ ყვითელ ავტობუსებს, აქოშინებული მიდიან სამსახურში, ბანკის ფოიეში დგებიან და გულმოდგინედ ყიდიან კარგად შეფუთულ განავალს.

ჟ—ანგბადი ფასიანი გახდა! — ყვირიან სიზმრებში. გადაიხადეთ წამში ცენტი და ისუნთქეთ.



მხატვარი ბადრი გაგნიძე

რ—ელსებს აგებენ. მუშები მოვიდნენ. რელსებს აგებენ. დაგვაბრუნეთ სიზმრებიდან. დაგვაბრუნეთ...

დედა ლიეშო. დედა ლიეშო.

ს—ახლები ცარიელია. ჩვენ გვიმრიანში ვწევართ. სახით მიწისკენ. ქმრები არ წასულან სათევზაოდ. მიწაზე წევს დედა ლიეშოც. რელსებს აგებენ. მუშები მოვიდნენ. რელსებს აგებენ. ჩვენკენ გზას უხსნიან მატარებელს. ვინ იცის რამდენ ფულს მოიტანენ ვაგონები. როგორ გვიყიდიან ჩვენ, ქმრებსა და შვილებს. როგორ გაგვხლეჩენ. გაგვხდიან ქედმაღალსა და ქედმოდრეკილს. ვლოცულობთ. მიწას ვკოცნით სახეალეწილი.

ტ—ყეს კაფავენ. წააქციეს ჩვენი ხეები. ანგელოსები ნაგვართვესო, ტირის დედა ლიეშო. ჩამოიქცევაო ცა. ვინლა დაიჭერსო. ვინლა ილოცებსო ადამიანისთვის.

უ—რმებს ვტვირთავთ აუცილებელი ნივთებით. სოფელი აიყარა. მივდივართ. მივდივართ ქალები. ქმრები. ბავშვები. მივდივართ დედა ლიეშოსთან ერთად. ვტოვებთ ქოხებს, ჩვენს ხეებს, სალოცავს.

ფ—ოთლები ცვივა ხეებს. მივდივართ წინ და წინ. მუშები მოგვდევენ. მოგვდევენ რელსები. ცივილიზაცია მოგვდევს, რათა გვშთანთქოს. ჩვენ გავურბივართ რეკლამებს, ცვალებად ვალუტის კურსებს, ჭარბ მობილურ კომუნიკაციებს, ვირტუალურ სივრცეს.

ქ—ვებში ვბრუნდებით.

ღ—ამით დგება აშუდუ. მკოცნის. იცვამს დაკემსილ ტანსაცმელს. გადის ქვებიდან. სხვა მამაკაცებთან ერთად მიდის ზღვისკენ.

ყ—ორნები სხედან გამხმარ ხეებზე. უკაცურია აქაურობა. მხოლოდ გვიმრა ხარობს. მოსალოცად მივდივართ ქალები. ვწვებით მიწაზე, პირით ცისკენ. ხელებს ვკიდებთ ერთმანეთს. ვქმნით წრეს. დედა ლიეშო სახეზე გვიმრას გვაფარებს. ჩვენ ვტირით და ვითხოვთ შემწეობას ზღვასთან მებრძოლ ქმრებისთვის.

შ—იში მოაქვთ რელსებს. შიში გვაპატარავებს. ქურდულად ვიყურებით უკან ნაბიჯების ხმაზე. შიში მოაქვთ რელსებს და საწოლების ქვეშ ძვრება. მე ვიხსენებ, როგორ დაბრუნდა დაღლილი იოჰან ლაროშ სახლში, კარადაზე აძვრა და თვალყური ადევნა ოთახში შემოსულ შიშს, რომელმაც პირველად საწოლის ქვეშ შეიხედა.

ჩ—აი... სადღაც იოჰან ლაროშ და შენ ფინჯან ჩაის სვამთ და იგონებთ, როგორ ილვიძებდით. იცვამდით. დედა თიხის თასებს ცხელი რძით გივსებდათ. მერე შენ საქათმეში იმალებოდი. ის ეკიდა კიბეზე.

ც—ა ხელით გვიჭირავს. მათ წააქციეს ყველა ხე და ჩვენ შვილებს ვიცავთ.

ძ—ონძებში ვახვევთ ქაღალდის ფულს. ჩვენ ვიცით, დაგვეწევიან რელსები და ეს ფული გამოგვადგება.

წ—ეროებს მიჰყავთ ფუთში გახვეული ჩვენი ბავშვები, რომლებსაც გადავჭერით ვენები, რათა არ ეცხოვრათ მონებად.

ჭ—ალარა ფრჩხილებზე მკოცნის აშუდუ.

ხ—ალხი დიდ ქალაქებში დროშებით დარბის. ხალხი გაჰყვირის ფუტურო ლოზუნგებს. ხალხი რუდუნებით აშენებს ტაძრებს და მერე ანგრევს.

ჯ—ვარს ვაზისგან აკეთებს დედა ლიეშო, საკუთარი თმით კრავს და გვეუბნება ვირწმუნოთ გამოტოვებული სიტყვა. დედა ლიეშო ელის განთიადს.

ჰ—აერს მიაპობს ნავი. აშუდუ ბადეს ისვრის. ეშხეფება წყლის წვეთები. მე ვხედავ ქმრის მონუსხულ სახეს. ლოცულობს აშუდუ.

მე და იოჰან ლაროშ ჩაის ვსვამთ დროშებიან ქალაქში.

სანკტ-პეტერბურგიდან მშობლიურ სახლში, ცოლ-შვილთან ერთად, ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა. სხვანაირად მართლაც არ შეეძლო. იმ ზაფხულს ჩვენი ჭის ამოწმენდის ცერემონიასაც შეესწრო. მერე იქვე სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან, სადღეგრძელოს თქმისას, ინატრა: ნეტავ, ჩემს მიწაზე სიკვდილს მაღირსებდეს უფალიო. მას მერე წელიწადზე მეტი გავიდა და... რაული სიმამრის გასვენებაში ჩამოსული, ეზოში, „საკუთარ მიწაზე" სწორედ მაშინ ჩაიკეცა, როცა სამძიმარს იღებდა... თითქოს ნატვრა აუსრულდაო, საკუთარ მიწაზე აღესრულა..

ნატო კორსანტია

# ჭაში ჩაძირული დრო

*ვუძღვნი რაულ მარხულიას ხსოვნას*

ჩემი მეზობელი ზაური იმ დილით ადრიანად მოვიდა. მერე თითქმის მთელი დღე იჯდა ჭაში და ვალს იხდიდა. საერთოდ კი არც მანამდე და არც შემდეგ არსად გამიგია და წამიკითხავს, რომ ვინმეს ჭის ამოწმენდა დადებოდეს ვალად.

თადარიგი ზაურმა ჭაში ჩასვლამდე დაიჭირა, ჭის ფსკერზე დალექილი მასის ამოსალებად თოკგამობმული სათლი და თიხის გვიმებზე მოდებული ხავსის ჩამოსაფხეკად რკინის ჯაგრისი მოიმარაგა. დაბზარული კედლების ამოსალესი ბეტონიც ამავე სათლით უნდა ჩაგვეწოდებინა. დროთა და წყალთა დინებაში დაბზარულ გვიმებს წვიმა ეპარებოდა, რაც ჭის წყალს გემოსა და ფერს უცვლიდა.



*მხატვარი გია ბულაძე*

შვიდი მეტრი სიღრმის ჭაში ჩადგმულ ხის უშველებელ კიბეს ზაური მაღალყელიანი რეზინის ჩექმით, მოკლე საწვიმარი ლაბადითა და სასაცილოდ ფართოფარფლებიანი მზის ქუდით ნელ-ნელა და ამაყად, თითქოს მთელი სოფლის დასანახად ჩაუყვა: აქაოდა, შემომხედეთ, განა მხოლოდ ჭის ამოსაწმენდად ჩავდივარ, არამედ ვალის მოსახდელად თვით მიცვალებულების წინაშეო. სწორედ აწ უკვე გარდაცვლილ დედას და მამას შეჰპირდა ზაური ჯერ კიდევ დევნილობამდე, ჭას მე ამოგიწმენდავთ, ჩემი იმედი გქონდეთო.

იმ დღეს ჭიშკართან გამვლელ-გამომვლელნიც ჭასთან წამოქცეული ღვინის სამასლიტრიანი კასრის თავზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე უპირველესად დედას და მამას ხსოვნისას ამბობდნენ. ზაური ყოველი მორიგი სადღეგრძელოს თქმისას აჩქარებული ამოუყვებოდა კიბეს, რათა ვალი ამ სადღეგრძელოების წინაშეც მოეხადა. მერე ვიღაცამ მოიფიქრა და ზაურის სასმელს, თავისი მისაყოლებლით, თოკზე გამობმული სათლით აწვდიდნენ, რასაც, ბუნებრივია, სადღეგრძელოების ჩაძახილ-ამოძახილიც ერთვოდა.

ზაურმა გვიმები ჯერ რკინის ჯაგრისით გაფხიკა, მერე გულმოდგინედ გარეცხა და ხავსიან-მტვრიანი წყლის ამოწოდებასაც მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა. თოკზე გამობმულ სათლს ფრთხილად, სვენებ-სვენებით ვექაჩებოდით, თუმცა ის ზოგჯერ მაინც მკვეთრად შექანდებოდა და ზაურს ტალახიანი წყალი ესხმოდა. მას უკვე არც მზის ქუდი ეხურა და არც საწვიმარი ლაბადა ეცვა, ერთ-ერთი სადღეგრძელოს სათქმელად ზემოთ ამოსვლისას, ხელს მიშლისო, და მოეშორებინა.

სათლი თანდათან დამძიმდა, ზაური წლების განმავლობაში ფსკერზე დალექილ მასას – ჭაში ჩაძირული „დროის ფენებს" მიადგა. მღელვარებას ვერ ვფარავდი, ვინ იცის, რომელი მივიწყებული ნივთი აღმოჩნდებოდა იმ ფენებში. ბავშვები გამიზნულად აგდებენ ხოლმე ჭაში ამა თუ იმ საგანს – მისი წყალში ჩავარდნის ხმა თუ ჩაძირვის პროცესი აინტერესებთ. ჭასთან მდგარ უფროსებს კი შემთხვევით უცურდებათ ხოლმე ისინი ხელიდან. ამიტომაც სახლსა თუ ეზოში წლების განმავლობაში დაკარგული ბევრი ნივთი სწორედ ჭაში მეგულებოდა. ეს ნივთები ახლა სულის სიღრმეში ჩაძირულ თითქმის მივიწყებულ ამბებსაც ჰგავდა, რომლებიც ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდება მეხსიერების ზედაპირზე და წარსულთან გაბრუნებს.

...ძაღლის დასაბმელი ჯაჭვის ნაგლეჯი, მაკრატელი, რეზინის ზოლებიანი ბურთი, სიმინდის ნაგულები, ჰამაკის რგოლები, მაჯის საათი დაჟანგული ისრებითა და წაშლილი ციფერბლატით... თითქოს სიზმარში ვიყავი, ღამისთვის დასწრებულ სიზმარში, როცა ჩახჩახა მზის გულზე ვიღაცების თანდასწრებით ხდებოდა ჭაში ჩაძირული დროის გამზეურება, რის გამოც ერთგვარ უხერხულობასაც ვგრძნობდი თითქოს..

...ვერცხლის კოვზი, ოქროსფერი შავკოპლებიანი ჭიქის ნამსხვრევები... ტალახში ამოთხვრილი ზაური აგრძელებდა აღმოჩენებს, რომელიც სულ ბოლოს ყვავილებით მოხატულმა რკინის ჭიქამ დაასრულა. თვალწინ გვიანი შემოდგომის ის დღეები დამიდგა, როცა ჭასთან ახლოს სახელდახელოდ მოწყობილ ფანჩატურში ჭაჭის გამოხდა იწყებოდა. თბილ არაყს სწორედ ამ რკინის ჭიქით აგემოვნებდნენ. პატარაობაშიც და დიდობაშიც მე და მედიკო განსაკუთრებული გულისფანცქალით ამ რიტუალის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაწილს ველოდებოდით, როცა მამა (წინათ ბაბუა) ნაგვიანევი სიმინდის ყანაში გაერეოდა აქა-იქ შემორჩენილი ჭყინტი სიმინდის მოსატეხად. მერე ამ იშვიათი „ნანადირევით" სავსე კალათას გვერდით მიიდგამდა და...

თუხთუხებდა საარყე ქვაბი, წვეთ-წვეთად მონაწკარებდა ჯერ რახი და მერე ორნახადი. მამა კი (წინათ ბაბუა) თხილის წვერწამახულ წკირზე წამოცმულ ჭყინტ სიმინდს ნაკვერჩხალს უფიცხებდა და გვერდებს მარჯვედ უნაცვლებდა. გარშემო დაბრაწული ჭყინტი სიმინდის გამაბრუებელი სუნი დგებოდა.

...იმ დღეს ჭასთან მომხდარ ამბებს, ჭაში ჩაძახებულ თუ იქიდან ამოძახებულ სადღეგრძელოებს, ამ წარმოსახვამ, შემდეგ კი პეტერბურგიდან ჩამოსული რაულისა და რუსიკოს შემოსწრებამაც მოუნახა შესაფერისი გაგრძელება: გამახსენდა ათლიტრიან ბოცაში ჩარჩენილი და, ნებით თუ უნებლიეთ, რომელიღაც საგანგებო დღისთვის გადანახული, დედას მიერ შვიდი-რვა წლის წინათ გამოხდილი არაყი. უცებ ფიქრმა გამიელვა, რომ მისი „გამეტების" დრო დამდგარიყო.

სახლის მეორე სართულზე, დედის ნამზითვ კარადაში გამოკეტილი ბოცა კიბეზე ამაყად ჩამოვარბენინე და სამასლიტრიანი ღვინის კასრზე გაშლილ სუფრაზე კიდევ უფრო ამაყად შემოვდგი.

დედას გამოხდილი არაყი მთელ იმ არემარეში ნაქები იყო: შაქარს არ ამატებდა, დროულად ხდიდა და ზედმიწევნით ზუსტად აზავებდა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ზაურმაც კარგად იცოდა და, როცა ჭაში მჯდომმა ყური მოჰკრა, სუფრას ბროლის გამოხდილი არაყი შემოამატესო, არც აცია, არც აცხელა, კიბის საფეხურებს სწრაფად ამოჰყვა... და ზემოთ ამოსულმა გამოაცხადა: ანი, მე დღეს ჭაში ვერა ძალა ვერ ჩამაბრუნებსო.

ზაური თითქოს ჭიდან და ვალიდან ერთბაშად ამოვიდაო. ცხადი იყო, ჭის ბოლომდე ამოწმენდა ისევ სხვა დროისთვის გადაიდო. თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა: ჭაში ჩაძირული დროის თუ იქ ჩარჩენილი განწყობების „გამზეურება" დაწყებული იყო და ანი ვერც მას ჩააბრუნებდა უკან ვერა ძალა.

თანაც ეტყობოდა, რომ ზაურს ვალი უკვე გადახდილად მიაჩნდა. სხვათა შორის, ვალმოხდილობის განცდა მეც არ მტოვებდა – ვგრძნობდი, რომ ამიერიდან ამ ეზოში ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო ახალი ვალებითა და მევალეებით.



ვახტანგ ბახტაძე

# „მთაწმინდა" – თავისი სახელის ერთგული

გამომცემლობამ „მთაწმინდა" ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ორი წიგნი წარუდგინა საზოგადოებას: კრებული „მამული, ენა, სარწმუნოება", რომელშიც შედის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და იაკობ გოგებაშვილის თემატურად შერჩეული წერილები; და არქიმანდრიტ პიროსის (ოქროპირიძის) (1874-1922) „ახალი აღთქმის განმარტებანი", რომელიც ცალკეული ნაწილების სახით პირველად 1901 წელს გამოიცა, ახალი გამოცემა კი სამივე ნაშრომს აერთიანებს: „განმარტება სახარებისა, სახარება მათესაგან", „განმარტება სახარებისა, სახარება მარკოზისაგან" და „განმარტება წმინდა პავლე მოციქულის სამწყსო ეპისტოლეთა".







ცხადია, ამ წიგნების გამოცემა თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც გამომცემლობის საქმიანობა, გეზი და მიზნებია. მესვეურებს ეს მიზნები ასე აქვთ ჩამოყალიბებული:

– ძირითადად იმ პიროვნებათა ნაწარმოებების გამოცემა, რომლებიც დაკრძალულნი არიან მთაწმინდაზე. ასევე იმ პირთა ნამუშევრების წარმოჩენა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში და რომელნიც მათი მოღვაწეობის მნიშვნელობით მთაწმინდის სულიერ მკვიდრთ წარმოადგენენ.

– ისეთი ნაწარმოებების წარმოჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი რწმენისა და ეროვნული სახის შეუბღალავად შენარჩუნებას.

– ისეთ საქმეთა აღსრულება, რაც ქართული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენას დაეხმარება.

– ჭარმაგ ხელოვანთა და საერთოდ დაუბეჭდავი ნამუშევრების გამომზეურება.

– ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა.

საყურადღებოა, რომ „მთაწმინდა", რომელსაც ასეთი მიზნები აქვს დასახული, საბჭოთა რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბებული პირველი დამოუკიდებელი გამომცემლობაა. ის 1989 წელს დააარსა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პოეტმა და მხატვარმა **ზურაბ კალანდაძემ**.

გამომცემლობის სამეცნიერო ჯგუფში თავიდანვე მოღვაწეობდნენ ცნობილი ლიტერატორები და მკვლევარები: **ზურაბ სარჯველაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, მანანა მაჩხანელი, დარეჯან თვალთვაძე, უჩა ცინდელიანი** და სხვები.

„მთაწმინდამ“ დროებით შეწყვიტა მუშაობა 1994 წელს, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გამო. ამ დროისათვის მას 50-მდე წიგნი ჰქონდა გამოცემული. გამომცემლობის დამაარსებელი ზურაბ კალანდაძე კი ამჟერად ჰოლანდიაში განაგრძობს ინტენსიურ შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას (მის შესახებ სხვა დროს მოგითხრობთ).

2008 წელს **ზურაბ კალანდაძემ** და მისმა შვილმა გიორგი კალანდაძემ გამომცემლობა „მთაწმინდის“ საქმიანობა განაახლეს. ამჟამად მას სათავეში უდგას **გიორგი კალანდაძე**, რომელიც ჰოლანდიიდან დაბრუნდა.



*გიორგი კალანდაძე*

მართალია, გამომცემლობას გეზი არა აქვს აღებული კომერციული თვალსაზრისით აუცილებლად მომგებიან წიგნებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმატებით ფუნქციონირებს.

ამას მოწმობს გამომცემლობის აღდგენის შემდეგ გამოქვეყნებული წიგნები: იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“, „ბიბლიის ლექსიკონი“, „შვიდგზის ლოცვანი“, აკაკი წერეთლის „ქართული ანბანი“, ილია ჭავჭავაძის „საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“, აკაკი წერეთლის „ორი ქართველი“, „ლოცვანი“ და სხვა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „მთაწმინდა“ ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს საერო და სასულიერო ლიტერატურის გამოცემას. ეს გარკვეული ანარეკლია საერო და სასულიერო ცხოვრების ჰარმონიისა, რომელიც ისტორიულად დამკვიდრებული იყო ჩვენში და რისი წყალობითაც საქართველომ უამრავ განსაცდელს გაუძლო და დღევანდლამდე მოიტანა მაღალი სულიერება.

ახლა ზემოხსენებული წიგნების პრეზენტაციას დავუბრუნდეთ.

საღამოს წამყვანმა, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქალბატონმა **ფერიდე კვაჭანტირაძემ** მოკლედ ილაპარაკა საპრეზენტაციო წიგნებზე და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გამომცემლობის დირექტორი **გიორგი კალანდაძე**. მან მოკლედ გააცნო საზოგადოებას გამომცემლობა და მისი გეზი.

არქიმანდრიტ პიროსის წიგნზე საინტერესოდ ილაპარაკეს დეკანოზმა **თეოდორე გიგნაძემ** და დეკანოზმა **პეტრე კვარაცხელიამ**.

კრებულზე „მამული, ენა, სარწმუნოება“ აზრი გამოთქვა პოეტმა **ბალათერ არაბულმა**. მან აღნიშნა: ეს არის წიგნი-სარკე, რომელშიც თითოეულმა ქართველმა ყოველდღე უნდა ჩაიხედოს, რათა იცოდეს: რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ. იმედი გამოთქვა, რომ ორივე გამოცემა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის სამაგიდო წიგნებად იქცევა.

საღამოს დასასრულს თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს ნაწყვეტები წიგნიდან „მამული, ენა, სარწმუნოება“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

პრეზენტაციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გამომცემლობა „მთაწმინდა“ თავისი მიზნების, თავისი სახელის ერთგულია.

# „ხუთშაბათობა“ – შიო არაგვისპირელის ხსოვნად

თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურმა მუზეუმმა 16 დეკემბერს მისდამი დაქვემდებარებულ შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმში გამართა ქართული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ფუძემდებლის **შიო არაგვისპირელის** დაბადების 143-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „**ხუთშაბათობა**“.

აქ დამსწრე საზოგადოებამ მომხსენებელთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ **თამარ პაიჭაძესთან** ერთად კიდევ ერთხელ გაისიგრძეგანეს შიო არაგვისპირელის ღვაწლი ქართული პროზის, კერძოდ ქართული ნოველის განვითარების საქმეში და მისი ადგილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

მწერალმა და მკვლევარმა **როსტომ ჩხეიძემ** საინტერესოდ წარმოაჩინა მწერლის ფსიქოლოგიურ-ლიტერატურული პორტრეტი.

ახალი შტრიხები შემატა გამოჩენილი ნოველისტის ბიოგრაფიას შიო არაგვისპირელის უახლოესი მეგობრის **თედო სახოკიას** შვილიშვილმა, ენათმეცნიერმა **შუქია აფრიდონიძემ**. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **სალომე ყუბანეიშვილის** მიერ მოწოდებულმა ცნობებმა გააცოცხლა ის კულტურულ-სოციალური გარემო, რომელშიც უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენს სახელოვან წინაპრებს და მათ შორის შიო არაგვისპირელს.



მუზეუმის საქმიანობაზე ისაუბრეს მუზეუმის დირექტორის მოადგილემ – **თამარ კობახიძემ**, მუზეუმის ფონდების მთავარმა შემნახველმა – **ნელი ბუმბეიშვილმა**.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ნინო მინდიაშვილი**. მან საგანგებოდ აღნიშნა მუზეუმების როლი თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და მადლობა გადაუხადა მუზეუმის დირექტორს ქალბატონ **მზია ნადირაძეს** ამ შესანიშნავი ტრადიციისთვის. სტუმრებს შორის იყვნენ თბილისის საჯარო სკოლის პედაგოგები, თბილისის სასულიერო სემინარიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მუზეუმის თანამშრომლების მისამართით სამადლობელი სიტყვები შეიტანეს შთაბეჭდილებათა წიგნში **სალომე ყუბანეიშვილმა** და **თამარ პაიჭაძემ**. საღამოს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ზ. აძინბიამ**.

ჯოან აიკენი

# საშობაო საჩუქრები

შობის წინა კვირები ყოველთვის სიხარულით, მოლოდინითა და ალტაცებით იყო სავსე. ოჯახი ბიძებს ელოდა, რომლებიც გაზაფხულზე სახლიდან სამოგზაუროდ და სავაჭროდ მიდიოდნენ, შინ კი საშობაოდ ბრუნდებოდნენ. ოთხივე ბიძა ერთდროულად გადიოდა სახლიდან. ერთად ჩაირბენდნენ ციცაბო ფერდობს და ჩაივაკებდნენ. მაგრამ ქვევით, მთის ძირას, ვიწრო ტაფობზე მათი გზები იყრებოდა. ძია მარკი და ძია აკრაუდი აღმოსავლეთით, უზარმაზარი ვაკისკენ გასწევდნენ. ძია ემერი და ძია გონფილი კი – დასავლეთისაკენ, სადაც მდინარეები, ქალაქები და დასავლეთის ზღვა მდებარეობს. მერე, სანამ მთებს საბოლოოდ გამოემშვიდობებოდნენ, წყვილები ერთხელ კიდევ განცალკევდებოდნენ: ძია აკრაუდი სამხრეთის გზას დაადგებოდა, ხოლო ძია ემერი – ჩრდილოეთის. ასე რომ, შინ დარჩენილი ბავშვები, რომლებიც მაღალი მთიდან თვალს ადევნებდნენ მიმავალ ბიძებს, ზოგჯერ ფიქრობდნენ, უხილავი სიმები ჩვენი ოჯახიდან ოთხივ კუთხივ, მთელ მსოფლიოში იბმებაო.

მთაში გაზაფხული და ზაფხული ჩვეულებრივ საქმიანობაში გადიოდა – ფერდობებზე ხნავდნენ და თესავდნენ. თევზაობდნენ, კურდღლებზე ნადირობდნენ, კენკრასა და მარწყვს კრეფდნენ. მერე თივის ზვინებს დგამდნენ. მაგრამ შემოდგომაზე, როდესაც ცივი ქარი დაუბერავდა, ხოლო თოვლი მაღალი მწვერვალებიდან ძირს ნელ-ნელა მოცოცავდა და მთის ფერდობებზეც ჩამოთოვდა, სწორედ მაშინ დიდედას მოსვენება ეკარგებოდა.

მთელი ზაფხული აივანზე თავის სარწეველა სავარძელში მშვიდად იჯდა. მუხლებზე ჭრელი, დალიანდაგებული საბანი ეფარა და ჩინდაკარგული თვალებით აღმოსავლეთს გასცქეროდა, საითკენაც მისი უფროსი და უსაყვარლესი ვაჟი წავიდა. მაგრამ როდესაც ქარებთან ერთად მგლებიც უფრო გაბედულად ინყებდნენ ყმუილს, ბავშვები კი მალიმალ ჯირკებით სავსე ტომრებს შინისკენ ეზიდებოდნენ, ხოლო საქონელს სახლის ქვედა სართულზე ბოსელში გულდაგულ აბინავებდნენ, დიდედას მღელვარება ემატებოდა.

უფროს შვილიშვილს სემლეს დიდედასთან ცხელი რძე მიჰქონდა ხოლმე. მოხუცი გოგონას გამხდარ მზედაკრულ მაჯას ხელს მოჰკიდებდა და ეკითხებოდა: „მითხარი, შვილო, რამდენი დღეა დარჩენილი წმინდა ფროიდამდე?“ (ეს დღესასწაული პირველ დეკემბერს აღინიშნება).

– თვრამეტი, დიდედ, – ეუბნებოდა ღიმილით სემლე და მოხუცს დაღარულ-დანაოჭებულ ლოყაზე კოცნიდა.

– ასე ბევრი? ნუთუ ამდენი დარჩა მათ მოსვლამდე? – უკვირდა მოხუცს.

– ნუ ღელავ, დიდედ. ბიძებს არაფერი მოუვათ, უვნებელნი დაგვიბრუნდებიან. შესაძლოა წელს ადრეც კი მოვიდნენ, წმინდა მელინის დღესასწაულამდე (ეს დღესასწაული კი თორმეტ დეკემბერსაა).

ოჯახი გულდაჯერებული ელოდა მათ გამოჩენას. ზოგჯერ მოულოდნელად დეკემბრის შუა რიცხვებში ქარის ზუზუნს ურმების ჭრიალისა და ზანზალაკთა შორეული ხმა შეერეოდა. ძია ემერის ვაჟი ახალგაზრდა მარკი, რომელიც მაღალი კლდის თავზე ამოსულ ფიჭვის ხეზე მეთვალყურედ იჯდა, შორს ჰორიზონტზე თვალს მოჰკრავდა ბარგაკიდებული ჯორების შუბლზე სპილენძის მედალიონთა და მზეზე კარაბინის ლულათა შორეულ ბრჭყვიალს და გახარებული შინ გარბოდა, რათა ბიძების მოსვლის ამბავი ყველასთვის ეხარებინა.



– დიდედაა... დიდედა, ბიძები მოდიან, – გაჰყვიროდა მარკი.

ამის თქმა იყო და მთელი ოჯახი და მთელი სოფელი ისე აფორიაქდებოდა, როგორც ჭიანჭველები, როდესაც შემთხვევით ბარით ბუდეს დაუნგრევენ. არავინ იცის, ვინ სად გარბოდა, ვის რა მოჰქონდა. იყო ერთი გნიასი და ფაციფუცი. ბიცოლები ცეცხლს აჩაღებდნენ. უჯრიდან საუკეთესო თეთრეულს იღებდნენ. სუფრაზე ღვინო, ლორი და ძმარში ჩაწყობილი მოხარშული კვერცხი მოჰქონდათ. ცომს აფუებდნენ თაფლაკვერების გამოსაცხობად. სარდაფიდან დაკონსერვებული მარწყვის ქილები ამოჰქონდათ. ამასობაში ბავშვები მოსამსახურეებსა და დაახლოებით ნახევარ სოფელთან ერთად ბიძებთან შესახვედრად სახიფათო, დაკლაკნილი ბილიკით მთიდან დაბლა ვაკეზე ეშვებოდნენ. ციცაბო ბილიკზე ურმით ამოსვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ ურმებს ქვევით გადმოტვირთავდნენ, მეურმეებს გასამრჯელოს გადაუხდიდნენ და გაისტუმრებდნენ. მერე სიცილ-სიცილით, შეძახილებითა და ბავშვების კითხვებით თავბრუდახვეულნი დაადგებოდნენ მთის ბილიკს. ვისაც რამდენის ზიდვა შეეძლო, იმდენი მოჰქონდა. ზოგ ბარგსაც ჯორს აჰკიდებდნენ და ფრთხილად, ტაატით ადიოდნენ მაღლა. ზოგჯერ ბიძები თოვლში ღამით ბრუნდებოდნენ. ხელში მხრჩოლავი მაშხალები ეჭირათ. მაგრამ ბავშვებიცა და მეზობლებიც დაბარებულებივით მაინც ქვევით ელოდნენ.

– ძია მარკ, დიდედას ჩინური ხილაბანდი ჩამოუტანეთ? ძია ემერ, დეიდა გრიფამ რომ გთხოვათ ბურნუთის ჩასაყრელი მინანქრის კოლოფი? ძია აკრაუდ – შუშის შანდალი? ძია გონფილ – წიგნები? – არ ისვენებდნენ ბავშვები.

– დაწყნარდით, ბავშვებო, ყურები ნუ გამოგვიჭედეთ შეკითხვებით. ყველაფერი ჩამოვიტანეთ. ერთი ეს ჯოჯოხეთური მთა ავიაროთ. ყველაფერი აქაა: ხილაბანდიც, ყუთიც, წიგნებიცა და კიდევ სხვა ათასი რამ: ქინძისთავები, ნემსები, ეგზოტიკური ხილი და ღვინო. მეზობლებისთვისაცაა საჩუქრები, მაგრამ ჯერ ცოტა გვაცალეთ, ამოგვასუნთქეთ.

მომცრო ფუთებაკიდებული ბავშვები ხტუნვა-ხტუნვით გარს უვლიდნენ ბიძებს და დაკითხვას განაგრძობდნენ.

– ჩინეთში იყავით? უძლეველ ხანს შეხვდით? რომი ნახეთ? მოსკოვი? დალაი-ლამა? გემით იმოგზაურეთ? აქლემებითა და სპილოებით? – ბოლო არ უჩანდა ბავშვების შეკითხვებს.

მთის წვერზე, სახლის გადახურულ აივანზე დიდედა იჯდა. რაგინდ გვიანი და საშინელი ამინდიც უნდა ყოფილიყო, დიდედა თავის ვაჟებს იქ ხვდებოდა. წელგამართული, ამაყად იჯდა. დალიანდაგებული საბანი მუხლებზე ჰქონდა შემოხვეული. რძლები კი სახლიდან აივანზე წინ და უკან შერბი-გამორბოდნენ, გახურებული აგურები დიდედას ფეხებთან რომ დაეწყოთ, რათა ფეხები არ გაციებოდა. ვაჟები დიდი სიყვარულითა და მოწიწებით პირველად დედას გადაეხვეოდნენ, მერე თავთავიანთ ცოლებსა და რძლებს. ამის შემდეგ იწყებოდა მეზობლებისათვის ჩამოტანილი ნაირ-ნაირი ხელსაწყო-იარაღების, მაკრატლების, წამლების, ნერგების, ქსოვილების, ლიქიორების, თოფებისა და მუსიკალურ ინსტრუმენტთა განაწილება. მერე იმართებოდა დიდი ნადიმი. ხოლო დიდედა, ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები საჩუქრებს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესის მიხედვით მხოლოდ შობა დღეს დილით იღებდნენ. ძია მარკი დიდედას სავარძლის უკან დგებოდა, გულისჯიბიდან პატარა სალამურს იღებდა, რომელიც ერთ-ერთი მოგზაურობის დროს შეეძინა, და დაკვრას იწყებდა. სალამურს, რომელიც შავი, პრიალა ხისგან იყო გაკეთებული, ქარვის მუნდშტუკი და ნახვრეტებში ჩასმული ვერცხლის რგოლები ამშვენებდა. ძია მარკი ყოველთვის ერთსა და იმავე მელოდიას უკრავდა. ეს ნაზი მელოდია მაშინ მოესმინა, როდესაც ერთხელ, ჯერ კიდევ ბიჭობაში, შემთხვევით ყინულის ნაპრალში კინაღამ ჩაიჩეხა. ამ დროს მთის მწვერვალიდან სიმღერასავით ხმა ჩამოესმა: – დახედე, ფეხს სადა დგამ. ფრთხილად, ოჯახი არ გააუბედუროო.

ეს ნაზი და დამაფიქრებელი მელოდია შუათანა შვილიშვილს, სანდრას, გაზაფხულის ხმებს აგონებდა. თბილი ქარებისა და თოვლის დნობის ხმას. ყინულის ლოლოებიდან ჩამოვარდნილი წვეთების წანწკარსა და ჩიტების მოძახილს, როდესაც თავიანთ გულისსწორს უხმობენ ხოლმე.

სანამ ძია მარკი სალამურზე უკრავდა, ძია ემერს თითოეული საჩუქარი დიდედასათვის ხელში უნდა ჩაედო. აქ კი სასწაული ხდებოდა. დიდედა, რომელსაც თვალისჩინი წართმეული ჰქონდა და მთელი წელი თითქმის ვერაფერს ხედავდა, საგანს ხელს შეახებდა, თითებს გადაუსვამდა თუ არა, შეუცდომლად, წამსვე იწყებდა მის აღწერას: – ეს სადაფის სავარცხელი, რომელიც ბაბილონშია გაკეთებული და რომელსაც ვერცხლის ღილი ამშვენებს, ტასის იყოს. ეს ცისფერი და ალაგ-ალაგ ვარდისფერი ინდური აბრეშუმის ხილაბანდი არჯილას მივართვათ. დამასკოური ხის სათამაშო – ახალგაზრდა ემერს. ოქროს გულსაბნევი – გრიფას. ხოლო პარიზში ნაყიდი წითელი ტყავის ყდაში ჩასმული ლექსების წიგნი სემლეს ჰქონდესო.

გადაუსვამდა თუ არა საგანს თავის გამხდარსა და დაშაშრულ-დანაოჭებულ მოხრილ თითებს, დიდედა, რომელიც სრულიად ბრმა იყო და რომლისთვისაც მთელი წელიწადი ერთი გრძელი ღამე გახლდათ, შეუცდომლად გამოიცნობდა არამარტო საგანს, არამედ მის ფერსა და დამზადების ადგილსაც ასახელებდა. უმცირესი დეტალიც კი არ გამორჩებოდა: ეს ნაქსოვი, ბამბის ქურთუკი ფოთლებითა და ყვავილებითაა მოჩითული. ფერები კი ოქროსფერი, ყავისფერი და მუქი ლურჯია, – ამბობდა იგი.

დიდედა ყოველთვის ბრმა როდი იყო. ახალგაზრდობაში ისიც მშვენივრად ხედავდა.

– დედაჩემო, ეს შენი საჩუქარია. მარკმა მოგართვა, – ეტყოდა ძია ემერი და ხელში ქსოვილის ფუთას ჩაუდებდა.

დიდედა მყისვე სიხარულით წამოიძახებდა:

– რა ლამაზი მოსასხამია. ღია მწვანე ფერი მხოლოდ ნაკეცებში ჩანს. თითქოს თეთრ თოვლზე ჩრდილები თამაშობენო. მონაცრისფრო ღილები მარგალიტებს ჰგავს. გახამებულ საყელოზე კი თეთრი ვარდებია ამოქარგული.

– ჩაიცვი, დედი! – შეეხვეწებოდნენ ვაჟიშვილები და რძლები. ხოლო შვილიშვილები, რომლებსაც თავთავიანთი საჩუქრები გულში ჩაეხუტებინათ, ჟრიამულითა და ცეკვა-ცეკვით გარს უვლიდნენ დიდედას.

– ჩაიცვი, დიდედ, ჩაიცვი! – გაიძახოდნენ ისინი. და როდესაც დიდედა მოსასხამს მოიხურავდა, ბავშვები აღფრთოვანებულნი შესძახებდნენ:

– დიდედ, დედოფალს ჰგავხარ; მთელი მსოფლიოს დედოფალს. უფრო სწორად, მთის დედოფალს.

დიდედასათვის შობის შემდგომი თვეები უბედნიერესი იყო. ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ვაჟიშვილები შინ მშვიდობით დაუბრუნდნენ. დიდ ოთახში დანთებული ბუხრის კუთხეში იჯდა. გარეთ ქარი ღმუოდა და არე-მარეს თოვლით ავსებდა. მაგრამ ამას მისთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან მის ოჯახში და მეზობლების ოჯახებშიაც ფქვილის, ხორცის, ცხიმის, შეშისა და სამკურნალო ბალახების საკმაო მარაგი იყო. ბავშვებს არც წიგნები აკლდათ და არც სათამაშოები. გაკვეთილებს მოხუცი მღვდელი უტარებდათ. ხან სწავლობდნენ და ხანაც საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ ან რთავდნენ. ზოგჯერ კი ბიძების ჩამოტანილი საჭრეთლითა და სხვა ხელსაწყოებით სკამებსა და ზანდუკებს აჩუქურთმებდნენ. ბიძები კი ამ დროს ისვენებდნენ და ნება-ნება ყვებოდნენ მოგზაურობის ამბებს. ძია მარკი საათობით უკრავდა სალამურზე, ძია აკრაუდი კი ხატავდა იმ საოცარ პეიზაჟებს, რომელიც მოგზაურობისას ენახა. დიდედა ხელს დაადებდა ნახატს და მარკის მუსიკის თანხლებით იწყებდა მის აღწერას:

– ჰორიზონტზე მოჩანს დიდი, ყავისფრად დანაოჭებულ-დატალღული მთაგრეხილი. ქვევით ცხელი, ქვიშიანი დაბლობია. ღია ლურჯი ფერი ჩანს. არა მგონია, წყალი იყოს. ეს ჰაერისა და ცის ფერია. ქვიშა უცნაური ზოლებითაა დახაზული. ეს ალბათ ადამიანის ნაკვალევია. ერთ ადგილას მწვანე ფერი საკერებელივითაა ჩასმული. ამ ნალკოტს გარდიგარდმო გზა კვეთს. ალაგ-ალაგ ქლიავისფერი და ვარდისფერი მოწითალო-ჟანგისფერს ერწყმის. ეს მიწა უნდა იყოს, რომელიც მაღლა მთებზე უფრო გამომშრალი ჩანს, ხოლო აქაიქ პაწაწინა მინერალები მზეზე ბრწყინავს და ელვარებს.

– დედი, ეს პეიზაჟი შენ ჩემზე უკეთ დახატე, – წამოიძახებდა ძია აკრაუდი. ბავშვები კი დიდედას გარშემო იატაკზე ფეხმორთხმით ისხდნენ და სულგანაბულნი, ინტერესით უსმენდნენ.

– მე ხომ ვერაფერს დავინახავდი, თავიდან შენ რომ არ გენახა და არ დაგეხატა და მარკიც რომ არ მეხმარებოდეს თავისი მუსიკით, – მიუგებდა დიდედა.

– დიდედა ამას როგორ ახერხებს? – ეკითხებოდნენ ბავშვები თავთავიანთ დედებს.

– არავინ იცის. ასე მარტო მას შეუძლია. ეს მისი ნიჭია, – პასუხობდნენ ისინი.

დროდადრო, საღამოობით მეზობლები მათთან თავს იყრიდნენ. ზოგჯერ დიდი ოთახი მთლად ხალხით ივსებოდა. ისხდნენ და სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ დიდედას. ბოლოს, როდესაც დაღლილ-დაქანცული დიდედა დასაწოლად მოემზადებოდა, მეზობლები ღრმად ამოიოხრებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნარად ჩაილაპარაკებდნენ, ქვეყანა მართლაც დიდი ყოფილაო, და თითო-თითოდ გაიკრიფებოდნენ.

ასე გადიოდა ზამთარი. მაგრამ როგორც კი ჰაერში გაზაფხულის სუნი ოდნავ დაირხეოდა, ბიძებს კვლავ მოსვენება ეკარგებოდათ. იწყებდნენ ალქურვილობის მომზადებას. მსჯელობდნენ რუკებსა და მარშრუტებზე. კემსავდნენ და აკერებდნენ ხურჯინებსა და ჩექმებს. წამდაუწუმ გარეთ იყურებოდნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ გზის გახსნას.

დიდედა ამ დროს სულ უფრო და უფრო ჩუმი ხდებოდა. შვილებს დარჩენას არასოდეს სთხოვდა. არც ექნებოდა ალბათ ამას აზრი. მოკუნტული და დაპატარავებული ჩანდა დალიანდაგებული საბნის ქვეშ. ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბიძები მხიარულად, სიცილ-სიცილით დიდედას და ოჯახის სხვა წევრებს გამოემშვიდობებოდნენ და დნობაშეპარულ თხელ თოვლში ხმაურით გააბიჯებდნენ, დიდედა დამუნჯდებოდა და აღარავის ელაპარაკებოდა. მისი სიჩუმე ზოგჯერ ხუთ-ექვს კვირას გრძელდებოდა. მთელი დღე უსიტყვოდ, უმოძრაოდ იჯდა და აღმოსავლეთს გასცქეროდა. მერე თავის წილ რძეს დალევდა და დადარდიანებული წვებოდა. მოგვიანებით მაისის თბილი მზე თუ გამოაცოცხლებდა. ნელ-ნელა უბრუნდებოდა სიცოცხლის ხალისი. – ექვსი თვეღა დარჩა მათ მოსვლამდეო, – ამოოხვრით იტყოდა.

– დიდედა ყოველ წელს სულ უფრო ძნელად ეგუება ბიძების წასვლას, – უთხრა ერთხელ ახალგაზრდა მარკმა თავის ბიძაშვილ სემლეს.

გოგონას შეაყრყოლა, თუმცა მაისის თბილი მზე ანათებდა.

– ერთ დღესაც, როდესაც ისინი დაბრუნდებიან, შესაძლოა დიდედა ჩვენ შორის აღარ იყოს. ისეთი გამხდარია. დღითიდღე კი სულ უფრო ილევა. ხელებში ლანდი გასდის, – თქვა სემლემ და თავისი თხელი, მზედაკრული ხელი ასწია და მზის შუქზე გახედა.

– არ ვიცი, ამას როგორ გადაიტანენ, – მიუგო ფიქრებში წასულმა მარკმა.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

ერთ წელიწადს, დეკემბრის თვეში ბიძები შინ ჩვეულებრივზე გაცილებით გვიან დაბრუნდნენ. სადღა იყო ის ძველებური მხიარულება და ჟრიამული. სახლს დამუნჯებულები მოადგნენ. დიდედამ მყისვე იგრძნო, რომ რაღაც საშინელი მომხდარიყო და მოუთმენლად იკითხა:

– სად არის ჩემი მარკი? მისი ხმა რატომ არ მესმის?



მხატვარი თამარ მინაშვილი

– დედი, შენი მარკი ვეღარასოდეს დაბრუნდება შინ. მოკვდა, – ძლივძლივობით უპასუხა ძია აკრაუდმა.

– რაო, მოკვდაო? რას ამბობ? შენ საიდან იცი? თქვენ ხომ თქვენი თვალით არ გინახავთ, – ხავსს ეჭიდებოდა დიდედა.

მაშინ ძია აკრაუდმა ეს ამბავი მოუყვა:

– მარკს დათქმულ ადგილას დიდხანს ველოდეთ. ბოლოს, როგორც იქნა, შიკრიკი გამოჩნდა, რომელმაც გვითხრა, მარკი თავისი ქარავნით მეკობრეებსა და ბანდიტებს გადაეყარაო. მათ მარკი და მისი ხალხი დახოცესო. მე თავი ძლივს დავაღწიეო.

– კი მაგრამ საიდან იცი, რომ სიმართლე გითხრა, – ჰკითხა დიდედამ.

– მარკის ბეჭედი გადმომცა.

ემერმა დიდედას ხელში ბეჭედი ჩაუდო. დიდედამ თითებით მოსინჯა და ამოიგმინა:

– ჩემი მარკი ცოცხალი აღარა მყავს!

– დედი, იმ კაცმა ეს პაწია ყუთიც მომცა. თურმე მარკს შენთვის მოჰქონდა, – უთხრა ძია ემერმა და ყუთი გახსნა. შიგ სპილოს ძვლისფერი მარაო აღმოჩნდა, რომელზეც მინდორში გაფრენილი ჩიტი ეხატა. ჩიტის თვალებში ძვირფასი საფირონის ქვები ჩაესვათ.

დიდედა გახევებული იჯდა. ხელში მარაო ეჭირა.

– ეს რა არის? – იკითხა მან ბოლოს. – არჯილა, მითხარი, რა არის? თუმცა არ მითხრა, არ მაინტერესებს. ჩემი მარკი აღარა მყავს.

დიდედას თითქოს თავზე ცა ჩამოექცაო. მისი მწუხარება მთელმა სოფელმა გაიზიარა.

იმ წელიწადს გაზაფხული ადრე დადგა. დადარდიანებულმა ბიძებმა, რომლებსაც აღარ შეეძლოთ მეტის მოთმენა, თითქმის სიხარულითაც კი დატოვეს მშობლიური სახლი. დიდედამ მათი წასვლა ძლივს შეამჩნია.

რამდენიმე დღის შემდეგ სემლემ უმცროს მარკს უთხრა:

– მარკ, შენ ხომ ყველაფერი გამოგდის ხელიდან. ნუთუ არ შეგიძლია, მამაჩემს რომ ჰქონდა, ისეთი სალამური გააკეთო.

– სალამური? კი მაგრამ რისთვის?

– იქნებ მამაჩემივით დაკვრაც შეძლო.

– მე? სალამურზე? რას ამბობ!

– მე მგონი, შეძლებ. სტვენით ხომ კარგად უსტვენ.

– მაგრამ სალამურს ხომ საგანგებო ჯიშის ხე სჭირდება.

– გახსოვს, ძია გონფილმა ზანდუკით წიგნები რომ ჩამოიტანა? მე მგონი, ის ზანდუკი გამოდგება.

– ჰო, მაგრამ რა სიგრძის და სიგანის უნდა იყოს, რომ არ ვიცი?

– დაგიხატავ, – უთხრა სემლემ და სალამური თეთრად შეფეთქილი ბოსლის კედელზე ნახშირით დახატა.

– ეს რა არის, – არ მოეწონა მარკს, – ასეთი სულაც არ ყოფილა. ნახვრეტებიცა და მუნდშტუკიც სხვანაირი ჰქონდა.

მერე სხვა ბავშვებიც მოგროვდნენ. ზოგი რას გაიძახოდა, ზოგი რას.

– ნახვრეტები შორი-შორს ჰქონდაო; სიგრძით უფრო გრძელი იყოო.

– ერთხელ ხელში მეც მეჭირა და ჩემი მკლავის სიგრძისა იყო, – გაიხსენა სანდრამ.

– ნახვრეტებს ვერცხლის რგოლებს როგორლა ჩაუდგამთ? – იკითხა ახალგაზრდა ემერმა.

– მამაჩემის ნაჩუქარ რგოლებიან ვერცხლის სამაჯურს მოგცემთ, – თქვა სემლემ.

– კარგი, ვცდი. თან ფინს, ჩვენს მჭედელს, ვთხოვ დახმარებას, – მიუგო მარკმა.

ბიჭუნამ მოისაზრა, რა და როგორ გაეკეთებინა და მუშაობას შეუდგა. მაგრამ ზანდუკის შავი ხე რკინაზე მაგარი გამოდგა. მარკმა სალამურის გამოთლას რამდენიმე კვირა მოანდომა. როცა ბოლოს და ბოლოს საქმეს მორჩა, გახარებულმა გაიფიქრა, ახლა კი დავუკრავო. მაგრამ ნურას უკაცრავად, სალამური საცოდავად აფშუკუნდა. რაკილა საქმეს ერთხელ ხელი მოჰკიდა, მარკი აღარ მოეშვა და ახალი სალამურის გამოთლას შეუდგა. ახლა მარტო სემლე ეხმარებოდა. სხვებს მობეზრდათ და მიმოიფანტნენ. მეორე სალამური გაცილებით უკეთესი გამოვიდა. და უკვე სექტემბრისთვის მარკი სალამურზე რამდენიმე ნოტსაც უკრავდა. ხოლო ოქტომბერში მარტივი მელოდიის შესრულებაც შეეძლო.

– ნეტავ ისე ვუკრავდე, რომ დიდედამ თავისი თითებით დანახვა შეძლოს, – ინატრა ბიჭმა, – მაგრამ რომ დაინახოს, ის მელოდია უნდა გავიხსენო, მამაშენი რომ უკრავდა. იქნებ შენ გახსოვს სემლე? – ჰკითხა მარკმა.

სემლე ჩაფიქრდა.

– ზოგჯერ ბუნდოვნად მესმის, თითქოს სადღაც შორს ტყეში უკრავენო. ნეტავ ყურს მივაწვდენდე, სხვა არაფერი მინდა, – ინატრა სემლემ.

– ეცადე, სემლე, – სთხოვა მარკმა.

იმ დღიდან სემლემ ტყეში დაიწყო ხეტიალი იმ იმედით, რომ იდუმალ მელოდიას სადმე ყურს მოჰკრავდა. შინ კი ქალები საყვედურებით ავსებდნენ: – შენს წილ საქმეს ნეტავ ვინ გააკეთებსო. ხელში საქსოვს აჩეჩებდნენ, თხებს აწველინებდნენ და ქათმებს აპურებინებდნენ. სემლე ყველაფერს მორჩილად აკეთებდა და თან გაფაციცებით უსმენდა. ხანდახან ღამით სიზმარში ყურს მოჰკრავდა იმ მელოდიას, მაგრამ დილით აღარაფერი ახსოვდა. გაიტანჯა გოგო. ცრემლმორეული უსიტყვოდ უხმობდა მამას: – გემუდარები, მოდი და ჩემთვის დაუკარიო, – ეხვეწებოდა ფიქრებში.

სექტემბერში თანდათან აცივდა. და სუსხიანმა ქარებმა დაუბერეს. ოქტომბერში ჩამოთოვა. მერე კი თოვლმა ფანჯრის რაფებამდეც ამოაღწია. წმინდა ფელინის დღეს სამივე ბიძა დაბრუნდა. ჩუმი და დანაღვლიანებულები იყვნენ. მხიარულების ნიშანწყალი არ ეტყობოდათ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უამრავი საჩუქარი, ყუთი თუ ბოხჩა ჩამოიტანეს. ბავშვები ჩვეულებრივ ქვევით დახვდნენ, ტვირთის ამოტანაში რომ შეშველებოდნენ. ბიძები უსიტყვოდ, მძიმე-მძიმედ დაადგნენ შინისკენ ამომავალ ბილიკს. ძველი, მხიარული ტრადიცია სადღაც გამქრალიყო. საღამოვდებოდა. ძლიერი ქარი ქროდა და სახეში თოვლს აყრიდათ.

– ბავშვებო, ფრთხილად! – შესძახა ძია ემერმა, როდესაც ისინი ხრამის კიდეს ძალიან მიუახლოვდნენ. „ფრთხილად... ლაად...ლად...ად...ად“ – დაუბრუნა ექომ.

სემლე ელდანაკრავივით შედგა. ხელი მაგრად მოუჭირა ჩანთის სახელურს და გაიფიქრა: „გამახსენდა, ვიცი. ახლა ნამდვილად ვიციო“. გოგონამ წაიღიღინა. ხოლო მარკი, რომელიც წინ მიდიოდა, შეჩერდა.

– სწორია, ეგ არის. თუმცა არა, მაგრამ ძალიან კი ჰგავს. ოღონდ ის უფრო სწრაფი და აღმავალი მელოდია იყო. დასასრულს კი თითქოს ბანტივით ინასკვებოდა, – უთხრა მარკმა.

– არა, დარწმუნებული ვარ, დაღმავალი ტონით მთავრდებოდა, – მიუგო სემლემ.

გზაში ერთმანეთს ეკამათებოდნენ. აწყვეტინებდნენ, მერე ეთანხმებოდნენ და ისევ კამათობდნენ. მივიდნენ თუ არა შინ, ჩანთები დიდ ოთახში დაყარეს და ქვევით ბოსელში შევარდნენ, სადაც მარკი სალამურს ინახავდა.

სამი დღე მსჯელობდნენ და ასამდე სხვადასხვა მელოდია მოსინჯეს. ჭამისთვისაც კი არ ეცალათ.

– მე ვფიქრობ, სწორია, – თქვა ბოლოს სემლემ. – და თუ არ არის სწორი, მაშინ აღარ ვიცი, კიდევ სხვა რა მელოდია შეიძლება იყოს.

– ეს მელოდია შეიძლება არც გამოდგეს, – მიუგო კამათითა და ვარჯიშით გადაღლილმა მარკმა.

– გამოდგება, გამოდგება, – დააიმედა სემლემ. გოგონაც საკმაოდ ქანცგამოცლილი ჩანდა. – თუ არა და შინ გამეფებულ ნაღველს ველარ გავუძლებ, – ამოიოხრა მან. – მარკ, შენ ახლა წადი და დიდედას სავარძლის უკან ჩუმად დადექი, – დაარიგა სემლემ.

საშობაო საჩუქრების მისაღებად დიდედას სარწეველა სავარძლის ირგვლივ მთელი ოჯახი ძველებურად შეიკრიბა. ბიძებს მოღუშული სახეები ჰქონდათ. მათ ცოლებს კი დარდიანი გამომეტყველება. მხოლოდ ბავშვები იყვნენ ხალისიანად. ბიძებს შეფუთული საჩუქრები დიდედას ფეხებთან დაეწყოთ. თვითონ დიდედა, გრძნობებისაგან სრულიად დაცლილი, თითქოს უსიცოცხლოდ იჯდა თავის სავარძელში. როდესაც ძია ემერმა ხელში კოხტა, რბილი ფუთა ჩაუდო, დიდედას სახეზე გულგრილობა, თითქმის ზიზღი გამოეხატა. თითქოს ამბობდა, მე რატომ მაწუხებთო. მაშინ კი მარკმა, რომელიც თავიდან არავის შეუმჩნევია, დაკვრა დაიწყო. ბიძებმა აღშფოთებითა და ბრაზით შეხედეს, ხოლო ბიცოლა თეზიმ წამოიძახა:

– ო, მარკ, შე საძაგელო, როგორ ბედავ.

მაგრამ ამ დროს დიდედამ თავი ასწია და მუსიკას ყური მიუგდო. მარკი დაკვრას განაგრძობდა. ტუჩები უცახცახებდა და ქარვის მუნდშტუკი უსხლტებოდა, მაგრამ მაინც უკრავდა. სემლემ დიდედას წინ ჩაიჩოქა და თავის ბავშვურ, თბილ თითებში მოიქცია დიდედას გამხდარი და დანაოჭებული ხელი, რომლითაც ქსოვილი ეჭირა. სემლემ ზუსტად იგივე იგრძნო, რასაც დიდედა გრძნობდა. ამ დროს კი დიდედამ გარკვევით თქვა:

– ოქრომკედით ნაქარგი ხილაბანდია, ღია აგურისფერი. მოვერცხლისფრო-მომწვანო ეკლებიანი ვარდებითაა მოჩითული. ეს სემლეს ჰქონდეს...

ინგლისურიდან თარგმნა
**ლალი გოგაძემ**

* * *

70-იანი თუ 80-იანი წლებია.

უფრო დაზუსტება რომ იყოს აუცილებელი, არამცთუ წელსა თუ თვეს, დღესა თუ საათსაც ნიშანდობლივად დავადგენდი, მაგრამ ზედმეტი ჩხირკედელაობა იქნება.

მთავრობის გაფართოებული სხდომაა.

ჯანსუღ ჩარკვიანიც გამოჩნდება.

წინა დღის ნაბახუსევია და ნატრობს, ნეტა აქ მოსასვლელი არ ვყოფილიყავიო, მაგრამ



აუცილებლობას სად წაუვა. ამიტომ სხდომის დასრულებას უნდა დაელოდოს და მხოლოდ შემდეგ იზრუნოს საკუთარ თავზე.

მის დანახვაზე გურჯაანის რაიკომის მდივანი წამოხტება, მიეჭრება, გადაეხვევა და გადაკოცნის.

– კიდევ შენი კოცნა მინდა? – ხელებს აღაპყრობს ჯანსუღ ჩარკვიანი, – ნეტა შენს მაგივრად ბორჯომის რაიკომის მდივანი მომვარდნოდა, თორემ გამისკდა თავი და ეგაა!..

* * *

1978 წლის 14 აპრილის იმ დიდ ეროვნულ მანიფესტაციას ქართული ენის ღირსების დასაცავად, ცხადია, მსწრაფლ მოჰყვებოდა რუსების მიერ აფხაზთა წაქეზება საპროტესტო აქციების მოსაწყობად ჩვენს წინააღმდეგ, და მოჰყვა კიდეც.

ამ საპროტესტო სერიაში თავის ადგილს დაიკავებდა კრემლში გაგზავნილი ოფიციალური წერილი მოთხოვნით: აღარ გვინდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნა და რაც შეიძლება მალე შეგვაერთეთ კრასნოდარის ოლქსო.

დიდთოვლობა ისეთი იშვიათი გახლდათ საქართველოს ამ კუთხეში, სამუდამოდ ამახსოვრდებოდათ ხოლმე, როგორც გარკვეული ქრონოლოგიური მიჯნა.

ერთ ასეთ დიდთოვლობას იმ წელსაც მოესწრებოდნენ.

მაინცდამაინც!..

წინა წლებივით ოდნავ კი არ წამობარდნიდა და მაშინვე გადაიღებდა, თეთრად შეისუდრებოდა სოხუმიც და მთელი ის მხარეც და ციდან მიწამდე გაწოლილი ფიფქები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად აღიბეჭდებოდა მოქალაქეთა თვალში.



და ვილაც იკითხავდა და ყველა ერთსულოვნად აჰყვებოდა:

– კრასნოდარის ოლქთან შეერთებას რომ ვითხოვდით, ამათ, მგონი, კრასნოიარსკს შეგვაერთესო!..

უდავოდ მახვილგონივრული ფრაზაა და კიდეც დარჩებოდა იუმორის ერთ საუკეთესო გამოვლინებად, შთამბეჭდაობასთან ერთად... ორიგინალურიც რომ იყოს.

ეს სიმახვილე ხომ ნოდარ დუმბაძის მიგნებულია.

ეს მაშინ, ხმა რომ გავრცელდებოდა, ხრუშჩოვის ხელისუფლებას მთელი საქართველოს აყრა ჰქონია განზრახული და ციმბირის მხარეში გადასახლებაო.

ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა აღსრულებულიყო ის განზრახვა, რაც ჯერ კიდევ საიმპერატორო კარს მოენდომებინა, ოღონდ ენერგიულად ვერ მოეკიდათ ხელი მისი განხორციელებისათვის და დეკაბრისტები სახელმწიფო გადატრიალებას რომ ჩაითქვამდნენ, ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე აპირებდნენ პირველ რიგში სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას: ქართველთა აყრასა და მიმოფანტვას რუსეთის შიდა გუბერნიებში და ამით სამხრეთ საზღვარზე ყოველგვარი შფოთისა და ამბოხების აღკვეთას.

ვასილ მჟავანაძე, საქართველოს კომუნისტთა თავკაცი, თავის პირად ჩარევასა და თავგამოდებას მიაწერდა ამ შემზარავი განზრახვის ჩაშლას.

ნიკიტა ხრუშჩოვის გაოცებული სახე და სიტყვებიც წარუშლელად ჩარჩებოდა ხსოვნაში:

– შენ რა გაწუხებს, სადაც უნდა მოგიწიოთ ცხოვრებამ, შენ ყველგან პირველ მდივნად დაგტოვებთო.

ამ გადასახედიდან სასაცილოდ არა გვყოფნის რუსეთის ეს ორსაუკუნოვანი მიზანმიმართული მცდელობა – საქართველო ციმბირის სივრცეში ჩაკარგულიყო, აქაურობას კი მთლიანად უცხოტომელნი დაუფლებოდნენ.

არადა, ტრაგედიის კალოს შუაგულში ვიდექით და იმხანად მაინც ბეწვზე ვართ გამოღწეულნი.

იმ ზამთარს განსაკუთრებით გაეხვეოდა თბილისი თოვლში.

ჩვენს დედაქალაქს მაინცდამაინც არ უკვირდა თოვლი, მაგრამ ამდენი?

ერთმანეთს გადაებმოდა თეთრი დღეები და ღამეები და ხალხს ისეთი განცდაც დაეუფლებოდა, ეს თოვა გადაღებას აღარც კი აპირებსო.

გაბეზრდებოდნენ. და ნოდარ დუმბაძეც ველარ უძლებდა თოვლში ჩაძირულ ყოფას, მაგრამ ერთი ფრაზა გაკვესავდა მის გონებაში და სულსაც მოათქმევინებდა:

– ძამა, ამათ, მგონი, მართლა გადაგვასახლეს, რაღაც არა ჰგავს ეს თბილისს!..

ლაღი სიცილი აჰყვებოდა ამ სიტყვებს, იმ იმედოვნებით გაჟღენთილი, ამხელა ტრაგედიას გადავურჩით აგერ, წუთის წინათ და ხელის განვდენაზე, და განა რაღა უნდა მოხდეს ამის შემდეგ ისეთი, ბედმა ულვთოდ გაგვწიროსო.

მართლაც წუთის წინათ.

მართლაც ხელის განვდენაზე.

...მაგრამ უკვე ძალას იკრებდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა, წამოსამართად ემზადებოდა ჯერ იატაკქვეშეთში, რათა თანდათან ამოეღწია მზის სინათლეზე.

თავის მხრივ კრემლიც გაფაციცებულიყო და არც სამზადისს აკლებდა, თუ მაინც დაგვიძვრა საქართველო ხელიდან, სოხუმისა და ცხინვალის ოლქები აღარ გავატანოთ თან, ვაწვნევინოთ მათი დაკარგვის სიმწარე და ეს მიწა-წყალი ყელზე ჰქონდეთ მოჭერილი ყულფივითო...

ზეციდან მიწამდე გაბმულიყო ფიფქები.

თბილისს ჰგავდა და... აღარც ჰგავდა თბილისს!..




* * *

ეს ის დროა, ბესიკ ხარანაული „მნათობის“ რედაქციაში პოეზიის განყოფილებას რომ განაგებს. აგერ ერთ თანამოკალმეს ასი ლექსი მიაქვს მასთან და სთხოვს: შენი ჭირიმე, საიუბილეო თარიღი მისრულდება და ეგებ რედაქტორთან მიშუამდგომლო და თორმეტი მაინც დამიბეჭდოთო.

ბესიკი გიორგი ნატროშვილს წარუდგენს ამ ვეება დასტას და პოეტის თხოვნასაც ამცნობს.

— კეთილი, ამოარჩიე, — ავალებს რედაქტორი.

ბესიკი კი:

— რა ამორჩევა უნდა, მარმელადი ხომ მოგეხსენებათ, ბატონო გიორგი, ზოგი ვარდისფერია, ზოგი თეთრი, ზოგი ყავისფერი, ზოგი მწვანე, ზოგი ლურჯი, მაგრამ გემოთი ყველა ერთი გემოსია. პირველივე თორმეტი ამოვიღოთ და ამით მოვათავოთ.

...ისეთი მარჯვე, იუმორით სავსე შედარებაა ლექსისა მარმელადთან, მიკვირს, სადმე როგორ არ გამოიყენა.

* * *

– არა მჯერა იმ ანდაზისა: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო, – აკაკი ასათიანი უეცრად მხიარულ გუნებაზე დგება და გრძნობ, რაღაცას მაკვარანცხულს იტყვის.

– რატომ არ გჯერა? – კითხულობს ვიღაც, რაკიღა ეს გაყუჩდება და ელის, როდის ჩამთავრდება მოულოდნელობის ეფექტისაგან გამოწვეული გაოცება.

შორს დარჩენილა ის დრო, მეორე კაცი რომ იყო, და თანაც ახალამოგებულ საქართველოს სახელმწიფოში, და თამამადაც აკი ამიტომ წარსდგა მოსკოვში, თამამად, აბა – სწორედაც როგორც სახელმწიფოს მეორე პირი და არა „მოძმე რესპუბლიკის“ მარიონეტი ხელისუფლების წევრი.

და დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია კრემლის ყრილობათა დარბაზში სიტყვის ამგვარი დაწყებით:

– ბატონებო და ქალბატონებო!

რა „ამხანაგებო“ და რომელი „ამხანაგებო“.

ახლა ბევრ რამეს სკეპსისით უყურებს, ირონიითა თუ მსუბუქი იუმორით, არც მოსხლეტილი, ფრთიანი სიტყვაა მისთვის უცხო და... აგერ ანდაზის უტყუარობასაც დაუეჭვებია.

თურმე რატომ და:

– იუდას რომ სამეგობრო და საძმაკაცო ჰყავდა, ღვთის სიტყვის მომფენნი და წმინდანნი: ეს პეტრეო, ეს ანდრიაო, ეს იაკობიო, ეს იოანეო, ეს ფილიპეო, ეს ბართლომეო, ეს თომაო, ეს მათეო, ეს კიდევ ერთი იაკობიო, ეს თადეოზიო, ეს სვიმონიო. გეუბნებით, ვინ არიან იუდას მეგობრები და ახლა თქვენ მითხარით, ვინ არის იუდა.

თქვენი არ იყოს, მასაც ბევრი სმენია იუდა ისკარიოტელის რეაბილიტაციის ცდებზე, როგორმე რომ ცდილობენ გამართლება მოუძებნონ მის საქციელს – ძე ღვთისა რომ გასცა და ჯვარცმისათვის გაწირა. სმენია, მაგრამ ვერ იზიარებს და ანკი როგორ უნდა გაიზიაროს, როდესაც ახალი აღთქმა პირდაპირ გვაუწყებს: ვაი მას კაცსა, ვინც გასცემს მაცხოვარსო.

...ეგაა, იუდა იქ არ დარჩენილა, ხეზე თოკით ჩამოკიდებული, კვლავაც ტრიალებს მისი სული, კვლავაც ამოჰყოფს ხოლმე თავს, განსაკუთრებით ამა თუ იმ ქვეყნისათვის საბედისწერო ჟამს და, ვინ იცის, მერამდენედ უნდა ეცვან ჯვარს მისგან გაცემული და უფლის მადლით აღვსილი ადამიანები.

არა, მაინც მეგობართა ეს რა საკრებულო ეხვია გარს!

მოდი და ამის მერე ამ ანდაზის სიბრძნე იწამე.



*მეგობრული შარჟები ზაალ სულაკაურისა*

## ხნიერი დემეტრეს ვნებანი

ქალს დუმილი ამშვენებსო, ამბობდა ჰომეროსი. მოდი და ნუ დაუჯერებ! დუმდა, ჩამომჯდარიყო ძელსკამზე პანაწკინტელა სკვერში და წიგნს კითხულობდა. მაგრამ, რაც მთავარია, დუმდა. იყო რაღაც ისეთი მის იერში, გამოხედვაში, თვალების ციალში, თმის ვარცხნილობაში (თეთრი ბანტი!), რომ დემეტრეს გონებაში ელვასავით იელვა მოხდენილმა შედარებამ, ეს ხომ გიმნაზისტკა არისო და მყისვე ყურში ჩაესმა იპოლიტე ხვიჩიას ჩახლეჩილი ხმით ამომღერებული: გიმნაზისტი გიმნაზისტკას ეფიცება, აძლევს სიტყვას... და მერე თვალწინ წარმოუდგა ცივი ზამთარი (თუმცა ძალიან ცხელოდა), თოვდა და თოვდა უხვად, იყო თოვლი, ბევრი თოვლი და ლოყებწამოწითლებულ გიმნაზისტკას თოვლის გუნდებს უშენდნენ გიმნაზისტები, ის კი კისკისებდა და უხაროდა, რომ სწორედ მას უშენდნენ თოვლის გუნდებს.



*ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი*

იდგა დემეტრე და გაოგნებული შეჰყურებდა წიგნის კითხვით გართულ ქალს. იმის ნაცვლად, რომ ჯიბის სარკეში ჩაეხედა და კიდევ ერთხელ, თუნდაც მერამდენედ, დამტკბარიყო თავისი მშვენებით, მარტოდმარტო იჯდა ძელსკამზე და წიგნს ჩაშტერებოდა. დემეტრე გაოგნებული შეჰყურებდა. ღმერთო ჩემო, რათ უნდა ამას წიგნი, რათ უნდა ამას გაკვეთილები, თავისი ჟუჟუნა თვალები რატომ უნდა დაითხაროს წიგნის კითხვით, როდესაც ხვავრიელად თოვს და საცაა თოვლის გუნდებს დაუშენენ გამორჩეულსა და მშვენიერს.

ასი წლის ბებერსაც კი აუჩქროლებდა გულს და აუდუღებდა დამდოვრებულ სისხლს ძარღვებში, დემეტრეს კი, აუჰ, რამდენი აკლდა ასამდე! კიდევ ერთი სიცოცხლე უნდა გაევლო, ვიდრე საუკუნეს მიუკაკუნებდა.

უყვარდა, საშინლად უყვარდა გავლა-გამოვლა ამ სკვერში, აბა სეირნობას ხომ ვერ დაარქმევ, ორი ნაბიჯი წინ და ორიც უკან. სულ ესაა მთელი სკვერი თბილისის კლასიკური გიმნაზიის (ყოფილი პირველი საშუალო სკოლის) წინ მისი გიმნაზისტებიან-გიმნაზისტკებიანად. არადა, აქაც უყვარდა ობლად სიარული ტატოს, ხოლო ჩვენს ეპოქაში – დათოს.

დემეტრესაც ძალიან უყვარდა ტატოსავით და დათოსავით. ეგებ იმიტომ უყვარდა, რომ აქ იდგა უძვირფასესი ძეგლი – ილია და აკაკი ერთად! ხელიხელჩაკიდებულნი, ერთმანეთის მოსიყვარულენი დგანან და გულს ეფონებათ შთამომავალთა მხიარული ჟრიამული. თურმე, ნახევარი საუკუნის წინათ, ილიას საიუბილეოდ უნდა დაედგათ მისი ძეგლი (ასე სმენია დემეტრეს). მაგრამ ღირსეულმა მამულიშვილებმა ხმა აღიმაღლეს – ილია უაკაკოდ როგორ იქნებაო. სიცოცხლეში განუყრელნი იყვნენ, ერთადა სწევდნენ სამშობლოს მსახურების მძიმე ჭაპანს, ზეციურ საქართველოშიც ერთად არიან და ძეგლადაც ერთად უნდა იდგნენო. და აი, ახლა ერთად აღმართულან, თითქოს მოდიან მომავლისაკენ და საკუთარი თვალით ხედავენ ივერიის გაბრწყინებას. წვიმასა და ქარში, თოვლსა და ყინვაში, პაპანაქებასა და გვალვაში, ზამთარ-ზაფხულ, ომია თუ მშვიდობა, ერთიმეორის მხარდამხარ დგანან და სიხარულით გაქვავებულ-დამუნჯებულნი შეჰყურებენ ნათელ მომავალს. და ყურში მკაფიოდ ჩაესმის დემეტრეს მათი ნაჩურჩულევი: სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა... შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო... სამშობლო იყო მათი საფიცარი. სამშობლოს ეთაყვანებოდნენ და ემსახურებოდნენ. სამშობლო ახსოვდათ ძილშიც და ღვიძილშიც. და სამშობლომ დააფასა მათი ამაგი. ერთად დაუდგა ძეგლი.

აი, ასე უნდა იყვნენ ერთად სხვიტორი და ყვარელი, ჩარგალი და სიმონეთი, ვარიანი და სტეფანწმინდა, ჭყვიში და პატარძეული, აბაშა და წერაქვი, არგვეთი და ალსტაფა, – გულაჩქროლებული ფიქრობდა დემეტრე, – ყოველ სოფელში ეკლესია, ყოველ სოფელში სახელოვან შვილთა ძეგლები და კიდევ უფრო გაბრწყინდება ივერია. სიყვარული და ჰარმონია. მოყვრის თვალის გასახარად და მტრისთვის თვალის დასათხრელად.

შეჰყურებდა დემეტრე თავის საყვარელ სკვერში მოვლენილ მშვენებას და ნატრობდა, რომ შეჩერებულიყო წამი, გაყინულიყო.

სიყვარულს თავისი ასაკი აქვსო, თავგამოდებით ამტკიცებენ ხოლმე. მჩქეფარე გაზაფხულიო, მწველი ზაფხულიო და ნელთბილი შემოდგომაო. ოღონდ ზამთარი არ დადგეს, ცივი და მიუსაფარიო.

ენა მუცელში ჩაუვარდა დემეტრეს, ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ტვინს იჭყლეტდა, როგორ გამოველაპარაკო ისე, როგორც არავინ გამოლაპარაკებია აქამდეო. იქნებ ლექსად გამოველაპარაკოო. თავის სანუკვარ ლექსებს იხსენებდა; მაგრამ ამჯერად ყველას იწუნებდა, რაღაც ღვთაებრივი ენადა. ჰო, ღვთაებრივიც უნდა ყოფილიყო და მიწიერიც, ვნებიანიც. გაცხრილა, გამოცხრილა მეხსიერება და ბოლოს დააკვნა: არა, არა, ყველას ესა სჯობსო – მე მიხარია, შენ რომ არსებობ, ვისი ხარ, ეს რა ჩემი საქმეა...

აქამდე სად იყო, რატომ აქამდე არასოდეს მინახავსო, საბავშვო ბაღში დადიოდაო?

ბოლოს და ბოლოს შეჩერდა უცნობ მშვენებასთან და... გამზადებული ლექსი პირწმინდად რომ გადაავიწყდა, ექსპრომტად ამოილუღლუღა:

– უკაცრავად, გოგონი, თქვენ რომელ კლასში სწავლობთ?

კედელზე მაგრად მირტყმული ბურთი რიკოშეტით რომ უბრუნდება დამრტყმელს, სწორედ ისე მოხდა.

წიგნს ჩაშტერებულმა მშვენებამ თავი ასწია, ჯიბეში ხელი არ ჩაუყვია პასუხის საძებნელად და დემეტრეს ეგრევე აჯახა: არა, ბიჭუნი, მე შვილიშვილის წასაყვანად ვარ მოსულიო.

მომხიბლავი არსება, ჩვენი ძვირფასი დემეტრე რომ დაატყვევა და მოაჯადოვა, წარმოშობით, ალბათ, ქუთაისელი იქნებოდა (დემეტრესავით!)...

ს44/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მზეზეც ყოფილა ლაქები

ჯონდო პავლიაშვილი არა გსმენიათ? მაშ, არც გიორგი ბალანჩივაძე გსმენიათ, არც მალხაზ შალიკაშვილი, არც ილია მერაბიშვილი... თქვენ, ეტყობა, გგონიათ, რომ ამერიკაში ოდენ ასპროცენტიანი ანგლო-საქსები ცხოვრობენ. როგორ გეკადრებათ, ამერიკა რა სათქმელია, თვით ბაბილონის გოდოლი არ აშენებულა უქართველებოდ. ანდა მეორე მსოფლიო ომი წარმოიდგინეთ ერთი უქართველებოდ! ჩვენში იმასაც კი ამბობენ, რომ ქართველ კაცს ქრისტიანობის ჩასახვაში მცირეოდენი წვლილი მიუძღვისო.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით რომა, 1979 წლის დეკემბრის დამლევს, საბჭოთა ჯარებმა, ახალი წლის მისალოცად, მეზობელი ავღანეთის ტერიტორიაზე შეალაჯეს. ვინ აღშფოთდებოდა უწინარეს ყოვლისა? მართალი ბრძანდებით! აშშ მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა (დღესაც ცოცხალია, ღმერთმა კარგად ამყოფოს!) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან კატეგორიულად მოითხოვა, რომ 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშები მოსკოვში აღარ ჩაეტარებინათ. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, დემოკრატიისა და თავისუფლების ბურჯს ცივი უარი სტკიცეს – სპორტი სხვაა, პოლიტიკა სხვაო, შუა უზის დიდი მზღვარიო. მაშინ 64-მა (სამოცდაოთხმა!) ყველაზე პროგრესულმა და განვითარებულმა სახელმწიფომ, აშშ თამადობით, მოსკოვს ნიხლი უკრა პურმარილზე. და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო სულ რაღაც 80-მა მახოხია ანუ განვითარებადმა ქვეყანამ (აფრიკელთა თამადობით). ეს იყო დასწრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ადამ და ევას დროიდან.

ჯიმი კარტერმა, როგორც იტყვიან, სანახევროდ გაისნორა დილიხორი.

ამასობაში თბილისის „კაგებეს" მოსკოვიდან მოუვიდა დაშიფრული დეპეშა: ჩვენი მთავარი მტრის მეგობარი ჩამოდის თბილისში და ფხიზლად იყავითო!

ჩვენს ორლობეში მოსკოვური დეპეშა ასე გაშიფრეს: ჩვენი მთავარი მტერი ხომ ზვიადია და მისი მეგობარი კი, ალბათ, მერაბი იქნებაო. მაგრამ მერაბი რომ ციმბირშია გამწესებულიო? – მორცხვად იკითხა რომელიღაც გენერალმა. ბრძნულად დაუყვავეს: სოსო და ლეიბა თუ გამოქცეულან ციმბირიდან, მერაბს წინ რა დაუდგებაო?!

„იკარუსების" მთელი წყება ჩასაფრდა შოთა რუსთაველის ძეგლის მიდამოებში. ჩვენი მთავარი მტრის მეგობარი როგორც კი ჩამობრძანდება, იმმინუტშივე ხელსა ვტაცებთო.

პანიკამ უქმად ჩაიარა. არც მერაბი ჩამოსულა და არც სხვა არავინ. როგორც შემდგომში გაირკვა, დაშიფრული დეპეშის „ჩვენი მთავარი მტერი" გახლდათ ჯიმი კარტერი. მაგრამ სახელდობრ ვინ იყო მისი მეგობარი, დღემდე უცნობია.

მოდი, მივმართოთ ინტერნეტს. ინტერნეტმა ხომ ყველაფერი იცის: ხუ იზ ხუ, ვინ მოკლა ვინ, ვინ ადებს ვის, ვინ ჭკვიანია და ვინ სულელი, ვინ ანგელოზია და ვინ მამაძაღლი... ერთი სიტყვით, ყველაფერი!

ინტერნეტის რუსულმა ვიკიპედიამ (მოგვიტევოს ღმერთმა, ჯერ არ გვისწავლია ინგლისური) ასეთი პასუხი მოგვცა: ჯოდი პაუელ, ჯიმი კარტერის პრესმდივანი, უახლოესი თანაშემწე და მეგობარი პრეზიდენტისა.

დაბადებულა საქართველოში 1943 წლის 30 სექტემბერს (დაიბადა საქართველოშიო!). მერე ცხოვრობდა ავსტრიაში, მერე გადასახლებულა შეერთებულ შტატებში (ღმერთო, ჰფარვიდე ორმოცდაათივეს!); კარტერს იცნობდა 1968 წლიდან. იყო მისი პირადი მრჩეველი, მძღოლი, ადიუტანტი, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. და მას მიაწერენ მჭიდრო კავშირს ე.წ. „ქართულ მაფიასთან".

ჯიმი კარტერი თურმე ამბობდა: „ამქვეყნად ჯოდი პაუელი მიცნობს ყველაზე კარგად, თუკი არ ჩავთვლით ჩემს ცოლს".

დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა იმის მიხვედრას, რომ საქართველოში დაბადებული და ე.წ. „ქართულ მაფიასთან" მჭიდროდ დაკავშირებული ჯოდი პაუელის ნამდვილი სახელი და გვარი იქნებოდა ჯონდო პავლიაშვილი.

ამტკიცეთ ამის შემდეგ ამაყად: პეტრე პირველიც ქართველი იყო და შამილიცო. აშშ პრეზიდენტის უახლოეს მეგობარსა და თანაშემწეს ვინ გადაუჯოკრავს, რომელი რუსეთის იმპერატორი და რომელი კავკასიელი ბელადი?!

მაგრამ, ვაგლახ, ხანმოკლეა სიხარული. ვინ დაგაცდის ბედნიერებას. ჩაგამწარებენ, ჩაგამხამებენ.

კარტერის მეგობრის ქართველობა აქამდე რატომ არავის უთქვამსო? – აწრიალდნენ და აფორიაქდნენ არამკითხე მოამბენი.

ჩვენმა ნაფიცმა ქართველოლოგებმა აქაც ჩაყვეს თავისი გრძელი ცხვირი და გვამცნეს, კარტერი ჯორჯიის შტატის გუბერნატორი იყოო. ხოლო ე.წ. „ქართული მაფია" რუსებმა 1953 წელს მოაშთვეს, როდესაც ჯოდი პაუელი ათი წლისა იყოო. ჰოდა, ეს ჯოდი პაუელიც ჯორჯიის შტატშია დაბადებული და მაფიაც, ალიასკის გარდა, ყველა შტატში არსებობსო (საქართველოსგან განსხვავებით!).

ქართველოლოგთა რეზიუმე: რუსულმა ვიკიპედიამ „ჯორჯია" თარგმნა „გრუზიად" და ჯორჯიის შტატის მაფიაც ჩვენ გადმოგვაბრალაო.

ვაი მაგათი... ათასი ინგლისურის მასწავლებელი (ჩვენ რომ მოვიპატიჟეთ) როგორ ეყოფათ მაგათ, ინგლისურის მასწავლებელთა დივიზიები დასჭირდებათ, რომ კარგად დაიმახსოვრონ: „ჯორჯია", მართალია, „საქართველოსაც" ნიშნავს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა – ჯორჯიის შტატს.

კარგად დაიმახსოვრონ და ტკბილი ზღაპრებით თავგზას ნუღარ აგვიბნევენ. გეორგიევსკის ტრაქტატს ვადა გაუვიდა. ახლა ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს (ოღონდ ამერიკული აქცენტით!).

## ქრონიკა

სამების ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა **იკა ქადაგიძის** ახალი პოეტური კრებულის **„უფსკრულნაგები ჰანგები"** წარდგინება.

საღამოს უძღვებოდა **სერგი ლომაძე**. სიტყვით გამოვიდნენ: **აკაკი ბრეგაძე, მარსიანი, ნუნუკა გურალია, ჯემალ ქირია, მამა მირიან ფალიანი, გიგი ხორნაული, მიმოზა ცანავა, ლალი აბშილავა, მიხეილ თუმანიშვილი, ნოდარ ჯალაღონია, გიორგი ზუხბაია**, კომპოზიტორი **შალვა დავითაშვილი**. პოეტებმა წაიკითხეს **იკა ქადაგიძისადმი** მიძღვნილი ლექსები.

საღამოზე შედგა მუსიკალური პრემიერა. ახალგაზრდა ხელოვანმა **კახა ბაციკაძემ** იკა ქადაგიძის ლექსზე დაწერილი სიმღერა შეასრულა.

სერგი ლომაძემ ისაუბრა იკა ქადაგიძის შემოქმედებაზე. გამოკვეთა მისი პუბლიცისტური კრებული **„ვის მივყიდით ქართულ მწერლობას"**, რომელიც წლის ყველაზე სამართლიან და სკანდალურ წიგნად მიიჩნია.

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქართულ ლიტერატურას იკა ქადაგიძის სახით ჰყავს არა მხოლოდ პოეტი და პუბლიცისტი, მრავალმხრივი მოღვაწეც, კერძოდ მივიწყებულ შემოქმედთა ქომაგიც, რომ იგი სამაგალითო მწერლად დარჩება; იკა ქადაგიძე თავისი მებრძოლი პოზიციით ჟანა დ'არკია ქართული მწერლობაში.

დასასრულ იკა ქადაგიძემ მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას, ლიტერატურული ალიანსის **„ზღვარი"** წევრებს, ვისთანაც ერთი წელია თანამშრომლობს.

# „ჩვენი მწერლობის" პრემიის ახალი ლაურეატები



პოეზია

ლადო კილასონია



პროზა

კატო ჯავახიშვილი



კრიტიკა

ნანა კუცია



თარგმანი

ნინო დოლიძე



ესეისტიკა

ბადრი გაგნიძე



ძველ ეკლესიასთან ზამთარში    რადიშ თორდია

ISSN 1987-7730

9 771987 773003